

# ა ი ჯ ნ

№1 (24) თებერვალი, 2023 წელი



სიცოცხლის დღეობის, ყაჩავის დღეს, მზე, ცა,  
სიცოცხლი... სიცოცხლა - შვალი და უკალაფერი  
ას, რაც ადამიანს ცხოველსგან გამოსიჩივს...  
სიცოცხლა უკალაფერი, დასახულება და  
დასახულება...



# გოჯხება

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 1 (24), თებერვალი, 2023

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:  
თავისუფალ შემოქმედთა გაერ-  
თიანება და შპს „გამომცემლობა  
„მიჯნა“, რეგისტრაციის  
№ B12127840


რედაქტორ-  
გამოცემელი  
მურმან ზაქარაია

რედაქტორი  
ჯემალ შონია

კონსულტანტი  
უჩა ოქროპირიძე

მისამართი:  
ქ. თბილისი, ტაშვენტის ქ.  
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი  
2-38-03-11

ISSN  
მიჯნა 2449-237X



# სარჩევი

## მილოცვა

შობა-ახალ წელს გვილოცავს იუბილარი ..... 3

## კლასიკა

### კონსტანტინე გამსახურდია

მთარგმნელის ოსტატობისთვის (ნაწყვეტი) ..... 5

## ლაშა გვასალია – 50

### მურმან ზაქარია

ამაღლებული სიტყვის ლეგენდა ..... 9

## პიოვრაფია

ცხოვრების გზა ..... 13

## გულითადი მილოცვები

### საქართველოს მთარალთა კავშირი

ლაშა გვასალია – 50 ..... 14

### სახელმწიფო რეზუებულის

### სამეცნიერო-ზეორ სავარის

### სამხარაო ადმინისტრაცია

გულითადი მილოცვა ..... 15

## ზურაპ ცოცელიძე

მილოცვა ..... 17

### გაზეთ „ეგრისის მაცნელები“

## ნანა ჯგუპია

ღვთისკაცი ლაშა – 50 ..... 17

„ტაშკენტის ოცდახუთი“ გილოცავთ! ..... 18

## ლაშა გვასალიას შემოქმედება

პროზა, პუბლიცისტიკა, ესეი, პოეზია

მწერლობა საღვთოობა ..... 19

მამა ..... 19

„ვარე შარა ვაქურეეე...“ ..... 20

რწმენით ქართულით ..... 21

ნუხილს მინებებული რაფსოდია ..... 22

სოსო სიგუას მითოსურ-რელიგიური სიმბო-

ლოები და ფიქრი ზვიად გამსახურდიაზე ..... 24

სპარსოფილური გავლენის კვალზე ..... 25

ნუცა ტაბიძე ..... 26

უბის წიგნაკიდან ..... 27

აკა სი რექ იშო... ..... 32

ლიბერტარიანელობასა და მორალურ

ლირებულებებზე ..... 33

კაკბია (მოთხოვბა) ..... 34

ჭა (მოთხოვბა) ..... 36

ქართული ლექსები ..... 40

მეგრული ლექსები ..... 46

ჩქიმ ნანაგე ..... 51

## მილოცვები

### კახა ქეცხაძია

ლოცვით დაწმენდილი გონი ..... 52

## ჯემალ მონა

აზრისა და კალმის სინათლით ..... 54

### რ. პეტრიაშვილი, გ. აპარაძი

კალმით, სიმღერით თუ სიტყვით ..... 56

## ირინე ფალიაშვილი

ჭეშმარიტი რაინდი პოეზიისა ..... 56

## გიორგი სიზინავა

გზა, რომელიც ტაძრისკენ მიდის ..... 57

## ზაურ მოლაშხიძის მუშლელი - ნატო

ვულოცავ ბატონ ლაშა გვასალიას ..... 60

## გური ოფოგაძია

ერგასი წლის ჩვენი ლაშა გვასალია ..... 61

## საეტლანა კვიკვინია

ლ. გვასალიას მასტერკლასები ..... 63

## კლიმენტი კიკალიშვილი

ლაშას ..... 64

## ლუარა გამყრელიძე

ჩვენს ბუდეში დაფრთიანებული ..... 65

## იუბილე

### შურალი „მიჯნა“

ირაკლი კალანდია — 75 ..... 66

## გახსენება

### ჯავალ მონია

ირაკლი გოცირიძე – 100 ..... 68

## პოეზია

### ნანა ზურალულია

ლექსები ..... 72

### ეკატერინე ხოშმლავა

ლექსები ..... 75

## თარგმანი

### ჩარლზ ბუკოვსკი (აშშ)

ლექსები ..... 79

თარგმანი თორნიკე ქავშბაიასი

## ისტორია

### უჩა ოქროპირიძე

თანამედროვე ქართული ეროვნული

მოძრაობა და სამხრეთ-დასავლეთი საქარ-

თველო ქართული არაფორმალური პრესის

მიხედვით ..... 90

## რუსულენოვანი მწერლობა

### იგორ ავანესოვი

ლექსები ..... 100

### რაისა მუზიჩევა

მოთხოვბები ..... 103

### ეთერ აგაროვანა

ლექსები ..... 106

### დინა პაპი

მოთხოვბები ..... 108

### ვალენტინა გვილავა

ლექსები ..... 112

# შობა-ახალ წელს გულოცავს თუმილარი



გარდასულ შობა-ახალწელს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, ღმერთმა სიკეთე, ბედნიერება, სიხარული, ჯანმრთელობა და ბარაქა მოგვინაგროს გამჩენმა, უფლისმიერ სიყვარულთან თანამზეურად.

იმისათვის, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს...“ სამამულე და საერო საქმეს უნდა მოვეკიდოთ გულისყურით, ჩვენივე საკმარი „რამე-რუმეები“ ჩვენივე შრომითა და ოფლით მოვიპოვოთ, მიწას უცილობელი ფუნქცია აღვუდგინოთ და პურ-ღვინის ქვეყანა რომ ვართ, კიდევ ერთხელ დავამტკიცოთ.

მოყვარეს მოყვრულად დავხვდეთ, მტერს კიდევ მტრულად. ზეციერზე დიდ მოაზროვნე-მეცნიერებად ნუ დავისახავთ საკუთარ თავს და გვახსოვდეს: „აღხდების რაიც წერილ არს...“

ჩვენი გზა, როგორც ერთმა უდიდესმა ქართველმა ბრძანა, „ქრისტეს გზაა...“ ამ გზაზე

კი ყველაფერია მოსალოდნელი, რადგან ის მარადიული ბრძოლისა და ტანჯვა-წამების საწირია.

მხართეძოზე წამოწოლილი, ჩვენი ზღაპარ-გმირის, ნაცარქექიას წარმოდგენაა კარგი, თორემ „ნამდვილ“ ქართველს დროის წასაგებად სადა სცალიან. თუ ყველაფერზე არ ავმაღლდით და საქმეში უწინარესობა ვერ შევიძელით, ცუდად მაშინ წაგვივა საქმე და ნანატრი სამამულო წადილიც გაგვინყალდება!..

ღმერთო მაღალო, შენ მოუმზევე ყოველ ქართველს და სრულიად საქართველოს ცას მიმწვდომი სიხარული და ბედნიერება... .

მრავალუამიერ, მრავალუამიერ, მრავალუამიერ...

სადავო კირიალესა-ცისა და მიწის სადლეგრძელოვ,

ღმერთისა და კაცის მღერად გასაგონარო, აკვნის სიმრავლევ და ჯან-ძალისად მოარულო,

სიყვარულის მემზევევ და სიძულვილის დამმარცხებელოვ,

ამომშანთავო ბოროტებისავ, სიკეთის მეკვლევ.

ანგელოზთა ბაგეთაგან გადმოდენილო ან-კარა წყაროვ.

ჩვენო მეუზჩურო და მეკეთილევ, ამინად შეგენიოს-

ხმაი უფლისა, ჩვენზე ბედნიერების მოსურვილეს...

შენაც გვყავდე იმედად და გვესალტე რწმენად

მარადიული, დაუსრულებელი ბედნიერებისა...

ამინ, ამინ და ამინ...

გვითბილე, უფალო ჩვენო, გვისხივე ნათელი შენი!..

\* \* \*

გაგვიგია და გვინახავს უამრავი შობანი, წარმართული ყოფის პანთეონიდან გადმომზევებული საოცრებანი.

იყო ჰინანა – შუმერული ქარაგმულიდან, იყო მედეა, ამური და მშობელი ზევსის...

გვინახავს „ილიადას“ საზღაპრულეთში გმირთა ხატების გენიალიზმი. ვიხილეთ – მტერთა უმოწყალოდ მულეტ აქილევსს ვით გამოედევნა მდინარე, რათა ეძია შური დახოცილთა სისხლით „მემთვრალს“...

როგორი დედები არ გვინახავს?!.

როგორი შვილები არ გვიხილავს?!..

როგორი შობის მომსწრენი და გამგონენი არ ვყოფილვართ, მაგრამ მსგავსისა, მარიამ ღვთისმშობლის ქალწულებრივად უმწიკვლოდ სასწაულებრივ შობისა – არასოდეს!..

როგორი გმირი არ გვიხილავს: გილგამიში თუ ენქიდუ, აიეტი თუ ფარტაზი, კუხულანი თუ ღვთისავარი, პრომეთეოსი თუ ამირანი, ტარიელი თუ ავთანდილი... რა არ ჩაუდენიათ,

როგორ არ უგმირკაციათ, რა არ გაუკეთებიათ, რარიგად არ უმეტყველიათ, მაგრამ ისე არავის და ვერავის, როგორც მაცხოვარს ჩვენსას, სიყვარულს მარადისს – იესო ქრისტეს...

აბა რომელი მათგანი იტყოდა: “გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი”. ან “მარცხენა ლოყაზე რომ გაგარტყამენ, მარჯვენა მიუშვირეო”..

შენა ხარ საფანელი სულისა და მრნამსი მერმისისა, შენა ხარ სისავსე და მარადისობა, შენა ხარ უსასრულობა და მომავალი,

ძალა და რწმენა, იმედი და ამაღლება...

დიდება შენს გაჩენას, უფალო იესო!..

დიდება ნაყოფს შენსას, წმინდაო დედაო, სათუთო და უნეტარესო მარიამ, წილ-მეგულევ სულიერი და ხორციელი საქართველოისა!..


დიდება გზასა შენსა, მაღალო ღმერთო, ვინაც გვიბოძე სიცოცხლე და გვიშვი სიყვარული!..

მრავალ შობას, ქართველებო და საქართველოები!..

**ლაშა გვასალია**



## კონსტანტინე გამსახურდია



# ქთარგმნების თსუტაჭითისთვის

(ნაცვეტი)

დიდი მწერლის ეს სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს მწერალთა კავშირში, ეძღვნებოდა იმ მთარგმნელობით ქაოსს, რომელსაც წალეკილი ჰქონდა იმდრონიდელი რუსულიდან თარგმნილი წიგნის ბაზარი, რომელშიც იკარგებოდა ჭეშმარიტი ლიტერატურულად ფასეული ტექსტები, დღეს ეს პრობლემა ეხება არა მარტო რუსულიდან, არამედ მსოფლიოს სხვა ენებიდან თარგმნილ უგემოვნო ლიტერატურასაც, რომელსაც არავითარი სიკეთე არ მოაქვს „თავისუფალი“ ქართული მწერლობისათვის.

თარგმნის ხელოვნება მწერლობის მომიჯნე სფეროა. ყოველ დროში ამ საქმეს ანარმოებ-დნენ თავათ მწერლები, დიდზე დიდი კორიფე-ნი სიტყვისა, ან არადა მაღალგანსანავლული მეცნიერები, რომელთაც პოეტური ნიჭი მოს-დგამდათ.

მთარგმნელი ის გამრჯე ფუტკარი იყო, რომელსაც სხვადასხვა ენებსა და ერებს შორის მიმოჰქონდა მადლიანი სურნელება და ანაყო-ფიერებდა ამა თუ იმ ნაციონალურ კულტურას.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში რომაელმა მაღალხარისხოვანმა მთარგმნელებმა შექმნეს ლათინურ ენაზე ბერძნული პოეზიის შედევრთა მიმსგავსებანი, ხოლო შუასაუკუნეებში დასავ-ლეთის ქრისტეანულმა ხალხებმა ბერძნული და რომაული ლიტერატურისა თავიანთ ნაცი-ონალურ ენებზე. ამ გარემოებამ საფუძველი ჩაუყარა როგორც დასავლეთ ევროპის, ისე აღ-მოსავლეთ ევროპის ნაციონალურ კულტურებს.

ცნობილია, ბიბლიამ, როგორც საკრალურ-რელიგიურმა წიგნმა, წარმოშვა კათოლიკური მისტიციზმი. ამ ნიადაგზე აღმოცენდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქრისტეანო-ბის სქოლასტიციზმი, ამავე წიგნმა უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა ქრისტეანული ცივილიზაციის შექმნაში.

საბჭოთა კავშირის ხალხების, სახელდღინ-ქართველების, რუსებისა და სომხების მწერლო-ბაში ამავე წიგნმა ჩაუყარა საფუძველი ძველ

ლიტერატურას და უდიდესი წვლილი დაიდო ამ კულტურების დადგენისა და აღზევების საქმეში.

რადგან იმ პერიოდებში საკრალურ წიგნად ითვლებოდა ბიბლია, უაღრესი სიზუსტით თარ-გმნიდნენ სხვადასხვა ენებზე მას, რათა ნაციო-ნალური ადექვატები მიეღოთ და ეს გარემოება დიდი ლაპიდარობისა და სიზუსტის ტრადიციას ამყარებდა მათ დამწერლობაში.

ამ ტრადიციებმა აღზარდეს ქართული პატრიტიკული და ჰაგიოგრაფიული ლიტერა-ტურის კორიფენი: გიორგი მერჩულე, გიორგი მთამინდელი და ეფრემ მცირე. ქართული ენა ამ საკრალური წიგნების თარგმნის მეოხებით უშუალოდ ეხებოდა და გზადაგზა ითვისებდა ანტიკური სამყაროს უბრნებინვალესი ენის – ბერძნულის ტრადიციებს.

მთარგმნელს, ამ გამრჯე ფუტკარს, ყო-ველთვის გადმოაქვს თვალით უხილავი მადლი და მშვენება იმ ენიდან, საიდანაც ითარგმნება ნაწარმოები. სწორედ ამით განსხვავდება კარგი მთარგმნელი ცუდისაგან, რომ იგი გამანაყოფი-ერებელ როლს ასრულებს თავის ნაციონალურ ენაში, მისი სტილისა და აღნაგობის შეულახა-ვად, შემოაქვს კარგი სტილის ტრადიციები, ხოლო ცუდი მთარგმნელი ვერ პოულობს იმ მიჯნას, რომლის გადაღახვა მხლოდ ზიანს აყენებს ენას, რადგან იგი უხეშად თავს ახვევს ნაციონალურ ენას, მეორე, სულ სხვა ბუნების

## პონსტანტინე გამსაზურდია

ენის სინტაქსიდან გამომდინარე პრინციპებს.

ლიტერატურული ზეგავლენანი პარალელურად მოქმედებენ პოლიტიკურთან, ამიტომაც იყვნენ იძულებული ქართული სიტყვის დიდოსტატები, ბიზანტივლების, ირანელებისა და არაბების მწერლობათა პერმანენტული ზეგავლენა ქართულ მეტყველებაში ნაციონალური კოლორიტით აღებეჭდათ მუდამ. ამიტომ ატარებენ ნაციონალურ იერს „ვისრამიანი“ და „ქილილა და დამანა“, ისე მაღალხარისხოვნად არის თარგმნილი ეს ქმნილებები ქართულად.

ქართული ენის განვითარებას სხვადასხვა  
ეტაპზე არაბულ და ორანულ ენებიდან თარ-  
გმნაც ხელს უწყობდა იმ მხრივ, რომ ეს ფაქ-  
ტორი ანელებდა იმ სქოლასტიკურ ფერმენტს,  
რომელსაც აძლევდა ქართულს ბერძნულიდან  
თარგმნილი ჰაგიოგრაფია და ჰატრისტიკა.

ამ ორ თითქმის პარალელურ ზეგავლენას უპირისპირდებოდა მდიდარი ქართული ზღაპრისა და ხალხური პოეზიის ძლიერი ნაკადები. ჩვენი დიდი მთარგმნელების მაღალხარისხოვანმა ხელოვნებამ შემოინახა ქართული ენის თავისთავადობა, უამისოდ ეს პერმანენტული ზეგავლენა უცხო ენებისა სავსებით დაუკარგავდა ქართულს თავის ნაციონალურ ინტონაციასა და კოლორიტს.

მხოლოდ და მხოლოდ გაუტეხელი სული ქართველი ხალხისა და ჩვენი ძველი მწერლობისა თუ გაუძლებდა იმ განუზომელ წნევას, რომელთაც ახდენდნენ აღმოსავლეთითა და დასავლეთით დიდად გავრცელებული ენები: არაბული, ორანული და ბერძნული ჩვენს ნაციონალურ მეტყველებაზე.

ძნელად ჩამოსათვლელია, თუ რამდენმა ხალხმა და ენამ დაჰკარგა თავისი ნაციონალური სახე ამ ენების გამსრესი ზეგავლენის მეოხებით წინააზიასა და კავკასიაში.

ზოგმა მათგანმა ძველიც დაჰკარგა. ზოგ-  
მაც ახლად ენის ადგმა ვერ შესძლო, მაგალი-  
თისათვის კმარა ჩვენი ჩრდილოეთ კავკასიელი  
ტომები, რომელთაც არაბულისა და თურქულის  
ზეგავლენის მეოხებით ვერც ალფაბეტი შექ-  
მნეს და ვერც ნაციონალური ლიტერატურა  
ნარსულში.

თარგმანი ჩვენს ეპოქაში ძლიერი იარაღია ხალხთა შეძმობისა და მათი ენებისა და ლიტე-

რატურის პოპულარიზებისათვის. ამ მიმართულებით იმდენი რამ გაკეთდა, რაც ამ ხალხთა ენების არსებობის მანძილზე არ შექმნილა.

ამ დიდ საქმეს ჯერაც მრავალი დამაბრკო-  
ლებელი მიზეზები და გარემოება აფერხებს. სა-  
ერთოდ დიდი ეპიკური ქმნილებების თარგმანს  
მრავალგზისი დაფიქსირება ესაჭიროება წინას-  
წარ, მეტრის შერჩევა და ტექსტის ჯეროვნად  
შესწავლა. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს,  
დიდი ეპიკური ქმნილებების თარგმნა ერთჯე-  
რად არავის შესძლებია, ახალი და ახალი ლი-  
ტერატურული თაობანი ხელახლა თარგმნიდნენ  
ხოლმე ჰომეროსს, დანტეს, შექსპირს, ბაირონს,  
იგივე ითქმის რუსთაველსა და პუშკინის თარ-  
გმნის გამოც.

საერთოდ, გენიოსური ნაწარმოების აპსო-  
ლუტურად ზუსტი თარგმანის მოცემა შეუძ-  
ლებელი საქმეა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ  
მათი დუბლიკატები გაჩნდებოდნენ სხვადასხვა  
ენაზე.

პუშკინისა და გოგოლის მაგალითი რომ ავი-  
ლოთ, ეს ორი პოეტი ისე ღრმად შესულნი არიან  
რუსული ენის გენიაში, რომ ძნელდება მათი  
თარგმნა სხვა ენაზე. ისინი ისე ღრმად არიან  
შესული რუსული ენის სტიქიაში, რომ ეს არ ეს-  
მით მათ მთარგმნელებს. და საზოგადოდ, რამ-  
დენადაც დიდია მწერალი, ის ისე ღრმად შედის  
თავისი ენის სტიქიაში, რომ მისი გამოყვანა ამ  
სტიქიდან და ამავე სამკაულებით შემკობა სხვა  
ენაზე ძნელი ხდება. და მე მიმაჩნია გოგოლი  
არის უდიდესი მწერალი არა მარტო რუსეთში,  
არამედ მთელ მსოფლიოში, იმიტომ, რომ გო-  
გოლი დარჩა თავისი ენის ტყვეობაში და ვერ  
გამოიყვანეს ამ ენის ტყვეობიდან, იგივე მოუვი-  
და პუშკინს და იგივე მოუვიდა ვაჟა-ფშაველას.

თარგმანის ხელოვნების მრავალსაუკუნი-  
ანი ისტორია და გამოცდილება გვასწავლის,  
რომ თარგმანისათვის ლექსური ინსტრუმენტის  
წინასწარ შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა ეძ-  
ლეოდა ყოველთვის. ეს მომენტი გადამწყვეტი  
პირობაა გამარჯვებისა. ეპიკური პოემების  
თარგმნისას არაა სავალდებულო ეს თუ ის  
პოემა იმავე ლექსური მეტრით ითარგმნოს,  
როგორც იგი წარმოშობილია ამა თუ იმ ნაცი-  
ონალურ ენაზე.

## მაგალითისათვის ავილოთ ჰომეროსის

„ილიადა“ და „ოდისეი“. ეს ნაწარმოებები ითარგმნა ჰექტამეტრით ლათინურად, ფრანგულად, რუსულად, გერმანულად და მსოფლიო სხვა კულტურულ ენებზე და უნდა ითქვას, არცერთ ენაზე ჰექტამეტრულ თარგმანებს დიდებითი შედეგი არ მოუცია, რადგანაც ეს ლექსური ზომა სხვა ენაზე არ უღერს.

ჰექტამეტრი ძველი ბერძნული ექსტერფიანი დაქტილური ლექსია, რომელიც ჰომეროსმა აიღო ძველი საპერძეოს ხალხური პოეზიიდან.

ამ ლექსის ზომამ ისეთი გამსრესელი ზეგავლენა მოახდინა ევროპული ხალხების ლიტერატურაზე, რომ ბარე სამი საუკუნის მანძილზე შეაწყდნენ ამ ზომას მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი პოეტები და მთარგმნელები: ფრანგები, რუსები, ინგლისელები, გერმანელები, შვედები და ვერცერთ არაბერძნულ ენაზე მას ვერ მიანიჭეს ნაციონალური უღერა.

რომაელებმა აწვალეს იგი მრავალი საუკუნის მანძილზე და შედეგი ის იყო, რომ ლათინურმა პოეზიამ ვერ შესძლო ჰექტამეტრის გაეროვნულება და საბოლოო ჯამში რომაულ მწერლობას შერჩა მშრალი ნათარგმნის იერი.

ბევრი ოფლი ღვარეს კლოპშტოკმა, გოეტემ, შილდერმა, შლეგელმა, ფოსმა, შელლიმ, გნედიჩმა, უკავსკიმ, იტალიის, საფრანგეთის და შვეციის დიდმა პოეტებმა და მთარგმნელებმა, ბოლოს ამავე ერების მთარგმნელები მიხვდნენ ამ ტენდენციის უნაყოფობას და ჰომეროსის თარგმნა დაიწყეს ისეთი მეტრით, როგორიც გამარჯვებული იყო ამა თუ იმ ნაციონალურ მწერლობაში.

და ეს იმიტომ მოხდა, რომ ექვსმუხლიანი დაქტილური ლექსი ნარმოადგენდა თვით ბერძნული ენის ბუნებაში ღრმად გამჯდარ ფენომენს.

ამ უკანასკნელ წლებში ზოგიერთები შეუდგნენ იმის მტკიცებას, თითქოს ჰექტამეტრული რიტმი ქართული ენის ბუნებაში იყოს მოცემული, მაგრამ ჩემის აზრით ეს ჰიპოტეზა ცარიელი ფანტაზია.

ჰომეროსის პოემები დიდად პოპულარული იყვნენ ჩვენში ჯერ კიდევ ადრიანი შუასაუკუნების მანძილზე.

ეს დიდი საქმე კარგა ხანია, გამკეთებელს უცდის, ჩვენის აზრით, ამ პოემების თარგმნი-

სათვის ხელმარჯვე იქნება ქართული პოეზიის ერთ-ერთი გამარჯვებული მეტრთაგანი, თოთხმეტმარცვლიანი, ან არა და თექვსმეტ-მარცვლიანი ლექსი. ამ მეტრებით დაწერილია ქართულში უდიდესი პოემები და სწორედ ესენი გახლავთ ხელმარჯვენი ეპიური თხრობისათვის.

ასეთივე ძნელბედობას, როგორც შეემთხვა ჰექტამეტრით ჰომეროსის თარგმნას, შევამჩნევთ დანტეს ტერციინების სხვა ენებზე გადატანის საქმეში.

ტერციინი იტალიური სალექსო ზომაა, დანტეს მიერ პირველად შემოღებული. ტერციინი სამმაგი, თერთმეტმარცვლიანი ლექსია, რომელშიაც ყოველი პირველი და მესამე ლექსი ურთიერთს ერთმებიან.

ამ მეტრის სხვა ენებზე გადანერგვა სცადეს ათეული წლების მანძილზე შლეგელმა, როუკერმა, შამისსომ, ჰაიზელმა და სხვათა. ანალოგიური ცდები ჩატარეს რუსებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა.

მეოცე საუკუნეში დანტეს კომედიის ტერციინებით თარგმნა განიზრახა გერმანული ლექსის ვირტუოზმა სტეფან გეორგემ. მაგრამ მისი ცდა დასრულდა ღვთაეპრივი კომედიის მხოლოდ ორიოდე ქების გადათარგმნით.

დანტეს სხვა ენებზე თარგმნა ხშირად უცდიათ სხვადასხვა სალექსო მეტრზედაც, მაგრამ ამ ცდებში ყველაზე ხელმარჯვე აღმოჩნდა თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი.

სხვადასხვა ენებზე მრავალჯერ უთარგმნიათ დანტეს კომედია ტერციინებით, მაგრამ ეს თარგმანები მეტნილად ისეთი რითმებითაა შესრულებული, ეს ცდები ჩამოთვლადაც არ ღირს.

რუსთაველის ლექსი, მისი მაღალი და დაბალი შაირი ისეთივე ულტრანაციონალური ქართული ლექსია, როგორიცაა ბერძნულისათვის ჰექტამეტრი, ხოლო ტერციინი – იტალიურისათვის.

საქმე ისაა, რომ თვით ენის წიაღში არსებული მუსიკალური ულერადობა და პოტენციული რიტმიძონენონ განსაზღვრავენ ამა თუ იმ სალექსო ზომის პრიმატს. და მისი ზუსტი ადაპტირების ცდა სხვა ენაზე უთუოდ გადაიტყუებს მთარგმნელს ტექსტისადმი ღალატისაკენ.

საბოლოოდ კი ასეთი თარგმანი მოუწვდომელი ხდება მკითხველთა მასების ცნობიერე-

ბისათვის.

აქ გამოვიდა რუსი ამხანაგი დეევი და სრულიად მართებულად აღნიშნა ამ ბწყარედებით მუშაობის მეთოდზე, რომელსაც ისე შეეჩინები ჩვენი მთარგმნელები და რის გამოც ასეთი უარყოფითი მხარეები ახლავს ამ დიდ საქმეს. მე მესმის ის დიდი ღვაწლი, რომელიც დაგვდეს ჩვენი კავშირის დიდმა პოეტებმა ტიხონოვმა, პასტერნაკმა, ანტოკოლსკიმ და სხვებმა. ეს დიდი ღვაწლი, დიდი სიყვარულია ქართული მწერლებისადმი, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა უარვყოთ ე.ნ. ბწყარედების პრაქტიკა. აქეთკენ მიგვითოთებენ თვითონ ჩვენი რუსი ამხანაგები და მე მგონი კონსტანტინე ჭიჭინაძის ასეთი დებულება ჩვენ არ უნდა დავიხვიოთ ხელზე. იმიტომ, რომ ეს წესი მაგონებს იმ გამრჯე ფუტკარს, რომელსაც სხვა ყვავილიდან მოაქვს თავის სურნელება, ე.ი. მოაქვს თავისი ენის სურნელება და სავსებით მართალი იყო ამხანაგი დეევის განცხადება. მაინც იგრძნობა, რომ აქ გ.ტაბიძის, ლეონიძის, აბაშელის ენა არ არის მთლიანად შესწავლილი, მათ მიერ იმიტომ, რომ მათ არ მიუწვდებათ ხელი ქართული ენის სიღრმისადმი. ამიტომ მას აკლია ის ნაციონალური კოლორიტი, რომელიც დედაენაში არის. ამიტომ ასეთ თარგმანზე ჩვენ უნდა დავაყენოთ საკითხი კადრების აღზრდის შესახებ.

მოგეხსენებათ, რომ რუსეთის უდიდესი მწერალი ლევ ტოლსტოი 60 წელს გადაცილებული იყო, როცა მან ისწავლა ბერძნული ენა ჰომეროსისადმი ინტერესით აღძრულმა. ამიტომ საჭირო არის რომ მეტი ინტერესით მოვეკიდოთ ერთმანეთის ენას.

მე ხშირად ვღებულობ ჩვენი უნივერსიტე-

ტის ახალგაზრდების წერილებს და ვხედავ, რომ ჩვენთანაც ეს ამბავი სავალალოა.

მე არაფერი მწამს ამხანაგ დეევის მიერ ნახ-სენებ თვრამეტი ენის მცოდნე პოლიგლოტისა, კაცი რომელიც 19 ენის ცოდნას დაიკვეხის, დამერწმუნეთ არც ერთი ენის კარგად მცოდნე არ არის.

ჩვენი ხელისუფლების შემწეობით უნდა დავაყენოთ საკითხი, რომ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ცენტრებში მაინც უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლებოდეს ქართული ენა, რომ მომავლისთვის მაინც მოვამზადოთ კარგი კადრები, რათა საბოლოოდ აღიკვეთოს ბწყარედები.

ერთის მხრივ უნდა ვიზრუნოთ ქართული ენის შესწავლისათვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, მეორეს მხრივ საკავშირო მწერალთა კავშირში, ასევე გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“ და „გოსლიტიზდატში“, რომ შევქმნათ სპეციალური კომისია ენის მცოდნეთა. ეს ზომები განსაკუთრებულ სიმძაფრით უნდა იყოს მიღებული ამიერიდან, რომ ეს ამბები წავიდეს ისეთი დინებით, როგორც ჩვენი კულტურისათვის ხელმარჯვეა.

პლენუმის მორიგ საკითხად უნდა იყოს დასმული რუსული მწერლობის ქართულად თარგმნის საკითხი და გავსინჯოთ თუ რა დიდი ბოროტება ხდება ამ მიმართულებით. ჩვენ აქ მოვისმინეთ ამხანაგ ფადეევის მშვენიერი რომანის დამახინჯება. ჩვენ ვხედავთ, რომ ცუდმა მთარგმნელმა ლამისაა შეაძლოს მკითხველს მაიაკოვსკი და პუშკინი, ეს შესანიშნავი პოეტები. ამას სარიოზულად უნდა დავუფიქრდეთ და ამ მხრივაც ზომებია მისაღები.



რედაქტორის გვერდი

## მურმან ზაქარაია

# აძალლებული სიტყვის ლექცია

ე.წ. კოვიდურმა მსოფლიო ტრაგედიამ, რა თქმა უნდა არც „ტაშკენტის-25“-ის შემოქმედებით ჯგუფის აუარა გვერდი და სამარადისო გულისტყივილად შემოგვატოვა ბევრი ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის სრულიად მოულოდნელი განსვლა ამქვეყნიდან. ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, თავისი დაღი დაასვა ჩვენ საგამომცემლო საქმიანობას; როგორც ყველან, ჩვენშიც დაირღვა მისი რიტმი და სისტემატურობა. ასეთ ვითარებაში „შიშველი“ ენთუზიაზმით გამომავალი (სხვათა შორის, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გაზეთ „აღდგომის“ გამოსვლიდან მოყოლებული (1993 წელი) დღევანდელობამდე (2023 წ.) მთელი 30 წელია, ამ გაზეთის ბაზაზე აღმოცენებული მრავალი უურნალ-გაზეთი თუ სხვადასხვა სახის საგამომცემლო პროდუქცია ძირითადად საკუთარი სახსრებით გამოიცემოდა) უურნალი „მიჯნა“ ხელახლა ფეხზე წამოდგომასა და მისი თანამშრომლების პენსიებიდან შეგროვილი კაპიკებით ფეხზე დადგომას ვერ შეძლებდა, რომ არა გამომცემლობა „უნივერსალის“ ხელმძღვანელის ბატონ გოჩა ხარებავასა და მისი გამორჩეული პროფესიონალიზმითა და სულიერებით აღსავსე კოლექტივის გვერდში დგომა და ხელშეწყობა.

უურნალ „მიჯნის“ გამოცემის პოსტკოვი-დურ პერიოდში ისე წარიმართა, რომ თითქოს საგანგებოდ, ყველა ნომერში გვიხდებოდა კოვიდით დაღუბული ჩვენი მეგობრების მოხსენება; ერთი ნომერი კი თითქმის მთლიანად მიეძღვნა ქართული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ზაურ მოლაშხიას ხსოვნას.

ამასობაში ჩვენი ცოცხალი მეგობრების, „ტაშკენტის 25-ის“ ღირსეული წარმომადგენლების იუბილეებმაც მოაწია და „მიჯნის“

ცალკე ნომრები მიეძღვნა გიორგი სიჭინავას დაბადების 80 წლისთავს და ბრწყინვალე ქართველი პოეტის, ჩვენი უურნალის რედაქტორის ჯემალ შონიას დაბადების 75 წლისთავს.

ამჟამადაც ჩვენი უურნალის ახალი ნომერი ეძღვნება კონკრეტულ საიუბილეო თარიღს; როგორც ჩვენი მხცოვანი მეგობრები ხუმრობით იტყვიან, სად იყო და სად არა, „წამოგვპარვია“ „ტაშკენტის 25-ის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლის, ტაშკენტის ოცდახუთისათვის კუთვნილი იდეური ცნების მომნიჭებლის, ნიჭიერი პოეტისა და პროზაიკოსის, მხატვრული სიტყვათქმნადობის გამორჩეული ოსტატის, სტუდენტობის წლებიდანვე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, პუტჩისტური ალიანსის მიერ დამხობილი ხელისუფლების აღდგნისათვის, ეროვნული თანხმობის იდეის განხორციელებისათვის თავდადებული მებრძოლის ლაშა გვასალიას 50 წლის იუბილეც.

\* \* \*

ამ ჩვენს, პოსტკუტჩისტურ ფსევდოსაზოგადოებაში, სადაც უმადურობამ და უვიცობამ დაანგრია „უმაღლესი სიკეთე“ – განხორციელებული ქვეყნის ორსაუკუნოვანი იმპერიული ჩაგვრისგან თავდახსნისა და დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში მხოლოდ ჭეშმარიტად ეროვნული სულიერებით მსუნთქავ მართალ სიტყვას ძალუძს გამოხატოს არა მარტო ცალკეული ინდივიდის თავისუფალი ნება, არამედ ასახოს მთელი ერის შემოქმედებითი პოტენციალი; შესაბამისად, იმედი ჩაუსახოს ამ უვიცობითა და უმადურობით გათანგული საზოგადოების თუნდაც მცირე, მაგრამ ლირსე-

ბადაუხურდავებელ ნაწილს, რომელთათვისაც პირადი თავისუფლება და სამშობლოს სიყვარული (პატრიოტიზმი) თანაზიარი მოვლენაა. სწორედ ასეთი, ჭეშმარიტად ეროვნული სულით დამუხტული მართალი სიტყვის მაძიებელი შემოქმედია ჩვენი იუბილარი.

ლაშა გვასალიას მრავალფეროვანი შემოქმედების, განსაკუთრებით მისი პოეზიისა და პროზის ენა ღვთისგან ბოძებული ძლიერი ნიჭიერებითაა გაცისკროვნებული. მაღალხელოვნურად დამუშავებული სიტყვაქმნადობა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გამორჩეულად ამაღლებული პროცესია ამ სიტყვებიდან მთელი სისრულით მოჩქეფს კოლხ-იბერული მოდგმის ეთნოგენური და ეთნოკულტურული ენერგია. მათში გამოხატულად იკვეთება მოდგმის ამაღლებული ნიჭის ლეგენდა. ისინი თითქოსდა ათავისუფლებენ ადამიანს თანდაყოლილი სიკვდილის (დაცემულობის) შიშისგან. ამიტომ მის ზნეობრივად ამაღლებულ მართალ სიტყვას, – სიტყვა ლეგენდას, ძლიერი შთამაგნებელი ძალა და ენერგია გააჩინია ამ ჩვენს, კულტურული (მე ვიტყოდი, ყოველნაირიც) დეკადანისის მომძლავრების ხანაში.

დღეს, ევროპის კულტურისთვის 2000 წლის წინათ დადგენილი ზნეობრივ ნორმებთან, ზოგადად მის კულტურასთან მიბრუნების პოზიტიური პროცესი დაჩრდილა პასუხისმგებლობისგან დაცლილმა ფსევდოკულტურულმა „ინსტინქტის აგრესიამ“. შედეგად, ახლადაღორძინებული დამოუკიდებელი ქვეყნის „თავისუფალი (განთავისუფლებული) კულტურა“ „დიადმა ქაოსმა“ მოიცვა. ჩვენი ეროვნული კულტურის ბუნებრივი განვითარებისთვის ზრუნვა ისევ დადგა დღის წესრიგში და პირველ რიგში ენისა, როგორც ერის სულიერი ენერგიის, მისი გონისა და აზრის გამოსახვის საშუალებისა.

თერგდალეულთა მიერ აღორძინებული იაკობ ცურტაველის, გრიგოლ ხანძთელის, მთაწმინდელების, შოთას და გურამიშვილის ეს ენა, რომელშიც მთელი სისრულით აისახა ენის ღვთაებრივი (ბუნებრივი) მისია იყოს „აქტი სამყაროს არსიდან აზრად გადაქცევისა“ (ჰუმბოლტი), ამ ფსევდოკულტურული ანარქიის შემოტკიცის შედეგად ისევ აღმოჩნდა გამოცდის

წინაშე,. ან გადარჩენა და თავისი ღირსეული ადგილის დაკავება მსოფლიოს კულტურულ ენებს შორის, როგორც სუბიექტურის ობიექტურად გარდაქმნის დიადი საშუალებისა. ენისა, რომელსაც ძალუძს თავის მიერ შექმნილ ახალ სტიქიაში ასახოს სამყაროსა და ადამიანის არსი. ასეთი ახალი სტიქიის შემოქმედად გვესახება ლაშა გვასალია, მის შემოქმედებაში გონებითი აქტის მგრძნობელობითი ასახვა ხდება ენობრივი შესაძლებლობების მუდმივი მეტამორფოზირებისა და უსასრულოდ განახლებად პროცესში, მოდგმის გენეტიკური ენერგიის გამოხმობით.

ლაშა გვასალიას პოეზიასა და პროზის ფენომენი სწორედ ამ ბუნებრივი ნიჭის მოცემულობითაა განპირობებული, თავის თავში გულისხმობს ძლიერ გონებრივ შემართებასა და შრომისმოყვარეობას, რომელიც ბუნების ამ ნაბოძვარს (ნიჭს) სიტყვის ძალით გადააქცევს ხელოვნებად – ახალ სულიერებად. ამაშია მისი სიტყვაკაზმული შემოქმედების საზრისი.

მის პოეზიისა და პროზაში თანაბარი სისრულით გამოსჭვივის მშობლიური ენისა და სიტყვის ის ემანაციური, – აშკარად აღქმადი, მაგრამ მაინც თავისი არსით ამოუხსნელი აქტიური საწყისი, რომელიც მწერლის სულიერი და ინტელექტუალური ენერგიის წყაროს წარმოადგენს. მისი კალმის ქვეშ მშობლიური სიტყვის ეს აქტიური საწყისი იმუსტება ახალი ენერგიით და იღებს მაღალმხატვრულ იერსახეს, რაც მთავარია, მთელი სისრულით წარმოაჩენს ამ სიტყვებში იმთავითვე ჩადებულ ენობრივ შესაძლებლობებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იქმნება არა უბრალოდ ახალი სიტყვა თუ კომპოზიტი, არამედ – სიტყვა ლეგენდა.

ამდენად, მშობლიური სიტყვის (ენის) ამ ამოუწურავი შესაძლებლობების გამომზეურობასა და მათი მაღალმხატვრულ დონეზე წარმოჩენის ძალზე რთულ, მაგრამ საშვილიშვილო საქმეს არის შეჭიდებული ჩვენი იუბილარი. სიტყვის ძალმოსილება ყველაფერია მისთვის. სიტყვიდან მომდინარე ულევი ენერგია გარდატყდება მის გონების პრიზმაში და ბადებს ახალ თვითთავადობას – სულიერებას, ამი-

ტომ სიტყვა ღმერთია მისთვის, დასაწყისიც და დასასრულიც. მაგრამ ჯობია ვნახოთ მისი პროზაული კრებულის „ორანის“ გარეკანზე გამოტანილი სიტყვა – სიტყვაზე:

„...სიტყვაა მთავარი. ღმერთია სიტყვა და მარადისი... თითოეული სიტყვის არსში უფლის სულთქმაა დავანებული თავისთავადი უღერადობითა და ცამალლობით, როგორც ანგელოზების ფრთა ბორიო ატმის ყვავილების საღვთო ბალში.

საუკუნეებზე ხნიერია გულძარლვი ქართული დედოსიტყვებისა. ათას ქარცეცხლსა და სისხლვაებას გაუძლეს დალოცვილებმა და ცინცხალი სიხასხასით მოაღწიეს მოაქუამომდე. ნიშნად მარადიულობისა და უკვდავებისა იმ ერისა, რომელმაც თავისი მიწა, წყალი და სიმშვენიერე შემოინახა ხატად უფლისა და ამზეკაპანებს, სილამაზის სივრცით მიუწვდომლობაში....

სიტყვაა ღმერთი, კიდევ დედა, მზე, ცა, სიყვარული... სიტყვაა – შვილი და ყველაფერი ის, რაც ადამიანს ცხოველისგან გამოარჩევს....

სიტყვაა – „წინწყარო“, „ჩაკრული“, „ნანა“, „ჩელა“ და ჰენდელის „ალილუია“, რომელიც სულ ღმერთისგან შექმნილი მგონია დაწკურული სამყაროს გასანათლებლად....

სიტყვაა – ერთადერთი ხიდი უფალთან მისასვლელი და ღმერთმა ნუ ქნას, ბურჯები შეერყეს ხიდს ესე...

სიტყვაა ყველაფერი, დასაწყისიც და დასარულიც”.

მშობლიური სიტყვისადმი ასეთი სათუთა და გულალალი მიდგომის ძალითა და ნებითაა, რომ მისი პოეზია და პროზა თანაბარძალოვანია. თუნდაც ეს ჰიმნი დედასიტყვაზე ნათელს ხდის, რომ მისი პროზა პოეტურია, ხოლო პოეზია – მეტაფიზიკური (ფილოსოფი-

ური). ამიტომ, ის სრულფასოვნად შეესაბამება იმ დიად ამოცანებს, რომელთაც მათ წინაშე აყენებდა კლასიკური მწერლობა და ლიტერატურათმცოდნეობა.

ლაშა გვასალიას შემოქმედების შეფასებისთვის თუ ვისარგებლებთ ჰუმბოლდტის მიერ გამოთქმული მოსაზრებით და თუ ჩვენ შევხედავთ მის პოეზიასა და პროზას ერთდროულად, უკიდურესად კონკრეტული და იდეალური მხრით, ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი მიდიან სხვადასხვა გზით ერთი და იმავე მიზნისკენ. ორივე ამოდის სინამდვილიდან და მიემართება მის მიღმა. პოეზია, ისრუტავს რა სინამდვილეს მგრძნობელობით პლანში, ღებულობს მის გარეგან და შინაგან არსა, მაგრამ არ იძიებს მის გამომწვევ წყაროსა და მიზეზებს. პოეზია თავის მგრძნობელობით გამოვლინებას უთავსებს ფანტაზიის ძალას და აყალიბებს მხატვრულად იდეალურ მთლიან სურათს. პროზა კი ეძებს იმ სინამდვილეს, რომლითაც ის ფესვებგადგმულია ამ ყოფიერებაში (ცხოვრებაში). ის (პროზა) ცდილობს გონების ძალით, ფაქტის – ფაქტთან, ცნების – ცნებასთან შეჯერებით დაადგინოს მათი ობიექტური ურთიერთკავშირი ერთიანი იდეის შუქზე. მაშასადამე, ორივე ისინი, მიუხედავად მათი ფორმით თუ არსობრივი განსხვავებისა მოითხოვენ მთელი სულიერი ძალების მობილიზებას, რომელიც საჭიროა უსასრულოდ მრავალფეროვანი სინამდვილის არსში წვდომისთვის. ამას ახერხებს ჩვენი იუბილარი, ის მიჰყვება ღვთიური ნიჭით განსაზღვრულ გზას სულის ძახილისას. მისი პოეზიისა და პროზის შემოქმედი შინაგანი, პოეტური, ენერგია, გარდაქმნილი სიტყვად ახალ ბურჯად ეყენება ეროვნული სულიერების უფალთან მისასვლელ ხიდს.





## უნიკურულის გხეა

ლაშა რომანის ძე გვასალია დაიბადა 1973 წლის 7 თებერვალს ხობის რაიონის სოფელ პირველ გურიულში.

1989 დაამთავრა ხობის N1 საშუალო სკოლა. 1990- 95 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1992-97 წლებში - თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტში.

პირველი ლექსი „სამშობლო“ 1986 წელს დაბეჭდა ხობის რაიონულ გაზეთში. სკოლის ასაკიდანვე იბეჭდებოდა რესპუბლიკის სხვადასხვა უურნალ-გაზეთში. იყო უურნალ „დილას“ წლის სტიპენდიატი.

პირველი კურსიდანვე აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ- განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თავის ბიოგრაფიაში „ზოადელობას“ მიიჩნევს ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან გზა-საწილად.

გამოცემული აქვს პოეტური და პროზაული კრებულები. მისი ლექსები და მოთხოვნები იბეჭდებოდა ქვეყანაში გამომავალ თითქმის ყველა ლიტერატურულ ჟურნალში.

მიღებული აქვს სხვადასხვა ლიტერატურული ჯილდო, მათ შორის: „ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია“, „წმინდა ილია მართლის პრემია“, რეზო ინანიშვილის სახელობის პრემია, ტერენტი გრანელის პრემია, ასევე არის „მსოფლიოს მცირე პროზის კონკურსის ლაურეატი“ (2007 წ.) და სხვ.

იყო სხვადასხვა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და ლიტერატურული გამოცემის რედაქტორი. ამჟამად რედაქტორობს ლიტერატურულ ჟურნალს „მწერლობა- 21“.

არის სხვადასხვა სამეცნიერო და საზოგადოებრივი აკადემიის, საქართველოს მწერალთა კავშირისა და მწერალთა და მეცნიერთა აკადემიის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ამჟამად სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსია.

ჰყავს მეუღლე და შვილები.



## ლაშა გვასალია – 50



50 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლაშა რომანის ძე გვასალია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

**ძვირფასო ლაშა!!**

ჩვენო ერთგულო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგეხსალმებიან ძმასა და მეგობარს, ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს და გილოცავენ ღირსებანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 50 წლისთავს.

თითქმის ოთხი ათეული წელია, რაც რწმენითა და სიყვარულით ემსახურებით მშობლიურ მწერლობას, მმობელ ქვეყანასა და ერს. თქვენი სამწერლო დებიუტი 1985 წელს შედგა, როდესაც ხობის რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის მშენებელში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „სამშობლო“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – ლექსები, მოთხოვნები, ნოველები, მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი გიცნობთ, როგორც

ჩინებულ პოეტს. ამის დასტურია თქვენი ლირიკული კრებულები „საწიერი“, „გზა“, „ფიქრების ქარი“, „დასაწყისი“, „სრულებით“. ამ კრებულებით კიდევ ერთხელ გაცხადდა, თუ როგორ უნდა უყვარდეს ჭეშმარიტ შემოქმედს თავისი სამშობლო, მისი წარსული თუ მომავალი. ამ კრებულებში შესული ლექსების ლირიკული გმირი ხომ მუდამ იმ ხალხს შესტრფის და შესციცინებს, ვინც მშობელი მიწის ერთ მტკაველ ველსაც კი არ თმობდა, შესტრფის ქართველ გუთნისდედას, კირითხუროს, მეზვრეს, ყველას, ვინც აქამომდე მოიყვანა ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა. გული უკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ პატარავდება შაგრენის ტყავივით მისი საესავი მამული, როგორ ტირიან კოინდრები ილორის კურთხეულ სანახებში, როგორ შავდება ცა, ცრემლითა და ძაძით ნაფერი. ენატრება დიდი დავითი და ილია, თამარი და დემეტრე, ცოტნე და თევდორე მღვდელი. კვეტარის ციხიდან დანახული საქართველო ეიმედება და ძველ ლომგულთა დარი ქართველების მოვლინებას შესთხოვს არსთავამრიგეს...

თქვენი პოეზიის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს თქვენეული პროზა, რომელმაც

**გაგრძელება გვ. 15**

# გისურებულის უკუკლივე ადამიანურ სიკეთეს

სახელმწიფო რწმუნებულის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია გული-თადად ულოცავს ამავე ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ლაშა გვასალიას 50 წლის იუბილეს და ჯანის სიმრთელესა და სამსახურებრივ წარმატებებთან ერთად უსურვებს შემოქმედებით წინსვლას და ყოველივე ადამიანურ სიკეთეს. ბატონო ლაშა, 50 წელი დასაწყისია მაღალგონიერი შემოქმედებისა და დიდი მამულიშვილური საქმეების საკეთებლად, ჯერ ყველაფერი წინაა, მინიმუმ ამდენივე წელი მაინც! უფალმა დიდხანს გამყოფოთ ასე მხნედ და წარმატებულად, თქვენი საყვარელი ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

იხარეთ და იმზეგრძელეთ!

სახელმწიფო რწმუნებულის  
სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია

## წინა გვერდიდან

ისეთ კრებულებში დაივანა, როგორიცაა „ფიქ-რი“, „ყველაფერსა და არაფერს შუა“, „ორანი“, „ზოლაშ ბერეთე (ზღვის შვილი)“.

თქვენი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ჰაინრიხ ჰაინრიხ, ალექსანდრე პუშკინის, ანა ახმატოვას, მოლა ორაზის, ალექსანდრე ბლოკის, კონსტანტინე პაუსტოვსკის შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს.

თქვენი ლექსები თარგმნილია თურქულ, აზერბაიჯანულ, ლაზურ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ ენებზე.

სხვადასხვა დროს რედაქტორობდით ისეთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ ორგანოებს, როგორიცაა გაზეთი „მაფშალია“, უურნალი „მწერლობა-XXI“, გაზეთი „ლიტერატურა“, გაზეთი „ალდგომა“, „მთავარი გაზეთი“, მუშაობდით სახელმწიფო კანცელარიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელად, საქართველოს პარლამენტის კავკასიის საკითხთა მიმართულების მთავარ სპეციალისტად, პოსტინდუსტრიული „ახალი საზოგადოების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელად, სამეგრელო-ზემო

სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსად, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელად და ყველგან უნარიანად და საქმის ცოდნით უძლვებოდით და უძლვებით დაკისრებულ მოვალეობას.

დაჯილდოებული ხართ ილია ჭავჭავაძისა და რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიებით. ყველა გაგვახარეთ, როდესაც იტალიაში გამართულ მცირე პროზის კონკურსზე გრან-პრი მოიპოვეთ.

თქვენს მეგობრებს გვემედებით, როგორც ერთი გულანთებული ქართველი, რომელიც ჩვენს ულამაზეს და უმშვენიერეს კუთხეში – სამეგრელოში მტკიცედ იცავს საქართველოს ერთიანობის იდეასა და ურლვევობას.

ჩვენო ლაშა!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილო-ცავთ საიუბილეო თარიღს შესანიშნავ შემოქმედს, ქეშმარიტ მეციბოვნეს საქართველოისას, გისურვებთ დღეგრძელობას და მზეგრძელობას მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს მთავარი კავშირი

## ძილოუკვა

საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაცია ულოცავს ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ლაშა გვასალიას 50 წლის იუბილეს და პირად წარმატებასთან ერთად უსურვებს წინსვლას საზოგადოებრივ და შემოქმედებით საქმიანობაში. ბატონი ლაშას შემოქმედება ერთი დიდი ან-თოლოგიაა ზოგადსაკაცობრიო სამზერისიდან მშობლიური ქვეყნის სადიდებლად.

სიტყვა აბსოლუტურად სხვა განზომილებით ისახება მის პოეტურ თუ პროზაულ ქმნილებებში. სიტყვაქმნადობა მისი შემოქმედების ხერხემალია. მისი კომპოზიტები თუ ახლადწარმოებული ნიმუშები ამდიდრებენ და ალამაზებენ ჩვენ სინტაქსსა და „გამომსახველობით პანოს“. ცალკე საუბრისა და განხილვის თემაა ბატონი ლაშას თარგმანები და პოეტური ნიმუშები მეგრულ ენაზე და საერთოდ მისი დამოკიდებულება ქართველური ენების გაცოცხლებისა და გამრავალფეროვნების საქმეში.

ღმერთმა ბედნიერებითა და წარმატებებით მოასწროს მრავალ ღირსშესანიშნავ თარიღსა და იუბილეს!



## ძოლობუა

ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს და სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ილია ჭავჭავაძისა და რევაზ ინანიშვილის პრემიების ლაურეატს, არაერთი ეროვნული და საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულს, ლირსეულ მამულიშვილს ბატონ ლაშა გვასალიას ვულოცავთ 50 წლის იუბილეს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლასა და წარმატებებს საზოგადოებრივ და შემოქმედებით საქმიანობაში. კვლავაც მრავალი წელი ყოფილიყავით თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მეპრძოლი, როგორც კალმით, ასევე – სიტყვით.

პატივისცემით,  
**ზურაბ ხონიაძი,**  
რექტორი, პროფესორი  
საქართველოს განათლების მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდენტი

## ლეიტიკა ლაშა – 50

დედამიწაზე უფლის ნებით ეშვებიან ადამიანები ადამიანთა გადასარჩენად, რათა სულის საბლუნად მოევლინონ განსაცდელში მყოფთ და სამზეოზე გაიყვანონ, ყოველგვარ ბოროტეულს ააცდინონ, სწორი გზით ატარონ და ამნუთიერი სამყაროს ტვირთი ამ ცოდვილ დედამიწაზე შეუმსუბუქონ, მზის ნათელი დაანახვონ, ერთმანეთს გულის კარები გაუღონ და სიყვარულითა და თანადგომით ერთმანეთის ტვირთი იტვირთონ, რათა ამ სოფელში ნათელი მოევლინოს მათ გზა-სავალს, რომ მათი არყოფნის მერეც გამოადგეთ თაობებს გზასავალად, თორემ ისედაც მცირეა დრო, რაც გვეძლევა ამ დუნიაზე, მით უფრო ისეთ გარდამავალ ეპოქაში, სადაც ჩვენს თაობას მოუწია ცხოვრებამ ერთი საუკუნის დასასრულსა და მეორის დასაწყისში. ათასი წელი ჩვენნაირი მოკვდავებისთვის საკმაოდ დიდი დროა, თუმცა უფლისთვის ერთი თვალის დახამხამება.

... რა ჩქარა გასულა წლები, თურმე 50-ის ხდება ჩვენი ლაშა, ქვეყნის საამაყო შვილი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული და გამორჩეული, ყველასთვის ჭირში გვერდით მდგომი, გაჭირვების ტალკევსი ყოველგვარი ანგარებისა და ხმაურის გარეშე, მიუხედავად თავისი რეგალიებისა ლაშას სამსახურის კაბი-

ნეტის კარები მუდამ ღიაა ადამიანებისათვის, რომელთაც სხვადასხვა პრობლემასთან უწევთ შეჭიდება, მისგან მუდამ კეთილ რჩევებს და თანადგომას იღებენ, სწორედ ამიტომ შეიყვარა იგი ხალხმა და სამართლიანად უწოდეს „სამეგრელოს მშვიდობის ელჩი“, ღვთისკაცი, ერისკაცი, მამულიშვილი, ლაშას, როგორც მწერალს, პოეტს, მთარგმნელს, პუბლიცისტს, კრიტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს, მრავალი პრემიისა და ჯილდოს მფლობელს საქართველოს ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ.

ლაშა გვასალია ფაქტობრივად კრავდა სამეგრელოს რეგიონს მეოცე საუკუნის მინურელსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, მას ლომის წილი უდევს სამეგრელოს ერთადერთი რეგიონალური გაზეთის, მემატიანის – „ეგრისის მაცნეს“ გადარჩენაში, რომელიც თავის სიტყვას იტყვის სამომავლოდ და აღიარებული იქნება იმ მაგანთაგანაც, რომლებიც მის არსებობას ხელს უშლიდნენ.

დიდია ლაშა გვასალიას ღვაწლი და საქმეები ერისა და მამულის, რეგიონის წინაშე. ჩვენო ღვთისკაცო ლაშა, გილოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჩვენს ქვეყანას თქვენნაირი შეილების სიმრავლეს. მრავალუამიერ თქვენი სიცოცხლე!

სიყვარულითა და პატივისცემით,  
**„ეპრისის მაცნელები“ და**  
**ნათია ჯგუშია**

# „ტაშკენტის თჯრახუთი“ გილორუაკი!

„ტაშკენტის ოცდახუთის“ მოღვაწეთა უმცობის თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმადგენელი ლაშა გვასალია უკვე 50 წლისაა!

დრო მიდის, არ ჩერდება, მიდის და გვიტოვებს წლებს, გვმატებს ასაკს და ჩვენც, ამ წუთისოფლის შვილები, ვცდილობთ, რომ ამ სწრაფმავალ დროში მოგასწროთ რაც შეიძლება მეტი, რაც შეიძლება ბევრი, თუ გვინდა, რომ ღირსეული კვალი დავტოვოთ ამქვეყნად...

ჩვენს ლაშას ამ მხრივ ბევრი აქვს საამაყო: მშვენიერი პოეტური თუ პროზაული წანარმოებები, მკითხველთა მიერ აღიარებული კრებულები, უურნალისტური, საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ეროვნულ მოძრაობაში შეტანილი წვლილი. ლაშა გვასალია სიმართლის, სამართლიანობის, თანალმობისა და გულისხმიერების შესაშუალებებისათვის.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის საუკეთესო ადამიანური თვისებები, რომლებიც ამკიბს ლაშა გვასალიას, როგორც შემოქმედსა და მოქალაქეს, მის თჯახურ გარემოსთან ერთად ტაშკენტის ოცდახუთის კედლებში ყალიბდებოდა და იხვენებოდა; აյ აიდგა მან ფეხი, როგორც შემოქმედმა, უნიჭიერესმა პოეტმა და პროზაიკოსმა, უურნალისტმა და, თუ გნებავთ, პოლიტიკოსმა, რომლის იდეები და მსოფლმხედველობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან მოდის; ლაშა გვასალია დღემდე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ურყევ თანამებრძოლთა რიგებშია და ესაა მისი პიროვნული ღირსებაც და მთელი მისი შემოქმედების მკვებავი ეროვნულობისა და ჟუმანურობის მასაზრდოებელი წყაროც.

ტაშკენტის ოცდახუთში გამოსცემდა ჯერ კიდევ ჭაბუკი ლაშა გვასალია ლიტერატურულ გაზეთებს, არაერთი ლიტერატურული სალამო ჩატარებულა მისი ინიციატივით, ხოლო მისი რედაქტორობით გამოცემული უურნალი „მწერლობა-XXI“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსგავსი პროფილის უურნალთა შორის.

ტაშკენტის ოცდახუთში, როგორც კი დრო მიეცემდა, ქმნიდა იგი თავის პირველ მოთხოვობებს, ესეებს, ჩანახატებს, ლექსებს. ტაშკენტის ოცდახუთი იყო მისი შეორე თჯახიცა და ცხოვრების სკოლაც, სადაც მან ახლოს გაიცნო მურმან ზაქარაიასა და ლუარა გამყრელიძის ირგვლივ თავმოყრილი გამორჩენილი ეროვნული მოღვაწეები – პოეტები, მწერლები, უურნალისტები, გამომცემლები, პუტჩისტური ხელისუფლების მიერ დევნილი და რეპრესირებული პოლიტიკოსები, ეროვნული მოძრაობის რიგითი

წარმომადგენლები. დღეს მათგან ბევრმა დატოვა წუთისოფელი, ხოლო ისინი, რომლებიც დღემდე სტუმრობენ ტაშკენტის ოცდახუთს, ყოველთვის მოიკითხავნენ და მოინატრებენ ლაშა გვასალიას, ურომლისოდაც ეს ბინა და მისი კედლები წარმოუდგენელია.

სწორედ ლაშა გვასალიამ მიანიჭა ტაშკენტის ოცდახუთს სამშობლოს თავისუფლებისათვის დაუცხრომელი ბრძოლის, უკანონო ხელისუფლების მიმართ დაუმორჩილებლობის შინაარსი და დღეს ჩვენთვის და ჩვენი თანამებრძოლებისთვის „ტაშკენტის ოცდახუთი“ მისამართი კი არ არის ერთი კონკრეტული ბინისა, არამედ თავდადებულ მაბულიშვილთა იმ იდეური ერთობის სიმბოლოა, რომელიც ერისა და ქართული სახელმწიფო ბრძოლის უზენაესი მიზნების სამსახურში მარადის იქნება!

არ შეიძლება არ აღვინიშნოთ ისიც, რომ სწორედ ტაშკენტის ოცდახუთში იშვა ის სპეტაკი სიყვარული, რომლითაც „ტაშკენტის ოცდახუთელთა“ ახალგაზრდა თაობის გამორჩეულმა წარმომადგენლებმა, თეანა ზაქარაიამ და ლაშა გვასალიამ, დიდებული თჯახი შექმნეს და ახლა უმშვენიერესი და უნიჭიერესი შეიღებით, დემეტრე და თათე გვასალიერით ახარებენ თჯახაც და მთელ ქვეყანასასაც.

ტაშკენტის ოცდახუთი გილოცავთ დაბადების დიდებულ თარიღს – 50 წლის ლაშა გვასალიას, ჩვენს საამაყო თანამებრძოლს, ჩვენი ეროვნული თჯახის სასახელო წევრს და უამრავ შემოქმედებით გამარჯვებას, ნინსვლასა და გახარებას გისურვებთ მომავალში!

ლაშასთან ერთად ამ ლამაზ თარიღს ვულოცავთ მის ბრწყინვალე თჯახს: მეულლეს, თეანა ზაქარაიას, შვილებს, დედას, დებს, აგრეთვე ლალი და მურმან ზაქარაიებს, დათო ზაქარაიას, რომლებისთვისაც უმნიშვნელოვანესია ლაშასა და მისი თჯახის ყოველი წარმატება!

თავისი საამაყო ვაჟკაცის 50 წლისთავს ვულოცავთ ჩვენგან უდროოდ წასულ რომან გვასალიას, რომელიც ტაშკენტის ოცდახუთის ხშირი და სასურველი სტუმარი იყო და სამუდამოდ რჩება ჩვენი ერთიანი თჯახის ღირსეულ წევრად!

იხარე, ჩვენო ლაშა! მეორე ნახევარი საუკუნეც ასე სახელმონად გაგევლოს ქართული სიტყვის, მშობელი ერის კეთილდღეობის სამსახურში!

**თავისი სამართლების მიზნები**

**ლაშა გვასალიას შემოქმედება: პროზა, პუბლიცისტიკა, ესეი, პოეზია**

## შეკრის საღვთოობა...

სერვანტესი თავის ერთ-ერთ ნოველაში – „ლიცეციანტი ვიდრეირა“ გვიამბობს ერთ სულით ავადმყოფ კაცზე, ადრე მეტად განსწავლულ და საზოგადოებაში დაფასებულ სენიორზე, რომელიც დიდი ფიქრისა და მტკიცის შემდგომ მივიდა იმ დასკვამდე, რომ შეიძლებოდა დაფაშვილ-დამსხვრეულიყო, რადგანაც თიხისგან, ანუ მიწისგან იყო შექმნილი და უმნიშვნელო გაუფრთხილებლობის შედეგად უცილოდ დაიმსხვრეოდა, გაცამტვერდებოდა. თავის შიშს ის ხმამაღლა აცხადებდა და დაინტერესებულ მსმენელებს არწმუნებდა აზრის ჭეშმარიტებაში. შედეგმაც არ დააყოვნა და გამოუჩნდნენ თანამოაზრები, რომლებმაც ბრძენი „მოძლვარი“ ჯორზე აკიდებულ, თივაჩიაფენილ კალათაში ფრთხილად ჩასვეს და ასე ატარებდნენ ესპანეთის პროვინციებში. ნოველა ყველაფერთან ერთად საინტერესოა იმ თვალ-საზრისითაც, რომ გამოხატავს ადამიანებზე პიროვნების ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალასა და მნიშვნელობას. სერვანტესმა ამით განგაშის ზარი შემოკრა და გააფრთხილა საზოგადოება, რომ ყოველგვარ იდეას, თუნდაც აშკარად გამოხატულ სისულელეს, აქვს მის

მატარებელთან იდენტურობის განცდის ძალა და მას მივუდგეთ უნდა მეტად სერიოზულად, რათა არ განვითარდეს, არ გაბატონდეს ჩვენზე და მასთან საზოგადოებაზე. დიდმა მწერალმა გამოკვეთილად გვამცნო: მთავარია იყოს იდეა და კაცი მისი მატარებელი, მიმდევრებზე არ ვიდარდოთ, ისინი ყოველთვის გამოჩნდებიან. ისიც გამახსენდა: თაფლი მითხარი, თორემ ბუზი სტამბოლიდან მოფრინდებაო!

ეს ნოველა რატომაც გავიხსენე და მოვიტანე ასე გახმამაღლებულად, ძვირფასი მკითხველი მიმიხვდება, ათას უბედურებათა მიმდევარ- მეხმატკბილედ გვიხილავს საკუთარი ხალხი და ის საზოგადოება, რომელსაც ქვეყნის აღმშენებლობაზე ჰქონდა პრეტენზია! ჩვენ, ძვირფასო მეგობრებო, იმდენი რამ გვიხილავს, იმდენი რამის მომსწრენი ვართ, რა უნდა გაგვიკვირდეს, თანაც ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ მწერლობა რომ საღვთოობაა, ამისთვის მსურდა გამესვა ხაზი!..

კიდევ იმისთვის, რომ ცრუ კახაბერებს უნდა მოვერიდოთ, დღეს ჭეშმარიტი, ნამდვილი კახაბერების დროა!..

## ქაბა

ყველაფერს ეჩვევა კაცი. მამის სიკვდილიც გადავიტანე. ჩვეულებრივად, ვჭამ, ვსვამ, ვქეიფობ... და ვაკეთებ ყველაფერ იმას, რაც ცოცხალ ადამიანს მიცვალებულისგან განარჩევს. ჩემი კარგი და გულნათელი, მუხლჩაუხრელი და ოჯახზე გადაგებული მამა.

მთელი ცხოვრება თავს ვაწონებდი, უფრო სწორად, მინდოდა ეამაყა ჩემით, არ ვიცი, რამდენად შევძელი ეს, მაგრამ ჩემთან ყოფნა რომ აბედნიერებდა, ნამდვილად ვიცი. დედაქალაქში დიდებულად მოწყობილს, საყვარელ საქმეს მიკეთილებულს, საშველი არ დამაყენა, სანამ მშობლიური ალაგისკენ არ მომაბრუნა. მხოლოდ სადღეგრძელოებში კი არ უნდა გიყ-

ვარდეს შენი კუთხე-კუნჭული, ოდაბადე და საფლავები, მოხვიდე უნდა – გასხლა, დაბარო, გათოხნო, მოეფერო, გათხარო და მიაბაროო.. ამას კი ამბობდა, მაგრამ ჩემი შეწუხება არ უყვარდა, სულ მარტო, სულ თავად აგვარებდა და აკეთებდა ყველაფერს. შენ წერე და იკითხეო, მაგრამ ეგრე სადაა სოფელში. როგორც სულ-მნათმა ბაბუაჩემმა იცოდა, საქმე ჭირვითაა, თუ დროულად არ მიხედე და არ მოუარე, გადაგიყოლებს, დაგჩაგრავს, სულს ამოგხდის...

დავრჩი მამის გარეშე ამ უსაშველო სამყაროში, არ მშორდება მაინც, სულ მესიზმრება, სულ მეფერება და მიფრთხილდება იმ ქვეყნიდანაც, მარა ამქვეყნად მოგნიასე კაცს რას

გიშველის იქიდან მოსიზმრებული სითბო, მით უფრო, ვაი-უშველებელი ყოფა ლოდივით რომ გაძევს ზურგზე და სულის მოთქმის საშუალებას რომ არ გაძლევს...

ზაფხულიც მიიღია, შემოლეგავდა შემოდგომა სევდისად, ფიქრიანად, შიშით – გრძელი ზამთრისა წინ რომ გვიძევს და რამდენი რამაა სადარდო: კაცი, ცხოველი, ფრინველი, საგარეო, საშინაო რამები. მოსავალსაც არ უჩანს კარგი პირი, გაანადგურა აზიურმა ფარისანამ – ვენახი, ხილი, ბოსტანი, ყანა.... არაა საშველი, ყველა და ყველაფერი ადამიანს ემტერება, თავად ადამიანიც მტრობს საკუთარ თავს და ეს რა გასაკვირია. აგერ, ახლახან „ირმად“ წოდებულმა ქარიშხალმა წალეკა და მუსრი გაავლო ამერიკას, ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი სახლების დანგრევას ვინ ჩივის, ოკეანე გააქრო, თუ თავად ოკეანე გაიქცა თავისი სამყოფლოდან და უწყლოდ დარჩენილი ოკეანის ბინადარნი კიბორჩხალები და ა. შ. მეორედ მოსვლის მაუწყებლებივით დადიან თუ დაბობლავენ შარაგზებზე...

თუმცა რა, ქართველებს არ გაგვექცა ზღვა? წავიდა, მიგვატოვა, მართალია, ძალიან შორს არ წასულა, მაგრამ მაინც დაიხია დამარცხებული ჯარივით უკან და დაგუბდა, დაბანაკადა უკიდურეს დაბლობში. მას მერე ჩვენც ალმაცერად შევყურებთ „მოლალატე“ ტალღოვან გიგანტს...

მამასთან მიყვარდა ასეთ რაღაცებზე საუბარი, გულისყურით, როგორც თავად უყვარდა თქმა – მადიანად მისმენდა და შიგადაშიგ ისე გონივრულად ჩამერთვებოდა, საღერღელს საუბრისას უფრო ამიშლიდა ხოლმე...

მიდიან დღეები და თვეები, წელიწადები, დროს უფალიც ვერ აჩერებსო და უკვე მეორედ წავიდა შენი გაცილების გარეშე დემეტრე სკოლაში. დღეს 2017 წლის 15 სექტემბერია, სულ რაღაც 13 დღეში შენი დაბადების დღეა, ისიც შენს გარეშე დადგება... მოკლედ, ვართ, ვგრძელდებით უფლის შეწევნით... ვეჩვევით უშენობას, გვიჭირს, მაგრამ მაინც. რას ვიზამთ?!

მიყვარხარ, მენატრები, მეიმედები...  
რავიცი აბა?!..

## „ვარა ქარე კაქუჩეუე...“

1992 წლის 14 აგვისტო – აფხაზეთში ომის დაწყების ტკივილიანი დღეა. საბედისწერო უამი ცრემლად და უბედურებად დაუდგა ჩვენს ქვეყანას. რუსეთის იმპერიის მიერ წაქეზებულმა სეპარატისტებმა და საქართველოს მარიონეტულმა, მოღალატე ხელისუფლებამ კრემლის სცენარით მკერდი მოგლივეს საქართველოს... აკი პოეტმაც ავად ინინასწარმეტყველა თავის დროზე: „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ მკერდმოქრილი უსაქართველოდ!..“

და ვართ დღეს, იმ ბრმა ტყვიისა და ბრმა ომის უღვთო ბედს მიდევნებულნი – უიმედოდ და უსასოოდ...

ჩვენ, აფხაზებმა და ქართველებმა დავკარგეთ ერთმანეთთან მისასვლელი გზები და ჩვენს აბაყაში უცხონი ნადიმობენ და წრუპავენ ჩვენი გულიდან გადმონაჟურ: ოჯალეშსა

და ამილახუს, ადესასა და აპაჭიჭყას... ჩვენს მოძახილს, ასე ერთხმად რომ შევუხმატკიბილეთ საუკუნეებს, უხიაგად და ხმაუთანაბროდ წამოიყვირებენ უამი-უამი...

„ვარადო, ვო რირავო, ვარადა რიი...“

ვარადა, სი ვარადა ვოოო...“

მზისა და მთვარის თეთრო რაინდო, ჯეგი – მისარონო, გადმოსხივდი და შენი სვენათელი ორანით მოგვაკეთილე ერთ საუფლოში, გადაგვიხურე უთავბედო სახლი ჩვენი, რათა დავარნიოთ აკვანი სამერმისო, ჩავიკრათ გულში ერთურთის სიყვარული და ვენიოთ მზეს... ჩსანაშ ყ-ოროფას... შემნა ისარმა თუ არა, დიდო მისარონო, ხანგარამის თავბასრმა შუბმა იქნებ განგმიროს წითელი გველეშაპი და მოსრას მტერ-ბარაბა ჩვენი!..

ოპოი, დიდებულო წინაპრებო, მოგვაშველეთ სულძალა თქვენი, რათა ერთხელ კიდევ

მიცულბეთ ერთურთს და „მრავალქამიერის“ აცამალლებით გავაგონოთ ერსა და პერს, მტერსა თუ მოყვარეს- ჩვენ, აფხაზებსა და ქართველებს, ქართველებსა და აფხაზებს- ერთი სამშობლო და საყუდელი გვაქვს, ერთი ჭირი და ვარამი, ერთი სიხარული და სანათელო... საერთო წესი და საფლავები...“

გვტკივა აფხაზეთი- დაუთმობლად და მოუშუშებლად...

ბაბუას ლილინი ჩამესმა ყურში: „ვარე შარე,

ვაქურეეეე, ვარადა გუშა და ვარადა... ჰოოო...“

მჯერა, ღმერთი არ დაუშვებს ჩვენს ცალ-ცალკეობას და უცილოდ დავუბრუნდებით ერთმანეთს... უცილოდ შევდგებით ერთმანე-თისთვის...“

– არ დაგვავიწყდეს, მაშინ, 1992 წლის ზუსტად ამ დღეს გავარდა საბედისწერო ტყვია და დაიწყო სიკვდილის ომი, ძმამ ძმას სასრული მოუნაგრა!..

ავაიპა, ავაპ!.. – აფხაზურად...

ვავა დო ახავაი!.. – ჩვენებურად!..

## ჩრდინთ ქართულით...

(მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჩხეიძე...)

მეოცე საუკუნის მიწურულს, ჩვენს თვალ-ნინ და ჩვენი მონაწილეობით მოპოვებული თა-ვისუფლების გზაზე გამორჩეულად ორი დიდი შემოქმედი გვინათებდა ეროვნულ საწილა - პოეტი მუხრან მაჭავარიანი და პროზაიკო-სი ოთარ ჩხეიძე. თავდადების, უშიშარობის, მართალქართველობისა და იმედის კვალი ამ ორი ბუმბერაზი ქართველის შემოქმედებაზე გადიოდა.

მუხრან მაჭავარიანი - მუდამ ყალყზე შემ-დგარი, საფიცარი მამულის ყოველდღიურობას უფლის სიფხიზლით მითვალმზერებული ჭექდა და კვერავდა მებრძოლი, მართალი და ძარღვი-ანი სიტყვის ფოლადს, მახვილზე ბასრსა და ელვარეს!.. მუხრანი არასდროს დუმდა, თუმცა მისი „დუმულიც რეკდა“. მებრძოლი სამშობ-ლოს ალიკვალი პოეტი და ეროვნული მოღვაწე - დიდი მუხრანი...

ოთარ ჩხეიძე - საქართველოს უკვდავი ანდერძით - მარადიული თავდადებით ათენ-ალამებდა. ვისი საზოგადოებრივ- პოლიტიკური არსობის გულის - გული, თავისი მრავალ-მხრივი დანაშრევებით - ქართული იდენტური სინრფელე და გაღმერთებული პატრიოტიზმი გახლდათ. ოთარ ჩხეიძე თვალდაუხამახებლად მამხილებელი ყოველი უკეთურებისა, ყოველივე საუკეთესოს სამზეოზე გამომტანი, „უშიშარი, ვითარცა უხორცო“, სიტყვის გამმახვილებელი და მარადიულობის სულის ჩამდგმელი... ვიხ-

სენებ ავბედით დღეებს ჩვენი ქვეყნისას, როცა სიკვდილი ულმობლად დათარებობდა და უბე-დურებებს მშობიარობდა, როცა პირსისხლიანი ჯალათები ყოველივე ეროვნულს კლავდინენ და მინასთან ასწორებდნენ, როცა ასერგასული ავ-ბედითობა მოუჟამეს იმპერიისგან მოსყიდულმა ვაი-ქართველებმა ჩვენს სამშობლოს, ოთარ ჩხეიძე დაუჯერებელს აკეთებდა, „თითის მიშ-ვერით“, სახელითა და გვარებით ასახელებდა პუტჩისტ თანამემამულეთ და საზოგადოებას იმედსა და რწმენას უძლიერებდა. იმედს იმისასა, რომ ვერანაირი ტყვია და სიკვდილის შიში ვერ შეაჩერებდა „სიტყვას გაბედულს“, ამ საოცარმა კალმოსანმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ქვეგამხედვარნი პირუთვნელად წარსდგნენ მო-მავალი თაობის სამსჯავროს წინაშე! ..

სიკვდილი დაუნდობლად სრავდა ღირსე-ულოთ...

ბევრმა ღირსეულმა ქართველმა - მოლ-ვანემ, შემოქმედმა გაქცევით უშველა თავს. განერიდნენ სატანისტურ უკუნეთს. ვერც გა-ამტყუნებ, მათ ოჯახები, შვილები და მომავალი იხსნეს.

მაგრამ იყვნენ გამორჩეული ადამიანები, ოთარ ჩხეიძისა და მუხრან მაჭავარიანის წი-ნამძღოლობით, არაფერს რომ შეუშინდნენ და არ დატოვეს სამშობლო, თუ რის ფასად, ამა-ზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ეს გახლდათ მისია, დიახ, უფლისეული მისია - იმედის

გადარჩენისა, ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებისა! სწორედ ამ გაღვთიურებული ადამიანების დაუღალავმა საზოგადოებრივმა და შემოქმედებითმა მენტორმა დაღალა და ქანცი გამოაცალა კომპრომისული ინტელიგენციის იმპერიისეულ გნიასასა და უსამართლობას. აუწონავია მათი ღვაწლი მშობლიური ხალხისა და ქვეყნის წინაშე!

მუხრან მაჭავარიანი და ოთარ ჩხეიძე,  
ოთარ ჩხეიძე და მუხრან მაჭავარიანი...  
ჩემი ოცნება და მასთან საზრუნავიცაა,  
ნიშნად ულირსეულესი და პირუთვნელი მამუ-

ლიშვილობისა, ამ ორ დიდ ქართველს ერთად, ერთმანეთის გვერდი-გვერდ, ქალაქის თვალსაჩინო ალაგას დაუდგათ ძეგლი – სახელწოდებით „რწმენით ქართულით“! ეს იქნება პასუხი ყოველგვარ უკეთურებასა და არამამულიშვილურზე – სიყვარულისა და ეროვნულობის გამარჯვებისა! ეს იქნება ამაღლება მართალი, სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტებისა!..

დიახ, მუხრან მაჭავარიანი და ოთარ ჩხეიძე!..

ოთარ ჩხეიძე და მუხრან მაჭავარიანი!..

## წუხილს ძინებებული ზაფსოდა...

ჩვენ ვგავართ უფალს!..

მე ვწერ ღამეების ფიქრიან ცაზე და ვარ-სკვლავებით ვარ ბედნიერი, მთვარეც ისეთია, ლამისაა გულში ჩაიკრა, ღრჯუ და პირქუში შორეთიდან დიან ღრუბლები და ათასგზის გაწილებულ მეთევზის ცოლივით, კვლავაც ატყუებენ სამყაროს ესე... ზნეობრივი გააფ-რთებით წუხს მახარია, რომ სანთელასან-თები სიწმინდეები, საჩვენოდ და საღმერთოდ მონაგრებულნი, მტვერცად იბნევიან და რა ეშველებაო ბებიაჩემის კალთისა და თავშლის სადარდისებს... რა ეშველებაო მახა ბაბუას სალოცავად ასანთლებულ ყელმოქცეულ ქვევ-რებს? ან ჭყონის მითაუამინდელ საწნახელში ჩამწყვდეული ჭინკების გნიასს, ოჩოკოჩის ჩაჟამებული თვალების ხვამფალს და ოდო ღმერთს, მთოხნელების იმედად და ხმის ძალად დარჩენილებს? ოჳო – ჳოიო, ამოხარხალდება მითიური სკივრიდან ბერკოჩიას დაღლილი ხმა და ისევ იგივე წუხილით დაიწყებს დარდსა და წუნუნს, კვლავაც შესტირებს მარტოდ ქცეულ ცისიეთს მითაუამინდელ სადარდისოს – რომ გადავგვარდით, გადავსხვაფერდით, გადავ-კაცდით სხვა სამზერებში და დავივიწყეთ ის, რისთვისაც მოგვავლინა ამ ქვეყანაზე კეთილმა გამჩენება ... ჩვენ სევდის კაცები ვართ, ჩვენი სევდიდან ამოკაცდა უფალი ჩვენი და გაეკრა ჯვარს ტკივილად და თავგანწირვად... შემცნო არსი ადამიანური ცოდვისა და წუხილისა!

არცერთი ხალხის სიმღერა და ყოფა არ ესატყვისება უფლის ყოფასა და სახითობას ისე, როგორც ჩვენი... სიმღერაც სევდიანი გვაქვს და თვალებიდან ამოკრთობილი მზერაც... ჩვენ ვგავართ უფალს!

ახლა კი ვწერ ღამეების ფიქრიან ცაზე და ვარსკვლავებით ვარ ბედნიერი!..

არ მითხრა, თვალსაოცარო მახარიაც, რა გიხარია, რამ აღგაფრთოვანა, რამ აგიმღერა სათქმელ-საბაასონ? მზის ბარჩხალმა და მთვარის ერთგულებამ, ჩემო ხარხუნტიავ, ეს ღვთიური მნათობნი მაინც დაგვირჩნენ მარადისად უღალატონი და დაუყვედრებლად მოგვამკვიდრეს სხივები უცისკრესი, რწმენა შეუცვლელი. მივიწევთ უსასრულობისკენ, უკან სისხლითა და ოფლით გაჯერებული წარსული შემოგვყურებს, ანმყო – არეული არვიცრაობებით ეპოტინება მომავლის ჭდეებს და აუხსნელი იმედებით გვაპურებს. არადა, თუ სტუმარ-მასპინძლობის მერეთი ძალა შევასუსტეთ, თუ სუფრასა და თამადას ბისტი ვუქენით, თუ სიმღერები კაცის სმენას მოვაშორეთ, თუ სიტყვა ეშმაკეულ ლიზღად ვაქციეთ, თუ სიყვარულს სიძულვილის სამსალა გავურიეთ – როგორლა გადავრჩენილი? ან, ღმერთის ძალისად, კაცად ქმნილი – ქალად დაგვახეთ, ან პირქით, სადღლა მივდივართ მაშინ, სად მიგვესვლება, ან მივდივართ კია საერთოდ? ვინდლო ადგილზე უაზრო და უმიზნო ხვარხვალით ჩვენვე ვითხრით

ჩვენსავე სამარეებს?... პაი, უგერგილო ძალავ, როგორ მოიფომფლე და მოიშენე უღლონო რწმენა, როგორ ხმაჩაკმენდილად ხვდები აზავთებას გლობალურად ატალლებული სამყაროსი?! ერი და კაციც მაშინ გადაშენდება და აღიგვება პირისაგან მიწისა, როცა თავად დაიწყებს საკუთარი საფლავის თხრას და სიკვდილამდე დახუჭავს თვალებს! განეშორო უნდა სამარედ განკუთვნილ ალაგს და ჯიუტად წაინიო წინ.

ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 63 წელს რომა-ელი ჯარისკაცები, გნეუს პომპეუსის მხედარ-თმთავრობით, მოუყვებოდნენ პალესტინის საქარავნე გზას. მსოფლიოს დასაპყრობად მიზანმიმართულ პომპეუს შორს გავარდნოდა ნიჭიერი სტრატეგისა და მასთან დაუნდობელი მებრძოლის სახელი. მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე, საერთაშორისო არბიტრის ტოგაში გამოწყობილ სარდალს პრეტენზია ჰქონდა, არა როგორც დამპყრობლის, არამედ როგორც განმანთავისუფლებელისა და წესრიგის დამ-ცველის სახელის მოხვეჭისა. მაგრამ იმას კი არ ბრძანებდა, თუ ვისგან იცავდა ან სირიას, ან პონტოსა თუ სომხთა ქვეყანას? მას ხომ ახალი დამარცხებული ჰყავდა იმდროისათვის უკვე შესუსტებული სამეფოს წინამძღვრი მითრი-დატე პონტოელი და ასევე ჩვენი მეზობელი – ტიგრან სომხელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პერიოდი იერუსალიმის ტახტისთვის მებრძო-ლი ორი პრეტენზი და მისი: არისტობულსა და გირკანს შორის ომს დაემთხვა. რომლებმაც პომპეუსს დახმარებისთვის მიმართეს. დაიწყო დამასკოში მოლაპარაკებათა გამართვა ძმების შესარიგებლად, თუმცა, პომპეუსმა ამ მოლა-პარაკებებში ჩადო თავისი ვერაგული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ძმებს შორის კონ-ფლიქტის უფრორე გალვივებას, მათ შესუს-ტებას და მერმის იერუსალიმის თავისუფლად, დანაკარგების გარეშე აღებას. რასაც, უფროსი ძმისგან განსხვავებით, მიუხვდა არისტობული და პომპეუსის დახმარებაზე უარი განაცხადა, ამას კი რომაელთა ჯარის დაჩქარებული წესით იერუსალიმში შესვლა მოჰყვა.

პალესტინა, ანუ ისრაელის ქვეყანა, იქ, სადაც იმ დროისთვის რომაელთა ჯარი მოე-დინებოდა, სადაც ასი წლის შემდეგ მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს სიტყვები უნდა წარმოთ-

ქმულიყო, ევროპის, აზიისა და აფრიკის გზაგა-საყარზე მდებარეობს და სწორედ იქ, მრავალი საუკუნეების მანძილზე წარმოებული ომები თუ დაპირისპირებანი განსაზღვრავდნენ რო-გორც სხვების, ასევე ჩვენი ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკურ ვექტორებს. ჩვენ გავხვდით განუყოფელი ნაწილი ქრისტიანული სივრცისა. ბრძენი მითრიდატე პონტოელის წინასწარული ნათქვამი, რომ პომპეუსთან დამარცხებას სხვა ეპოქასა და სივრცეში გადაჰყავდა პონტოსა და არა მარტო, სამეფო, აბსოლუტურად მარ-თალი გამოდგა, მოდგა ახალი ჟამი, უარყოფა ძველი ღმერთების პანთეონისა და მოუფლება ჭეშმარიტი ღმერთისა, რომელიც ჩვენს გამო განკაცდა, ენამა და განეკრა ჯვარს.

კაცობრიობა ახალი თვალსაწიერით შე-უდგა სამომავლო გზას. სხვებივით, ჩვენც ვანგრევდით, ვამსხვრევდით კერპებად სა-ხელდებულ უცამალლეს რწმენით სახელებს და მათთან ერთად ნადგურდებოდა მითაქა-მინდელი კულტურა და სიმაღლე ჩვენი. ეკლე-სიამ, რომელმაც თავისთვის მოიქცია ყველა და ყველაფერი, მისი არსიდან განდევნა ოდო ღმერთის სადიდებელი სიმღერა „ოდოი“, ასევე ნანა ღმერთის სადიდებელი გალობანი უარყო, ვითარცა წინააღმდეგნი წმინდა სამების ერ-თსახობისა. უძველესი და უდიდესი კულტურა დარჩა ყოველგვარი პატრონისა და მეგულ-სიტყვის გარეშე, ოდენ დამახინჯებული სახით გადმოვანდა ჩვენამდე. ეკლესის ხატოვანმა გუმბათმა მოიმზევა ის შუქი და ხმოვანება, რო-მელიც უფლის სევდიან ყოფასა და უღიმილო სახეს შეეფერებოდა. ჩვენ სული აღვიმაღლეთ და მივენდეთ იმ ღვთაებრიობას, რომელიც სიყ-ვარულს ქადაგებდა და ზნეობრივი სინატიფით აღამაღლებდა ადამიანს, განურჩევლად მისი წარმომავლობისა, ფერისა და სხვა რამ ბუნებრი თუ საზოგადოებრივი დიფერენციაციისა!.. თუ ადრე ღმერთები შიშითა და თავიანთი ყოვლის-შემძლეობით იმკვიდრებდნენ ადგილს, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მამა ღმერთის ძალგულოვ-ნებით, სიყვარულსა და მხოლოდ სიყვარულს ქადაგებს... როცა ერთ ლოყაზე გითავაზებენ, მეორე ლოყის მიშვერის ფილოსოფიას გვასწავ-ლის, შეიყვარეო მტერი შენი – გვმოძღვრავს და კიდევ ერთხელ ასაოცრებს დიდი ზვიად გამსა-

ხურდიას სიტყვებს, რომლითაც მან, თავიანთ მოძმეთ დაპირისპირებულ, მეომრებს მიმართა: ისინი ტყვიერს რომ გვესვრიან, ჩვენ ვყავილები ვესროლოთო!.. ეს ღვთაებრი მიდგომაც შეც-დომად, სისუსტედ და არაპოლიტიკურ ქმედებად ჩაუთვალეს ამ ცამალალ ადამიანს. ეს კიდევ ერთი დასტური გახლდათ იმისა, რომ ჩვენ ვალიარებდით თითქოსდა ჩვენს უფლისმიერებას, ვერისტიანობდით, მაგრამ „ყვავილებით“ ანუ სიყვარულითა და მშვენიერებით ბოროტების დამარცხება არ შეგვეძლო და არც ახლა შეგვიძლია. ჩვენი ქმედებითა და ძალისზევით, ჩვენ ძველი ღმერთების მსგავსებას უფრო ვაფიქსი-

რებთ, ვიდრე მაცხოვარისას, რომელმაც თავი სიყვარულით და არა ძალადობით, იარაღისა თუ „მუსკულების“ თამაშით დაიმკვიდრა.

თქვენ ხომ ყველაფერი დიდებულად უწყით, ბარჩხალია მზევ და სხივმდუმარე მთვარევ, თვენ ხომ ყოველივეს მოსწრებიხართ, ჩემო ჩაუქრობო ვარსკვლავებო... ეს მიხარია, რომ მარტო არა ვარ ამ სამზერეთში და მეგულებით თქვენ ჭეშმარიტებისა და სიყვარულის მესწორდიდები...

ახლა კი ვწერ, კვლავაც ვწერ ღამეების ფიქრიან ცაზე და ვარსკვლავებით ვარ ბედნიერი!..

## სოსო სიგუას „ძითოსურ-ჩელიაზური“ სიმბოლოები და ფიქრი წვიდ გამსახურდა წე

ცეცხლი სტიქიონია, თავისუფლების სიმბოლო. ზვიად გამსახურდია პრომეთეა, ჩვენებურად ამირანი, რომელმაც ცეცხლი გამოსტაცა „ღმერთებს“ და გადასცა თავის ხალხს- სიცოცხლისა და მარადიულობის ნიშანსვეტად.

ზვიადმა კომუნისტ ათეისტებს გამოსტაცა ცეცხლი, ანუ თავისუფლება, იმ ძალას, რომელმაც დაბლა დასწია, უარყო ღმერთი და აღაზევა საკუთარი თავი. ამიტომაც და ამისთვის ზვიადი, როგორც პრომეთეოსი, ანუ ამირანი სამუდამოდ დაისაჯა, მან გაიღო ყველაზე დიდი, რაც უფლისგან ბოძებია ძე-ხორციელს - სიცოცხლე და პეოვა ადგილი თვისი- უკვდავება, ანუ ზე-ცა!

თავისით არაფერი მოდის, არაფერი მიიღწევა. ცეცხლი მოიპოვა ამირანმა, თავისუფლება მოიპოვა ზვიადმა, ქართველ ხალხთან ერთად, რომლებიც ერთ მუშტად, ერთ სურვილად შეკრა. სასჯელი კი, როგორც ყველაფრის თავმა და შემოქმედმა ყოველივესი თავად მიიღო. დაისაჯა, ერს კი დარჩა მიღწეული თავისუფლება.

გამსახურდიამ კრემლს, იმპერიის გულს წარსტაცა ცეცხლი - ქალი. დიახ, ქალი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო და ის განუკუთვნა ცას - მარადიულობას, უსასრულობას, ქართული არსის ოცნებას- „ჩვენი თავი ჩვე-

ნადვე გვეყუდნეს“. ამიტომაც ქართველისთვის ზვიად გამსახურდია პრეზიდენტზე მეტია. ის ზე-ქართველია, ზე- პრეზიდენტია, ზე-ადამიანია. სახე და სიმბოლო თავისუფლებისა, მისი ყოველნაირი გაგებით!..

ზვიადი თეორიებზე მაღლა დადგა, ანუ სწავლებებზე მაღლა და პრაქტიკულად განახორციელა ის, რაზეც ჩვენი ღვთივწინაპრები საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ, ფიქრობდნენ, დარდობდნენ...

უამრავ ღირსეულ ქართველს სწადდა თავისუფლება, იბრძოდა მის მოსაპოვებლად, მაგრამ „ათეისტ ღმერთებს“ ვერ გამოსტაცეს ცეცხლი, ვერ გახდნენ პრომეთეოსები.

„მეფე (ბელადი), სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნეოდა, ამიტომ სიბერით ვერ მოკვდებოდა – რიტუალურად უნდა მოეკლათ, რათა მისი ძალა და სისხლი ხალხს გადასცემოდა. იგი ციდან იყო ჩამოსული და ცად უნდა ამაღლებულიყო“ (სოსო სიგუა).

ზვიად გამსახურდიას დევნილობის, სამეგრელოს ტყეებში ხეტიალისას თანამგზავრები იხსენებდნენ და ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ დევნილი პრეზიდენტი მუდმივად ბიბლიას კითხულობდა, რომელსაც ძალად და ზე-არსობის სიმბოლოდ, გვირგვინად, სკიპტრად ატარებდა.

ბოლოს ღმერთის რჩეული უფალს ეახლა, რიტუალურად განეშორა წუთისოფელს!

უფლის ძალისხმევა კონცენტრირებულია სიკეთითა და სიყვარულით გამოხატულ ძალა-უფლებაში. ღმერთის ნებითი გამოხატულება გახლდათ ზორად გამსახურდია, ამიტომაც იყო ის უფრო მეტი, ვიდრე უპრალოდ პრეზიდენტი.

უფრო მაღალი, ვიდრე თანამდებობა, სავარძელი, ტახტი.

მახსენდება ცეცხლოვანი სიღრმეები „მარტვილი და ალამდარისა“, უკვდავი სახე ასკეტი ქართველისა, ვისი ცხოვრების ალამდარობასაც მიეძღვნა დამოუკიდებლობა ივერიისა!..

## სპარსოფური გაჭენის კულტე...

ინტერნეტსივრცის აქტიურად მომხმარებელმა ქალბატონმა მანანა ქ-მ, რომელიც ხშირად საინტერესო საკუთარ პოეტურ ნიმუშებსაც გვთავაზობს, პირადში ასეთი რიტორიკული კითხვა გამომიგზავნა: „რატომ თქვა თეიმურაზმა „მძიმეა ენა ქართველთაო...“ – პირადშივე გავეცი პასუხი, მაგრამ ეტყობა, ამან ვერ დააკმაყოფილა და ახლა უკვე საჯაროდ დასვა იგივე კითხვა. ვეცდები ამ ფორმატისთვის შესაფერისად, უფრო ფართოდ განვმარტო.

ამ კითხვის გაჩენა ლოგიკურად და ბუნებრივად მიმაჩნია, რადგან თეიმურაზ პირველმა (1589- 1663) ზემოთ აღნიშნული სიტყვების გარდა, ასევე დაწერა: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“. სპარსოფილური გატაცება ნამდვილად ეტყობა ქართველთა მეფეს, რომელიც თავდადებით ებრძოდა სპარსელებს, მაგრამ სპარსეთში გაზრდილს და განათლება მიღებულს, თავისთავადია, მთელ არსში გამჯდარი ჰქონდა სპარსული ენის მუსიკალურობა, მისი სიტკბო და ჰარმონიულობა. თუმცადა ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ მის პოეტურ ნიმუშებს, „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანაში, სპარსული სამშვინველი ედო, მიუხედავად იმისა, რომ სპარსული კულტურა და ესთეტიკური მოცემულობა იმდენად დიდი და მაღალი გახლდათ, მისი ჩრდილისგან თავის დაღწევა უაღრესად რთული გახლდათ.

1453 წელს თურქებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს და აია-სოფიას ღვთაებრივი ტაძრის

გუმბათზე მუსლიმთა სიმბოლო-ნახევარმთვარე აღმართეს. ბიზანტიის უძველესი დედაქალაქის ისტამბულად ქცევით, დაიხშო აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაკავშირებელი არტერია. დაეცა ბიზანტია, მის დაცემას ჩვენი ქვეყანა მონღოლთაგან განადგურებული და გაცამტვერებული შეხვდა. მას ფაქტიურად გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი კულტურულ მსოფლიოსთან. მისავათებული კონსტატინოპოლი უკვე ვერანაირ კულტურულ დახმარებას ვერ გაუწევდა ჩვენს ინტელექტუალურ სივრცეს. რომლისთვისაც ეს უდიდესი ქალაქი გადაშლილი წიგნივით იყო. მოცემულმა რთულმა სიტუაციამ ეს კულტურული „კარაბადინი“ დახურა.

სპარსულ ლიტერატურას და საერთოდ კულტურას მეტად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ქართულ მწერლობაზე. ქრისტიანული საქართველო ყველაზე ფართოდ ეცნობოდა სპარსულ პოეზიას, აღმოსავლებრ კულტურას და მისი კვალი როგორც ლიტერატურულ ძეგლებში, ჩვენს სალიტერატურო ენაშიც აშკარა და გამოკვეთილია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიტერატურული გავლენა იგრძნობა არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ არქიტექტურაში, მუსიკაში და სხვა.

ასე რომ, ქალბატონო მანანა, ასეთი ზეგავლენის ქვეშ მყოფ, ირანში გაზრდილ და აღზრდილ კალმოსანს, გასაკვირი არაა მსგავსი რამ ეთქვა.

## ნუცა ჭაბბე...

გუშინ, 4 ნოემბერს ჭყვიშის მშობლიურ მიწას მივაპარეთ 92 წლის ქალბატონი ნუცა ტაბიძე, ბებიაჩემის, მამაჩემის დედის ზინაიდა ჩომახიძის უმცროსი ძმის შალვას მეუღლე. უდიდესი სიყვარული და სითბო მამზევებს ამ ოჯახთან. ჩემი ბავშვობის ანგელოზური დღეების უმშვენიერესი მოგონებები უკავშირდება ამ საოცარ ალაგს, უგრინალურეს და ულამაზეს ჭყვიშს, განსაკუთრებით კი დიდი გალაკტიონისა და ტი-ციანის ეზო-გარემოს. ჩემები ტაბიძეების სახლ-მუზეუმის გვერდით, უფრო ზუსტად – ეზოს გაგრძელებაზე დავანებული სასაფლაოს წინ ცხოვრობენ. კოპნია ეზო-კარი, იმერული – კო-ინდარზე შემოსკუბებული, ბირდაბირით ზეით-ქვეითად ნახერზი ფართო და სქელი ფიცრების-გან მკვრივად ნაგები ოდა, ორთვალიანი კოპნია სამზადი, წეროს ფეხებზე შემომდგარი ნალია – საფუჩერებელი ლასტებითა და ლობიოს გამოსაშრობი სადგარებით წელდამშვენებული, საქათმე, საღორე და კიდევ – საჭირო რამებისთვის მი-ფარდაგულ – მოფარდაგულები. კარალიოკის, ტყემლის, ალუჩისა და სხვა ხეხილების ჩრდილოვანი მწკრივები, ნასათუთევი, შაბიამნით გასაოცრებული ვენახი, იქით ბაღჩა-ბოსტანი, უკან საყანე მიწები და რიონისპირის დაშლამული ჭალა, ყუმურის შენაკადითა და თვალუწდენელ სივრცეში ჩაძირული სანისლეთით – ასეთად შემორჩა ჩემს გონებას გენიოსების მშობლიური სოფლის ერთი ძარღვიანი, დღენიადაგ სტუმარს დალოდებული ოჯახი და მისი სათვალსაწიერო. აქ ყველა სახლი ერთხაირი იყო თითქმის, ხალხი თბილი და ლიმილნათელი. ბებია იტყოდა ხოლმე: რიონი მთვარის ძარღვიდან გადმოჩეფს და მიტომაა ეგეთი ჩუმი, ფიქრიანი და მდორე, მთვარის გაგრძელებაა. გაგიჟებაც ისეთი იცის, როგორც მდუმარებას ეკადრება! კიდევ საოცარი რამების თქმა იცოდა ბებიამ, ამაყობდა, რომ ტაბიძეების მეცეცხლური მეზობელი იყო და კიდევ უფრო ის ახარებდა, რომ ნუცა ტაბიძე, დიდი გალაკტიონისა და ტი-ციანის სისხლი და ხორცი, მისი მშობლიური სახლის დიასახლისი და ფუძის მეანგელოზე ბრძანდებოდა.

ჩვენ, ტაბიძეები აქაურები არა ვართ ძირულ-ფუძისეულად, ოთხი ძმა ჩამოსულა ჭყვიშში, იმის განაყრები გახლავართო, იტყოდა ნუცა ბიცოლა და ამაყობდა თავისი გვარითა და უცამალესი ბიძაშვილებით!

მეზობლებს, შალვას, იგივე ხიტო ჩომახიძე-სა და ნუცა ტაბიძეს შეჰყვარებიათ ერთმანეთი, მშობლები უარობდნენ თურმე, არიქა, მეზობლები ხართ და ეგეთი რამე ვის გოუგია, და-ძმასავით უნდა იყვნეთო, მარა სიყვარული იმფერი

რამეა, რომე ლმერთის გარდა კი არ უჯერის არევის და ჩვენც ეგრე მოგვივიდაო, იტყოდა სულმათი ნუცა ბიცოლა. ოლონდ ხიტოიეს იგრე ადვილად კი არ დავეთანხმე, წადი, გენაცვალე, თუ ეგრე გიყვარვარ, ლექსი დამიწერეთქვა. გაგიუდა სანყალი, მე იმ შენი გადარეული ტა-ბიძეების მსგავსი კი არა ვარ, რაცხეები გინერო და გიჯლაბნო... აუპ-თქო, გადევირიე მეც, ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე, არ გინდა და ნუ გინდა, ეგრ ხონელ ფოცხვერიას მოვწონვარ და მაინც იმას მაყოლებენ ჩემები საშემოდგომოდ-თქო. რა დღეში ჩავარდებოდა სანყალი ხიტოიე, იმას მოუკვდა ჩემი თავი, კი ხვდებით ალბათ, მარა არ დევისი უკან. სხვა რა გზაი ჰქონდა, დატრიალდა ციბრუტივით, დაუმოყვრდა მთვა-რეს და ერთი კვირის თავზე მომიტანა ლექსი. თურმე, ნუ იტყვით, შუამთაში წასულიყო ცხო-ნებული, მეგენებიშვილი ცხოვრობდა იქინე ერთი მელექსე, ორი ჩაფი ღვინო მიეტანა და დაუწე-რინებია ლექსი. დიდი აფერი, მარა ლექსითა და სიმღერით უნდა დეინყოს ყოლიფერი, სიმღერა იმან არ იცოდა და რაი მექნა...

„ჭყვიშში არის ერთი გოგო,  
ტაბიძეა იგი ნუცა,  
დავინახე კოკით ხელში  
შემიყვარდა ისე უცბად,  
რომ სიკვდილი დავაპირე,  
თუკი ჩემი არ გახდება,  
დედაჩემის სიზმარი კი  
გეფიცებით რომ ახდება.  
თურმე რიონს ჩაეძირა  
ჩემი სახლი და ვენახი,  
მე კი გიუ დავდიოდი,  
რომ ვერავინ ვეღარ ვნახე.  
ნუცა არის ჩემი შველა,  
ნუცა არის ჩემი ლმერთი,  
მე სხვა არვინ აღარ მინდა,  
იგი არის ერთადერთი.“

ასე ლექსითა და უნამდვილესი სიყვარულით შექმნილა ეს კარგი ოჯახი. შალვა, იგივე ხიტო ბიძია ადრე გარდაიცვალა, ნუცა ბიცოლა ახლა გავაცილეთ და დავასაფლავეთ საყვარელი თა-ნამეცხედრის გვერდით. სახლიდან სამარემდე სულ ორი ნაბიჯია, მე შევუმხარდი და მივასვენე ბოლო სახლამდე. იმ მოკლე მანძილზე იმდე-ნი რამის დაბარება მოვასნარი, იმდენი რამის თქმა, რომ... თუმცა ამაზე მერმის ვისაუბრებ. რა თქმა უნდა, დიდ გალაკტიონთანაც დავაბა-რე რაღაცები, კი მერიდებოდა, მაგრამ ლმერ-თსაც უნდა შებედო ადამიანმა, თუ ზეცისკენ მზერას არ იშლი!

ნათელი დაგადგეს, ტაბიძის ქალო!..

## უბის წიგნიაკედან:

\*\*\*

მთავარი და აუცილებელი, რაც დღეს ლიტერატურამ უნდა ახსნას და იკვლიოს, კაცობრიობის უპირველესი დარდის მიღმა დარჩენა, საკუთარი არარაობის შეგნებისგან, ამ გრძნობით გამოწვეული განცდებისგან: ამა თუ იმ საზოგადოებაში მცხოვრებთა შელახული თავმოყვარეობის, იმედგაცრულების, განაწყენების, დამცირების, მრავალგვარი აღშფოთებისა და სიბრაზის, გაუთავებელი, შეურაცხმყოფელი ილუზიებისა და მათი ძმისა და მეგობრის, ეროვნული თავმოთნეობისა და გადიდკაცებისაგან განთავისუფლება!..

\*\*\*

ახალი ორიენტირი – ახლებური შემოქმედებისა და გააზრების საფუძველიცაა. ეს კერძოდ ნიშნავს იმას, რომ აღორძინება მსოფლიო კულტურაში არის არა ანტიკური ხელოვნების განმეორება, არამედ მისი სრულყოფისა და ჰარმონიულობის რღვევა, მასში სუბიექტური მომენტის გაძლიერება. რენესანსი ქრისტიანულ განცდაში გარდატეხილი ანტიკურობაა, მისი ფენომენოლოგიზაცია. თავისუფლება, რომელიც აღორძინებაში გამოსჭვივის, არის პროტესტი არა ქრისტიანობის მიმართ, არამედ პროტესტი დოგმატიზმის წინააღმდეგ, დაბრუნება ქრისტიანობის განცდისმიერ სათავეებთან, საიდანაც სამყარო აღიქმება როგორც სუბიექტი!..

ეს განმარტება დღევანდელი კამათის გამო, ერთ საკუთარ თავში ზედმეტად დაჯერებულ თეოლოგთან, დამჭირდა, რომელსაც ჩუმად, ჩემდა გასაკვირად ჩემი იქვე მყოფი ზოგიერთი ფეისმეგობარიც დაეთანხმა. დავაზუსტებ კიდევ ერთხელ – ჭეშმარიტი მწერლობა არას-დროსაა გალაშქვრა ეკლესიაზე, ის დრომოჭმული დოგმატიზმის დამანგრეველი შეიძლება იყოს მხოლოდ!..

\*\*\*

თუ პატრიოტული ვალის მოხდის საშუალება არ იარსებებს, ადამიანი საჭიროდ ვერ იგრძნობს თავს და შესაბამისად ვერ დაიხარჯება. ეს კი, უკმაყობილების ჯაჭვის „ასხმის“

საფუძველი ხდება ხშირ შემთხვევაში!..

\*\*\*

ერთი კარგი სურათის შემსწრე გავხდი დღეს, ამ თავგადაკლული, ძირმოდგმული წვიმების შემდგომ, ვიწრო კალაპოტში დინჯად და ფიქრიანად მიბუტბუტებდა ნაკადული. გაფხოვილი ჩემების ფხაკუნით მოვიდა გაუპარსავ-თმებბურძგლა კაცი, ამოათახვალა ჩემები გაკამკამებულ წყალში და აამღვრია სიწმინდე ბუნებისა. არადა, ისეთი თვალკაკაბა იყო ის ნაკადული, მიგულმკერდება მოგინდებოდა ადამიანს, ის კიდე, ის ბოტია კაციი...

\*\*\*

სამშობლო განწყობილებისა და სურვილების შესაბამისი სივრცე კი არა, უფალზე უწინარესად გამარადიულებული ალაგია!..

\*\*\*

ტკივილზე დიდი გამოხატულებითი სიწრფელე არც ერთ გრძნობას გააჩნია დედამიწის ზურგზე... ტკივილი სევდის სიმფონიაა!..

\*\*\*

მოქალაქე არ უნდა დარჩეს სამოქალაქო ფუნქციის გარეშე, თორემ დიდ საფრთხედ ექცევა ქვეყნას, სახელმწიფოს. არაბუნებრივი, უსამართლო, ხელოვნური პოლიტიკური სელექციაც საფრთხილო და საშიშია მეტად!..

\*\*\*

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გაოცება „რაიმეთი“ ძალიან ძნელია, ერთი რამე, სიმართლე გითხრათ, ძალიან მაკვირვებს, ჩვენს საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომელთაც საკუთარ თუ „ნასესხებ“ წარმოსახვაში ყოფნა, მორალურ-ინტელექტუალური ყოფიერების რენესანსად მიაჩნიათ. ხომ ვცხოვრობთ რა-ლაცნაირად „გამოკინკილავებულ“ სამყაროში?!

\*\*\*

ნამცვრევი რომანიდან „მაცილის კუდი“: უფალი ამბობს: „გეშინოდეს მისი ცრემლების, ვისაც შენ უსამართლოდ ექცევი და ჩაგრავ!

ის ხომ დახმარებას მე მთხოვს“. ყველამ უნდა იღოს ყურად ეს რჩევა და ღაღადისი უფლისა, თორუმ ადამიანები კი არა, ცივილიზაციები და-ცემულან უზნეობითა და ცოდვებით დამძიმე-ბულნი. ყველაფერი დროებითა, თანამდებობა, სკამი, აღმაფრენები და ა. შ. თვით ცხოვრებაა დროებითი, ამ ქვეყნად ყოფნა წამიერი და სხვა რაღა უნდა იყოს გაგრძელებული და გასაო-ცარი... თუ რამ დარჩება ადამიანის შემდგომ ამ ქვეყანაზე, მხოლოდ სახელი და საქმენი მისნი... ავადმოსაგონარიც – მოსაგონარია და კეთილადგასახსენებელიც – მოსაგონარი! ხოლო რომლით შემორჩები ქვეყნიერებას, ეს შენს კაცობასა და ღირსებაზეა დამოკიდებული მხოლოდ, ღმერთთან ვერაფერს ჩააწყობ, უფა-ლი ყოვლისმჭვრეტია და მხილველი ყოვლის!..

\*\*\*

კაცობრიობა ზნეობრივ კრიზისშია, ანუ ზნეობა უმეტესად არც მიაჩნიათ საჭიროდ. ეგოიზმი, შური, გარყვილება და ტექნიკური ევოლუცია გახდა კაცობრიობის მამოძრავებე-ლი ძალა. არადა, სწორედ ტექნიკისადმი რწმე-ნის შეზღუდვა (ნორმალიზაცია) და სულიერი აღორძინება შეიძლება გახდეს მისი გადარჩენის ერთადერთი და სწორი გზა!

\*\*\*

უნდა ახსოვდეს ყველას, რომ კულტურა არ დაიყვანება ადამიანთა მოღვაწეობის საშუ-ალებებისა და ხერხების სისტემაზე, ამიტომაც როცა მასმედიის საშუალებით გამოდიხართ, ეს გაითვალისწინეთ! იმაზეც იფიქრეთ – თქვენზე განათლებულებიც რომ არსებობენ ამ ქვეყა-ნაზე და დილეტანტიზმის ფრქვევას არ „გაპა-ტიებენ“.

კულტურა ორი ძირითადი განზომილებით ვითარდება.

1. კულტურის ძირითადი ფუნქციით, რო-მელიც გულისხმობს კულტურის თვისებას, იყოს ბუნებაზე გაბატონების „ძალა“, რომელიც ეცდება გარდაქმნას სამყარო და გააფართოოს ჩვენი შესაძლებლობანი, ობიექტურ, ბუნებრივ და სოციალურ სამყაროზე გაბატონების თვალ-საზრისით;

2. კულტურის „სუბიექტური განზომილე-ბით“, რომელიც ეხება ჩვენს შინაგან სამყა-როს, შემეცნებისა და სულიერი განვითარების

აუცილებლობას; იმას, რომ ჩვენ კულტურას ვაფასებთ, როგორც ჩვენი უნარების გამოვლე-ნის და განვითარების სფეროს, რაც დასტურია იმისა, რომ ღირებულება მთავარი მომენტია კულტურისათვის!

ასე რომ, სულიერი კულტურის სტრუქტუ-რა მასში შემავალი ფორმებით – ასახავს შესა-ბამისი საზოგადოების სტრუქტურას (დონეს)!..

\*\*\*

საზოგადოება არის ადამიანთა თანაცხოვ-რება განსაზღვრულ კანონიზებულ სისტემაში. მე კი მანუხებს ერთი რამ, როგორი ნორმატიუ-ლი სისტემის გარშემო მოგვიწევს გაერთიანება და როგორ ჯებირს აღუმართავს „კანონიზებუ-ლი ნორმა“ ინდივიდს, რა დონეზე შეზღუდავს მის თავისუფლებას!..

მე, აღბათ, ყოველთვის მომინდება ნორმის დარღვევა!..

თქვენ?

\*\*\*

რწმენა გახდავთ საფუძველი ადამიანის სულიერი ნათელიანობისა, ისეთი რწმენა, რო-მელსაც აცნობიერებ და აღიქვამ მართებულად, გონივრულად, ჭეშმარიტებით. გაუცნობიერე-ბელი და შეუგნებელი რწმენა – საფუძველია რელიგიური ფანატიზმისა, რომელიც ეშმაკე-ული ძალისხმევით ღუპავს ადამიანსა და სა-ზოგადოებას!

\*\*\*

მართალ ადამიანად ყოფნაა ბედნიერება. მყარად გაყენებს მიწაზე, ფართოდ, მოურიდებუ-ლად გახელინებს თვალებს და უშფოთველად გადებინებს თავს ბალიშზე! ხმამაღლობის უფ-ლებასაც გიასმაგებს და საკუთარი თავისადმი რწმენას გიძლიერებს!.. საოცრებაა სიმართლე, ღმერთივით მაღლისა და ძალის მატარებელია!..

\*\*\*

ტერენტი გრანელმა გასაოცარი რამ გააკე-თა, ესთეტიკურ კატეგორიად აქცია სიკვდილი და ტანჯვა!

\*\*\*

ირაციონალურ ფენომენად რომ გააცხადო პოეზია, არამქვეყნიური მასშტაბების შემოქმე-დი და მოაზროვნე უნდა იყო!

\*\*\*

უზნეოდ მიმაჩნია ყველა ის ადამიანი, რომელიც ევროპაზე და დასავლეთზე საუბრისას, მამათმავლებისა და ლესბოსელების საკითხს წამოწევს წინ. ევროპა სულ სხვა სიმაღლეა და მსგავსი სიმდაბლეები აზიაშიც ბევრია, აფრიკაშიც, ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც. არის გამოცდილება, რომელიც უცილოდ უნდა გაიზიარო, ცოდნა, რომელიც უთუოდ უნდა შეიძინო და მანკიერება, რომელიც წესისამებრ უნდა უარყო და განერიდო. არჩევანი ჩვენზეა და ისე უნდა ვიმოქმედოთ, როგორც თავად მიგვაჩნია სწორად და საჭიროდ. ტბაში თევზთან ერთად ქვეწარმავლები თუ უხსესებლებიც ბინადრობენ, მაგრამ საჭმელად თევზი უნდა დაიჭირო მხოლოდ!..

\*\*\*

**გახსოვდეთ:** სახიფათოა სახეობრივი აზროვნების გამოდევნება როგორც მწერლობაში, ისე საერთოდ ცხოვრებაში. ამაში მრავალგზის დავრწმუნებულვარ!

\*\*\*

ტრადიცია წარსულისგან შექმნილი ქვის ზღუდეა, ანმყოს გარშემო შემოვლებული. და ვისაც მომავალში გაღწევა სურს, მას უნდა გადააბიჯოს, რადგან ბუნებას არ უყვარს შეცნობის დაყოვნება, თითქოს წესრიგს მოითხოვს, თუმცალა, მთელი არსებით მას წყალობს, ვინც ახლებური წესრიგის გამო მასვე უარყოფს და ანგრევს.

მარადიულად ახლის ძიება სულიერი და ხორციელი გადარჩენის გარანტია. ჩრჩილ-მოდებული ბოძი ვერასდროს დაიჭერს ვერც კერის შუაგულსა და სახლის ძიღდესაც კი...

გაუხუნარი სიცოცხლე მარადიული განახლების ზიარია!..

\*\*\*

შოპენჰაუერი „უმაღლეს ადამიანად“ თვლის მას, ვინც შეიმეცნა სიცოცხლის ნების შინაგანი კავშირი ტანჯვასთან და ამის საფუძველზე უარი თქვა სიცოცხლის ნებაზე; არა სიცოცხლეზე, რაც ამ ნების გამოვლენაა, არამედ თვით ნებაზე!..

აბსოლუტურად ვეთანხმები ამ უდიდეს მოაზროვნეს და აქედან გამომდინარე, ჩე-

მი, ბევრისგან განსხვავებული საზომი მაქვს „უმაღლესი ადამიანის“ შესამეცნებლად, რაც მაძლევს საშუალებას, შევიმეცნო „სამუალო“ და „დაბალი რანგის“ პიროვნებებიც!..

პროცესი მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანი!..

\*\*\*

ადამიანი საკუთარ თავთან უნდა იყოს მართალი, მისი ყოველი ნაბიჯი და მოქმედება სინდისთან თუ არ იქნა შეთანხმებული, განადგურდება და ისე მარტოსულად და დამარცხებულად იგრძნობს თავს, რომ ლირსების ველიდან გასულმა, შეიძლება სიცოცხლე ფატალურად დაასრულოს!..

საკუთარი თავი და სინდისი, აი, საზომი ლირსეული ადამიანისა!..

უღირსებოებზე კი ფიქრიც არ ღირს!..

\*\*\*

ნებისმიერი შემოქმედი მაშინ სრულდება, როცა მის შემოქმედებით აღმაფრენას თვითკმაყოფილება ჩანთქავს!..

\*\*\*

ჰუმანისტური ოპტიმიზმი – აი, ერთადერთი მიღრეკილება და საზრისი, რომელიც შეიძლება ყოველნაირად სრულყოფილ და დასრულებულ ბიბლიას დაერთოს ეპილოგად!..

\*\*\*

მხატვრული შემოქმედებისათვის ორი არსებითი მხარეა ხაზგასმულად საჭირო – ფსიქიკური ცხოვრების იდუმალ მოძრაობათა ღრმა ცოდნა, თვისება სულის დიალექტიკის გადმოცემისა, რომელიც ასახავს ფსიქიკური ცხოვრების არა მხოლოდ შედეგს, არამედ თვით პროცესის მსვლელობას; მეორე – ზნეობრივი გრძნობის სიწმინდე, ეს ორი ნიშანია უმთავრესი – ნიჭის თვისებად ქცევისა, რომელმაც ახალ თვისებებს უნდა ჩაუყაროს სამერმისო საფუძველი, ადამიანის ჭეშმარიტ შემოქმედად ჩამოსაყალიბებლად!

\*\*\*

ფარისევლურმა გონებაშეზღუდულობამ თავისი მსახვრალი ხელი დაამჩნია საკაცობ-

როი კულტურას. მან წინ წამოსწია ულირსი, გონებაშე ზღუდული „მასკულტურისტები“ და გვერდზე გასწია ჭეშმარიტად ღვთივგანდობილი გენიოსები. ეს ყველა დროის პლანეტარული დაავადება – ჭეშმარიტების დაყოვნებით. თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა.

იყვნენ გენიები, რომელთაც ვერაფერი შეაჩერებდათ, ვიდრე სიკვდილი და გარდაცვალების შემდგომაც გუგუნებდნენ და დღესაც ასევე ხმიანებენ თავინთი უნიკალურობისა და განუმეორებლობის წყალობით!..

\*\*\*

ღვთის მიერ განხორციელებული მისტერია ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისა და მონამებრივი სიკვდილის თაობაზე რელიგიურ საიდუმლოდ უნდა დარჩეს მანამ, სანამ მისი პირდაპირი გზით ახსნისა თუ გაგების უფლება არ მიეცემა ადამიანს, რაც აუცილებელია მისი დასაბამისეული ცოდვებისგან გამოსასყიდად მის საბოლოოდ გასაწმენდად!

ცოდვათა ჯაჭვი იწყება ადამით და სრულდება დღევანდელი რიგითი ცოდვილით, თუნდაც ჩვენით...

ეს უბრალო მოკვდავთათვისაა წარმოუდგენლად შორი და ყოველნაირად მიუახლოებელი- პირველი ადამიანი და მისი მოცემულობა, თორემ ისტორიისთვის ის „გუშინაა“, რამეთუ უფრო ადრე იმდენი რამ იყო, სამყარო იმდენ-ჯერ გადაბრუნდა წალმა- უკულმა, გასაკვირი არაფერია.

თუნდაც ის რამხელაზე დამაფიქრებელია, რომ ბიბლიაში მოცემული წარლვნა, ბევრად უფრო ადრე აღწერილია ჩვენამდე მოლწეულ, მე-19 საუკუნეში აღმოჩენილ უნუკალურ შუმერულ წერილობით ძეგლში – „გილგამეშის“ ეპოსი. ამ უპირველესი ლიტერატურული ძეგლის აღმოჩენამ, არათუ მეორე ადგილზე გადაიყვანა მხოლოდ, მანამდე გაპირველებული ბრმა გენიოსის უგენიალურესი ქმნილება – „ილიადა“, არამედ თავდაყირა დააყენა პლანეტის მეცნიერული მოცემულობა.

ამიტომაც უნდა ვუწყოდეთ, რომ ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი მსგავსი აღმოჩენები და კიდევ უფრო გათვალსაჩინოება ჩვენი წკურუმი წარსულისა.

„ფესტოსის დისკოს“ გაშიფრა ბატონი გია კვაშილავას მიერ სწორედ ასეთ რანგში უნდა

იქნეს აყვანილი და განხილული!..

ყველაფერი წინაა, 21-ე საუკუნე, მწამს, რომ იქნება უდიდესი რამეების გაცხადების „მოუამე“!..

\*\*\*

მდიდარი სინტაქსით – ამაღლებულად და ძარღვიანად უნდა გადმოიცეს განცდის სიმძაფრე და ემოციური მღლვარება. ენამ უნდა შეიძლოს გამოხატვა იმისა, რასაც ავტორი გრძნობს სამყაროსთან ურთიერთობითა და შემოქმედებითი კანონზომიერებით. ენაა ყველაფერი, სუნთქვის რიტმულობა, სისხლის მიმოქცევა და ჩქერალობა, სიზმრის ხატებათა მრავალფეროვნება, ფანტაზია და უსასრულობა – საბოლოოდ სიტყვაში პოვებს ნავსაყუდელს. ენა ხდება სამშვინველი ყველაფრისა და ყოველივესი!..

\*\*\*

ყოველ ეპოქას, ახალ საუკუნეთა მიჯნას სიახლისა და განვითარების მისეული მიმართებები და ხედვები ახლავს თან. ევოლუციის გარდაუვალი კანონზომიერება კი ვერ ეხება მაღალმხატვრულ ლიტერატურას, სადაც ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისა და მოვლენების მაღალოსტატურად აღწერისას, თანადროულად გამოვლენილია – შემოქმედებითი პოტენციალის უმაღლესი დონე. მაგალითად მხატვრულ-პოეტური აზროვნების მწვერვალს, ძვ. წელთაღრიცხვით მე-8 საუკუნეში მოღვანე „უსინათლო მოხუცს“ – ჰომეროს ვერავის შევადარებთ, თუნდაც ჩვენი თანამედროვეებიდან. დრო და საუკუნეები აქ ვერაფერს აკეთებენ. ყველა ყველაა, სხვა სხვაა, მაგრამ ჰომეროსი და „ილიადა“ პლანეტარული მარადიულობის ნაწილი არიან!..

### ორი გმირი

გილგამეშმა, კაცობრიობის უპირველესმა ლიტერატურულმა გმირმა, რომელიც უკვდავების წყაროს ძებნაში მიწისქვეშეთში ჩავიდა, ვერაფერი ამბავი მოიტანა იქიდან, ვერც ოკეანის სილრმე ვერ აღწერა ისე, როგორც ეგებოდა და ვერც ვერაფერი..

აი, ოდისევსმა კი, ესოდენ ჭირ-ვარამ გამოვლილმა უდიდესმა გმირმა, მეტად საინტე-

რესოდ აღწერა ჰადესის ამბები. ლანდებისა და აგიზგიზებული კოცონების სამყაროდან გასაცარი სურათები ამოიტანა, თავისივე სისხლით დაწერილი და შიშით ათრთოლებული ბაგებით აღწერილი... რამაც უბიძგა მტკიცედ განეცხადა, რომ სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა ბინადრობსო რაღაც, რაც აჩრდილსა ჰგავს და ეგააო სწორედ მისი მესამე მდგომარეობა. აი, სრულყოფისკენ მიდრეკილი გმირი და მისი შემოქმედი, რომელმაც შეძლო ჯერაც უცნობი გრძნობების შეთხვა!..

ამიტომაც შევადარე ორი მითაუამინდელი გმირი ერთმანეთს...

ავტორებზე არაფერს ვიტყვი!..

\*\*\*

გენიოსია დოსტოევსკი, რაღაცნაირად ამოუწურავი და გაგრძელებული. არ გინდა დასრულდეს, გაჩერდეს... არ გინდა კი არა, ასეცაა, არ სრულდება...

ესაა მწერალი, რომელმაც საკუთარ ბედზე ბატონ-პატრონობა თავისავე ბედს ჯერ წაართვა და მერე უკანვე დაუბრუნა, რამაც მისი ცხოვრება უფრო ძლიერი და მნიშვნელო-

ვანი გახადა, ვიდრე არსებული ეპოქა. ის იყო მარადიული ძალების ქვეშევრდომი და მე-20 საუკუნის მკაფიო დოკუმენტალურ შუქზე მისივე იერსახით ცოცხლდება გარდასულ დროთა მისტიკოსი მწერალი – დემონი. მრავალწერტილი და უსასრულობა, ბედისწერის იმედად არსებული კალმოსანი!..

\*\*\*

ერთიანი ეროვნული ენერგიის საფუძველი განათლება და კულტურული ფენომენია, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნება ტრადიციისა თუ შესაბამისი სივრცის მართვის ძალისხმევით.

სწორედაც რომ, ჩვენი კულტურით წარმოვადგენთ ცივილიზაციის ცოცხალ სუბიექტს!..

\*\*\*

ჩაბარდა წარსულს „პერევაროტების“, „არტისტული გადატრიალებებისა“ და ბამბაზარბაზანობის უამი!.. ხელისუფლება შეიცვლება მხოლოდ არჩევნებით. ამიტომაც, მაღაალძრულო და პოლიტვნებამომზევებულო თანამემამულენო, ემზადეთ არჩევნებისთვის!..



## აკა სი რექ იძო...

უმდიდრეს მეგრულ პოლიფონიურ სამშვენისა ამშვენებს ცნობილი სიმღერა: „აკა სი რექ იშო...“ ანუ „ერთადერთი შენ ხარ...“ ძალიან სევდიანი და მასთან საინტერესო ტექსტური შინაარსის სიმღერაა, მაგრამ იმთავითვე ერთი სტრიქონი მაფიქრებდა სულ, „ორდე ლეხინი, ვამაძირექიშო..“ (ვადმყოფი ვერ მოგინახულე, უფრო ზუსტად კი, რაღაც უხილავი მიზეზის გამო ვერ მოგინახულეო!) ახლა ეს ამოდენა სევდიანი წუხილი, მოსაკითხის უქონლობის გამო რომ არ იქნებოდა, არ უნდა იყოს ძნელი გასარკვევი. არსებობდა სხვა რამ დიდი და მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელმაც შეყვარებულს, სატრაფოს არ მისცა საშუალება ენახა ავადლობის უამს გულისწორი. არადა, ტექსტში ჩანს, როგორი დიდი სიყვარული ტრიალებს ორ გულს შორის. ისეთი ეპითეტური სიმაღლეებია და მეტაფორული სამკაულები, კითხვის ნიშნებს ვერანაირად გაექცევა დაკვირვებული კაცი!

კორონავირუსი, როგორი სისასტიკით შემოავადდა ჩვენს სამყოფლოში კი არა, მთელს მსოფლიოში, არახალია, განსაკუთრებით მთელი ევროპა დააჩოქა ვერაგმა სენმა, შეცვალა პოლიტიკური დღის წესრიგი, საფრთხე დაემუქრა ეკონომიკას და საერთოდ, უაღრესი შიში დათესა მთელ მიეთ- მოეთში. სიცოცხლეს უცაბედი და უდროო სიკვდილი დაემუქრა!

ასეთ ამბავს შევესწარი ამას ნინათ რუხის რეფერალურ საავადმყოფოში, სადაც მკურნალობის კურსს გადიან კოვიდ-19-ით ინფიცირებული პაციენტები. დგას ასე 20 წლამდე ბიჭი, უჭირავს ხელში ღუღლუდა ვარდები და წუხს იმის გამო, რომ ვერ ადის თავის ცირასთან, რომელმაც ფანჯრიდან ერთი გადმოხედა და მალევე განერიდა სარკმელს, ეტყობა, ექიმების მითითებით. ისეთი დროა ყველანაირად უნდა იფრთხილოს ადამიანმა, მით უფრო ასეთ ქარწანწალა დღეს. ყმაწვილი არ აუშვეს, მისაღე-

ბიდან ნაღველძლეული გამობრუნდა, ადგილს ვერ პოულობდა, ვერ ისვენებდა, მაგრამ რა უნდა ექნა? რაც არ შეიძლება – არ შეიძლება!

ამის შემხედვარეს ეს სიმღერა ამომიდულ-და გულიდან და წავიმღერე: „აკა სი რექ იშო, ალმასირექიშო, ორდე ლეხინი ვამაძირექიშო, დედოვ ნანა, მებდინაო ჩქიმი ცოდა!.. საოცარი სიმღერაა, სევდიანზე უფრო სევდიანი, ღმერთს რომ მოუხდებოდა მისი ამოთქმა, ისეთი!..

ეს დიდებული ტექსტი და მასთან სიმღერა, ვგონებ, შექმნილია მაშინ, როცა მძიმე ჟამი ედგა ჩვენს კუთხეს, ვინძლო ქვეყანასაც. მძვინვარებდა ან მალარია, ან შავი ჭირი... ან სხვა რამ... იდგა ისეთი ღურღუმი დრო, ავადმყოფის მონახულება ავადლობის გავრცელებას და სხვა-თა დასწევანებობას რომ ნიშნავდა. ჰოდა, წუხდა მიჯნური: „ორდე ლეხინი-ვამაძირექიშო...“

ისე არაფერი იქმნებოდა, ისე არაფერი იწერებოდა, მით უფრო ოქრომრავალ და მითლეგნდებით აცამალლებულ კოლხეთში!

ის ბიჭი შემეტრალა, არადა ეს სიმღერა რომ გახსენებოდა, უთუოდ მოეშვებოდა გულზე. განა ამისთვის არ შეუქმნიათ ჩვენს გასაოცარ წინაპრებს მსგავსი რამები?!

მე ახლაც ტკივილიანა ვლილინებ: „ორდე ლეხინი-ვამაძირექიშო...“, არადა რამდენი ვინ-მეს, რამდენი დავირუსებული ადამიანის ნახვა გამახარებდა. მეც მომეშვებოდა, მათაც იმედს ჩაუნერგავდა, ადამიანური სიყვარული და ძალისხმევა ერთი-ორად გაიზრდებოდა, მაგრამ ვერა და არა!..

„ორდე ლეხინი ვამაძირექიშო, დედოვ ნანა, მებდინაო, ჩქიმი ცოდა!..“, რას გაუგებ განგების ჯერჩინებას, იქნებ და მართლაც ვიკარგებით... თუ სიყვარული, სითბო და მოკითხვა დაიკარგა, მეტი კი არაფერია ადამიანი და არც ცხოვრებაა ამის შემდგომ ღირებული!..

„აკა სი რექ იშო...“

## ლიტერატურის კონკრეტული მონაცემები

უცილოდ უნდა გამოვეხმაურო ახალგაზრდა ეკონომისტთა მცდარ შეხედულებებს ლიტერატურისა და მორალურ ღირებულებებთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით „მომავლის საქართველოს“ ახალგაზრდა ეკონომისტის, ოქსფორდელი ნიკა სამნიაშვილის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ზერელე დამოკიდებულებამ აღმაშფოთა. რამაც გადამაწყვეტინა, ასე რომ ვთქვათ მოკლე, მაგრამ ჩემი აზრით დაფიქტული პასუხი გამეცა „არაქართულად მოუღურტულ“ ახალგაზრდა ეკონომისტებისა და არა მარტო მათვის. განსაკუთრებულად კი ბატონი ნიკასთვის.

ჩემო მეგობარო, თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ მიმდინარეობს სერიოზული მცდელობები, ეკონომიკური მეცნიერება დაბრუნდეს ღირებულებათა სფეროში და ზღვარი დაედოს მას, როგორც პრაქტიკულ უტილიტარულ ექსპლოატაციას, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, უპირველეს ყოვლისა ფილოსოფიური პრობლემაა. ასეთი მცდელობების ნებისმიერი გამოვლენები საერთო სოციოლოგიურ პრობლემათა გააზრებასა და გადაწყვეტას მოითხოვს. როდესაც ვაყენებთ საკითხს ადამიანის თავისუფლებისა და უპირველეს ყოვლისა, საკუთრების უფლებების შესახებ, ძალაუნებურად ჩნდება ასოციაციები იმ სოციოლოგებთან, რომლებიც ეკონომიკურ თავისუფლებას გამოაცალკევებენ ყველა სახის თავისუფლებისგან, რადგან მიაჩნიათ, რომ იგი ყველანაირი თავისუფლების საფუძველია. ეს თვალსაზრისი ახლოა მარქსიზმთან, რომელიც ეკონომიკურ ურთიერთობებს ანიჭებს საზოგადოების ბაზისის მნიშვნელობას და მი-

იჩნევს, რომ სხვა ურთიერთობები ზედნაშენია მასზე. თუმცა მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავება, რადგან ფასეულობათა სისტემა, რომელსაც ემყარებიან არა მარქსისტები, მაგრამ ეკონომიკური თავისუფლების მაღიარებელი სოციოლოგები, პირველადია ეკონომიკური ურთიერთობის მიმართაც. ეს უმნიშვნელოვანეს კორექტივია, რადგანაც საკუთრების თავისუფლება პიროვნების თავისუფლებათა საერთო სისტემაში იძენს შინაარსს და არ განაპირობებს მათ. ამიტომაც, ნიკა ბატონო, ლიბერტარიანელობა ამ აზრით არის – ხელისუფლებისა და მეწარმული თავისუფლების ურთიერთობათა გააზრების პრობლემა, რომელიც შეიძლება გაწყდეს მხოლოდ მაშინ, თუ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა დაფუძნდება მორალურ ღირებულებებზე.

ასე რომ, ლიბერტარიანელობის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა განხილულ უნდა იქნეს ფილოსოფიურ ასპექტში. და უნდა გვახსოვდეს-როგორი წარმატებითაც არ უნდა განხორციელდეს ქონების სამართლიანი გადანაწილება, იგი არა მარტო ვერ წარმოშობს, არამედ არც შეუძლია წარმოშვას თანასწორობის მყარი საფუძველი და ამის მაგალითი ჩვენთან მიმართებაშიც სახეზეა.

ასე რომ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ეგალიტარისტული მსჯელობები, რომლებიც თქვენ და თქვენს გუნდს ახასიათებს, მყართანასწორობაზე საფუძველს მოკლებულია, რადგანაც მუდმივად მოითხოვს განაწილების პროცესში ხელისუფლების ანუ მესამე ძალის მონაწილეობას.

**პატივისცემით, ლაშა გვასალია**

## ქაქაბია

(მოთხოვთ)

ძველით ახალი წლიდან წყალკურთხევამდე ბაბუა შიმშილობდა. სულ ხუთი დღე, აქედან 4 დღეს ხმელი პურითა და წყლით გასტანდა, მეხუთე დღეს არც წყალს გაეკარებოდა არც პურს. არსად დადიოდა ის დღეები, არაფერს აკეთებდა და დამუნჯებული იყო, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, კრინტს ვერ დააძრევინებდით. ვიცოდით შვილიშვილებმა და ის ხუთი დღე არ ვეკარებოდით. ზალაში, ტახტზე იძინებდა. დუმდ და ფიქრობდა, ქრისტესავით სევდიანი იყო. განწმენდის დღეები ჰქონდა ბაბუს, ოხვამეკარიდან კაკაბია, ანუ წმინდა წყალი უნდა მოეტანა ოჯახისთვის 19 იანვარს, წყალკურთხევის ბრნყინვალე დღეს. საამისოდ საგანგებოდ მომზადებულიც იყო, თავსაცობიანი, ჯვარამოხატული თიხის 5 ლიტრიანი დოქი ჰქონდა, ბამბაჩაფენილი ბრეზენტის ზურგჩანთა და საგანგებოდ იმ დღისთვის გამოთლილი თხილის სახრე, რომლის შიშითაც არც ეშმაკეული და არც სხვა ვინმე ძე-ხორციელი ვერ უნდა გაგკარებოდა. შიგთავსიდან გამომდინარე, ამ ჭურჭელს კაკაბიას კოკას ვეძახოდით. 19-ში, უთენია, მამალს რომ კრინტი არ ჰქონდა დასცდენილი, ისეთ დროს გავიდოდა სახლიდან და დაახლოებით სამ საათში უკანვე მობრუნდებოდა მთელი წლის საკმარი კაკაბიათი, პირველად თავად დალევდა ასევე კაკაბიასთვის განკუთვნილი თიხის ჯამიდან, როგორც ოჯახის უფროსი და მერე ჩვეულებრივად, ანუ დანიშნულებისამებრ მოზომილად იყენებდნენ წმინდა წყალს. ბაბუა ხატებს ქვემოთ წითელხავერდ გადაკრულ სამფეხა ჯორკოზე სიფრთხილით შემოდგამდა წმინდაწყლიან დოქს და მომდევნო წყალკურთხევამდე იშვიათად თუ მოიკითხავდა, დანარჩენი ბებიას საქმე იყო, მთელი სოფლის შემლოცველი ეგ იყო და კაკაბიას მოსხურების გარეშე არანაირი შელოცვაც არ ჭრიდა, მოკლედ ამ საოცარ წყალს დიდი მოთხოვნა და გასავალი ჰქონდა.

იშვიათად, მაგრამ შვილიშვილებთან ერთად კაკაბიასაც იფიცებდა ბაბუა, „კაკაბიას გე-

ფიცებით ასეაო“, რომ იტყოდა, მორჩია, სიტყვას ვერვინ შეუბრუნებდა, ეს უფლის დაფიცების ტოლფასი იყო! მამა, ბაბუას ერთადერთი ვაჟი, ავტოკატასტროფაში ადრეულ, სიყმაწვილის ასაკში დაიღუპა, სამი მცირენწლოვანი შვილი – ერთი ბიჭი და ორი გოგო, ახალგაზრდა ქვრივთან ერთად ბაბუას და ბებიას მისახედად დავრჩით. მამაჩემის გარდაცვალებიდან ორი წლის მერე დედაჩემისთვის უთქვამს ბაბუას, შვილივით მიყვარხარ, ვერ გელევი, მაგრამ ახალგაზრდა ქალი ხარ, ცხოვრება წინ გაქვს, ცოდვა ხარ, არ დაიტანჯო თავი, გათხოვდი, ბედს ეწიე, ამ ბავშვებს ჩვენ გავზრდით, მოაკითხე, როცა გინდა და შენებული მზრუნველობა არც შენ მოაკლოო. გაგიუებულა დედაჩემი, ჩემთვის ქმარ-კაცობა დასრულებულია, ბაბა ბატონი, სიკვდილის გარდა ჩემი თანამეცხედრე აწი არავინ იქნებაო და ასე მოვედით დღემდე, წვალებით, შრომით და ბაბუას მტკიცე ორანით, რომელიც ტრადიციის ფოლადით იყო გამოკვერილი.

ავად გახდა იმ წელს, 14 წელი მისრულდებოდა 17 იანვარს, ბაბუა ჩემს ყოველ დაბადების დღეს გამორჩეულად და სიხარულით აღნიშნავდა, გვარისა და ფუძის გამგრძელებელია და განსაკუთრებულად უნდა მოვეპყრათო. ამ მხრივ დებზე მეტად განებივრებული გახლდით, მისი სიტყვა კანონი იყო და ვინ გაბედავდა – ან დარღვევას, ან წესისამებრ არ შესრულებას. ჩემს დებს მიუალერსებდა, თვალებს დაუკოცნიდა და ეტყოდა, მართლა თქვენზე მეტად კი არ მიყვარს ბიჭი, მეცოდება, რადგან ყველაფერი მის ზურგზე უნდა გადავიდეს -ყველა საქმითა და საძხორციელო საქნარით, დიდი ტვირთი უნდა იტვირთოს და მებრალებაო!..

ბებია იტყოდა: აქ, ჩვენთან არ იღებს ხმას, თორემ თვალმიფარებულზე სულ ჩვენს უხანე შვილზე მოთქვამს და ტირისო. ცოტას რომ შეთვრებოდა, მაშინ თუ წამოცდებოდა რამე თავის უსაზღვრო ტრაგედიაზე. შვილი არ უნდა წაართვაო კაცს, ბაბა, ცხოვრების აზრი და

ხალისი არ უნდა დაუკარგო, არ უნდა დასაჯოო ასე. ამასაც ჩემთან იტყოდა, საკაცო ტკივილი გაითავისო უნდაო, იმიტომ.

– მეცოდები, ბაბუ, ჩემო ლამაზო ბიჭო, ჩემო იმედო და სიყვარულო, მაგრამ მოვიდა შენი უფროსკაცობის დრო, შენ უნდა გაუძღვე იჯახს!

– რას ამბობ, ბაბუა, შენი ჭირიმე, ნუ მეუბ-ნები ასეთ რამეს, – შევტირე ჩემს გამზრდელ, სიცოცხლე შემოხარჯულ ბერიკაცს.

– რა გატირებს, შე კაცო, დიდი კაცი მგონიხარ, ოჯახს, მომავალს, სინდის-ნამუსს და ყველაფერს შენ გაბარებ და რასაა ქალივით რომ მოსთქვამ? უნდა მოსულიყო ეს დრო, შვილო, დღეს თუ ხვალ, ჩვენ-ჩვენი ადგილი უნდა დაგვეკავა ყველას და ა, დადგა უამი, კი მინდოდა შენს გაბედნიერებას და ქორწილს შევსწრებოდი, მარა ოხერია მიქელ-გაბრელი, რას გამოაპარებ, დაინახა, რომ დავიღალე, გამოვიფიტე და მივყავარ ჩემს ვაჟკაცთან. თქვენი ჯავრი მიმყება თვარა, მე რას მომაკლებს ჩემი ბიჭი? – ახლა თვთონაც აუკიაფდა ცრემლი მოხუცს.

– ნუ გეშინია, ბაბუ, ძალიან კარგად გა-მოიყურები, სად უნდა წახვიდე, უშენოდ რა გვეშველება? – კინალამ დამახრით ცრემლის ბურთმა.

– შენშია გადმოსული მთელი ჩემი ძალა და ღირსება, შეძლება და პატიოსნება, წესიერად რომ იცხოვრებ, შვილო, არაფერი გაგიჭირდება, მე და მამაშენი იქიდან მოგხედავთ, სულ შენს გვერდით ვიქნებით, არაფრის შეგეშინდეს, – მაგრად მიიკრა გულზე ჩემი ხელები, – ბებიას მიხედე, თქვენთვის უდგას სული და არ აწყენინო, დედას გაუფრთხილდი, განსაკუთრებულ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს, შვილებს შემოგწირათ ცალუღლად ახალგაზ-რდობა და ცოდვა, რომ არ დაუფასოთ. გოგო-ბი გაათხოვე, ბაბუ, ყველაფერი შემოსავალი და გასავალი ჭკვიანურად გაანაწილე და სირცხვი-ლი არ ჭამო. ცოლი სკოლას დაამთავრებ თუ არა, მაშინათვე შეირთე, ნაადრევი ყველაფერი კარგია სიკვდილის გარდა. შვილებს მამაშენისა და ჩემი სახელი არ დაარქვა, უბედონი გამოვ-დექით და ჩვენი ტვირთი არ აკიდო!..

– ბაბუ, გთხოვ არ დაგვტოვო, – ავზღუ-

ქუნდი ხმამაღლა.

– გეყოფა, კაცო, რა ამბავში ხარ, კაცი უნდა წავიდეს აბა როგორ გინდა შენ? ჰო, დაფ-ნა ორად გაყავი, ჭალის მხარე ერთ წელინადს მოჭერი, ტყისპირისა მომდევნო წელს, ხარკა-მეჩები კაყიდეთ, მეშინია არ მოგპარონ, ის რქე-ნია მეყანე ჭრელაც მოიშორე, ჩემი დასამარხი და მთლიანად სახარჯო ფული ბებიაშენს აქვს და მოგცემს. ჰო, ურემიც გაყიდე, შეგიყლავს ოხერი, ოთხთვალა და ცხენები დაიტოვე. ათი-ვე ცხენი დადაღულია, შენი სახელის პირველი ასო აქვთ ამოდამღული უკანა ფეხზე, კამეჩე-ბიც ასე მაქვს მონიშნული. ნახევარი საჟენი შეშა გურამის გვმართებს, შემოდგომის პირზე გაისტუმრე. კაი, ახლა დავიღალე და დამტოვე, დავისვენო მინდა. წადი, ნუ გეშინია წყალკურ-თხევამდე არ მოკვდები, შენი მოტანილი კაკაბია დავლიო უნდა!

კუჩხას, ბედობას და ანგელოზობას ლო-გინად დახვდა. მე დამეკისრა მეკვლეობა, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც ბაბუას გაუხარდებოდა. მერე შიმშილობა დავიწყე, ანუ განწმენდა წყალკურთხობისთვის. ბებიამ მითხრა: რომ ვუთხარი შიმშილობს და იწმინ-დება წესისამებრ-მეთქი, გაიხარა და უფალს მაღლობა გადაუხადა ასეთი შვილიშვილის ჩუ-ქებისთვისო. ისევ მომერია ცრემლი, ვერაფერი ვუთხარი ბებიას, არ მქონდა უფლება, მომიტანა პური, წყალი და გავიდა ოთახიდან. ასე მში-ერი და უქეიფოდ შევხვდი დაბადების დღეს. ფრთხილად, ფეხაკრეფით შევდიოდი ბაბუას საძინებელში და ცრემლიანი თვალებით ვეთ-ხოვებოდი მოხუცს, რომელსაც ცვილისფერი დასდებოდა და დაუხამხამებლად მიშტერებოდა ერთ წერტილს, მამაჩემს დაუძახებდა ხოლმე და რაღაცას ჩურჩულებდა.

დადგა ოხვამეკარში გამგზავრების დღე. მოვიკიდე ზურგჩანთა და გავეშურე ოხვამეკა-რისკენ, წკვარამი ღამე იყო, სათოვლოდ მო-ქუფრულიყო ცა. ჩვენს მეზობელს წამოვენიე, შევხედეთ ერთმანეთს და გაკრინტულმა გა-ვუსწარი, უფრო ავუჩქარე ნაბიჯს. გული ცუდს მიგრძნობდა, იქნებ ვერ მივუსწრო-მეთქი და სირბილით ავუყევი აღმართს. გული ამოვარ-დნას მქონდა, სუნთქვა მეკვროდა, წელ-წელა თოვლიც გაიმეტა ცამ. გზაში მხვდებოდნენ ვი-

ლაცები, ჭურჭელ და დოქტორულებულნი, მაგრამ არც შემიხედავს არავისთვის.

ოხვამეკარის წყაროსთან მისულმა, დარიგებისამებრ, ხელ-პირი დავიბანე, ლოცვა წარმოვსთქვი, კოვა ავავსე, მოვიყიდე ზურგზე და წამოვედი. მოუმატა თოვას, მამლებმაც მოუხშირეს ყივილს, ძალებიც გაბმულად ყეფდნენ. უკვე თავდაუზოგავად ბარდნიდა, ირგვლივ არაფერი ჩანდა. თოვლი ყრუა, ახშობს ხმასა და ჩქამს. ეზოში შესულს ტირილის ხმა შემომესმა. დამერღვა მთელი სხეული, ძალა წამერთვა, ძლივს ავიკიბე ოდის საფეხურები, კარი მძიმედ შევალე, უმცროსმა დამ ბაბუა მოკვდაო, შემომტირა, ჩავიხუტე აცრემლებული პატარა. მერე ფრთხილად მოვიხსენი კაკაბია, იქვე კუთხეში დავდე და დავემხე ქვითინით ჩემს გამზრდელსა და იმედს, ჩემს უშურველ ბაბუას. ცოტა ხნის მერე, ბებიამ და დედამ ამაყენეს, მომწყვიტეს ბაბუას მკერდიდან, მაშინ ვიგრძენი მისი შემაურულებლად გამყინავი სიცივე. სიკვდილის

წინ გონზე მოვიდა და გვითხრა, ბიჭს ცხელი წყალი დაახვედრეთ, ფეხები ჩაადგმევინეთ, შესცივდებოდაო. თან, ნაშიმშილევია და უცებ ბევრი არ ჭამოსო. ეს უთქვამს და გადავანებულა მარადისობაში.

უცებ მისი ხმა ჩამესმა, მოხვედი, ბაბუ, ხო არ შეგცივდა? რას გაშეშებულხარ, შე კაცო, მომიტანე, დამალევინე კაკაბია, ჯერ მე ვარ ოჯახის უფროსიო, გამოვცოცხლდი, გავიქეცი, მოვარბენინე ფიალა თიხის, გადმოვასხი კაკაბია და მივუტანე ჩემს უსულო იმედს. მერე ოდნავ გაღებულ ტუჩებში ჩავუწვეთე, თვალები და პირ-სახე მოვბანე... ეჲ... ახლა ალბათ სხედან იმქვეყნად მონატრებული მამა-შვილი და უყვება მოხუცი: მოგესწრო შვილი, ბაბა, წელს მაგან მოიტანა კაკაბია... ვგრძელდებით, ვგრძელდებით, ბაბაია!..

მე კიდევ მთელი ცხოვრება მედო წინ წვალებით, განსაცდელებითა და ცოტაოდენი გახარებებით სავსე!..

## ქა

(მოთხოვა)

სიცოცხლის მზე წყალია, თოლიგე!

როგორც კი კოპიტის სამასალე მორებისგან, ბირდაბირი ხერხით გამოფიცრული, ოდა ააგო და კრამიტით გადახურა, ჭის მთხოველების მოძიება დაიწყო მამაო აბომ. სოფელი ისედაც შეურით შეჰყურებდა ტაძარში ახლად მოვლენილ ახალგაზრდა მოძღვარს, რომელსაც მიუხედავად თავისი ასაკისა, ბევრი რამის გაკეთება მოესწრო, სწავლა-განათლების მიღება ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, მერე ბერად ალვეცა, აგერ ახლა ეკლესიის წინამძღვრად მოუფლება, ეზოს აკაციის მესრებით შემორაგვა, გარშემო ტრიფოლიატის დათესვა, ვეებერთელა ოდის კონდარებზე შემოსკუპება, სამზადისა და საკვამურის წამოკოხტება, გომურის გამართვა და აგერ ახლა კი – ჭაო!..

– ეს გამჩერებელი არაა, გენაცვალეთ, ისეთი მიზანკაცაა, მალე თავზე წამოგვასკუპდება და მერე ვნახოთ რაც მოგვიგა!- წაუსისინა სოფლის ჭორდედოფალმა ზოზიმ ქალებს.

– შემძენი და მშოვნელია, ჩემო კარგო,

თორემ კი იყო მის მოსვლამდე მამა გიორგი და ცხოვრებდა პატიოსნად და უპრეტენზიოდ ტაძრის კელიაში. – თემის გაღრმავება სცადა ასევე სოფლის ენაკვესია ქაქუსამ.

– აბა, აბა, ქალო, ის მართლა უპატიოსნესი და ნამდვილი ღვთისმსახური იყო, არასდროს უფიქრია, ცხონებულს, ქონებასა და საშოვარზე. ლალიკო, – სხვისი ჩართვაც მოისურვა საუბარში ზოზიმ, – არ გახსოვს, ქალო, როგორი კეთილი და უბრალო ადამიანი იყო, ან სად ცხოვრობდა, ქალოოო, – აქ, თითებით, ფრჩხილების ჩაურევლად, ჩამოიქუსნა მარჯვენა ლოყა, – ისეთ სიღარიბაში ცხოვრობდა, წარმოდგენა და გახსენებაც რომ ტანში გზარავს.

– აპა, აპა, – არ დარჩა ვალში დაქალებს ფუფული, – ეგ იყო მოძღვარი თუ იყო, სულსა და გულს მოურიდებლად გადაუფენდი, ან რა ლიმილი ჰქონდა, ქალო?

– არა, ცოდვას ვერ ვიტყვი, მახარა და მაც-დური ღიმილი ამასაც არ აკლია, ამაყია თორემ, ქალო, უკარებაა რაღაცნაირად. როგორ ზემო-

დან დაგვყურებს, მისი ვალი რომ გვემართოს ისე.

- ოპო – ჰო, ნახავ მაგან რამდენს მიაღწიოს?
- ხო იცი, მაგათ ცოლის შერთვის უფლებაცა აქვთ...
- ეგენი რას იკლებენ, ჩვენ ვიკითხოთ თორემ...

– რა ვიცი, უირაფივით სულ მაღლა უჭირავს თავი, ჩვენ ზედაც არ გვიყურებს და..

საუბარში, წყლის წასაღებად ოცლიტრიანი ბიდონით მოსული, ღორონთიაც ჩაერთო, – აგერ ვძერდები კაცი და თქვენისთანა ენანაგდებული ქალები არც შემხვედრია და არც გამიგია, რომ დაინახავთ, ხელებს უკოცნით იმ პატიოსან კაცს და აქ კი ლანძღავთ და აქილიკებთ. თქვენი მოსაწონი ადამიანი ხომ არ დაბადებულა ცისქეშებში, წადით, ბიძიკოებო, წადით სახლებში და თქვენს საქმებს მიხედეთ. იმ ღვთისმოსავ კაცს კი ჯვარი სწრია თქვენგანაც და საერთოდ ყველა ბოროტი და უსაქმურისგან.

– ჩვენ ცუდად არაფერი გვითქვამს, უბრალოდ... – სცადა შეპასუხება ქაქუსამ, რომელიც ღორონთიას რძალი იყო, ძმის ცოლი, მაგრამ სიტყვა ენაზე მიაყინა ღორონთიამ.

– ძალიან კარგადაც ვიცი, რასაც მაზაკვალობთ, ადრე იმ საწყალ მოხუც მღვდელს დასცინოდით, ღორი რომ არ იცხოვრებს, ისეთ პირობებში ცხოვრობსო, ამან ჩვენ რა უნდა გვასწავლოს, ტურტლიანი ანაფორა ვერ გაურეცხია თავისიო და, ენას ძვალი არა აქვს და დაიმოკლეთ მაინცაა. – აავსო ჭურჭელი, შემოიდგა მოხერხებულად მხარზე, ერთხელაც მოავლო რისხვიანი მზერა წყაროსთან შეკრებილ ჭორიკანათა საფიხვნოს და ნავიდა.

– ეს შენი მაზლი ადამიანი ხო არაა, ქალო, ამას როგორ უძლებთ, ღმერთო, როგორ?

– მონად დაისვა ცოლი, საწყალი ნანო, გახსოვს, რა გოგო იყო, შველივით მზერას გაჯიბრებული ცირა...

– ახლა ნახე, ახლა, სუ გამოახმო და გამოაფუჩეჩა, დღედაღამ საქმეში აქვს თავი ჩარგული.

– ვერა ხედავ წყალზეც არ უშვებს, ქალო, წყალზეც, თვითონ დაიარება ყველგან, გაუშვი, თვალს წყალი დაალევინოს, დაისვენოს ქალმა,

გული გადააყოლოს რასმე, არა, გაგიგონია?

- როგორი ენამდუღარეცა ბრძანდება, საქციელიცა და მიდგომაც ეგეთი აქვს.
- რავიცი, სოფლის თავი კია და...
- ვის დაუთმობდა, ან მაგის შემპასუხებელი ვინა გყავს?

– ჰო, აბა, აბა... ეს ჩვენი ქმრები კიდევ, ობოლი ცხვრებივით დაიარებიან, მიწიდან თავს არ ასწევენ და სხვასთან რა გინდა?!..

ნირვაზე თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, მთელი სოფელი დადიოდა. იმ გამონაკლისთ კიდევ, თავიანთი გასაჭირი ჰქონდათ. დამუნჯებულ პაპუნას უბედობისა სჭირდა, ტყეში ტყაშმაფა გადაყროდა და დაედუმებინა. თუ ლოგინში არ ინვა, სახლისწინ ჯირკზე ჩამოჭდარი, გაყინულ-გასაწყლებული მზერით, ჭალას შავი ბერივით გადმომცექირალ ირმის გორაკისკენ იმზირებოდა. სწორედ იქ შეფეთებოდა მისი ცოდვით დაბუგული ტყის ქალი და იმედოვნებდა, რომ ერთხელაც მოვიდოდა გუნებაზე და დაუძახებდა: პა-პუ-ნააა, პა-პუ-ნაა, პა-პუ-ნაა-ო და აეხსნებოდა დამხართავი ჯადო!

ცირა-პატონებ შეყრილ სკისვალ ელისოსთან ბებიას მეჩონგურე მლოცავები დაჲყავდა და იმათი რჩევით გარეთ გასვლა ეკრძალებოდა. მღვდელი სახლში ეწვია ავადმყოფს, დავლოცავ, გავესაუბრებიო, მაგრამ ბებია ვარვალამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არ ვიზამ მაგას, ბოლომდე მიყვანილ მკურნალობას არ ჩავაშლევინებ არავისო. – ეგა, ქალბატონო ვარვალა, წარმართული აზროვნების გადმონაშთი და ღმერთის უარყოფააო, – სცადა მობრუნება ურნმუნოსი მოძღვარმა, მაგრამ ჯორზე შემჯდარ ქალს რაღა მოაკეთილებდა?

ტლუ კოკია მეტყვევემ, ტყე-ღრე ოჩოკოჩივით რომ დაბურხულობდა, ჩემი ღმერთი და ბატონ-პატრონი მთვარეა, ეგაა ჩემი ღამეული გზისა და ყოფის გამნათებელიო. ეკლესიაში უსაქმურებთან რა მესაქმება, იმდენი მაგათი ასე და ისეო. მთვარეს სცემდა თაყვანს, მისებურად ღოცულობდა და საკლავსაც სწირავდა ახალმთვარების პირველ კვირას.

ნინამძღვარი აბო – მაღალი, ხმელ-ხმელი, გრძელი, უშველებელი ხელებით, ყანჩასავით მაღალი ფეხებით, შავი წვერ-ულვაშით მოსილი მოგრძო პირისახით, უკან გადავარცხნილი

თმების გასწვრივ ფართო შეუბლითა და ცისფერი თვალებით ფრესკიდან გადმოსულ, გაცოცხლებულ წმინდანს მოგაგონებდათ, დღენიადაგ სუფთა ანაფორითა და ტყავის გალაპლაპებული ჩექმებით. ღიმილმიუკარებლობა სიმკაცრის ბეჭედს უსვამდა მის სიმპათიურ იერ-სახეს. თუმცა, ტკბილმოუბარი გახლდათ, ერთ რამედ ღირდა მისი ღრმაშინაარსიანი ქადაგების მოსმენა. ისეთი გულმისანდო და ენანათელი საუბარი იცოდა, არ შეიძლებოდა მსმენელი არ მოენუსხა. საქმე – წესრიგიანიც გახლდათ მამაო. ჯერ იყო და ტაძარში მოაკრიალა ყველაფერი, კედლებსა და ჭერს, ხატებსა და თუ ფრესკებს, შანდლებსა თუ სასანთლეებს ნათელი დააყენა. ეკლესის ეზო-გარემოსაც მოუსხივა შუქი, გასხეპა, გაწმინდა, ამოძირკვა და მოქრა ხმელი თუ უსახური ხე-ბურდები, მათ ადგილას ხეხილი ჩაყარა. ღობეს სარები გამოუცვალა. დღე და ღამე მუშაობდა, მრევლსაც იხმარიებდა და ბალნარად აქცია ეზოცა და თვალმოსავლები ალაგებიც. ქადაგებისას ხშირად უმეორებდა მრევლს: ხეხილი დარგეთ ყველგან, თუნდაც ტრიალ მინდორში, საძოვრების განაპირა ადგილებში, საქონელმა რომ არ გადატკვეროს, ან ხევით არ მოარყიოს, ეკლებითა და ნემსიჩევლეტია ტოტებით შემოლობეთო.

ჰოდა, ჭაო!.. ჭის გარეშე ოჯახი არაფერიაო.

კი, ბატონო, მაგრამ ჩვენთან ქვალორლიანი ნიადაგია, გათხრილი კედელი პირს ვერ იჭერს, მალევე ირლევევა და იშლებაო. თანაც, თუ ძალიან ღრმად არ ჩახვედი, წყალი თავს არ გამოაჩენს და ძირღმულიდან არ გადმოდინდებაო. – სცადეს გულის აცრუება მეზობლებმა, მაგრამ მოჩემარის ნებისყოფისა გამოდგა მოძღვარი, – აქ კი არა, ქვიშით დაფარულ უდაბნოში თხრიან ჭას და ამოჰყავთ წყალიო.

კაკოია დიაკვანს დაავალა ჭის მთხრელების მოძიება. მიდგა-მოდგა ნდობაგამოცხადებული კაკოია და სენაკის სოფელ ეკში გამოცდილ ჭისმთხრელ ძმებს ცხვიტავებს მიადგა. კი გამოდგნენ მეძვირები, მაგრამ თავისი საქმის ნამეტანი კარგად მცოდნე ოსტატები ირნმუნებოდნენ, რომ სადაც პარს დაარტყამდნენ, იქ წყალს უთუოდ ამოიყვანდნენ. მოურიგდა მამაო აბი სამ ძმას, ვერცხლისწყალივით მოუსვენრებს, ტანად პატარებს, მაგრამ დაუღლელებ-

სა და ჯანიანებს. ადრე გაზაფხულზე დაიწყეს ჭისთვის საჭირო და ვარგისი ადგილის მოძიება. თავდაღმა დაპირქვავებული შუშის ჭიქებითა და ქილებით ეძებდნენ. ერთი კვირის თავზე რომელმა ჭურჭელმაც მოიკიდა მეტი ორთქლი, ის ადგილი მონიშნეს და ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში დაიწყეს თხრა. მანამდე კი ჭის ქვით ამომწყობ-ამომკირავებიც მოუყვანეს მამაოს, რომლებმაც მდინარის ნაპირიდან, მრევლის დახმარებით, ურმებით ამოზიდეს საჭირო ფორმისა და რაოდენობის ქვა.

ფიქრობდნენ, რადგანაც მდინარე ახლოს ჩამოუდიოდა ეზოს, წყალს ადვილად ამოიყვანდნენ, მაგრამ 22 მეტრის სიღრმემდე სანამ არ დავიდნენ, არ გამოჩნდა ქვიშა და სიხარულით ცას შეწვდენილმა ცხვიტავებმა უკვე ნახევარი ბარის სიღრმეზე წყლის თვალი დაიჭირეს და ეჰე, ჰე... ამორაკრაკდა სამოთხის მზე... მუშაობა თანშეწყობილად მიდიოდა, ეკელები თხრიდნენ, ხორშელები ქვებით აშენებდნენ კედელს, სიტყვებივით აწყობდნენ ერთმანეთზე რიყის ლაფართია, წყლით გამოკვერილ და გამოსლიპინებულ ქვებს. არაფერი სჯობდა ამომძივებული, დევის თვალებით მიწყობილად ამოლეგავებული, ძირამოკოხტავებული ჭის ხილვას. სამგზის ამოხაპეს წყალი, ძირამოკიდებულმა ქვიშამაც თავისი ქნა და ზევიდან ჩამოსუნთქულ ჰერთან ერთად, ცის გულიდან წამოდინებულივით დაწმინდა, გაარაკრაკა დალოცვილი. ქვაცივი ხომ იყო და ნამეტანი კარგი გემოც დაიყენა უპირველესმა სითხემ.

სამი თვის მუხლმოუყრელი შრომის შედეგი სახეზე იყო. ჭის თავი, ანუ ჩვენებურად-გვიმიც თვალდასარჩენად ამოაკირნყლეს. წეროსფერბა ონინარი კაკოია დურგალმა გაუმართა აკაციის გამომწვარი ბოძებითა და რკინის შიგმტარით. ბიკი მჭედლისგან ოცდახუთი მეტრი სიგრძის ჯაჭვი იყიდა მლვდელმა და ჩამოახრიალა ვედრომობმული ონინარზე, რომლის ბოლოს ასევე ლაკაციის მძიმე კუნძი ეძალებოდა. პირველი მოპირთავებული ვედრო ოსტატებმა ამოასკუპეს და პირჯვრის თანხლებით გადახუეს კაკაბივით წყალი.

მერე იმ ჭაში მთვარე ჩასკუპდა და იქ დაიდო ბინა. კედელს თანდათან ხავსი და ფომფოლო მოედო, უფრო ჩამაგრდნენ და ჩამარადისდნენ

ქვებიც. წყალი კი დაყენდა კაკაბანა და ცივგულა, საამოდ და მადლიანად დამარწყულებელი. რა დონეზეც ფეხი მოიკიდა, იმ დონეზე იდგა – ზამთარ-ზაფხულ მოუკლებ-მოუმატებლად. საიდან არ მოდიოდნენ ჭის სანახავად და წყლის დასაგემოვნებლად. ოქროს ფულით გათხრილი ჭაა და იქნება, ბატონო, კარგი აბა რაო, – ამ-ბობდნენ სოფელში.

ყველაფერს ხომ აქვს დასასრული ამ ქვეყანაზე, და აბო მღვდლის უფლის ნებიერა ცხოვრებაც დასრულდა. თან მეტად სავალალოდ და საწუხილოდ. ის დრო მოდგა, როცა ცოდვაძლეულმა ბოლშევიკებმა დმერთი ძირს ჩამოსწიეს და ბელადი გააღმერთეს, ცამდე აზიდეს ცრუ იდეური ოწინარებით. სისხლად და ცრემლად მოვარდნენ, სიკვდილი და სასოწარკვეთა მოიყოლეს. მღვდელი დააბეზზა ვიღაცამ, ანტიბოლშევიკურ რამებს ქადაგებსო და ამბიონიდან ჩამოიყვანეს, ანაფორა შემოახიეს, მრევლის თვალწინ გაკრიჭეს და წაიყვანეს. ტაძარი დაარბიეს, წაბილნეს და ტყავის მოკლე ქურთუკასა და ტყავისავე აზიურებში გამოწკეპილმა, უწვერ-ულვაშო, მე-თაურად მიჩნეულმა ახალგაზრდამ მედიდური იერ-სახით განაცხადა: აქ კოლექტივის საწყობი და თავლა გაიხსნებაო! მერე მღვდლის, ანუ მათი ტერმინით მავნებლის ოჯახს მიუბრუნდნენ, დაარბიეს, რაც მოეწონათ წაიღეს და მტრედი-ვით მოღულუნე სახლში ვიღაც რუს-ქართველა თუ გაურკვეველი ეროვნების ცოლ-ქმარი ჩა-ასახლეს. რაც ამ უკანასკნელებმა პირველად გააკეთეს, გახლდათ ის, რომ მღვდლის უნიკალური ბიბლიოთეკიდან წიგნები გამოზიდეს, შუა ეზოში დაახვავეს და ცეცხლი წაუკიდეს. ამ ადგილზე დღესაც ხარობენ გაურკვეველი ჯიშისა და სახეობის ულამაზესი ყვავილები, რომელთაც სოფლელები წიგნის ყვავილებს ეძახიან, ცეცხლმოკიდებული წიგნებიდან ჩამომდნარი სიტყვების ნიადაგზე ამომზევდნენ ეს ფერადი საოცრებანიო!

საალდგომოდ სოფელში ამბავი მოიტანეს-მღვდელი აბო სხვა ანაფორიანებთან ერთად, ზესტაფონთან, ვაგონში ჩაცხრილესო! ის ალდგომა შავად გაუთენდა სოფელს, ჩუმად ღებავდნენ კვერცხებს და ჩურჩულით ეუბ-ნებოდნენ ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა“, – „ჭეშმარიტადო!“

მღვდლის ეზოს გარშემო შემოვლებულ ტრი-ფოლიატის დუყებს ჯოხით თავი რომ არავინ წააცალა, ავარდა, გაიფორჩხა და სამი კაცის სი-მაღლით გადაებურა ირგვლივეთს. გაუსხეპავი ხეხილი გაიჩხვარკა უშნოდ და თვალშეუდგამად. ალვისა და აკაციის ხეები აქეთ-იქით გაიბურ-ჩხნენ ქართამაშა ტოტებით. ჩაღრუბლდა და ჩაიზნიქა მღვდლის ეზო-კარი. იმ ცოლ-ქმარს ბიჭი შეეძინათ, ისეთი – მკვდრებს აკლდებათ და ცოცხლებს რომ ემატებათ, ხლაპია დაარ-ქვეს. იმ უბედურ დღეზე გაჩენილს არც სოფლი-სა გაეგებოდა რამე და არც იმის იქით სამყოფ-ლოსი. უშვილძიროდ ამოვარდა და ამოიძირკვა ფუქე-სამყოფლოდან! მისი სიკვდილის მერე ვიღაც გამოჩნდა, იმ ხლაპიას მიერ მემკვიდრედ და ნათესავად ალიარებული. ახლა იმ ვიღაცამ მოიფუძევა უმადურად მღვდლის ნაწვალებ და ნალოლიავებ ეზო-კარში. მოვიდა თუ არა, უშ-ველებელი, უზარმაზარი ხეების აჩეხვას, შეშად გაყიდვა-გასაჩუქრებას მიჰყო ხელი. მერე ჭას მიადგა, ნაგვითა და ნარჩენ-ნაბურით ამოვსება დაუწყო, რაში მადგია, ონკანი შემოიყვანეს, მაინც არ ვხმარობ, თანაც რა ჯანდაბად მინდა ამ სიღრმის ჭა, ვინმე რომ ჩავარდესო? – ასე წაბილნა და სასუნთქი ამოუქოლა მიწაში ჩაგუ-ბებულ მზის ანკარა ცრემლებს.

ჭის გაუქმების მერე, ყოველდამით ძილ-თაშორის მეზობლებს ეცხადებათ მაღალი, ტანხმელი, თეთრწვერა, ანაფორიანი მოხუცი და ცრემლმძლეულად, გასაწყლებული სახით ივედრება: ხალხი არა ხართ, ღმერთი არა გწამთ, ერთი ჭიქა ჩემი ჭის წყალი დამალევინეთ, სხვა წყალი არ გადამდის ყელში, ამოვშრი, ამოვიწვეთე, წყურვილისგან ვიხრუკებიო!.. ერთმანეთს უყვებიან ერთნაირად მოღამებულ სიზმარს მეზობლები, არ იციან რა ქნან, რა მოიმოქმედონ?!..

მთვარისას კიდევ ნუ იტყვით, ამ ჭის ამოვ-სების მერე თვალით არავის უხილავს ბადრი მთვარე. არ ვიცი, ჩემო კარგებო, მიწიდან ჯერ არავინ ამოცოცხლებულა და იმას რა ამოიყ-ვანს!.. ვერ მოასწრო ამოსკუპება და არისო ახლა იმ კაცაბანა წყალთან ერთად დასამარებული!..

წუხს ყველა!..

პატარა ბიჭმა ღვთისომ, ამოვწმინდოთო ჭა... იქნებ, იქნებო!..

# ქართული ლექსები

\* \* \*

სათოვლედ ემზადებიან  
ურთას თვალწამა ქედები,  
მინელაობენ ალსავლით  
ღრუბლის გრძელყელა გედები...  
ტყე შემკრთალია სიცივით,  
მგელს ეზარება ყმუილი,  
უკვე რამდენჯერ წამოსცდა  
ცას მისებური ტყუილი,  
მოვთოვო, მაგრამ ვერაფრით  
ჩამოიბერტყა სითეთრე,  
და ჯეგეთიდან გადმოსულ  
ფიქრებს ნისლებად იერთებს...  
ანწალაც ჩამოწვერილა –  
ზამთრის უძილო დარაჯი,  
ჩამოწენვია წვიმისგან ჩალა –  
კალთები ფარაჯის...  
გზებზე გაწოლილ ღამეებს  
კვლავ აფხიზლებენ ძალები,  
მოადგებიან რიურაუად ჭიშკრებს  
სისხამი მძახლები...  
წელსაც უთოვლოდ ირთვება  
ჩვენი ოცნების ფარჩები,  
თუ თებერვალმაც იძუნნა –  
პირჩალიანი დავრჩებით!..

\* \* \*

დრო მიდის ჩუმად,  
იანვარმა დაკეცა ფრთები,  
დაფარა თოვლმა  
თეთრი მთისკენ მავალი გზები.  
ახლა თებერვალს მოუწყებავს  
ზამთარი მუნდირს,  
სიცოცხლის უივილს შემოაფრენს  
ჩიტების გუნდი,  
მარტი საძირეს მოუმზადებს  
სამყნობად აპრილს,  
და გადაქარავს რილო-ჟრილოს  
ჭორფლებად დაყრილს.  
იების ჩრდილში მიიძინებს  
ნამგალა მთვარე,  
ტყემლის თეთრი ცა გამოაღებს  
უღრუბლო კარებს.  
დაფარა თოვლმა  
უსასრულოდ მავალი გზები,  
მიდის დრო ჩუმად,  
იანვარმა დაკეცა ფრთები!..

## მზაო გურადე...

როცა ახსნიან პოეზიას, აღარ ვიქნებით,  
ჩვენ ერთმანეთიც ვერ ავხსენით, ჩემო გურადე,  
არ დაგვიცლია სატრფიალო სავსე ჭიქები,  
და ვერ ჩავყევით ამ სიყვარულს გრძნობით გულამდე...  
ჩვენ მზით ვიყავით, მზეში ვპოვეთ საერთმანეთო,  
არადა მთვარეს უფრო ძალუძს გულის გაღება,  
ახლა ერთმანეთს ვეღარ ვხედავთ უკვე საერთოდ,  
და გვევალება ულიმდამოდ დღეთა წალება...  
მე ვკანკალებდი, სურვილს ძლივსლა ვეჭირე ხელში,  
შენი ღიმილი ჩემი სულის იყო დარობა,  
ის ამონთება დღესაც ისე ტკივილად ხვნეშის,  
აკლებს ვერაფერს წყება წლების, უამთა ქარობა...  
იყავი ნორჩი, უბლალავი წყალი, კაკაბი,  
მღეროდი გრძნობის აფრენამდე, მზეო გურადე,  
შვენოდი ზაფხულს ღიმილით და ზღვისფერი კაბით,  
მე ვცახვახებდი ჩაძირული ზღვაში გულამდე...  
ახლა ყველაფერს გარდასულის დაჰკვრია ფერი,  
მზემ თავისთავში ვერ იპოვა მდუმარე მთვარე,  
ცხოვრებას უკვე გვილამაზებს ოჯახის ჭერი  
და მეუღლებს თუ გავუღებთ მხოლოდა კარებს...  
მოპირთავებით მზერენ სივრცეს ჩვენი ჭიქები,  
ძნელია მეტად გზის გაკაფვა დუმილ გულამდე,  
გაზაფხულების საპირზონედ რომ არ ვიქნებით,  
იქ მაინც ვიყოთ ერთმანეთით, ჩემო გურადე!..

## სიტყვა...

ბაბუაჩემმა თქმა იცოდა-  
სიტყვაა ღონე,  
თუ სიტყვა მოსდგამს-  
მდიდარია არაფრის მქონეც.  
სიტყვას ძალუძსო, ბაბაია,  
მოსრა ყოველის,  
დანდობას მისგან თუ ინდომა  
ნურვინ მოელის!  
ასევე, მეტად ტკბილია და  
თბილია სიტყვა,  
პატრონობს ნათქვამს, უფრო მეტიც –  
რაც უნდა ითქვას.  
ტრიალებს მუდამ ციბრუტივით,  
საკაცეთს უვლის,  
სიტყვა დედაა სამყაროსი,  
მამაა უფლის!  
თუ სიტყვა მოსდგამს-  
მდიდარია არაფრის მქონე,  
სიტყვა – გულია სიყვარულის,  
სიტყვაა ღონე!..

## გედო ჩემო...

ნისლი იკიდებს კანკალს ყინვის,  
ნისლი იმ მთათა,  
წვებიან სადაც წერონი ღრუბლის,  
გზები არაკეთა  
მიდინდებიან კრიალით ლურჯის  
ჯეგეთას ფერდით,  
მოდი, გამოჩნდი, მზეო ნიავთა,  
ბავშვივით გვედრი...  
არ გამიყვითლდე,  
ვეღლო სიზმრის- სამყაროს ძალო,  
არ დამესიზმრო ძველებურად,  
ტანქარო ქალო,  
ალარ წამართვა დრო ძილისა-  
სიკვდილის ჟამი,  
რათა შევიგრძნო არაობა  
უსახო წამის...  
ნისლად ქცეულო, დარდო სოფლის,  
მანევრარ გულზე,  
ნულარ იცეკვებ, ბედო ჩემო,  
დროის დაკრულზე!..

## ნისლი მოედო ნაცრისფერ ჭალას...

სამყარო ისევ ჩქარობს და მიდის,  
ცას მიბმულია კვამლ-ბანრით სახლი.  
და ყველაფერია ისეა მშვიდი,  
არღვევს სინყნარეს დალლილი ძალი...

ნისლი მოედო ნაცრისფერ ჭალას,  
ნისლი ფიქრის და სევდის მყოფელი,  
გამომხმარია ბოლომდე ჩალა  
და შემოდგომას იხდის სოფელი!..

## უცდა დამალოს...

**“ქალი ყოველთვის რაღაცას მაღავს”**  
**ვახტანგ ხარჩილავა**

გვეპატიება კაცებს ყოველი-  
შეცდომაა თუ შეცოდებაა,  
რატომ? – იმიტომ რომ ვართ კაცები  
ჩვენი სქესის და ლონის წყალობით,  
პატრიარქალურ მომრეობით და  
ყვირილის ძალუმ, მედგრად შეძლებით...  
თან შეგვიძლია გაქცევა, წასვლა  
და სხვაგან პოვნა თავშესაფარის...  
ქალი კი დარდობს, ოჯახზე შიშობს,  
აშინებს მარტო შვილებთან ყოფნა...  
აშინებს მარტო შვილებთან ყოფნა...

ფიქრი პურზე და ფიქრი სითბოზე,  
თვალებდაჭყეტილ ბავშვების განცდით  
გაელვებაზე – წამით, რომ ერთ დღეს  
მოვა შიმშილი და თვალებს დათხრის  
უდარელობის თბილ, ნათელ კერას...  
ქალს ეშინია დაკაკუნების, ვაითუ  
ვინმემ შემოალაფოს  
და უსირცხვილოდ, დარობროხებით  
ახადოს ფარდა ფარულ გაზაფხულს,  
გულში კვირტებად რომ ჩასხივულა...  
რომ ჩამოიქცეს ჭერი და ბოძი,  
გაქვავდეს თბილი კუთხე, და სახლი –  
იქცეს ყვირილად, ცრემლად, გინებადად...  
დასრულდეს ბუდის ფილოსოფია,  
ტრადიცული ყრუ შემღერებით...

და ამიტომაც სულ მალავს ქალი,  
ყველაფერს მალავს:  
იმ პირველ კოცნას, ვნებამკრთალ ალერსს,  
იცის რომ ალარ აპატიებენ – სიყვარულს  
სხივად  
გამობრნყინებულს,  
ბავშვურ ანცობას, აფრენას მტრედის თბილ  
უბიდან  
და ხელის შევლებას  
მეზობლის ბიჭის...  
სიმართლეს ჩვენთან ტყული უჯობთ,  
ყოფნა სიცრუის ორომტრიალში!  
სიმართლეს სჯიან, ამართახებენ და  
სიმართლისთვის მიაღირსებენ  
ფურთხსა და წყევლას...  
და დაუნგრევან, რასაც ოცნებით,  
თუ უოცნებოდ შესწირა თავი...

უნდა დამალოს, უნდა დამალოს,  
უნდა დამალოს – ქალმა წარსული,  
და ისიც, რასაც ყოველდღე ტკენით  
საკუთარ გულში კლავს და იმარხავს!..

## გაგიკვირდება

ისე მსურიხარ, ალალო ცრემლო,  
რომ გითხრა მეტად გაგიკვირდება,  
ვდგავარ და სულის სათიბში ვცელობ,  
შენი ქასური რარიგ მჭირდება...  
ჩვენ ეს გზები ხომ ტკივილად ვცანით,  
გადავიღედე გული სათოვე,  
მესხურებოდი მალამოსავით-  
ვეღარ ავხსენი რატომ დამტოვე...

## ლაშა გვასალია

ახლა კი მთელი არსით მჭირდები,  
როცა ცას ნისლის ღილად ავაწყდი,  
შენს თავს ვფიცავარ, გაგივირდება –  
ღმერთის სახება ეშმებს წავაწყდი...  
ჰოდა, მოსხურდი - ნუ მტოვებ მარტო!..

### შეცვი...

უკვე ვეღარ ვგრძნობ სხვა აღმაფრენას,  
გაზაფხულივით ფერით მდიდარო,  
ვტოვებ სასიტყვეთს – ბრძოლის არენას,  
რომ შენში შვებით გავიმდინარო...

თითქოს ჰაერი შეერთა, არ იძვრის  
და დუშის სამყარო დროის სტუმარი,  
ფესვების გადგმის სურვილს აღმიძრავს –  
შენში ეს მზე და ეს საბუდარი!..

### ერთი ამბავი...

ვერ ჩაეტია ვერანაირად  
მთვარე ჭაში და მორთო ქურქული,  
ოწინარივით ვეკიდეთ ღობეს –  
მე, კოჩია და ბესო ქურხული.  
ვმღეროდით რაღაც სასიყვარულო  
სიმღერებს არყით გამომთვრალები,  
მაშინ კარგი და დილას სირცხვილით  
ვერ გავახილეთ, მახსოვს, თვალები...

ის ცირა ვისი ხათრითაც გვასვა  
კოჩიამ მსხლის და ტყემლის არაყი,  
ყოფილა სხვაზე დანიშნული და  
რას უშველიდა – ღექსი, არაკი...  
და ამიტომაც ძველებურ წესით,  
გამოსავალი არ იყო როცა,  
მოვიტაცეთ და ავყევით ენგურს  
ღრიანცელით, თან საარყე ბოცა  
გვათრობდა გიუურ გზა და გზა ისევ,  
მივუახლოვდით სვანეთს და უშბა  
თეთრი ბერივით იდგა სივრცეში...  
მოიტაცეთო? – უჰ, არა უშავს,  
- გვითხრა სვანმა და ღია ჭიშკარში  
შევმდინარდით და ბეჭიდან ხარის  
სულ მთვარისხელას ვათლიდით ლუქმას,  
და პატარძალის მადევარი- ჯარი,  
მოადგა ღრენით ჩართოლან ლუკას...

მურყვამი ყელზე იხვევდა დილას,  
მამლის და ხოხბის მითიურ ხმობით,

სვანურ- მეგრული ვიწყეთ ქეიფი  
მოტაცებული ცირას თანხმობით...

ჩამოჰკრა, მარა რა ჩამოჰკრა  
თითები ჩონგურს,  
იმ პატარძალმა დანიშნული  
რომ იყო სხვაზე,  
მაფშალიები შემოეწყვნენ  
მისი ხმის ქონგურს,  
მთვარე საზამთროს ნაჭერივით  
ებნია ცაზე...

ელოდებოდა მოუთმენლად დასასრულს სიძე  
ქეიფისას და ადუღებულ ძარღვებში სისხლი,  
აუჩქროლდა და შეცუნცულდნენ  
სასარეცლოში,  
ამოიკვნესეს სიყვარული, ჩვენ ლვინო  
ვისხით...

სინდისის ქენჯნა შემოგვესხა,  
როგორც ბექთარი,  
იმ დამნიშვნელი ბიჭის ცრემლი,  
წუხილი, რამე  
და შევიგინეთ ჩვენი ყოფა  
ასე ფერმკრთალი,  
გავყევით ზლანზვით ჩვენზე ბევრად  
კაშკაშა ღამეს...

ვერ ჩაეტია ვერანაირად  
მთვარე ჭაში და მორთო ქურქული,  
მოუყვებოდით დალონებულნი  
გზას სვანეთიდან მე და ქურხული!..

### ჩვით სოფელი

ჯორკოზე იჯდა ბაბუაჩემი  
და გაჟყურებდა შორეთს მდუმარი,  
ცაზე ღრუბლების ცურავდა გემი –  
მიუწვდომელი ღურჯი სტუმარი...

სევდიანობდა ეზო და კარი,  
ძალლსაც თათებში თავი ჩაერგო,  
ეზინთებოდა ქვა-ღობეს ხარი,  
მე კი პატარას ვეღარ გამეგო –

რა სატკივილო მოგვენთო ასე,  
ბებო უსიტყვოდ მჭადის ფქვილს ცრიდა,  
და ირგვლივეთი ღიმილით სავსე  
ჩამოღრუბლდა და მეჩვენა ციდად...

შევიტყვე მერე, ძილისწინ მგონი,  
მეზობელს თურმე მოუკვდა ბიძა,  
და მდუმარებდა ესე სოფელი –  
წეს-ჩვეულების მორდუ და ძიძა!..

### ნათლობა... იორდანი...

და სცხო მირონი  
იყსოს კაცმან,  
იქმნა ნათელი,  
იბადებოდა ნათლობით ჯვარცმა,  
სულის სანთელი  
იწვოდა ნელ- ნელ,  
ნათლდებოდა სიტყვა მდუმარე,  
იდგა ზამთარი, თვე აპნისის,  
იშვა მდინარე!..

### კესანი

ერთად დავკრიფეთ კესანე,  
იდგა მაისის სიზმარი,  
არ მითხრა: “შენი კვნესამე”, –  
ახალი რამე მითხარი...  
მთიდან ნისლები დიოდნენ  
ცისა და მიწის მისნობად,  
მე შენი სული მციოდა –  
ოცნების მარადისობად...  
წვრილმანიც მახსოვს რატომლაც,  
ის დღე – მაისა სიტყვებით,  
ახლა ფიქრივით მარტო ვარ,  
კვლავ მარტომობით ვიწყები...  
ვეფერებოდით ბალახებს,  
მზე იცინოდა პირთამდე,  
ვიდრელა რამეს გავამხელ-  
წავიდე უნდა მანამდე!..

### სებია...

(ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას)

დიდო სებია,  
დრო თავისად რჩება დალლილი,  
შენ რად დაკარგე განძეული უთაკარესი,  
ცა უღრუბლოა, და კამკამა ფერებჩახდილი,  
ისმის გრგვინვა და შეძახილი,  
ბრდლვინავს არესი...  
ვეღარ გაიდო სოფლებშუა

ხიდი სალექსო,  
აქ ყველაფერი გაიცვითა,  
იქ კი რა ხდება?  
მითხარ, სებია,  
მოთმინების ძალი ამევსო,  
ერთი მზე დაგვრჩა საფიცარი,  
ისიც მოკვდება?  
ზურმუხტოვანი ზმანებები  
განერთხო სიზმრის  
ფსკერზე ხავერდის,  
დღეები ჩუმად მოკლდებიან  
დარად იმედის,  
არ უწერიათ ამოფურჩქვნა  
ოცნებებს მიზნის,  
რადგან იმ კლდეზე დალლილები ვეღარ  
ავედით...  
სად ვიხილავდით პირველყოფის  
აღმოცენებას,  
და შევიგრძნობდით  
ბიბლიური ნოეს კირთებით,  
ვით ამოთენდა ეს დროება  
სვენებ- სვენებით,  
თან გავიგებდით- რად დაგვყურებს  
ცა გაკვირვებით...  
თუმც ვერ გპოულობ, მით დაგეძებ,  
უკვე წლებია,  
სადა ყვავილობ, სიზმრობ ვისთან,  
ცაო სებია!..

### კემვიდობები...

იქ უნდა დავრჩე,  
ტოტებს ღრუბლის ვებლაუჭები,  
მივყვები სარჩევს,  
ვეღერები ლექსის მუჭებით  
სამყაროს მარტო,  
უსასოოა მზე ნახანძრები,  
ცრემლისად ვდარდობ,  
მიყანყალებენ სულის ტაძრები...  
ცა გასაოცრად დაცულია  
ნისლთა ფარებით,  
მთათა უბიდან მოვნებული  
ფრენენ ქარები...  
გადაფენილა საგულეთი  
სიზმრის ლოდებით,  
ცაო და მზეო, მოგონებებს  
ვემშვიდობები!..

### შენ არ ხარ სახლში...

კედელზე კვლავაც ძველი ნახატი –  
“ფრთებჩამოყრილი ნაძვის ტოტები”,  
ზამთარი გრძელი სიზმრის სახადით,  
გათეთრებული თოვლის ოტებით...  
შენ, არ ხარ სახლში, სიცარიელე  
გამოლეული მოხუცის სახით  
შეჰყურებს მომსვლელს, ჩუმად ტრიალებს  
და ფიქრებს ქარის სხივილით გახლის...  
მოგონებები ნისლში მცურავნი  
წვებიან ირგვლივ ასე ნებისად,  
და ტკივილები- ამომწურავი  
დარდით გამომყვნენ განშორებისას!..

### გრანელი...

იმ სილურჯეს ცა ჰქვია,  
და ცითა ვარ მაღალი,  
ეს ლექსები ცხვრებია-  
მე კი მათი სარქალი...  
შენ სადა ხარ, თოლივე,  
მზერით ველარ გეხები,  
აქ კი ისევ თოვლია,  
ისევ თეთრი ვერხვები...  
გაზაფხულის არ მჯერა-  
ტკივილების დედანის,  
თოფს შეაჯდა წერისად  
ფრთებდალლილი ქედანი...  
ბახ!.. და ესეც დასრულდა,  
ბედს ხომ გიყად დავყავდი,  
მიწის ბოლო ცას უნდა,  
ჰოდა, მიწავ, ნ ა ხ ვ ა მ დ ი ს!..

### ზერად ნისლის და ზერად ღრუბლების...

წამოიყვანეთ მამის სული ძაფით სახლამდე,  
გვთხოვა მამიდამ,  
გულს უთუთქავდა ძმის სიკვდილი და  
ცახცახებდა.  
სჯეროდა სული ბრმა იყო და ისე ზარმაცი,  
ველარ შესძლებდა სახლის ზღურბლზე  
ფეხის შემოდგმას...  
თუმცა სად ჰქონდა სულს ფეხი თუ  
მუხლი და ტერფი,  
სული – სულია, მას ცის სისხლი  
უდგას ძარღვებში,  
და ამიტომაც მიმოდგება ასე იოლად

### არსში და გონში...

სული უფრორე ფიქრია და აზრის სურვილი –  
რომ უკვდავებას შეუერთდეს  
ღმერთის ქარაგმად...  
მამიდა წუხდა და ჯავრობდა  
ძმის სპეტაკ სულზე,  
რომელიც თურმე თუ ძაფს არა,  
სხვას არაფერს არ გამოჰყება,  
და მარტოსულად იქანავებს  
ზამთრის ტოტებზე, ჩიტები მაინც  
ფაროსანის წამალს გადაჰყვნენ,  
გადარჩენილებს ტყე ინახავს  
ბოლო იმედად – იმისა, რომ  
ფრთებმა იცოცხლონ,  
იცოცხლონ ფრთებმა...  
მამიდა წუხს და ვერ ივიწყებს  
ჩვევას ძველებურს,  
ძაფით, ჩონგურით, სიმღერით და  
ხვენნა- მუდარით სულს უნდა  
ქება შეასხას და სახლში ასე შემოტყუებულს  
მზე დაუმკიდროს...  
სული ქარების მემკვიდრეა და სწამს იმისა,  
რომ გადარჩენილს შეეძლება  
გზნებით შემოსოს მონატრების  
შიშველი ცრემლი...  
დარდობს მამიდა, ის ძველებური წესის  
ქალია და ახლებურის ტკივილზე ნაღვლიბს.  
მამის სული კი სახლშია და მე მაკვირდება  
რომ არაფერი არ მოვაკლო ოჯახურ კერას –  
ჩემი სამშობლოს ერთ პატარა განცდის  
მონაღლეჯა!..  
მამიდა კვლავ წუხს,  
მამის სული სახლშია უკვე,  
ძაფ- ლოცვების და  
ჩონგურ -დოლის დაკვრის გარეშე...  
დრო შეიცვალა, სულმაც იგრძნო ახლით  
მაღლობა,  
მამიდა ისევ ძველებური წესის ჩრდილშია!..  
მე ვუფრთხილდები მამის სულს და ოჯახის  
ცნებას,  
დრო მიდის, როგორც ჩემი სოფლის ჩუმი  
მდინარე,  
მე კი მარტო ვარ, სრულიად მარტო,  
რადგანაც ჩემი აღარ ესმის ირგვლივ არავის,  
გარდა მამისა, რომელიც სულად გადაიქცა  
ნატვრის გარეშე და უსასრულო სივრცეში  
ფერობს –  
ფერად ნისლის და ფერად ღრუბლეთის!..

## ერთხელ...

ხოხბისყანაში სანადიროდ მივდივართ ორნი,  
 მე და ბედიშა,  
 მიგვყავს სეტერი, დაგვსტრიალებს უღალფრთება ქორი,  
 უცებ ბედისად  
 გადმოცევიტინდა კურდღელი და მწევარი ეცა,  
 იჭექა თოფმა,  
 მიეჭედა გრუხუნი ზეცას,  
 ფიქრებში მყოფმა კიდევ ერთხელ ვაძაგე ყოფა,  
 და ცხოვრებაზე ჩავიქნიე ისევე ხელი,  
 ღრუბელი ჭალას მოუდინდა დოფა და დოფა,  
 ვდგავარ და გეტყვით: ამ სოფლისგან  
 არაფერს ველი!..

## რატომ შემაპეთ?!..

შემაქეს და  
 დავკარგე რაღაც...  
 რაღაც ის, რაც ხერხემალს მიმაგრებდა, მმატებდა ძალას,  
 შემაქეს და  
 ასი ფერიდან  
 ოთხმოცს ფერი გაუბაცდა ძალადაკარგულს...  
 მთვარეც გამექცა ვერცხლისფერი სამზერელიდან,  
 და მზემაც უცებ ამარიდა ბარჩხალი მკაცრი...  
 ნეტამც არ გეთქვათ, არ შეგექეთ, არ ჩამკონოდით,  
 მიწის სულიდან ამოვთქვამდი ძალობებს ღმერთის,  
 თანაც ჰენდელსაც ვაჯობებდი- “ალილუიას”,  
 და საოცრების კალმის წვერზე ავაძეგლებდი ღრუბელთა  
 ნოტებს...  
 მაგრამ აპა და, შემაშინეთ, დამახეიბრეთ,  
 ისე შემაქეთ, რომ საკუთარ თავს გავემიჯნე,  
 მაგრამ შევცხადდი,  
 ღამეული ვიტვირთე გზნება, ესე უტყვი თუ ხმამალალი  
 გაოცებების,  
 სიტყვაო ჩემო. ძარღვძლიერო, კავაბა სიტყვავ...  
 ახლა იწყება ქების შემდგომი გაელვებანი.  
 მიდით შემაქეთ, შემაქეთ მაგრად,  
 რადგან ყოველი დამფრთხალია უკვე ბოლომდე,  
 და თუ დღეიდან არ შემაქებთ- გავიყინები,  
 სიტყვა და სული გამიშეშდება...  
 ჰოდა, შემაქეთ, არ დაიზაროთ...  
 მაინც ყველაფერს ერთი აქვს ფასი!..

# ქართველი ლექსები

## ზუათ ჩხონეფილ...

თე მარგალურს მუ ბლოლუა,  
ღორონთიშ გურს ჩუალირს,  
ქანომქექე შურს, გოლუა,  
ქემვეხვარე ცას ჭყოლირს...  
მუჭო ჭყონო ეიფალ,  
მუჭო თუთათ ეიფალ,  
ლერსიშ ჩხვეჩხვო გოიფალ,  
ასე ხოლო სიტყვათ ფალ...  
მორკულ რექ დო მოხანტილ,  
ხვარჩალია, წკონდაფილ,  
მინ სიცორცხლეთ მოწკანტილ,  
მინშა ჭუათ ჩხონაფილ...  
ეკი- დიკი ფაფანია,  
მორე- მურე ცანდაფილ,  
თონთორიაშ კაფანია,  
ჩხანას თოლო ჩანაფილ...  
ქანომქექე, შურს, გოლუა,  
ქემვეხვარე ცას ჭყოლირს,  
ქომი ღურუს მუ ბლოლუა  
ჭარაშ ჭუათ ჩუალირს?!..

## ართშა ღურ უჯგუ...

დიო ფრევალშა მერეხ მეძ,  
კუმელ თუთარე,  
ნირს მოფუნაფილ, ცახორცალო  
გვალას კინაკირ,  
ათე ცაშ ეშე შურდანტირუ  
ცანდილ ხვიარე,  
ზორლაშ დალიას გაშერებულ  
ერემ მიკოკირ...  
ჩე უკმელეფშე მორჩიალერ  
ფინქრეფ მოთუნა,  
ლერსცალო სოთინ ვენტირენ დო  
სოთინ ვეძირე,  
ე, გოლვაფირო, მუსხი ზიტყვაშ თოლეფ  
მორკუნა  
სარკოეფი დო თიშენიე ფინქრშა  
ვეძინე...  
ლურს დღაშის ხოლო, სერ ლურშერე

გიმოხანტილი,  
აბა სინთოლეს სო აფორე სისმარიშ  
რლვაფა,  
თეზმა ტარკალე ამბეეფი ფერდელ-  
ფანტილი  
სო დუგანტირე, ოტყობინჯეშ-  
სერიე მაფა...  
აკიკათეს დო ართო ნთხორნა  
ინჭა- დურუმეფს  
რჩქინელ დო ურჩქინჯ, ლექერთი დო  
ლაგვა-ლაგვირი,  
თიშენრე წყარშა ვეგინჭუ დო  
ცვერე შურუმეფს  
ხუმლა აფ ჩხვეჩხვო დო ლაიტ ვარე  
გურით ბარგილი...  
დღა ონირზ სინთეს, ეკი- დიკი  
მიკო-მორკინელს,  
დუდშე ჭოფ და ვარ, ჩხომ კუდელშე დღას  
ხომ ვეჭოფე –  
ნარაგად რენ დო მოკოს ჭყვეჭყვილ  
ანზრიშ მორკინეს  
ქავოშურდით დო თიშენიე ბგორუნთ  
მეთოფეს...  
ქაათას ეგბა დო დონჭყოლას  
მუნაფაშ მაფა,  
აკოსოფას დო საფანტეფით  
ნჯარი დალუას,  
ართშა ღურ უჯგუ გერგეზულო  
დო ჭუაშ რლვაფა,  
თეზმა ლერსეფიშ ძლაბუას დო  
თირთოლ-ლალუას!..

## შური...

შურ ვერწყებე, ვეზიმე,  
კოჩანობაშ მანგიე,  
ბორზამ შურიშ ცხაცხუა  
სიმონიშ თანგიე...  
ღორონთ კოცს ვაუძირ,  
უძირაფრე შურ ხოლო,  
ვართ ფერ ულ დო ვართ წონა,  
ვართ წნარე რე, ვართ კოლო...

მარა გაჭ დო გასარსხალუ,  
ტიბუ რენ დო უინიერი,  
შურობუმუშ კიდირცალო  
ხვამელი დო ბჟამიერი...  
ვესვანჯუ დო ხორციშ ტკვას  
ეკი- დიკი გილესოფუ,  
ასე ლერსო გინმართუ დო  
ხორხოტაშე გეშასოფუ...  
ვართ ფერ უღ დო ვართ წონა,  
ვართ წნარე რე, ვართ კოლო,  
ლორონთ კოცს ვაუძირ,  
უძირაფრე შურ ხოლო!..

## ფუოლირ გური

გელამსკირე ჩილამური  
სქან ცახორციშ ფატიათი,  
შურქ ვადმანტირ ოშურეს-  
ფსუალეფიში ნარქიაქი.  
მუჭო უცფას ქაშმოდინუ –  
თირიშ ფუფქო სისქვამექი,  
კვარჩხან ღვანწკი ქუოძირ დო  
ვამაჭირნეს მარძგვან ხექი...  
ხვათა- ხვალე გეკლაბგორ  
ჭყიშ დინაფილ თხა დო შხური,  
გილამილ ხვეწათ, მარა  
ვაკო მითინს ნჭყოლირ გური!..

## ჩე ნჯა...

მუაჩქიმცალო ეკირთუ დო  
შარა გოხიბუ,  
გილათქვაშ დემიშ მერეხი დო  
რინაშ მარქია,  
მუნაფაშ ფრიმულქ აკირქუ დო  
ჰავაქ გოტიბუ,  
ფინქრ მისოფუანს გურჭვილი დო  
ღურუშ მარჩია...  
ჭკირნა ჩე ნჯალეფს, რჩინუეფს დო  
ფოსვეფ ნტკვარილეფს,  
ორო დიხაშა ენმურსი დო  
სერეფს ახოლუ,  
თხუმუეფ-ჭველეფს თეშ გენონო  
წკვირალ-ნძლვარილეფს,  
მევოჯინექ დო შურ მახურუ  
ნჯარით მახოლო...

სისქვამე ღურუ, ძლონძლოეფი  
ეშე ფალუნა,  
მარქვალიშ მასქვალი ქოთომცალო  
კარკალანსი ბრელი,  
უღუ თინეფი-ღარიბეფიშ მეტო  
თვალუნა,  
თეშენრე ქანა ქოთოლირ დო  
ბირგულო ჭყელი...  
ვო, მახა, ქომწი მის ღუტუა  
გურიშ მენდი დო  
ცას მუბლოლუა ცოდაცალო  
ეკოქიმინელს,  
არძოქ მიმოტუ-მიდგას შურით,  
გურით ვენდი დო  
მის ვოკოქ ანწი-სოდგა ვებდა,  
მუდგა ფქიმინე?!.  
ფინქრ მიქანჩუანს გურჭვილი დო  
ღურუშ მარჩია,  
მუნაფაქ ფრიმულ აკირქუ დო  
ჰავაქ გოტიბუ,  
გილათქვაშ ჩე ნჯა დემურო დო  
რინაშ მარქია,  
მუაჩქიმცალო ეკორთელ დო  
შარა გოხიბუ!..

## გეთანდე მერცხას...

ოკო გედირთე, გემწოსოფე, გიკურცხინუე,  
გეთანდე მერცხას, ვასქვანს თელას ღურუშ თოლეფი,  
თე ტყაშ წვენვეფი ლანდარულო აკირცხონუე,  
ქეგნიფაფუე ბურჩხეფი დო ჭველე-ჭოლეფი...  
ბჭა ვამორწონს დო ორო-ოროს გორუნქ დანტირუს,  
ტყობა-ტყობაშე შურშა მენდო ვადიხვანცუე,  
ქინა ჯიხას მუთუნნერო ვადგანტირინე,  
კით საღორონთო ონჭაფეფშა ვენკიცაცუე...  
მუთ ვაშინერსინ თიშა „ჰამენ“ კოცს ვარაგადე,  
ვემეიღენს ქირსტე-ეთანაფილ სარკო სარკალი,  
ნირსო გობძუნა მითაუამიშ ფინქრეფიშ ბადე  
დო უკვანწუანს დუდიშ ტყურას – ონწეს მარგალი...  
მუშ არტახი დო მუშ კალამი, დო მუშ კვანწაფა,  
ზორლას მეკირილ ონარღეშო ფინქრეფს გუართუქ,  
თე ონტყოლეშის მუქ დომოსქიდ გურიშ მარწაფათ,  
თეშენრე შურიშ ორწოფუო მუთუნს ვავორთუქ...  
ქემერთ, გედირთი, გემწოსოფ დო გემწიბირგულე,  
მერცხაშ გოთანას ვასქვანს, მახა, წკურილ თოლეფი!..

## ჰე, პირალეფი...

ბირათ დოჭყაფილქ-  
ბირათ ოკო აკითანუას,  
ბორია იჭყანს რშვინუას დო  
გურჯვილ თვალუას...  
გურმეჭვიეფი გილაკონენა  
სინთეშ ჭურჭულეფს,  
ჩიტეფქ ცოროფაშ ობირეშო  
აკილურჭულეს...  
დღათ მოფშაფილი  
სერ მუშობურ ფინქრო ინჭაფუ,  
ჰე, ჯიმალეფი, დღახუე დო  
შუმა იჭყაფუ!..

## ნაკურთხება

შურ ბორზალერ ნძალა რენ დო  
ხორციში მონკა საკურთხიე,  
გიმოჭვათანს სამირონო -  
ქირსტეშ თოლშე- წაკურთხია!..  
სადავოი დო, სადაშ ვარი,  
სადავოი ცაში თია...  
თე ქიანა, გოლვაფირო-  
ჟინ ქიანაშ საკურთხიე...  
სადავოი, სი ვარადა,  
სადავოი წაკურთხია!..

## მემიჩე...

მემიჩე: ათე უდიდაშ გვალეფ  
ჩქიმ პაპუეფს მაძლირკუნა  
ნახანდ პუხუშა,  
მუაჩქიმქ ხოლო ქემიაძინ დო  
ღორონთიშ ღლალს,  
ექექაფილო ვორწყექუ დო  
ასე თის ფიბქრექ:  
მა ნამ მანგშა მაი ათარნალ?  
გვალო მონკაქ ქუმაუდა-  
მუჭო იბიბრა,  
ვარა ლერს მის ოკო ნაშქვიდა დო  
ეკნაფიუვინა?!

## მუ პლოლუა?

დღა ილიებ ტყურეფით,  
უია დო ვაიათი,  
ურზუქ თეზმა ცურაფეფსი-  
ქოიათ დო ვარიათი...  
ნეტე ჩქიმწკმა ქორცუასი,

გურს ქალმორზანდ მერეთის,  
დონთხაფილს გევოდგინა,  
მუ ბლოლუა გერენ თის?!

## შელხეშ ნაპირა

ჩქიმ მოჭყუდალაშ  
დაჩხერ დო ნორცხვა-  
ქომომურიცხეს  
ტუტაშ კირუათ,  
ირფელ მიჩქუდუნ  
მიმოჩქუდ, მარა  
გით ვადმაგურუ  
ნირსიშ ჭკირუაქ...  
ვართ თუთაქ მაყვარ,  
ჯინათ შულადირქ,  
ვართ ბუაშა ეშმართ  
ტკვათ დო ჩართითუ,  
თე მონკათ გვალეფს  
ჭველათ ხართილეფს  
ჯინათ ვოძლირკუქ,  
ნჯარ დო კვარტითუ-  
ცა ვენგარაცე  
გვიმ დო ინჭაშა,  
ყილო ვაძლანძლე  
ჭინკეს დო ტურას,  
ღურუშა ნგარას  
მუთა დარკინე,  
მით ვასქილადე ჭუა  
მანგ ტყურას...  
ჩქიმ მოჭყუდალაშ  
დაჩხერ დო ნორცხვა,  
ქომომურიცხეს  
ტუტაშ კირუათ,  
ირფელს ვონჭუდინ  
მიმოჩქუდ, მარა  
გით ვადმაგურუ  
ნჯარიშ ცვილუაქ!..

## საახალცანო...

ელია დო მალია რე,  
ეფოფორელ დალია რე,  
ფითქინიაშ მარჩია რე,  
სერ დო დღაშიშ ნარქია რე...  
თე ქიანაშ მენცარ თოლ  
სიზმარონას ქემვონწყორ,  
შურქ მუთუნით ვამმახირუ,  
შურ ბორზამ- ჯაბიშ ჭკორ...  
დღა დღალეფს ელმაზირუ,

მარდობუაში დანტიათ,  
თუთა ქირსტეს მუკმატყობ  
ლანდიშ გვერდო მორქიათი...  
ბორჯ ჩხორიეფს აკმოხვადუ  
ბჟაშ უხანე კორკონტის,  
თოლს უწეურუნს ოშერეფს,  
ამალალენს ოკონ თის...  
დღაშ დო სერი ივალუნა,  
მუნთირუნა ართიან,  
მარდობუა ქოდომპიჩეთი  
ლორონთ დო მარდიან...  
თირ- თირელიშ მარჩია რე,  
სარკოეფიშ ნარქია რე,  
ჯვეშნანაშ დალია რე,  
ახალნანაშ მალია რე!..

### ოკაცუ კოჩიშ რინ...

ვეიფშაფე ურძლელ ქვარა,  
ოკმაფუე კოჩიშ რინ,  
უთართუანს მოკონ ჭარა  
დღალეფს, მუჭოთ ჩხოუს გინ,  
ჩქინ შულადას მი წუხენს?  
გურით ოკო ქოფთქუათ,  
გეგმოფქაქით ცოდა დიხა  
ხონუა დო ბარგუათ...  
ახალქ მუთუნქ ვედიჭყინ,  
ჯვეშიქ ხოლო დომშურდეს,  
მემცარენთ დო ვეგეგინ  
მუ მელუნა ოშურეს...  
ქავოსკიდით დიარას  
უგა- მაგე ქაქაფით,  
მეურთ ართო ოდინაფშა-  
პოტიკეფიში ხარხაფით!..

### ჯიგა

კონ ბგორუნქ ლორონს სქან ოხვამალო,  
გიჩქ-შურ მაფ ჯაბით აკობონდლილ,  
თუთას გაბარბანჩ ჩხანაშ ჭიშაფა,  
იკილოთ გვალას ნირსი ბორკილ...  
ვართ ღურუ და ვართ ცოფუა,  
შხვა შარა,  
შხვა დღა,  
შხვა გახარება,  
ვართ გოტება,  
ვართ ჭოფუა,  
გუმორე ფინქრო ცა დო ხარება...  
მუოხვარ, ჯიმა, ათე გითოხშე  
შურიშ ღალას დო გურიშ ჭუასუ,

მეტებულ დიხას ზისხირ გიოხე,  
დაჩხერ ღნტ - ჯას დო ცურუმ ქუასუ...  
დღალეფს იმენდიშ რსხებათ მებცანდუნქ,  
დუს, გოლვაფირო, კონ გოილუა,  
სქანო ღურუმე ჩხანათ გეფთანდუქ,  
მეტის ვაონჭუქ დო მუ ბლოლუა?!..

### ოდოია... (პოლიკარპე ხუბულას)

ოდოია, ოდო დინა,  
რგორუნქუ დო ვემემდინა,  
მუნაფაშე მიჯინექ თუ  
თოლეფს ნირსის ელმუძინა...  
სქან ხონარიშ ეტორუა  
ცას სოფუნს დო მერეხანს,  
სი რექ ჩქინ მენდიშ ჭუა-  
ვამატყობათ თეზმა ხანს...  
აკა ჭვემას ქელათირ,  
აკითოლე მერეკეფ,  
სქან თოლეფშე მოთირელ  
ქუგმოთანეთ მერეთეფ...  
ოდო, ენდი, დინა ქარდი,  
მურიცხეფით გოფანელ,  
თიმ- თარია, ქარე- ქარი,  
ჩელაიათ გოთანელ...  
ათე გურელ ნოხორეფს  
უჯინექ დო ვარე ძინა,  
ეშალანდლვირ მერეთეფს-  
გურს კაკაბო ელმუძინა...  
მუნაფაშე მიჯინექ თუ  
თოლეფს ნირსის ელმათინა,  
ოდოია – ოდო დინა  
ქორნანქუ და ვემემდინა!..

### კოლოშ...

მიჩანს ცუდეს კოლოშ,  
ბჟალარაშე მონნილი,  
მორთელ, თოლწკმა ხოლოს,  
მობინეხელ- მონნყილი.  
მურიცხცალო კონკილი,  
კაკალია გურიში,  
თუთაშ ჭარათ მორთილი,  
მამფერაფალი შურიში...  
დირფელი დო გვირილი,  
ცას მებუნელ ხანნეკით,  
გიმოხვახვილ ნირსით,  
ეშახვამილ ყანნით...

გემჩანს მენდიშ ნძალო,  
ჯარგვალწკუმა ხოლოს,  
ქირსტეშ თოლცალ ლალირ-  
ჩქიმ ჩხვიჩხვ-უალა კოლომ!..

### მაშირხოლები...

მერწკაფუნა მაჭირხოლეფი,  
გეუძუნა შარა გირძე,  
ქარ-ბორიაშ ცანდილ ჭკოლეფი  
მი უცუნა ცაშ მეტ მინჯე?  
მეთხოზუნა თავრენ ჭუა,  
თავრენ ძიცა დო ხიოლ,  
ეჰ, ბედცალო უჩა ფსუათ  
დღალეფ ჯაბით მირსიოლ...  
მისუჩქ, შურო ვადართან,  
ჭირხოლიეფს, რწკაფიეფს,  
მუოხვარნა გითორულერ  
მობომიებფს, ძღაბიეფს?  
მი გაგენა ჩე გოთანაშ  
უხონარეთი გორკიას,  
მუნაფაშა მიშასოფილ  
ჩხორიეფიშ ორგიას.  
მი მიკოდგუნს ცუდეშ ცვას  
ქირსტეშ თოლიშ დანტიას,  
ეშმაკეფიშ გათოლარს,  
მაზაკვალიშ გარკიალს...  
ქარ-ბორიაშ ცანდილ ჭკოლეფი  
მი უცუნა ცაშ მეტ მინჯე,  
მერწკაფუნა მაჭირხოლეფი –  
გეუძუნა შარა გირძე!..

### ეუორეპ დო ეურზუპ ირფელს...

ქუორექ დო ქურზუქ რინას,  
ქოთ დიხაშე დო ქოთ ცაშე,  
ქემვარჩქვან მენდიშ ჯინას,  
წანეფიე მუთას ვაშე...  
ჭუა ბრელ გინომლალ  
ჩილამურით ეფუნელ,  
მუმობ ფინქრო ბჟაშ ოლალ  
სიზმარონას ეცუნელ...  
ჩქიმ ბინეხიქ დეღულან  
ღურუშ გეშა ეულირქ,  
თუთას შურ გეშუქაქ  
მეულირქ დო მოულირქ...  
მუთუნ ვამკვე ქიანას,  
რჩქინა ჯიმათ ელაპუნს,  
ხვალე თინა მაკვირვენს

ცაშე მუჭო ელაფუნს –  
ნირს ეკვათილ ზისხირცალო,  
მარდ დო ცოდაშ გინნატებ,  
ათეჯგურეფს ფიმქრენქუ დო  
ბარბანჩიათ მუმანტებ  
ლერს დო შურს მიწონუნს  
ჩილამურიშ მამონკას,  
ხეფაჩილო მიხარჯენს  
მენდის – ძიუთ ნაკონკას...  
ქავოსქიდ დღაშ დო სერ  
უმარდობათ ნჭყოლირ გურს,  
ცოროფაშა მუ იღოლე –  
ბირაცალო ეშმაფუნს!

### ჩეიმ გურფული...

მელე – მოლე ოწინდალე,  
შქას ხობწყარიშ რჩხიალეფი,  
კოკ – მუხურშე მუნაფანთა  
მაკვაზიაშ რსხიალეფი...  
ეკი-დიკი ლა-ჭუბერი  
შკა რეჭეხიშ გითნაწირა,  
ენიშქვართალ წვერედია,  
ოჩხომეშიშ ცუნდირ ცირა...  
ოხვამეშე ჭანთ ილანდ,  
ცაცხ დო ნუზუშ ნალანდირა,  
მასქურს მუფარფალუაფ  
ჩქიმ ჯაგირ ბაბუშ ალნაბირა...  
მუაჩქიმიშ ხუმა ცანდ  
ალმასცალო ცას ჭკირუნსი,  
მობარბანჩელ გურს დარანა  
ხირიმშორო შურს რხინუნსი...  
მაჭინკიაშ წანჭარეფი,  
ოჩოკოჩიშ ნახიორა,  
მიგვართალნა ჩელალუთი  
მიხართუნა: ხორა, ხორა...  
დღა სკიბურო გატრიალუ  
ხორც დო შურიშ დანტიას,  
ღორონთ მარდო უზიმუნს  
კოს მეხვამელ ჩე თიასი...  
მუ ბორბოლო ემორჩქინი,  
უდუნტირუ რსხიალით,  
ვენმანტირ შურქ სოთინ,  
ხვამათი დო რკიალით...  
ელე-მოლე ქარქანთია,  
ჩე გოთანაშ ჩხოროფილი,  
გურფულ-ბჟალარ მახარია,  
ჩქიმ თოლმახა ცოროფილი!..

## შურობული

ქირსტეცალო გეთანდ  
მარდობუაში რსხებათ,  
გინმაჯინექ გვალეფს  
ძინათ დო რკებათ...  
ჩონგურ დო გურიშ  
შურმოხირილ სანთელ,  
მურიცხებს დო ნირსის  
მასქურცალო კათელ...  
სქან ვორექ დო ჩქიმ რექ,  
საღორონთო ქანა,  
უმაღალაშ ცაშე –  
ნანაია, ნანა!..

## აფუნი

ბორია ყ-უმურს ჩე პეულო ფურცელანს,  
წყარ გვაღაშე მიკილოთ დო მოსოფუნს,  
მიდორეფი გეგნუხონუ ჩელას,  
ხობწყარ ამსერ ნაფაცერუს გოსოფუნს...  
მაჭირხოლემს ქუმურთუმნა ოჩხანეშე,  
კიდირშორო იტყვიცინანს აფუნი,  
მუმფერუენ მოკო, მარა მუჭო?  
ნეტე ასე საცოდება ქოპუნი!..

## ჰე, გერგეხე...

ჰე, გერგეხე, მესიაკონი  
სარკოეფი ქომნი კონი,  
შორშე მუსრე მიჯინექი  
აშ, ხოლოშა ქამნიკონი...  
მუმულეფიში ციონეფსი

ქემუთანგე ცა დო შარა,  
აკულანდლვე ხიოლეფსი  
ქუგაშინი ჯაბ დო ჭარა...  
მუს ციონნა მოკო-მოკო  
ჩილამურით აკორჩელსი,  
თით გარჩქილე მენცარულო –  
მი ჭყვიდეს დო მი გორჩვესი...  
მუქ ელგასიმ გაცანცალე  
ბუძგურიეფ გოჩანელსი,  
ონჯუაში ნაციონაქი  
გეურთესო გოთანელსი?  
სო დიგურე ათე ნინა,  
ცოდა-მარდით ეფუნელი,  
სი სარალო, ვეგნაუნა  
ცურუმუეფს ეფურნელსი...  
წყარმალუსი სქანი სისმარი,  
მოძირაფეფი – მერეთეფი,  
ქანუნე ჯგირობუათი  
ზალება დო შელორსეფი...  
ნაჭვიცალო ქუდიკვარჩხე,  
მუნაფეფშა გეშეკონი,  
მუმულეფშა ქომიკითხი –  
კოლხეთი უინ ცას ქიცინო კონი?!..

## ოგურეში

ჩქიმ ჯინჯიშა მეღონილემე  
ქუდომჭყესი ჩალუა,  
მარა მუსუ დუმარკენც  
გერც ცუცქეფიშ ლალუა...  
მუჟამსი რდგ უჯინჯეთ  
ჯაშ ნოშელა ფალუნდუნი,  
ვარა ყამა ჩუალირო  
ვარკალანდგ დო ვალუნდუნი

## ჩეიმ ნანაგე...

ჩქიმ უშკირატ სინთე დო უქვინჯელე ხიოლი, ჩქიმ ნძალა დო მენდი, ჩქიმ შურიშ მონნე, ჩქიმ დი-და, არძო დღა სკან ვარენო გოლვაფირო, არძა დღა დო სერ სკანით ვარენო ეუნელი, მარა დიდაშ დღლათ მოთანელ 3 მარტის მიგახვამა. მილიონ ნანას ქოპუნდა ჩქიმ დო ჩქინ ფანიაშ მასქვამებელო, მერთიშ მაძირაფალო და მანგიშ მიმარჩქინალო!..  
რჯუნუნქ ჩქიმ ქიანაშ უსქვამაშ დო ირკოჩიშ ოსხუნულ ნანა... ჩქიმ შურიშ პეურ დიდა!..  
არძა დიდას, არძა ნანას მივახვამანქ დიდალობაშ სასვებას!..  
ქოგგალეთ, დიდალეფ!..



# „კლიუკით ჩაწერილი გრინი“ – ლაშა გვასალის ანთონიშვილის მწერლობა

დიდი ხანი არ არის, რაც ქართულმა მხატვრულმა და ფილოსოფიურ-ესთეტიკურმა აზროვნებამ თავი დააღწია ყალბ, ტოტალიტარულ იდეოლოგიას, რის შედეგადაც შემოქმედებით კვლევა-ძიებას თავისუფალი ასპარეზი მიეცა. ამიტომაც ჩვენში მრავლად იქმნება თავისუფალი მხატვრული ნაწარმოებები, იქნება ეს ლექსი, მოთხრობა, ნოველა თუ რომანი. მხატვრულ ნაწარმოებთა ამ სიმრავლეში ცოტა თუ ატარებს ნამდვილი შემოქმედის დამღას. შეიძლება ითქვას, ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც ჭეშმარიტი შემოქმედებითი ნიჭი ღვთის მიერ ბოძებული ის მადლია, რომლითაც უფალი მხოლოდ რჩეულთ აჯილდოებს. სწორედ ამგვარ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს უნიჭიერესი ქართველი მწერლის ლაშა გვასალიას შემოქმედება. დარწმუნებული ვართ, რომ ორიგინალური შემოქმედის მრავალფეროვანი, ეროვნული სულიერების, განმაცვიფრებელი შეგრძნებებისა და მხატვრულად საოცრად დახვენილი შემოქმედების აღიარების დრო დადგა. ჩვენთვისაც ძნელია ერთ მცირე წერილში განვიხილოთ და სრულყოფილი სახით წარმოვადგინოთ გამორჩეული ხელწერის მქონე მწერლის ორიგინალური შემოქმედება. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ მის ნოველების კრებულზე: „ყველაფერსა და არაფერს შუა“, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ეს არის სრულიად ახალი, ორიგინალური სიტყვა ქართულ მხატვრულ პროზაში, რომელსაც ლრმა თეორიული, ფილოსოფიური, უფრო სწორად, ფილოსოფიურ-ანთონიშვილი და აქსიოლოგიური საფუძვლები გააჩნია. ზემოაღნიშნულის მართებულობისათვის ცოტა შორიდან დავითხყებთ.

კაცობრიობის წინაშე ყოველთვის იდგა ერთდროულად ურთულესი და უმარტივესი კითხვა – რა არის ადამიანი? „ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?..“ ადამიანის პრობლემა მხატვრული და ფილოსოფიურ-ეს-თეტიკური აზროვნების მარადიულ ე. წ. „დაწ-

ყევლილ“ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. ყველაზე მწვავედ ეს პრობლემა XX ს-ში დადგა, რასაც ადასტურებს ადამიანის შემსწავლელი სპეციალური მეცნიერული დისციპლინის „ფილოსოფიური ანთონიშვილის“ წარმოშობა და პოპულარობა. ადამიანური აზროვნება და შემოქმედებითი გენია, როგორც იქნა, მიუბრუნდა სოკრატესა და პლატონის მიერ მონიშნულ, ჭეშმარიტად ფილოსოფიურ პრობლემატიკას – ადამიანის რაობას; მისი ყოფიერების შესახებ მრავალი კონცეფცია გაჩნდა. თუმცა ადამიანის ამოუწურავი და არაჩვეულებრივად მრავალსახიანი სამყარო სულ ახალ-ახალ სიურპრიზებს და საჭირბოროტო საკითხებს სთავაზობს მაძიებელ გონებას. თანამედროვე, გაუცხოებულ სამყაროში კიდევ უფრო გართულდა ცვალებადობის სუბიექტის – ადამიანის არსის მოხელთება. ერთიმეორები აირია ემპირიული და ზეემპირიული ადამიანი. ასეთ ვითარებაში, ხშირ შემთხვევაში მეცნიერული ცნება უძლური აღმოჩნდა (ადამიანის შემეცნების რთულ გზაზე). ამ შემთხვევაში მშველელის როლში მითოსი, პოეზია – შემოქმედება მოევლინა კაცობრიობას და იქ, სადაც წმინდა გონებამ მყარად ვერ იგრძნო თავი, მხატვრულ სახეებსა და სიმბოლოებს მიმართა (ყველაზე კრიტიკულ მომენტებში თვით გენიალური პლატონიც კი მხატვრულ-ესთეტიკურ სახეებსა და სიმბოლოებს მიმართავდა). ამ მიზნით წარმოიშვა ახალი მეცნიერება – ჰერმენევტიკა. წინა პლანზე გადმოვიდა ტექსტის ინტერპრეტაცია, გაგება. ფილოსოფიურმა მოძღვრებებმა ადამიანის შესახებ მხატვრული ტექსტის ანალიზს მიჰყო ხელი. ამ მხრივ მრავალი საერთო აღმოაჩნდა ფილოსოფიასა და ლიტერატურას. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მწერლობა უაღრესად ფილოსოფიურ-ანთონიშვილოგიური ფენომენია, მაგრამ თანამედროვე მწერლებს შორის ცოტა თუ იმსახურებს ჭეშმარიტი ანთონიშვილოგი-მწერლის სახელს. გადაუჭარბებლად

შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მწერალთა ამ რიგს მიეკუთვნება გენიალური მწერალი ლაშა გვასალია, რომელიც ჩვენი აზრით, მხატვრულ პროზაში ახალი — გონითი მიმართულების ორიგინალური წარმომადგენელია.

ლაშა გვასალიას გმირები ჭეშმარიტად გონითი ადამიანები არიან, რომელთათვისაც ნიშანდობლივია უანგარობა, საოცარი, უფლის-მიერი სიმდაბლე, გონითი სიყვარული და, რაც მთავარია, გონის ძირითადი ნიშანი — თავი-სუფლება. აკი თავად ამბობს მწერალი: „სული, როგორი გასპეტაკებულიც და კეთილი არ უნდა იყოს, სიყვარულის მზესთან მაინც ვერ მოვა. ასეა გონიც...“ „ლოცვით დაწმენდილ გონსა და სულს მეტი ფიქრი შესძლებია...“ (იხ. ლაშა გვასალიას წიგნი „ყველაფერსა და არაფერს შუა“, გამომცემლობა „ზანი“, თბ., 2004, რე-დაქტორი ჯემალ შონია, გვ. 11).

მწერლის შემოქმედების ძირითადი თემა ადამიანია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმი-სათვის, რომ იგი ანთროპოლოგ-მწერალთა რიგს მივაკუთვნოთ. ამისათვის აუცილებელია, სულ მცირე, რომ იგი გარკვეული კონცეპ-ტუალური ანთროპოლოგიური საფუძვლიდან ამოდიოდეს, ეს საფუძველი კი ლაშა გვასა-ლიასათვის არის გონითი ანთროპოლოგია, რომელიც ჭეშმარიტი თავისუფლებითა და რელიგიურობით ხასიათდება.

მისი ნოველები გონითი პათოსითაა გაჯე-რებული, რაც საშუალებას აძლევს მწერალს ორიგინალურად წარმომაჩინოს სამშობლოს სიყვარულის, სიკვდილ-სიცოცხლის, სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის, ემპირიული ადამიანის ყოველდღიურობისა და რელიგიური ცხოვრების საჭირბოროტო სა-კითხები. მისი შემოქმედების ძირითადი ნიშანი გონითი უშუალობა და უშურველობაა. ლაშა გვასალიას ნოველები აღსავსეა უსაზღვრო ჰუმანიზმითა და ტოლერანტობით.

ნოველა „ყველაფერსა და არაფერს შუა“ ყო-ფიერების უკანასკნელი საიდუმლოს მხატვრუ-ლი მანიფესტაციაა; ორიგინალურია აგრეთვე თავისუფლების ცნების გაგება. კერძოდ: სოცი-ალურ სინამდვილეში თავისუფლება პარადოქ-სია და მრავალ წინააღმდეგობას ბადებს. რო-გორც ბერდიაევი ამბობს, დღეს „თავისუფლება გაცრუპენტელდა.“ ასეთ ვითარებაში, მწერლის აზრით, გამოსავალი გონით ღირებულებებში უნდა ვეძებოთ.

საყურადღებოა, აგრეთვე, ლაშა გვასალიას ლიტერატურული მეტყველებაც. მისი ნაწარ-მოებები შინაგანად თავისუფალია არა მარტო შინაარსის, არამედ ფორმის, ენის მიხედვითაც. ავტორს საკუთარი გრძნობები, საფიქრალი და სატკივარი გადმოცემული აქვს იშვიათი ქარ-თულით. მეტყველებას ახასიათებს სისრულე, რაც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს გემოვნებიან მკითხველს.

გონის ცნების შემოტანით ქართულ მხატ-ვრულ პროზაში, ლაშა გვასალია ახალი, ორიგინალური გონითი ანთროპოლოგიური მიმართულების ღირსეულ წარმომადგენლად გვევლინება, რაც სიახლეა და მისასალმებელია.

ჩვენ შეგვეძლო უფრო ვრცლად გადმოგვე-ცა ლაშა გვასალიას წიგნში შესული თხზულე-ბების თემატური ანალიზი, მაგრამ ამჯერად ყურადღება გავამახვილეთ მისი შემოქმედების მხოლოდ ერთ ზოგად-თეორიულ ასპექტზე, რაც უდავოდ ახალი და საინტერესოა. დარ-წმუნებული ვართ, რომ მწერალი მომავალში კიდევ არაერთი ჭეშმარიტი ლიტერატურული ქმნილებებით შეახსენებს თავს საზოგადოებას და კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანს გონით ანთროპოლოგიურ მიამრთულებას მხატვრულ აზროვნებაში. ამ ეტაპზე კი ისლა დაგვრჩენია, რომ ორიგინალურ, ნიჭიერ მწერალს საიუბი-ლეო თარიღი მივულოცოთ და წარმატება ვუ-სურვეოთ შემოქმედებით ასპარეზზე და პირად ცხოვრებაში.

### კახა ქეცბაია,

ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

## ანრის და კალმის სინათლით!..

ლაშა გვასალია იმნაირი ფიზიკური და სულიერი გენის მატარებელია, რომ მის საქმესაც და ფიქრსაც უფლის მადლი მოსავს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს თანდაყოლილი გენი თავისთავად, ავტომატურად ახდენს ადამიანში სურვილების ახდენას და უფრო იოლს ხდის ცხოვრების გზების გაკაფვას. ნურას უკაცრავად! პირიქით უფრო ხდება: ღვთის მადლის დამსახურება ძნელი გზით სიარულს, ზნეობრივ ნებისყოფასა და თვითგვემასაც კი მოითხოვს, რადგანაც უფლისაგან პოძებულ გენსა და ნიჭს მისი მფლობელისაგან პატრონობა და გამუდმებული მხარდაჭერა სჭირდება, რაც წესიერი შრომით, სწორი ცხოვრებისეული პოზიციითა და პიროვნული შეგნებით მოიპოვება.

...და როდესაც ფიზიკურ გენზე ვლაპარაკობთ, იმას ვგულისხმობთ, რომ ლაშა გვასალია დიდებული დედ-მამის შვილია; მის მშობლებსაც, თავის მხრივ, ასეთივე სამაგალითო წინაპრები ჰყავდათ და მათი ყველა ეს დიდებულება ლაშაშია თავმოყრილი, მის გონია აკუმულირებული და როდესაც თვალს გადაავლებთ ლაშას ნაწერებს, ლექსებსა თუ მოთხრობებს, ნახავთ, თუ როგორ მოკამკამებს მისი სტრიქონებიდან წინაპართა, მათი ტრადიციების, საქმეების, წესჩვეულებებისა თუ ხალხური ჰანგების საოცარი სიყვარული, მონიწება და თაყვანისცემა.

რომან გვასალია, მართლაც დიდი კოლხი, დიდბუნებოვანი ქართველი ადამიანი, კანონიერად ამაყობდა თავისი ერთადერთი ძით და სანამ ლაშას დაბადების 50 წლის იუბილეს მივულოცავდე, გულისტყივილით ვიტყვი, რომ ამ ლაშაზ თარიღს ბატონი რომანი ვერ მოესწრო, რადგანაც ამ რამდენიმე წლის წინათ ვერაგი სიკვდილი სრულიად მოულოდნელად გადაუდგა წინ, შვილების ბედნიერებით, შვილიშვილების კარგი მომავლით ტკბობის საშუალება წაართვა. ჩვენ მხოლოდ იმით შეიძლება თავი ვინუგეშოთ, რომ იგი სწორედ შვილებისა და შვილიშვილების საქმეებსა და ხსოვნაში ცოცხლობს.

...ხოლო როდესაც სულიერ გენზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ლაშა გვასალი-

ას ბავშვობიდან ჭაბუკობაში გადასვლა ჩვენი სამშობლოს ყოფის იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ქართველი ხალხის შინაგანი ენერგია მზად იყო იმისთვის, რომ წმინდა გიორგის მახვილით შებმოდა უსასტიკეს ურჩეულს და დაემარცხებინა იგი. ლაშა გვასალია სწორედ წმინდა გიორგის ლაშქრის ერთ-ერთი მხედარია და გამარჯვებებთან ერთად ტკივილიც საკმაოდ იწვნია – ფიზიკური და სულიერი იარები, რომლებიც სიჭაბუკიდანვე მრავლად მიიღო ლაშამაც საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მტრებისაგან. სწორედ ეროვნულმა მოძრაობამ გაგვაცნო და დაგვაკავშირა ჩვენ ერთმანეთს და აი, აქ უნდა ამოტივტივდეს ჩემს წერილში ცნება „ტაშკენტის ოცდახუთი“, ცნება და არა, უბრალოდ, მისამართი, ცნება და არა ჩვეულებრივი რამ სახელდება!

სწორედ თბილისში, ტაშკენტის ქუჩის ოცდახუთში, ქალბატონი ლუარა (დოდო) გამყრელიძის დალოცვილ ბინაში, აფხაზეთიდან დევნილი გაზეთ „აღდგომის“ გამომცემლისა და მესვეურის ბატონი მურმან ზაქარაიას გარემოცვაში გავიცანი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკუთარი ხელნერისა და სტილის მქონე შემოქმედი ლაშა გვასალია. ეს იყო გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდი, პუტჩისტური ხელისუფლების თარეშის, შევარდნაძის რეპრესიების დრო.

სწორედ ლაშა გვასალიამ აქცია მაშინ ცნებად გამოთქმა „ტაშკენტის ოცდახუთი“, როდესაც მასში მისამართი კი არა, ქართული სულიერების კერა, კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის თავდადებული ბრძოლის სიმბოლო იგულისხმება, აქ იზრდებოდა და იწრთობოდა თვითონაც, თანამშრომლობდა ეროვნულ გაზეთებში, თვითონაც გამოსცემდა და რედაქტორობდა ახალგაზრდულ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ გაზეთებს, უურნალებს, ტაშკენტის ოცდახუთში ლაშა გვასალიას ურთიერთობა და თანამშრომლობა უხდებოდა ისეთ გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეებთან, რომელთა სახელები მთელი საქართველოსთვი-

საა ცნობილი, მათ შორის უნდა დავასახელოთ მუხრან მაჭავარიანი, ედიშერ გიორგაძე, ანტონ არნანია, მიხეილ ჩაჩუა, ომარ გოჩელაშვილი, ნოდარ ჯალალონია, ლია ანდოულაძე, რევაზ ურუშაძე, გელა ნიკურაძე, იოსებ პატარაშვილი, აპოლონ უორდანია, ზაურ მოლაშხია და სხვები; დღემდე განუყრელი კავშირი აქვთ ლაშასთან ჩვენს საერთო თანამებრძოლებს ირინე ტალიაშვილს, გურამ აბსანძეს, რობერტ პეტრიაშვილს, ნემო ბურჭულაძეს, თენგიზ კუბლაშვილს, გიორგი სიჭინავას, ედემ კვირტიას, მანგული ხუბუას, გია ხუბუას, ირაკლი კალანდიას, კახა ქეცბაიას, გურამ მოლაშხიასა და სხვებს.

ლაშა გვასალიას სიყვარულით სავსე, ლამაზი ოჯახის შექმნაც ტაშკენტის ოცდახუთთან არის დაკავშირებული: აქ გაიცნეს ერთმანეთი და აქედან შექმნეს მტკიცე ოჯახური კერა თეანა ზაქარიამ და ლაშა გვასალიამ, რომლებიც დღეს უნიჭიერეს და უმშვენიერეს გოგო-ბიჭს – დემეტრე და თათე გვასალიებს უზრდიან სამშობლოს.

დღეს ლაშა გვასალია რამდენიმე პოეტური და პროზაული კრებულის ავტორია, იგი ერთნაირად ძლიერია პოეზიაშიც და პროზაშიც და ეს მის უნიკალურ ნიჭიერებაზე მეტყველებს.

ლაშა 33 წლის იყო, როდესაც ერთი ლექსი მივუძლვენი, ეს ლექსი ახლახან კიდევ ერთხელ გადავიკითხე და დავასკვენი, რომ უკეთეს ლექსს ვერ დავუწერდი, თუმცა უკეთესის ღირსი მართლაც არის, ამ ლექსს ახლაც, 17 წლის მერე, ხელახლა ვაქვეყნებ და თავს იმით გავიმართლებ, რომ ლექსში გამოთქმული სურვილები დღესაც აქტუალურია; დრო მიდის, მაგრამ სურვილები არ ბერდება:

### ქრისტეს ასაკი

ლაშა გვასალიას  
აპა, მოსულა ქრისტეს ასაკი,  
შეგაკრთო მეხით ცათა ლენვამა,  
მაგრამ გოლგოთის არ ჩანს ნასახი,  
რადგან შენთვისაც ქრისტე ეწამა.

გული იტირებს თუ იღიმილებს,  
იმ წამებულის გზები გიტაცებს

და ეძებ კაცში უფლის ტკივილებს,  
ეძებ ცას ცოდვილ დედამიწაზე,

ეძებ აზრის და კალმის სინათლით,  
სიტყვით, სათქმელად რაიც მოგროვდა...  
აი, ეს არის შენი სიმართლე,  
აი, ეს არის შენი გოლგოთა!

კვლავაც იესოს მადლი გფარავდეს  
იმ მართალი და წრფელი განცდებით,  
მაგრამ შემდგომაც, როგორც მანამდე,  
ჯვარცმულის აღმართს ვეღარ ასცდები.

შენ მაინც უნდა კაფო ბარდები,  
თუ სადმე ბნელმა სული გაცვითა,  
და მამულს ასე აუმაღლდები  
მწერლის ღვთიური წვით და ჯვარცმითა.

თუ დაუკვირდებით, ჩემი მისალოცი წერილის სათაურიც ამ ლექსიდან არის აღებული. მართლაც, ლაშა გვასალია აზრისა და კალმის სინათლით შეიარაღებული შემოქმედია, რომელიც დაუცხრომელი ბრძოლით ეძებს და პოვებს ახალ შემოქმედებითს სიმაღლეებს და ეს ძიება ჩვენც არნახულ გამარჯვებათა მოწმებად გვაჰცევს!..

აი, უკვე 50 წლისაც გახდი!

გილოცავ, ჩემო უმცროსო ძმაო და მეგობარო, ჩემი შვილის ტოლავ და შვილივით საყვარელო!

კიდევ ერთი ამდენი გაგევლოს ისევე ზურგგამართულად და თავაწეულად, როგორც აქამდე მოხვედი!

შენი ოჯახით გაიხარე! მარტო შენმა გვარმა და კუთხემ კი არა, მთელმა საქართველომ უნდა იამაყოს შენი საოცარი შვილებით!

შენ კი ქართულ სიტყვასთან ჭიდილში ისეთ გამარჯვებებს გისურვებ, რომ შენი წიგნებით თაობიდან თაობამდე ამაყობდეს მთელი ქართული მწერლობა, შენი მშობლიური ერი!

უფალმა გაგამარჯვებინოს ყველგან!

### პეტრ პოლი

პოეტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი

## კალძით, სიძლიერით თუ სიჭურით

50 წელი უკვე ის ასაკია, რომელიც ადამიანს განაწყობს როგორც განვლილი ცხოვრების თვალის გადავლების და თვითშეფასებისათვის, ისე სხვათა აზრის მოსასმენადაც...

ხდება ხოლმე, განსაკუთრებით გაშლილ სუფრასთან, კაცი უნდა ადლეგრძელო, მაგრამ არაფერი გაქვს კონკრეტული რამ სათქმელი და გასაჭირში ვარდები. ცდილობ, ისე დალოცო, ისე შემოუარო საქმეს, ისეთი რამ თქვა, რაც იმას ღირსებას შეუნარჩუნებს, შენ კი – საკუთარი თავის პატივისცემას. ლაშას შემთხვევაში პირიქითაა... სიძნელე გაკეთებულ საქმეთა სიმრავლითაა შექმნილი...

საწერ მაგიდას რომ მიუჯექი და მისალოც წერილზე დავიწყე ფიქრი, ნაღდი ფილოსოფოსისა და ღირსეული მამულიშვილის, თამაზ ბუაჩიძის სიტყვები გამახსენდა, ნიცშეზე რომ ამბობს: „გერმანელი ფილოსოფოსის მსოფლგანცდა ნათესაურია ჭეშმარიტი (და არა გადაგვარებული) ქართული ადამიანის მსოფლგანცდისა... ქართული სულის მისწრაფებებიდან ახლოსაა ნიცშე, როცა ეთაყვანება მოძრაობით, ბრძო-

ლით, ხიფათითა და რისკით აღსავსე „დიონისეს“ ცხოვრებას, უშურველ, ანგარიშიანი განსჯის მოთხოვნათა უარმყოფელ, ლალ, გულუხვად გამცემ, ბრძენსა და მამაც ადამიანს“.

სწორედ ასეთ, ჭეშმარიტ (გადაუგვარებელ) ქართველს ვხედავ ლაშას განვლილ ცხოვრებაში; მის დამოკიდებულებაში სამშობლოსადმი, კუთხისადმი, ოჯახისადმი, მშობლების, ნინაპრებისა და მეგობრებისადმი...

მარადიული ღირებულებების: სამართლიანობის, სიმართლის, სიყვარულის, სილამაზის, სიკეთის. მსახურებაში ხედავს თავის მოწოდებას და ოხვამეკარიდან გვარიანად მომარაგებული კაკაბია, კამკამა, მადლით სავსე წყლით ლოცავს, სულიერად არწყულებს სრულიად საქართველოს – კალმით, სიმღერით თუ სიტყვით ეროვნული სულის უკვდავებაში შეაქვს თავისი ღირსეული წვლილი.

დიდხანს გელურჭულოს შენს ლამაზ ოჯახში, ლაშა!

გვენახოს ჩვენი სახაფიფო საქართველო განათებული და გაბრწყინებული!

### როპერტ პეტრიაშვილი, გურამ აპსაძე

P.S. წერილის წერა თითქმის დასრულებული მქონდა, როცა გურამ აბსანძემ დამირეკა... ვუთხარი, ვერ ვიჯერებ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია – ლაშა გვასალია 50 წლის გამხდარა-მეთქი. წავუკითხე ჩემი მილოცვის ტექსტი. უხერხულია თორებ შენს მილოცვას ხელს მეც სიამოვნებით მოვაწერდიო... და ანერს კიდეც!

## ჭეშმარიტი ჩაინდი პოეზია

ჩემს გამორჩეულ უმცროს მეგობარსა და თანამებრძოლს ლაშა გვასალიას 50 წელი შეუსრულდა! ტაშკენტის ოცდახუთში ლაშას მოღვაწეობის თითქმის მთელმა პერიოდმა ჩემს თვალწინ ჩაიარა და ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი მისი ნიჭით, მრნამსითა და იმ ენ-თუზიაზმით, რომელსაც იგი ყოველთვის იჩენდა ნებისმიერი საქმის კეთებისას – იყო ეს წერა, რომელიმე ღონისძიების ორგანიზატორობა თუ ჩვეულებრივი ყოფითი ამბები, მაგალითად, მისეული ლალი და ხალისიანი თამადობა ჩვენი კეთილი დიასახლისის ლუარა გამყრელიძისა და მურმან ზაქარაიას მიერ გაწყობილ ლარიბულ, მაგრამ გულით მდიდარ სუფრაზე.

ეს იმ 90-იანი წლების შავბნელ, უმძიმეს დროს იყო. მაშინ ჩვენ ერთმანეთს ასეთი თანადგომით ვაძლებინებდით და ერთმანეთის გამხნევებაში ლაშა სწორედ რომ სწორუბოგარი იყო. იგი არავის უნახავს დათრგუნული და ხელებჩამოშვებული, სამაგიროდ, გადამდები იყო ლაშას ოპტიმიზმი, შემართება და ხვალინ-დელი დღის რწმენა.

ისე უცებ გადის დღეები, მოხედვას და დათვლასაც ვერ ასწრებ ადამიანი. გამიკვირდა კიდეც, როცა მითხრეს, რომ უკვე ჩვენი ლაშას იუბილე წამოგვეწია. საოცარია ჩემი უმცრო-სი მეგობრის შესაძლებლობანი. პოეზია მისი სულის ნაწილია, პროზა, პუბლიცისტიკა მისი

გულიდან ამოძახილია თანამედროვეობის უმნვავეს პრობლემებზე. კოლხური ღირსებითა და მადლით შეზავებული მისი სიტყვები და სტრი-ქონები თავის დაუნებურად განზოგადებული ქართული ენის მადლი და ღირსებაა...

ჩემო კარგო პოეტო, ჩემო ლექსით მოჭირნა-ხულევ და ქართულ ღირსებით შემკულო რაინდო! გილოცავ დაბადების დღეს! ბევრი კარგი სიტყვის თქმა და დალოცვა მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ ისე, როგორც შენ გეკადრება...

მრავალ მრავლისმთქმელ და მჭევრმეტ-ყველ სტრიქონს და ლექსს დაგილოცავ, ჩემო კარგო!..

აპა, უკვე არც შენ ხარ პატარა და იმ საგულისხმო წარმატებებს, რომელთაც ახალგაზრდობიდანვე აღწევდი, მჯერა, ძალიან დიდი სიმაღლეებით დაამშვენებ. ცხოვრება წინ მიდის, დრო იცვლება, მაგრამ არ იცვლება ჩვენი ერთობა, სამშობლოსთვის ჩვენი თავდადება, არ იცვლება ტაშკენტის ოცდახუთის სითბო, სიყვარული და მოფერება, რომლის ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედი შენ ხარ!

გაიხარე! დიდხანს ჰყავდე შენს ქვეყანას ერთგულ ჯარისკაცად, ნუგემისმცემლად და მეხოტბედ!

**ირინა ტალიაშვილი,**  
მწერალი, საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს დეპუტატი



# გზა, რომელიც ტაძრისაკენ მდის

ლაშა გვასალიასთან დიდი ხნისა ნაცნობობა მაკავშირებს. კარგად მახსოვს მისი ყმანვილეაცობა, რომელიც იმ არეულ დროებას დაემთხვა, როცა საქართველოში სიძულვილის ქარიშხალი მძვინვარებდა, როცა ქართველი ქართველს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა და ერთმანეთისა არა ესმოდა რა.

ყველასათვის ცნობილია ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ გარემო პირობები დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, სად და რა გარემოში გიხდება ცხოვრება, რა ამბები ტრიალებს შენს გარშემო, რას ხედავ და რა განსაცდელებს ეპრძეო თავის გადასარჩენად. იმ სულიერი კრიზისიდან ბევრმა ვერ პოვა გამოსავალი, გზა აებნა, თვალი ვერ გაახილა და სამუდამოდ ჩარჩა ცოდვის მორეში.

ასეთ პირობებში ყველაზე მეტად უჭირთ შემოქმედ ადამიანებს, რომელთათვის ღმერთს მოუცია ნიჭი და უნარი, რომ ყველაზე მეტად გამიჯნონ ერთმანეთისგან შავი და თეთრი, ბოროტება და სიკეთე. ისინი არიან პირველ რიგში მოვალენი, ხალხს უთხრან სიმართლე, უჩვენონ სალვოთო გზა და თავიანთი შემოქმედებითი უნარებით დაეხმარონ ძეშეცდომილებს საკუთარი თავის პოვნაში... მაგრამ ვაი, რომ ასე არ ხდებოდა: მომლერალმა ნებსით თუ უნებლიერ შიშით თუ საკუთარი სურვილით ბოროტებას უმდერა, მხატვარმა მოღალატეთა პორტრეტები ხატა, პოეტმა ლექსი მიუძღვნა, კომპოზიტორმა სიმღერა დაუწერა...

მერე და მერე გამოჩნდა, რომ ეს ყოველივე ახალი მოვლენა არ იყო ქართულ ცხოვრებაში. გასული საუკუნის 90-იან წლებში და შემდგომ რაც ხდებოდა, ეს გაგრძელება იყო იმ უკულმართობისა, რამაც ფესვი გაიდგა ერის სულიერ ნიადაგზე. იმპერიის ჩრდილებეშ ხალხს ფიზიკური გადარჩენის ერთგვარი ხერხი გამოუმუშავდა, – შეეგუა მონობას და თავისუფლებისათვის მეტად სახიფათო ბრძოლას მონობაში გადიდკაცება არჩია.

ასეთ პირობებში ყველაფერი დასაშვები იყო და მლიქნელობა, მოსყიდვა, დასმენა და ბევრი სხვა მანკიერი ქმედება ცხოვრების ნორმად იქცა. ისინი აზრადაც არ გაივლებდნენ იმას, რომ შესაძლებელი იყო რუსეთის იმპერიის დაშლა, მაგრამ მოხდა ის, რასაც დაწინაურებული და პატივიგებული ეგრეთ წოდებული ელიტარული ნაწილი არ მოელოდა. იმპერია დაიშალა და ეროვნულ ავანსცენაზე სხვა ხალხი გამოჩნდა.

ეს მათთვის კატასტროფა იყო. ერთბაშად ხაზი გადაესვა ყველაფერს, რასაც მათ პირფერობითა და ქვემძრომობით მიაღწიეს. გაუქმდა და ფასი დაკარგეს მათ მიერ იმპერიის ერთგულებისათვის ბოძებულმა მედლებმა და ორდენებმა, ლაურეატობამ და ტიტულებმა... და, აი გაბოროტებულმა „ინტელიგენციამ“ ხელში აიღო იარალი და სასტიკი იმი გააჩალა საქართველოს ყველა კუთხეში. ყველაფერს ფარდა აეხადა. თვალნათლივ გამოჩნდა, თუ როგორ უყვარდათ მათ თავიანთი სამშობლო. რამდენად შეუთავსებადი იყო მათი სიტყვა და საქმე ერთმანეთთან. აქვე არ შეიძლება არ გაგახსენდეს ქართველი გენერალი, რომელიც ერთდროულად თავისი ქვეყნის დამპყრობელი სახელმწიფოს ერთგული გენერალი იყო და ამავე დროს საქართველოზე – თავის სამშობლოზე, ურუანტელისმომგვრელ პატრიოტულ ლექსებს წერდა. დავრწმუნდებით, რომ ანალოგს სხვაგან ვერ იპოვით.

ლაშა გვასალიაზე რომ ვწერ, არ შემეძლო ამ ყველაფრისათვის გვერდი ამევლო. მაშინ მკითხველს ვეღარ მივაწვდიდ და ვერ დავანახვებდი მის ნამდვილ სახეს. ის შავბენელი წლები ლაშამ ყბანვილებაცობისას გამოიარა, ყველაფერი თავის თვალით ნახა, ყოველივე მტკიცნეულად განიცადა, ოღონდ არა გარედან მაყურებელმა, არამედ მოვლენების ეპიცენტრში მყოფმა, თავისუფლებისათვის თავდაუზოგავმა მებრძოლმა.

ლაშა გვასალიას შემოქმედება მრავალმხრივი და ძალზე საინტერესოა. მას გამოცემული აქვს როგორც პოეტური, ასევე პროზაული კრებულები. ქვეყანაზე მობობოქრე სიძულვილის ქარიშხალგამოვლილი მწერალი სიყვარულის მეხოტებეა. მთელ თავის პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებს ლაიტმოტივად გასდევს უდიდესი და უმრეტი სითბო კაცომოყვარეობისა. ის ყოველ სტრიქონში სიკეთეს თესავს, გვარწმუნებს იმაში, რომ ბოროტება მხოლოდ სიკეთით დაიძლევა. ალბათ, ბუნებამაც უშველა, რომ იმ შავბენელ ხანაში სულ უუნდებლად გამოატარა და შეურყევად დარჩა თავის რწმენაში, შეინარჩუნა თავისი მეობა და თავმოყვარეობა (თავმოყვარეობა და არა პატივმოყვარეობა!). ბუნებით თავმდაბალი არასდროს საუბრობს საკუთარ ნაწარმოებებზე. არადა, ბევრი რამ აქვს სათქმელი, საამაყო, სატრაბახო... ოღონდ ეს საეჭვო თვისებები ძალზე შორსაა მისგან. ის წერს ხალხისთვის და ჩუმად იტყვის, ხალხმა განსაჯოსო.

ჩვენ ამ პატარა წერილში არა გვაქვს სამუალება მისი ნაწარმოებები განვიხილოთ. ამას

დიდი „ფართობი“ და დიდი შრომა სჭირდება დღეს, იძულებული ვართ საიუბილეო თარიღის მოლოცვით დავკმაყოფილდეთ, ხოლო რაც შეეხება მისი მრავალფეროვანი ნაწარმოებების განხილვა-განსჯას, ეს მომავლის საქმეა და იმე-დია, ობიექტური პირუთვნელი შემთასებლებიც არ დაყოვნებენ (აქვე გაგიმხელთ, მათ შორის მეც მოვიაზრებ საკუთარ თავს).

ლაშა გვასალია 50 წლის გახდა. ო, რა მალე გარბიან წლები! გილოცავ დაბადების დღეს, ამ საიუბილეო თარიღს და გისურვებ ყველა ჩანაფიქრის, ყველა ნატვრის ახდენას. შენს ფარულ ფიქრებსაც, ოცნებებსაც და ნატვრასაც დაუფიქრებლად ვენდობი. მჯერა, მარტო საკუთარ თავზე მოფიქრალი კაცი არა ხარ და ამ შენს ლამაზ ოცნებებში სხვათა სიკეთეც მოიაზრება.

არ შემიძლია ეს პატარა მოსალოცი წერილი აქვე დავამთავრო და არ გავიხსენო ის ტრაგიულობამდე მისული ეპიზოდი შენი ცხოვრებიდან, რომელიც დროთა სვლამ არაფრის დადებით არ უნდა წაგვიშალოს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებია. მხედრიონელები ხობში შემოვიდნენ და ტანკებით დათარეშობენ. ისმის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის კანი. ლაშა იმ დღეს სახლიდან დილით გავიდა. უკვე საღამოვდება და არ ჩანს. გურიოფულშიც იციან, რომ ხობში მხედრიონია შემოსული. ლაშას მამა – რომან გვასალია შვილს დაეძებს, გუმანით გრძნობს, რომ რაღაც ცუდი ამბავი მოელის. ხობის ქუჩები ცარიელია. მოსახლეობა გარეთ არ გამოდის. რომანი ვერავის ხედავს, რომ რამე გამოკითხოს. ამ დროს ვიღაც ქალი ფანჯარას აღებს და აქეთ-იქით იხედება, სურს გაიგოს, შეიარაღებულები ისევ დადიან თუ არა ქუჩაში. რომანი სარგებლობს შემთხვევით და ეკითხება, ასეთი და ისეთი ბიჭი ხომ არ გინახავთ და მისგან გებულობს, რომ ვიღაც ახალგაზრდა უცემით „ბოევიკებს“ და მერე ცოცხალ-მკვდარი სადგურთან რკინიგზის რელ-სეზზე მდგარ ბენზინის ცისტერნაში ჩაუგდიათ.

ცისტერნიდან გასისხლიანებული ლაშა ამოიყვანეს. ბედად, ცისტერნა ცარიელი იყო და სწრაფ დახრჩობას ამიტომ გადაურჩა. დიდი ხნის მეცადინეობის შემდეგ, როგორც იქნა, მოასულიერეს იგი და გონს რომ მოეგო, მოჰყვა ის საზარელი ამბავი, რაც მოხდა. თურმე, შეზარხოშებულ თუ ნარკოტიკით გაბრუებულ მხედრიონელებს მცირენლოვანი, დაახლოებით 15-16 წლის გოგო დაუჭერიათ და გასაუპატიურებლად პარკში მიათრევდნენ. სასონარკვეთილი გოგო კიოდა, შველას ითხოვდა, მაგრამ მშვე-

ლელი არავინ ჩანდა, ვინაიდან მასთან მიახლოება სიკვდილის ტოლფასი იყო. ლაშა გვასალია შემთხვევით გადაეყარა ამ ამბავს. დიდხანს არ უფიქრია, მივიღა მოძალადესთან და გოგოს წართმევა მოუნდომა. მოძალადები ლაშას მისცვივ-დნენ, ამით ისარგებლა მსხვერპლმა და გაიქცა. „ბოევიკებს“ ეგონათ, რომ ბიჭი შემოაკვდათ და კვალის დასაფარავად ცისტერნაში ჩააგდეს...

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ის გოგო ალბათ დედა გახდა, შეიძლება ბებიაც იყოს. ლაშა არავის მოუკითხავს. არც ლაშამ იცის მისი ამბავი. სიკეთე კი მაინც სიკეთედ დარჩა. ის არასდროს იკარგება... სიკეთე მაშინაც ცოცხლობს, როცა ყველას დავიწყებული ჰგონია.

ლაშა ორმოცდაათი წლისაა. ის ისეთივე გულწრფელი დარჩა, როგორიც სიჭაბუკეში იყო. ჭირში მყოფს არავითარ შემთხვევაში ზურგს არ შეაქცევს. მისი მოთხოვნების გმირები ასეთები არიან. საკუთარ თავს არასოდეს გაურბოდა, მაგრამ კარჩაკეტილ ცხოვრებას მაინც არ ეწეოდა. მუდამ ხალხში იყო და ალბათ ამიტომ არიან მისი პროზაული ნაწარმოების გმირები ასე ბუნებრივი, ყველასათვის ნაცნობი ადამიანები, რომლებიც ხშირად გვხვდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლაშა გვასალია შესანიშნავი მოქართულება. ის ქართულ სიტყვას გრძნობს მთელი თავისი სილრმისეული არსით. როცა კითხულობ მის პროზას, ასე გვგონია, თითქოს ქართულ სიტყვას სადღაც კოსმიურ სამყაროში აქვს ფესვები გადგმული და ისინი იმაზე მეტს გვეუბნებიან, რასაც ჩვეულებრივი ყურით აღვიქეამო ხოლმე.

„არჯალნი მებრძვიანო“, – წერს ერთ-ერთ ლექსში ლაშა გვასალია. გახსოვდეს ერთი ბრძენ-კაცის ნათქვამი: „მე ჩემზე უკეთესი არ შემებრძოლება, ჩემზე უკეთეს ჩემთვის არ სცალია“-ო.

გებრძვიან? გებრძოლონ! ლმერთმა ნუ ქნას, რომ ყველას უყვარდე! ყველამ რომ შეგიყვაროს, დაგეძინება; დატკებები საკუთარი თავით და იზარალებ. იარე იმ გზით, რომელი გზითაც აქამდე გივლია. მწამს, რომ შენი გზა ტაძრისკენ მიდის. ჩემი პატარა წერილი მინდა შენდამი მოძღვნილი სახელდახელოდ დაწერილი მეგრული ლექსით დავამთავრო:

გურიოფულიში დინაბად ჩეინი

ლაშა ხობური რე,

თინა ზიტყვას თქუანსინი,

ნჭყოლირ გურიში თოფური რე,

ლერსის მუგორჩელუანს,

ცაშა ოკო ქოფურინე.

## ვიორვი სიჟინავა

## კულტურული ძაგლის ლაძა გვასალიას!



გაგიცანით, როგორც ეროვნული მოძრაობიდან მოსული მწერლობაში. თქვენს ნიჭიერებაზე და შემოქმედებაზე, თქვენს პოეზიაზე, თქვენული ემოციების, ტკივილების, სათუთ თემებთან ჭიდილზე, გვიყვებოდა ზაური. ის ყოველთვის აღნიშნავდა, რომ თქვენი შემოქმედება უდავოდ ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს თანამედროვე ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

როგორც მწერალი, ხართ განსხვავებული მოქართულე, გამოირჩევით სიტყვაკაზმულობით, წყობით, ინტონაციით, წერის თქვენული სტილით.

მწერალთან ერთად აქტიური საზოგადო მოღვაწე ხართ, არ გაკლიათ საქართველოს ფილმის მრავალმხრივი საქმიანობა. მაგრამ ემსახურო ქვეყანას, როგორც მწერალი, დიდი ტვირთია და ლვთისგან რჩეულების ხვედრია. გისურვებთ, თქვენს კალამს კიდევ მრავალი შედევრი შეექმნას.

გამოირჩევით უბრალოებითა და ადამიანებისადმი თავდადებით. ამიტომაც იმსახურებთ დიდ სიყვარულს, პატივისცემას, ხართ მისაბაძი ადამიანი, რისთვისაც გინოდებენ ჩვენი მხარის, ჩვენი რეგიონის მშვიდობის ელჩს!

ჩემთვის დაუვიწყარია ჩვენი უბედურების უამს თქვენი თანადგომა (სხვა მეგობრებთან ერთად), როცა საჭირო იყო ზაურისთვის სამუდამო განსასვენებლის მიკუთვნება. აგრეთვე, უღრმეს მადლობას გიხდით, ზუგდიდში, ზაურის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე თქვენგან განეული საქმიანობისთვის. მაქვს იმედი, მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება თქვენი და ზაურის სულიერი მეგობრობა.

გისურვებთ ჯანმრთელობას მუსლისთან, შვილებთან და უახლოესებთან ერთად, თქვენს საუკუნოვან იუბილეზე ბედის ისე ამონათებას, ამომზიანებას, როგორც ეს დემეტრესადმი მიძღვნილ ლექსში გაქვთ – ცხოვრების ტკბობით, იმედის ღმერთად მოვლენილებთან მღეროდეთ.

ზაურისგან დაგაკლდათ მისეული საიუბილეო მოლოცვა. მე კი ვეცადე, მოკრძალებულად მომელოცა 50 წლის იუბილე.

ზაურის მეუღლე – ნატო



# ერგასი წლის ჩექნი ლაძა გვასალია

– გადაუდაებელი საქმე მაქვსო, – მირეკავს ჩემი უმცროსი ძმობილი ლაშა გვასალია. მე მას ოცი წლით ვეუფროსები, ლამის შვილად მეცუთვნის. საამხანაგოდ ოთხმოცდაათიანი წლიდან შევეწყობით ერთმანეთს, ტაშკენტის ქუჩიდან, სადაც ჩემი სიყრმის მეგობრები, ჩინებული პოეტები და ეროვნული მოღვაწენი – ზაურ მოლაშხია, ჯემალ შონია, გიორგი სიჭინავა, მურმან ზაქარია, რობერტ პეტრიაშვილი და კიდევ ორი ათეული პატრიოტი იყრიდა ხოლმე თავს.

უჩვეულოდ გულწრფელი ღიმილი ახასიათებდა ლაშას სულმუდამ. ამ უშუალობამ დაგვამეგობრა.

მას შემდეგ ლამის მთელი საუკუნე გამომხდარა.

- ეროვნული მოძრაობის პიკი;
- რუსთაველზე მრავალათასიანი მიტინგები გვერდიგვერდ;
- დემონსტრაციების დარბევა კავალერიით, ავტომატების კავანით;
- სამეგრელოს დალაშქვრები „მხედრიონით“;

– ინსპირირებული ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში, უთანასწორო ბრძოლაში მარცხი წინასწარ განწირულ ორომტრიალში;

– გოლგოთა საკენი, რა არა?!

მე „ნობელიატების“ სერიალს გამოვცემ იმ პერიოდში გქბ-ს (გაერთიანებული ქართული ბანკი) სესხით და კუპონები ყოველთვის მომექვება.

გასაოცარი მეხსიერებით გამოირჩეოდა და გამოირჩევა დღესაც ჩვენი ლაშა. მე მიხარია მსავსი უნარის ადამიანთან ურთიერთობა საერთოდ.

ჩვენი ლაშას იშვიათი მეხსიერების უნარი მხედველობიდან არ გამოირჩენიათ ე. წ. „ნაციონალებს“. ამის წყალობით, ლამის წელიწადს თურქეთში მიავლინეს საარჩევნო საქმეების შესასწავლად. როგორც იტყვიან, თავიანთ თავს ჭირი უსართეს. მოგვიანებით, ამ ცოდნის წყალობით, შეუძლებელი გახდება ლაშასთან

სამეგრელოში არჩევნების გაყალბება.

მეხსიერებით აღარც მე ჩამოვუვარდები ვინმეს. მილიონბით ბაიტის ინფორმაციაა ჩემს თითოეულ რომანში და ყველა დეტალი მათემატიკური სიზუსტით მახსოვეს. აი, ფეხ-საცმლის ზონარს რომ მიითრევს ესა თუ ის პერსონაჟი, ეს არ უნდა გამოგრჩეს მწერალს, სადმე უნდა ჩაატნევინო იგი, სერვანტესივით მოპარული ვირის კურიოზები რომ არ დაგემართოს (არადა, ტელეფონის ნომრები მავიწყდება უკვე ასაკმოყრილს). ბევრი ვინმე მახსოვეს ლაშასნაირი მეხსიერების იშვიათი უნარით გამოირჩეული – სიმამრი ჩემი, ოთარ ხუფენია, ერასტოვიჩი. ის ცოცხალი მატიანე იყო, მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის ცნობადი თუ მივიწყებული სახეების გამგებელი. სულ ხელისგულზე გადმოგიშლიდა, ვინ რომელს ერგებოდა ქვისლად; ვისმა ნათლულმა სად დურთა თავი ღელეში ველოსიპედიანად, არაყით გამომტყვრალმა; რომელს სად წაეჭდა ცხენი მარულას დროს, კუჭუ გელენავას თუ ეკატერინე ჭავჭავაძის – დადიას რჩეულ კაკა ჟვანიას და ვინ მოსთვლის.

ამგვარი გახლავთ ჩემი რომანი „როკის“ პროტაგონისტი შაქრო ჭითანავაც; ზუსტად მათი ალიკვალია ბაკურ გულუა, დავიდოვიჩი. მისი მეხსიერების დიაპაზონი მიტაცებდა გალიდან მოყოლებული, ფაზის-ქალაქის თავსხმებსა თუ ბოლოდრონდელ მასლაათში უნივერსიტეტის ბალში, ივანე ჯავახიშვილის ძეგლის სიახლოვეს.

ამათი სადაგი გახლდათ სულცხონებული ოთარ ფაცაციას ხალასი გონებაც. გარდაცვალებამდე ათი დღით ადრე დამიბარა და ორ დღე-ლამეში, სამ-ოთხსაათიან ბაბანში, მისხალმისხალ ჩამომითვალა, ვინ იყო „სუკ“-ის აგენტი; ვინ ვისი ვალი შეიტყაცუნა; ისიც არ გამოირჩენია საქციო საზოგადოება „ზუგდქალდკომბინატში“ ორი პროცენტით მეტი დივიდენდი, 7 პროცენტი, რატომ და რის გამო ჰქონდა. მიყვებოდა მის ერთგულ რაიკომის მდივან ქვარცხავაზე და დაუძინებელ მტრებზეც, რომელთაც „არძას

ქაჯინ“ (ყველა გააცილა მოუსავლეთში); ვინ იყო „ოცნებას“ შეფარებული ე. წ. „ნაციონალი“ (ამათ „ეგრეთ წოდებულ“ ს იმიტომაც ვანიჭებ ეპითეტად, რადგანაც ნაციონალური ეროვნულს ნიშნავს, ესენი კი იაპონური ცხვრის ქურქა მგელი სარაუსავით არიან შეხიზნულები ამ ამალებულ ტერმინს); ვის უნდა მივნდობოდი ბილომდე. ასეთად ჩვენი ლაშა გვასალია კი არ დამისახელა, რომელიც უსამართლოდ სამეგრელოს გუბერნატორი შონიას კაცად წარმომისახა, არამედ ყველასთვის სათაყვანებელი ბატონი ნოდარ ჭითანავა.

— კოჩანიერ კოჩ რე — კაცური კაციაო, ბრძანა. — მხოლოდ მას მიჰყევი ბილომდე. ის გაგატანინებს ლელოსო.

არ დავტოვებ უყურადღებოდ ლაშას მიმართ გამოთქმულ ორჭოფობას და გულლიად გავუმხელ:

— ჯერ ერთი, ამბაკოევიჩ, ლაშა გუბერნატორის კაცი რომ ყოფილიყო, გამუდმებით რისთვის ირბენდა ლევან ბორისოვიჩი მთავრობაში, „კრიჭაში მიდგას უსაფუძვლოდ, გასაქანს არ მაძლევს, ჭორებს მივრცელებსო“; მერედა, ლაშა რომ არა, შენი მაკომპრომატებელი ის წიგნი ახლა დიდი ტირაჟით გამოცემული იქნებოდა-მეთქი.

გაირინდება ერთხანობას.

— ამისთვის მადლობაო, — გამომხედავს შეწყლიანებული ლაშვარდისფერი თვალებით და ისევ თავისას გააგრძელებს.

— მხოლოდ ნოდარ ჭითანავას ენდე ბოლომდეო.

ასე რომ, გადამიხსნიდა გულს, ჰელინდა ამისი საბაბი ბატონ ოთარს, რადგანაც რამდენ-ჯერმე მეხამრიდად მოვევლინე მის ურთულეს ცხვრებას და სამაგიეროს მიხდიდა მსგავსი მამაშვილური დაკვალიანებით.

პირადად მე მეხსიერების ჯილდო ხელოვნების საპირნონედ უფრო მესახება. ლაშას წაუკითხავი არაფერი რჩება დუნიაზე. საინტერესო ავტორების გამოჩენა აღაფრთოვანებს ეროვნულ ბელეტრისტიკაში, გნებავთ მსოფლიოს ოთხივ კუთხით. მოხიპლულია ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებლით“, აკა მორჩილაძის „ობოლეთი“, ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლეთი“, ნაირა გელაშვილის „ჩე-

მი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარეთი“. ეგრევე გამოეხმაურება ხოლმე მათ ავან-ჩავანს.

„ცნობიერების ნაკადის“ სტილის მწერლები ხომ სალაპარაკოდაც არ ღირს: ჯეიშზ ჯოის და უილიამ ფოლკნერი, კამიუ და სარტრი, რობ გრიე და ნატალი საროტი, მო — თავისი ბარაქი-ანი გავა-ძუძუებიანი გმირით.

ხშირად მიუბრუნდება კლასიკას და აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან სერვანტესი, ტოლსტოი და დოსტოევსკი. ლაშა საბოლოოდ უბრალოებისკენ იხრება, დონ კიხოტის ფენომენს მიიჩნევს პლანეტარული გმირის ნიმუშად. ახლა ამისთანა დიაპაზონის ლიტერატორთან ძნელია რამე ფასეული გამოაჩინო და მაინც ყურადღებით ეკიდება იგი ჩემს ლიტერატურულ გმირებს, ჟინი ანთარს, ბონდონ ჰალიდონიას, ჭიჭე კვეკვეს, როკის, ოდიოს.

პოლიტიკური არეალი, ლარივით გამუდმებული დაჭიმულობა, დაღს ასვამს მის ცინცხალ შემოქმედებით უნარებს, ზეზეურად აცლის არაქათს და მაინც ლექსებისა და მოთხოვნების ათამდე კრებული გამოსცა. არადა, უფრო ვრცელტანიანი რომანისთვის ვერაფრით იცლის; სულ საარჩევნო განამანიაშია ჩართული, სულ დანის პირზე უწევს სიარული.

თავად განსაჯეთ, მერამდენე წელინადია, ჩვენი ლაშა მეუბნება, რომანზე ვმუშაობ, დღეს თუ ხვალ-ზეგ მზად მექნებაო, მაგრამ არა და არ ჩანს ეს თხზულება. პოლიტიკური მამითადის ოთხი წელინადი თვალსა და ხელს შუა გარბის. ისევ აგორდება ახალი საარჩევნო ტალღა, ისევ დაიწყება ელექტორატთან კარდაკარ სიარული. ისევ დაზეპირებული სიტყვების ტრიალია. არადა, ცხადლივ ვხედავ, როგორ აბომონებს თითქოსდა ეს უმადური სივრცე ჩემი უმცროსი ძმობილის შემოქმედებით ენერგიას.

ჰო, ასეა, თავისთავად მეხსიერების უნარი ბევრს არაფერს წარმოადგენს, ყველაზე უკეთესი ხსომიერებით მაგნიტოფონი გამოირჩევა, თუმცა ახალს ვერაფერს ქმნის. სულ ერთსა და იმავეს გაიძახის ჩემი რომანის თახსირი პერსონაჟი არდაშელ ჰალიდონის თუთიყუშივით:

— ნოჩოვიჩ, ტვარ! ნოჩოვიჩ, ტვარ!

იგივე სურათია შუკო ჯიქიას „დამატებითი დროს“ მიმართაც.

– აპა, დასრულებული მაქვს! აპა, გადასათეთრებელად მიმაქვს თბილისსო.

– ე, ბიჭო, მომეცი-მეტე, – ვუბლვერ, – მე ავაკრეფინებ და გამოცემაზეც არ შეგაწუხებ-მეტე.

წმინდა წყლის სიცრუე. მერე ეს დაუსრულებელი ჩინებული წიგნი მთლად რომ არ დაკარგულიყო, ჩემი მესამე რომანის გმირს „მარდუქი“-ს (anT mill – ბებე, მოვიდა გუდი-ანი) გმირის, ასევე უნიკალური მეხსიერებით გამორჩეულ ბებე ანთარიას მონათხრობში ჩავაწანი სათვალჩინო მასალად და ამ გზით შემოვუნახე კაცობრიობას.

როგორც ჩანს, იგივე დღეში მაგდებს ჩემი ძმობილი ლაშაც. თუმცა რა ძმობილი, რის ძმობილი.

– მამის სამაგიერო თმა უნდა მოგაკვეცინო. – ელდასავით დამკავს ეს ხმა. ვიცი მე, მითოსურ სამეგრელოში გაზრდილმა, რას ნიშნავს „თუმაშ მიკოცოთამა“ (თმის მოკვეცა). რომანშიც ალმიწერია მსგავსი რამ.

შვილის სანაცვლოდ აყვანა გამიგონია და ჩემი თვალითაც მინახავს. ძმის მაგივრობასაც

შევსწრებივარ. მამის მაგივრობის პატივი არ მქონია დღემდე და გავსაგნდები.

გაიღლაჭუნებს მაკრატელი ერთ-ორს, ვერცხლის ქალალდში შეიხვევა ეს ხუჭუჭელა კულული. შემდეგ მაკრატელიცა და დასახელებული თილისმაც პირსახოცში შეიკვრება და ეგრევე მოყუჩდება „კურტკის“ გულის ჯიბეში...

**გური ოფობაია,**  
მწერალი.

**P. S.**

შუმერში, შუამდინარეთში, მესოპოტამიასაც რომ ეძახიან, კაცს აფქალად, სათათბიროში არაფრით აირჩევდენენ, თუკი სამოცი წელი არ შეუსრულდებოდა. ჩვენი ლაშა ძლივს ერგასის (50) გამხდარა და თავისი უმწიკვლო, მეომრული ბუნებით უკვე დაუმსახურებია დასახელებული ჯილდო, და დარწმუნებულიცა ვარ, ერთ, სახელმწიფოებრივად ბრძნულად მომართულ თვალსაც არაფრით გამორჩება ეს სამამულე ძალისხმევა ადრე თუ გვიან.

გ. ო.

## ლაშა გვასალიას „მასტერკულასები“

...დილიდან იწყება ეს მისტერია. ჩვენთვის – მკითხველებისთვის და მისთვის განმანათლებელ როლმორგებული მწერლისთვის – ეს წმინდა დროდ მოაზრება.

დღის ამ მონაკვეთში „სუფთა წერის“ რვეულებივით ჩამორიგებული პოეზიის ნიმუშებით, ბრძენკაცთა შეგონებებით, საკუთარი, საოც-რად გემოვნებიანი მზეჩანანული ქმნილებებით, შემოდის ჩვენში, უჩუმრად გვზრდის და... ვიზ-რდებით, გემოვნებას გვიყალიბებს და ჩვენგან თუ პოეტი ვერ დადგება... მკითხველებად ხომ დაგრჩებით. ეს არის ლაშა გვასალიას „მასტერკულასების“ საიდუმლო ფეისსივრცეში.

დიახ, ეს საზრდოა, სულის უნიკალური საზრდო, დღემუდამ რომ სჭირდება ქართულ

სიტყვაზე ამეტყველებულ და ამავე ენაზე გზა-განათებულ მკითხველს.

სამეგრელო მისი ფესვი და ძირია, მისი წყალ-ჭალაა. აქ მიიჩნევენ მწერალ ლაშა გვასალიას ქართული ენის მოამგედ და „გადანაწილებულ ტერიტორიაზე“... სამეგრელოს „უკანონებენ“!

50 წლის იუბილეს ბევრი მიულოცავს: თანამოკალმები, ახლობელ-მეგობრები, მისი ნიჭის თაყვანისცემლები.

შეუქებენ კალამს და ელვარე პოეზიას.

თვალია იტყვის სათქმელს.

ჩვენი ხმა ფეისსივრციდანაა. ჩვენ – ჩვენი ვთქვით!

**სვეტლანა კვიპვინია,**  
ურნალისტი აფხაზეთიდან

## ლაძას!

მე ცოტა პათეტიკურად უნდა ვთქვა, სხვაგვარად არ გამომივა; თუმცა არ ვიცი, როგორ დავიწყო და რით დავიწყო. ჩემო (და არა მარტო ჩემთვის, მთელი საქართველოსთვის) სასახელო შვილო, ჩემო დიდო ადამიანო, ჩემო ლაშა, შენი გაკეთებული საქმეებით უნდა იამაყო და სასიამოვნოა, რომ შთამომავლობა-საც უტოვებ საამაყოდ შენს წმინდად, სუფთად განვლილ გზას, შენს გულნრთელ და დიდ შემოქმედებას, მქუხარე საზოგადოებრივ საქმე-ებს, ჩვენი კუთხისთვის ეტალონად რომ არის ქცეული. შენთან საუბარი ხომ ცხოვრებისეული გაკვეთილია ყოველი ასაკის ადამიანისთვის. შენი სპონტანურად გაფრქვეული ლექსიკა-ესე-ებია სივრცეში მუსიკად განვრცობილი. შენი უანგარობა კოლეგებთან მიმართებაში საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს საზოგადოებაზე. არ

ვიცი, ამას გრძნობ თუ არა, მაგრამ შენს ირგვლივ მყოფნი ამას სიამაყით განვიცდით.

შენს ლიტერატურულ ღვანლზე საუბარი ჩემთვის, დილეტანტისთვის ძნელია, კაცის-თვის, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ის თქვას, რომ შენ დიდი ქართველი ხარ, დიდი მესიტყვე, ღრმააზროვანი ქარგით. ერთხელ გავბეჭედე და გინოდე მესიტყვეთა მარშალი და ასეცაა. ისიც გითხარი, შენი შემოქმედება ცად რომ არის ასული, აღვლენილი და კოლხური სული და კაცობა შენში საოცარადა აკუმულირებული და კულტირებული. სად ვიპოვო სიტყვა შესაფერი, რომ შეგამკო ისე, როგორც გეეუთვნის.

იცოცხელე, ჩემო სათაყვანებელო შვილო, ადამიანო და დიდო მოღვაწევ.

შენი თაყვანისმცემელი კლიმენტი ბიძაბაბუა კიკალიშვილი.

კლიმენტი კიკალიშვილი



# ჩენების მუდმივი დაფრითიანებული!

ლაშა თითქმის სულ ბავშვი იყო, როდესაც იგი ტაშკენტის ოცდახუთში მოვიდა. ასაკის მიუხედავად, მას უკვე ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი მომავალი მიზნები და ინტერესები, რაც კანონიერი ხელისუფლების ერთგულებაში, კანონიერების აღდგენისთვის ბრძოლაში გამოიხატებოდა. პირველი შეხვედრიდანვე ეტყობოდა, რომ წესიერი, პატიოსანი ოჯახის შვილი იყო; მუდამ თავაზიანი და განონასწორებული ხასიათის ჭაბუკი გაბეჭდული და შეურიგებელი იყო ქვეყნის დამაქცევრების, იმ გაავებული ქართველების მიმართ, რომლებიც იმ დროს მთელ საქართველოში დათარებობდნენ. თვითონაც არ დაჰქოდებია ცემა და რეპრესიები, მაგრამ უკანდაუხევლად, ცეცხლოვანი ენთუზიაზმით აგრძელებდა ბრძოლას მანქურთთა წინააღმდეგ. ტაშკენტის ოცდახუთიც ბევრჯერ დაუცავს, იცოდნენ, რომ ჩვენს ბინაში მისი სახით ძალიან უშიშარი ჭაბუკი ყოველდღე დადიოდა და ამ ფაქტორმა ბევრჯერ გადაგვარჩინა დარბევასა და რეპრესიებს.

მთავარი მაინც ლაშას შემოქმედებითი საქმიანობა იყო. იგი თავიდანვე ერთგულად ამოუდგა გვერდით უფროსებს და თავისი მახვილი კალამიც შეუერთა ჩვენს საერთო ბრძოლას. „აღდეგომის“ თანამშრომლობიდან დაწყებული, შემდგომში უკვე თვითონ გამოსცემდა და რედაქტორობდა უურნალ-გაზეთებს – „მაფშალიას“, „მწერლობა – XXI“-სა და სხვებს.

ლაშა გვასალია ჩემი ნამდვილი შვილობი-

ლია; მეც მშობელივით ვუყვარვარ და პატივს მცემს. ამგვარი ურთიერთობა იმან უფრო შეადულაბა, რომ იგი ჩემს მეორე შვილობილსა თუ ძმისშვილზე, თეანა ზაქარაიაზე დაქორწინდა და ახლა მათი ოჯახის ბრწყინვალება განსაკუთრებით მაბედნიერებს. მას შემდეგ გვასალიებისა და ზაქარაიების ოჯახების წევრად ვთვლი თავს, იმდენ ყურადღებას, სითბოსა და სიყვარულს ავლენენ ისინი ჩემ მიმართ. ლაშას მამა, ბატონი რომანი ტაშკენტის ოცდახუთის ხშირი სტუმარი იყო და გული მწყდება, რომ ეს საოცრად კეთილი, დიდი გულის ადამიანი ცოცხალი არ არის, რომ ვერ მოესწრო დღევანდელ დღეს და ვერც ლაშას შვილების დაზრდა-წარმატებას იხილავს.

დღეს ჩვენი ლაშა 50 წლის გახდა! ეს უკვე სერიოზული ასაკია, ცხოვრების შუა პერიოდი, როდესაც წინილებსაც ითვლიან და თან ახალი სიმაღლეებისკენ უჭირავთ თვალი. რა უნდა უსურვო შვილივით საყვარელ ადამიანს იმაზე უკეთესი, რომ დაეპყროს ყველა მწვერვალი, გადაელახოს ყველა ჯებირი, ისე დაეფრთხოებინოს თავისი მზეთუნახავი და ნიჭიერი შვილები, რომ მთელ საქართველოში ქუხდეს მათი სახელი!

გილოცავ, ჩემო ლაშა!

თუ რამ მნიშვნელოვანი დამრჩება ჩემი წუთისოფლიდან, ერთ-ერთი შენი სითბო და სიყვარულია, ამიტომაც მეამაყები და მეიმედები...

**ლუარა გამყრელიძე**



## თბილი კალანდა – 75



ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს, კულტურის ფილოსოფიური პრობლემების თვალსაჩინო მკვლევარს, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ირაკლი კალანდიას 75 წელი შეუსრულდა.

ირაკლი ჯოგოს ძე კალანდია დაიბადა 1947 წ. 15 მაისს აფხაზეთში (ოჩამჩირე, კოჩია-რა). 1965 წელს მედალზე დაამთავრა კოჩიარის შოთა რუსთაველის სახ. საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო 1968 წელს ჩაირიცხა და

1973 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფიქოლოგის ფაკულტეტი; 1977 წ. დაამთავრა ამავე ფაკულტეტის ასპირანტურა.

1991-92 წ.წ. იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უურნ. «პოლიტიკის» მთავარი რედაქტორი.

1992-98 წ.წ. იყო თბილისის კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

1998-2006 წ.წ. მუშაობდა თბილისის პოლიტიკური აკადემიის პრორექტორად.

**1992-2007 წ.წ.** სხვადასხვა დროს იყო თბილისის პოლიტოლოგიისა და ადამიან-თმცოდნეობის ინსტიტუტის სწავლული მდი-ვანი, კათედრის გამგე, პროფესიონალი, ხოლო **2005-2007 წლებში – ინსტიტუტის რექტორი** და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

არის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშავთა რეს-პუბლიკური კონკურსის გამარჯვებული(1977 წ. II პრემია)

**2000 წ.** აშშ-ს ბიოგრაფიის ინსტიტუტმა აღიარა წლის ადამიანად.

სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციების კურსს (ფილოსოფია, ფილოლოგია, პოლიტო-ლოგია, ესთეტიკა, ლოგიკა) ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ტექნიკურ უნივერსიტეტში, თბილისის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

გამოქვეყნებული აქვს **100-ზე** მეტი სამეც-ნიერო ნაშრომი (მათ შორის 7 მონოგრაფია) მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, სოცი-ალური პროგრესისა და კულტურის ფილოსო-ფიურ პრობლემებზე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

**2016-22 წლებში** იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. ამჟამად ამავე უნივერსი-ტეტის მოწვეული პროფესორია. არის მრავალი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორი და მონაწილე.

ი. კალანდია, როგორც პიროვნება, გამო-ირჩევა თავისი უანგარობით, ადამიანებისადმი სიყვარულით, სამართლიანობით, ახლობლები-სა და მეგობრების, განსაკუთრებით უმცროსი კოლეგებისადმი თანადგომითა და ზრუნვით.

საინტერესო პედაგოგი და მეცნიერი ერ-თობ მომხიბლელი ხდება მეგობრებისა და ახლობლების, მისი საყვარელი კოლეგების წრეში, ქართულ სუფრასთან, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მასთან ერთად ასეთ შეხვედრა-ზე, არასოდეს დაავინყდება ირაკლი კალანდიას შთამბეჭდავი თამადობა, მჭევრმეტყველება და სტუმართმოყვარეობა.

ირაკლი კალანდია თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, შემოქმედებითი საქმიანობით, სამშობლოს ერთგულებითა და სიყვარულით, ფილოსოფიისადმი დამოკიდებულებით ადას-ტურებს, რომ იგი ღირსეული ადამიანია, რო-მელიც პატივისცემასა და დაფასებას იმსახუ-რებს.

ირაკლი კალანდია უბადლო მეოჯახე და მზრუნველი ადამიანია. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და 6 შვილიშვილი. 75 წლის ასაკში იგი კვლავაც მხნედ და იმედიანად გამოიყურება.

ტაშკენტის 25-ის მთელი შემადგენლობა გულითადად ულოცავს ბატონ ირაკლის საიუ-ბილეო თარიღს და ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლესა და ნარმატებებს უსურვებს.



## ინა ჭრია გოგიძე – 100



საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღორძინებიდანვე, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ქართველი ხალხის სამსახურში ერთგულად ჩადგა ეროვნული უურნალისტიკა, რომელიც პრინციპულად დაუპირისპირდა კომუნისტური რეჟიმის ხელით გამოზრდილ და გამოწვრთნილ, მედროვე და კონფორმისტულ იდეოლოგიურ მანქანას. ამ მანქანამ, ნამდვილმა მონსტრმა, თავისი შავი საქმე გააკეთა ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების დისკრედიტაციის, მოვლენათა გაყალბებისა და კომუნისტურ-პუტჩისტური, ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი იდეოლოგიის პროპაგანდის მხრივ. უმძიმესი იყო ამ მონსტრის დახვეწილი ხერხებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, საბჭოთა კულტურებში დამუშავებულ-აპრობირებული სიცრუეების

მხილება, მით უმეტეს, რომ ანტიეროვნული და ბევრად მრავალრიცხოვან ვაი-უურნალისტთა კორპუსს ზურგს უმაგრებდნენ ძალაუფლების მქონე სტრუქტურები, ფინანსურ-ოლიგარქიული კლანები, რომლებიც დღესაც კი არა მარტო ამგვარ უურნალისტებს, არამედ სახელმწიფოს მთელ იდეოლოგიურ სფეროს აფინანსებენ და აკონტროლებენ.

ამიტომ, როდესაც ვახსენებთ ეროვნულ უურნალისტიკას, ვგულისხმობთ თითო-ოროლა გამოცემების და იმ თითზე ჩამოსათვლელ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, სიმართლის მსახურ ნამდვილ რაინდებს, რომლებმაც არ უდალატეს მართალ სიტყვას და, ხუნტის რეაქციის პირობებში გაუძლეს სასტიკ რეპრესიებს, ციხეს, ტყვიებს, დევნას, დარბევას, აკრძალვებს, ათას სხვა უბედურებას, მაგრამ მაინც ვერ ჩააჩუმეს,

ხმა ვერ ჩააგდებინეს.

ასეთ იშვიათ მამულიშვილთაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო ირაკლი გოცირიძე, რომლის დაბადებიდან 100 წელი 2023 წლის 27 იანვარს შესრულდა.

ირაკლი გოცირიძე დიდი ქართველი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის პირველი შვილიშვილი იყო და ბაბუასგან დაჰყვა პრინციპულობა და სიმამაცე. ჩვენი ეროვნული უურნალისტიკის ისტორიაში მისი სახელი სამუდამოდ დამკვიდრდა იმით, რომ ჯერ ერთი, არნახული რეზონანსი გამოიწვია მის მიერ ჩატარებულმა უურნალისტურმა გამოძიებამ 1989 წლის 9 აპრილის დანაშაულებრივი ხოცვა-ულეტის გარემოებებთან დაკავშირებით, მეორეც, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ახალი საუკუნის გარიურაფამდე, ირაკლი გოცირიძე გამოსცემდა და რედაქტორობდა ყოველკვირეულ გაზეთ „იბერია სპექტრს“, რომელიც გაზეთ „აღდგომასთან“ და კიდევ რამდენიმე გაზეთთან ერთად თამამად გამოხატავდა მოსახლეობის აზრს და უშიშრად ამბობდა ხალხის სათქმელს.

1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირებით ირაკლი გოცირიძის მიერ წამოწყებული და ბოლომდე მიყვანილი კერძო უურნალისტური გამოძიება დროისა და მასშტაბის გათვალისწინებით უნიკალური და უპრეცედენტო იყო. ამ საქმეს განსაკუთრებული მოქალაქეობრივი გამბედაობა სჭირდებოდა, რადგანაც ღიად უნდა დაპირისპირებოდა საბჭოთა იმპერიის დანაშაულებრივ მანქანას; გამოძიების მიზანი იო 9 აპრილის ხოცვა-ულეტის არა მარტო შემსრულებელთა, არამედ აგრეთვე ბრძანების გამცემთა, დარბევის ინიციატორთა გამოვლენა და მხილება.

უურნალისტური გამოძიების მოთხოვნით ირაკლი გოცირიძემ, რომელიც იმ დროს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტიპლიკაციის განყოფილების რედაქტორად მუშაობდა, 1989 წლის 12 აპრილს განუცხადა კრემლი-დან გამოგზავნილ ემისრებს, შევარდნაძესა და რაზუმოვსკის ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. კრემლის გა-

მოგზავნილები დაუინებით აცხადებდნენ, რომ გადაწყვეტილება დემონსტრაციის დაშლაზე საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო და, ამდენად, ქართველებს თითო მოსკოვისკენ არ უნდა გაეშვირათ. ამგვარი განცხადება თავიდანვე უქმნიდა სერიოზულ ბარიერს ირაკლი გოცირიძეს, მაგრამ უურნალისტმა კარგად იცოდა, რომ ძირმორყეულ კომუნისტურ ხელმძღვანელობას უკვე აღარ შეეძლო აშკარად წინ აღსდგომოდა სიმართლის ძიების პროცესს. უკვე მეორე დღესვე ირაკლი გოცირიძე მიიღო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ი. როდიონოვმა, რომელიც თბილისში კომენდანტის საათის შემოღების მომენტიდან ქალაქის სამხედრო კომენდანტიც იყო. უურნალისტს ძირითადად აინტერესებდა 9 აპრილის ტრაგედიის სამართლებრივი მხარე, ის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლის მიზეზით მოხდა ეს უბედურება. ამ პირველი შეხვედრის შედეგი ის იყო, რომ ნათელი მოეფინა ორ ფაქტს: დემონსტრაციის აღსაკვეთად შეიარაღებული ძალის გამოყენების ნებართვა გასცა იმპერიის უმაღლესმა მმართველმა ინსტანციამ – პოლიტბიურომ, დარბევის ოპერაციის ხელმძღვანელად კი როდიონოვი უშუალოდ თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა დანიშნა. როდიონოვმა შემდეგში უკან წაიღო თავისი სიტყვები, მაგრამ ირაკლი გოცირიძეს საუბრის აუდიოჩანაწერი ხელთ ჰქონდა.

შემდეგმა შეხვედრამ, ახლა უკვე პატიაშვილთან, უურნალისტი დაარწმუნა, რომ დემონსტრაციის დარბევა მოსკოვში იყო დაგეგმილი და გამოძიების პროცესმაც მოსკოვში გადაინაცვლა. მოსკოვში იგი შეხვდა ცეკას მდივანს ჩებრიკოვს, თავდაცვის მინისტრს იაზოვს. ირაკლი გოცირიძის მიერ მოძიებული მასალები შემდგომში რესპუბლიკური და საკავშირო ოფიციალური საგამოძიებო კომისიების დასკვნებში აისახა; გარდა ამისა უურნალისტი ახალ-ახალ მოკლეულ ფაქტებს სისტემატურად აქვეყნებდა პრესაში.

ირაკლი გოცირიძის უურნალისტურ გამოძიებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმპერიის საზღვრებს გარეთაც. იმ დროს, საბჭოთა სი-

ნამდვილეში, მსგავსი უურნალისტური ქმედების მომსწრე არავინ არ იყო და ამიტომაც იქნა იგი აღიარებული უპრეცედენტოდ და უნიკალურად.

უურნალისტური ქმედების ყველა მასალას, მანამდე სხვადასხვა გაზეთში დაბეჭდილს თუ დაუბეჭდავს, ირაკლი გოცირიძემ თავის ორ წიგნში მოუყარა თავი. პირველი მათგანი, „სიმართლის კვალდაკვალ“, 1990 წელს ქართულ ენაზე გამოიცა თბილისში; მისი წინასიტყვაობის ავტორი, ცნობილი სამართალმცოდნე ლ. ალექსიძე აღნიშნავს, რომ ი. გოცირიძემ კეთილშობილური წვლილი შეიტანა არა მარტო 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევაში, არამედ პირველმა მიაპყრობინა საზოგადოებას ყურადღება იმაზე, თუ სად უნდა ვეძებოთ მართლსანინააღმდეგო ქმედებების ჯაჭვის თავი...

1991 წელს რუსულ ენაზე გამოიცა ირაკლი გოცირიძის მეორე წიგნი „მე ჩავიხედე ხელისუფლების სეიფებში“. ეს წიგნი მოსკოვში უნდა გამოცემულიყო, მაგრამ კრემლის ბობოლების ზეგავლენით მის ბეჭდვაზე უარი თქვეს. თვით ავტორისთვისაც უცნობი იყო, თუ როგორ მოახერხეს პატრიოტმა ადამიანებმა ხელნაწერის მოსკოვის გამომცემლობიდან გამოტანა და რიგაში დაბეჭდვა, აღნიშნული წიგნიც ფრიად საყურადღებო წინასიტყვაობით იწყება, რომლის ავტორი გახლავთ ცნობილი რუსი მწერალი ალ. გელმანი; მისი სათაურია – „როგორ შევიდა ირაკლი გოცირიძე ისტორიაში“. მასში ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: „ქართველ ხალხს აღარ სურს იყოს მოსკოვის სამეურვეო ტერიტორიის მოსახლეობა, საქართველოს სურს თავად წყვეტდეს და განაგებდეს თავის სვე-ბედს“...

ასევე განსაკუთრებულია ირაკლი გოცირიძის მოღვაწეობა, როგორც გაზეთ „იბერია-სპექტრის“ დამაარსებლისა და რედაქტორისა. ნიშანდობლივია, რომ ამ გაზეთის პირველი წომერი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების წინადღეს – 1991 წლის 8 აპრილს გამოვიდა და 9 აპრილის მოვლენების 2 წლისთავს მიეძ-

ღვნა. კანონიერი ხელისუფლების პუტჩის გზით დამხობის შემდეგ ეს გაზეთი საქართველოს იარაღით დათრგუნული, უფლებანართმეული მოსახლეობის ერთგული თანამდგომი გახდა და მთელი 90-იანი წლების განმავლობაში პირუთვნელად ამხელდა სისხლიანი გადატრიალებით მოსულ ხელისუფლებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „იბერია-სპექტრი“ „აღდგომასთან“ და სხვა თითზე ჩამოსათვლელ გაზეთებთან ერთად უშიშრად ახმოვანებდა სამართლიანობის აღდგენისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის გულისხმას, უამრავი რეპრესიის, დაპატიმრებების, ფიზიკური წამების, რედაქციის დარბევის, გაზეთის გამოცემის აკრძალვების, საცხოვრებელი ბინის ტყვიებით დაცხრილვის მიუხედავად, მამაც უურნალისტს, მოუსყიდველ მამულიშვილს, ირაკლი გოცირიძეს ბოლომდე არ დაუყრია ფარ-ხმალი.

მან სამშობლოსთვის გაიღო ყველაფერი და ამ გაღებულ მსხვერპლთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ირაკლი გოცირიძის ორი ვაჟიშვილის ტრაგიკული აღსასრული. ძალადობით მოსული ხელისუფლების მიმართ უურნალისტის შეურიგებელ დამოკიდებულებას პირდაპირ უკავშირდება ერთ-ერთი მათგანის, მხატვარ გოგი გოცირიძის მკვლელობა 1992 წლის 28 თებერვალს. გოგი გოცირიძე მაშინ, მავთულით გაკოჭილი, ხეზე ჩამომხრჩალი იპოვეს; ასე გაუსწორდნენ მას იმის გამო, რომ იგი პუტჩის დროს ე.წ. „ბუნკერში“ კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა პორტრეტებს ხატავდა. რამდენიმე წლის შემდეგ ი.გოცირიძის მეორე ვაჟი, კინორეჟისორი და სცენარისტი თამაზ გოცირიძე, მოსკოვში კავკასიელი ეროვნების ადამიანების მიმართ გაჩაღებულ ძალადობას შეეწირა.

ტრაგიკული განსაცდელების ჩაუხედავად, ირაკლი გოცირიძემ თავისი გაზეთი შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების მამხილებელ მძღავრ რუპორად აქცია, რომელსაც დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებშიც უსმენდნენ. „იბერია-სპექტრის“ ფურცლებზე ნამდვილად საყოველთაო რეფერენდუმი მოეწყო შევარ-

დნაძის გადადგომის მოთხოვნით. ეს იყო არ-ნახულად მასობრივი გამოხმაურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 103 მეცნიერისა და თანამშრომლის წერილისა, რომელიც გაზე-თის 1993 წლის 27 აპრილს გამოქვეყნდა. არა მარტო საქართველოში, დასავლეთშიც ფართო რეზონანსი პოვა 1999 წლის 5 მაისს გამოქვეყ-ნებულმა ო. გოცირიძის წერილმა იმის შესახებ, თუ რატომ იყო აუცილებელი ქვეყნის მაშინდე-ლი მმართველის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა... ერთი სიტყვით, ირაკლი გოცი-რიძის მთელი უურნალისტური საქმიანობა იყო წარმატებული გაგრძელება მშობლიური ერის ღირსების დაცვისათვის თავდადებისა, რომე-ლიც მან 9 აპრილის მოვლენების გამოძიების დროს გამოიჩინა.

ირაკლი გოცირიძე 2004 წლის 3 მარტს,

მძიმე და სწრაფად განვითარებული ავადმყო-ფობის შემდეგ, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ დღემ-დე ვერ მოიცალა ამ მამაცი და პირუთვნელი უურნალისტის, კოლორიტული და ფრიად გა-ნათლებული პიროვნების ღვაწლისა და დამ-სახურების სათანადოდ დასაფასებლად; ეს მოხდება მაშინ, როდესაც ქართველთა გული და გონება საბოლოოდ განიწმინდება საბჭოური და პუტჩისტური ჭუჭყისაგან, როდესაც ნამდვი-ლად დემოკრატიული, ეროვნული სახელმწიფო გვექნება და ქართულ უურნალისტიკას ოქროს ასოებით სამუდამოდ შერჩება სიმართლის, მარ-თალი კალმისა და მამულის უანგარო მცველის – ირაკლი გოცირიძის სახელი და სამაგალითო ღვაწლი.

**უურნალ „მიჯნის“ სახელით  
პემალ გოცირიძე**



## ნანა ჭურლულია



ნაიკითხავთ ამ ლექსებს და დარწმუნდებით, რომ პოეტი ნანა ჭურლულია ნამდვილად ხალასი ნიჭის შემოქმედია – უკვე ჩამოყალიბებლი ინტონაციით, საკუთარი ხმით. ახლახან იგი პირველი წიგნით წარუდგა მკითხველს და დარწმუნებული ვართ, რომ იგი აუცილებლად დაიმკიდრებს თავის აღვილს თანამედროვე ქართულ პოეზიაში... ვულოცავთ ავტორს პირველი წიგნის გამოსვლას და გთავაზობთ ლექსებს მისი კრებულიდან.

\*\*\*

რუს...

შემოიხვიე თავშალი ნისლის,  
გაცდი ნაპირებს დაფარულს სელით,  
ალბათ, არ გეყო ამქვეყნად ძილი,  
აღარ გვეძახი:

- დროებით!

- გელით!

ისე საოცრად, როგორც შენ იცი,  
ილიმის სხივი ზეცის კიდეზე.

ალბათ, გემძიმა ამდენი დარდი,  
ბავშვივით ჯდომა სახლის კიბეზე.

შენს თლილ თითებზე ცურავს ჰაერი,  
როგორ დაღლილხარ ამ ქაოსებად...

ალბათ, არ გეყო საოცრებები,

ან ეს სამყარო არ გაოცებდა...  
შემოიხვიე ნისლის თავშალი...

\*\*\*

სხვანაირი ვარ!

სხვანაირად ვხედავ მზერებსაც

და სხვანაირად მეჩვენება სიტყვა ართქმული.

სულ სხვანაირებს ვაციმციმებ ჩემსას მზეებსაც,  
სხვანაირად მაქვს ოცნებები ცაში ჩათქმული.

...

უცნაური ვარ!

უცნაურად ვწერ და გიყურებ,

როდესაც რალაც უცნაურად მიფეთქავს გული.

უცნაურია, რომ არ მყოფნის თავდავიწყება

და მეფანტება უცნაურად რაც მაქვს დათქმული.

...

სხვანაირი ვარ!

არ შემეძლო სხვაგვარად ალბათ.

ყველა სიტყვასაც უცნაურად ბოლომდე ვუვლი.

საოცარია, რომ არ მყოფნის თავდავიწყება

და ოცნებები სხვანაირად ცაში ჩათქმული.

\*\*\*

ცისარტყელაზე აუცდათ ფეხი ჩემს მოგონებებს.

გადატყავებულ მუხლისთავებს მიუგავთ ფიქრი,  
ასიათასჯერ გახსენებულ და დავიწყებულ  
ნაბიჯებს ვითვლი...

გავცდი ღრუბლებს და ჩავცდი მწვერვალებს,  
ფრთის მოსაქნევად სუნთქვა არ მყოფნის.

ცისარტყელაზე ფეხაცდენილ სურვილებს ვუცდი,  
გადარჩენილი მხოლოდ აწმყოთი...

\*\*\*

მე გავიხადე კანი  
და შენს გამოწვდილ ხელებს,

შემოვაფარე ტანი,

სული, რომელიც ეძებს...

მე მოვიშორე თმები

და დაგაფინე მხრებზე,

დაგიცავს შორ და მრუდე,

ეკალ-ბარდიან გზებზე.

მე შევიკავე სუნთქვა

და მოგეშველე თვალით,

რაც კი აქამდე უთქვამთ,

რასაც გეტყვიან ხვალის

მერე და მერე ნახავ,

რომ მჭირდებოდი მეტად,

რომ მჭირდებოდი მუდამ,

რომ არ მინდოდა „ნეტა“...

მე გავიხადე კანი

და შენს გამოწვდილ ხელებს

შემოვაფარე ტანი,

სულიც, რომელიც გეძებს...



\*\*\*

თაროზე წიგნებთან და ნახატებთან  
შემოვდე დალლილი და მტვრიანი  
კანგადაქერცლილი სევდები...

მითხრეს – გაიღიმე ხანდახან,  
არსებობს დღეები მზიანი,  
მეც უსაყვედუროდ ვნებდები.

მხრები მივუშვირე იმედებს,  
ფაქიზებს საპნის ბუშტივით.  
ვცდილობ არ გამექცნენ ძალიან.

ბედი რა საოცრად მიმეტებს,  
მასწავლის სიარულს ურჩივით.  
თითქოს საამისოდ მცალია.

თაროზე წიგნებთან და ნახატებთან  
შემოვდე დალლილი და მტვრიანი  
კანგადაქერცლილი სევდები.

როცა უსაშველოდ აღარ ხარ,  
არასდროს არ არის გვიანი  
და უსაყვედუროდ ვნებდები...

## მათროში

იდგა ძალიან გამხდარი ქალი,  
ძველი ფეხსაცმლით,  
ლაქით შარვალზე,  
ფართო ქურთუკით,  
ლეჭავდა რეზინს,  
ფიქრობდა ბედზე, მტარვალზე.  
იდგა და იყო პრობლემა ქვეყნის,  
კაცის ქუდით და მამრის ხელებით,  
შეშფოთებული საოცრად ხვედრით,  
როგორც დიდი და უცხო ქვეყნები.  
იდგა ძალიან გამხდარი ქალი,  
უშნო ტანსაცმლით, უშნო ხელებით  
და დალაქული უჩანდა თვალი,  
ამოქოლილი ბედის ყვედრებით...

\*\*\*

როგორ აუტანლად წვიმდა წუხელ...  
არსად არ ისმოდა წუხილი ქარის...  
სხივებით მოსასვლელად კარებს ვუღებ  
მას, ვინც მომსვლელი არ არის.  
როგორ აუტანლად მივდივარ საკუთარ  
თავიდან, მხრებიდან და მერე სარჩევად  
გიტოვებ საფიქრალს, გიტოვებ საფიქრალს,  
რალატომ არ რჩება?!  
რალატომ არ რჩება?!  
ასე აუტანლად წვიმდა წუხელ,  
ველოდი მოსასვლელად ძალიან შორიდან.  
საკუთარ ფიქრს და გულს კარებს ვუღებ,  
მოვიდა! მოვიდა! მოვიდა!

\*\*\*

ჩემს ტირილს გილოცავ,  
შენ რომ შეგიძლია,  
ჩემს ალმოდებულ სინდისს,  
გადათელილია.  
ჩემს სიამაყეს გილოცავ,  
დამხობილს, თავში ქვაჩარტყმულს,  
ხელებს უძრაობა მითიშავს,  
თავმოყვარეობა გალახულს.  
სიმებანყვეტილ გიტარას,  
წელში გადამტვრეულ კალამს,  
ამ გულმა წელანაც გინატრა,  
ურცხვად გიფრიალებს ალამს!  
როცა უმიზეზოდ დაგითოვს,  
ბილიკიც მრავალგზის გადათელილია...  
იტირე ჩემს მაგივრად, გეხვენები...  
მე არ შემიძლია!

\*\*\*

ჩემს ვიწრო მხრებზე  
გაშოტილა მთელი სამყარო.  
ჩემს ხელისგულზე არ ეტევა  
ფანტელი თოვლის.  
გადასარჩენად სხივები რომ  
ცაში ავყარო,  
ვინ მოთვლის?!  
ჩემი შავ-თეთრი ფერებიდან  
წვეთავს ანამყოლ  
მზერა და სისხლში გაჩერდება  
თეთრი ბურთები.  
ვგავდი პატარძალს,  
ცისქეშეთში ძალით განაყოლს.  
მიმაქანებდნენ ელვასავით  
ღმერთის ურჩები.  
ჩემს სიახლოვეს გაშოტილა  
სხვისი სამყარო,  
სხვისი ცხოვრებით გაჟღენთილა  
სხვისი არული.  
გადასარჩენად...  
სხივები რომ ცაში ავყარო?!  
დავრჩე ცასა და მიწას შორის  
კვლავ მოარული...

\* \* \*

ცარიელ სურვილებად გაშლილი,  
ვნების უსასრულო ნამცეცებით  
ქრიან ჩემს გარშემო დაშლილი  
ფუნჯის და ფერების საცეცები...  
და იხატება ვარვარა მზე,  
ცხოვრების ჩვეული ირიბები.  
ამბავი, თუ როგორ გაგაბრაზე  
და ჩემთან აღარ ირითმები.  
როგორ შევაქციე ყველა ვნებას  
ზურგი და დავდექი ქარიანი...  
და მერე როგორ მენანება  
ყველა დღე ავდარ-დარიანი.  
ცარიელ სურვილებად დაშლილი,  
ვნების უსასრულო ნამცეცებით  
ყრია ჩემს გარშემო გაშლილი  
ფუნჯი და ცხოვრების საცეცები...

\*\*\*

ჩემს სისხლს, ურცხვენელს, ვერ წაბილწავს მსურველი ავის,  
მოსული შორით, მოსული ომით ან თუნდაც ზავით.  
აიზვირთება, გაბევრდება, ვითარცა ზვავი  
და გადაყლაპავს უსუსურებს, ძლიერთ ლავლავით.  
ჩემს სისხლს, ურცხვენელს, საუკუნოდ უდგას ფესვები.  
მხრებში გაშლილა ჩემი ჯიში და ჩემი გენი,  
არ მოაკლდება სიზვიადე, მოკვდავთა ენით.  
ან თუ როგორმე ვინმეს გულზე ეკლად ვესვებით!  
ჩემს სისხლს, ქუჯიდან აქამომდე, სათქმელი უთქვამს.  
სისხლი მტარვალთა, სხვაზე მეტი, ხშირადაც უსვამს.  
ტახტზე მეფენი საკუთარი ხელით დაუსვამს,  
ჩემს სისხლს, ქუჯიდან აქამომდე, სათქმელი უთქვამს!  
ვამთავრებ სიტყვით! სხვანაირად რომ არც ეგების,  
სამარადუამოდ, საუკუნოდ – მე ვარ მეგრელი!



## ეპატერინი ხოჭოლავა



### მადლობა

ყველა გენიდან, ყველა სიტყვიდან,  
ყველა ფიქრიდან, ყველა წუთიდან,  
ყველა ცრემლიდან, ყველა დარღიდან,  
ყველა წვეთიდან, ყველა კვირტიდან,  
ყველა ქვეყნიდან, ყველა ერიდან,  
ყველა გზებიდან, ყველა ხედვიდან,  
ყველა მნათიდან, ყველა ჟამიდან,  
ყველა დილიდან, ყველა ღამიდან,  
ყველა სარკმლიდან, ყველა კარიდან,  
ყველა ქალიდან, ყველა კაციდან,  
ყველა სანთლიდან, ყველა ლოცვიდან,  
ყველა ლმერთიდან, ერთადერთიდან,  
სიყვარულისთვის ვამბობ მადლობას.

\* \* \*

ჩემში ახლა კოსმოსია, უნონობა, ვვარდები.  
თუმცა ვიცი ამ სივრცეში მე ველარ დავვარდები.

მეშინია, ვხედავ, ზეცა არასოდეს მთავრდება,  
როცა ფრენით დავიღლები, მე რა დამემართება?

მე არ ვიცი, როგორია ყოფის უსასრულობა.  
როგორია სიყვარულში, გრძნობის უსახურობა.

სულ რომ რაღაც გიხაროდეს, არ ყოფილა ადვილი.  
გულში უნდა გქონდეს თურმე ყველასათვის ადგილი.

ახლა ვხვდები, ჩემი სული რატომ არის თავნება.  
იმან იცის, რომ სიცოცხლე არასოდეს მთავრდება.

კი არ მებრძვის, ენატრება ხელთუქმნელი სამყარო.  
ვხვდები, რატომ მეუბნება, შემქმნელს აღარ ჰგავხარო.

ამიტომაც მინდა ახლა გავიხადო სხეული.  
იქნებ არ ვარ, იქნებ არ ვარ ფრენას გადაჩვეული.

## ადამიანის ფიქრი

რა შემიძლია ამ წუთას?  
მხოლოდ აწმყოზე ფიქრი.

რა შემიძლია ამ ფიქრით ?  
ის, რომ დავძლიო შიში.

შიში როგორდა დავძლიო,  
ჩემი სისუსტე იცის.

სისუსტე ვინც აღიარა,  
ცოდნით გატეხა ფიცი.

ფიცი რა გასატეხია,  
თუ ვალი არ გაქვს სხვისი?

ან ვალი რად უნდა გქონდეს,  
თუ ხარ მიღების ლიოსი.

მიღება რატომ გჭირდება,  
არ გაგიცია სხვისთვის?

სხვა ვინდა არის ამქვეყნად?  
ყველა შვილია მისთვის.

უფალი თუ წამს, ძვირფასო!  
მისი გიგრძვნია შიში.

მისი შიში კი სიყვარულს,  
ატარებს როგორც გვირგვინს.

რა შემიძლია ამ წუთას?  
მხოლოდ აწმყოზე ფიქრი.

\* \* \*

ჯერ არის ორი ძალის შეხება,  
შერე კი მათი შერწყმით, შევსება.

ამ შევსებით კი ჩნდება სიცოცხლე  
და გეუბნება, რწმენით იცოცხლე.

მერე კი არის შავი და თეთრი,  
დღეს ღამე მისდევს და მკრთალს კი მკვეთრი.

ამით შენ იწყებ მიზნის არჩევას,  
ცუდისგან კარგის სწავლობ გარჩევას.

მერე კი არის ტკბილი და მწარე,  
რომ ყველა სურვილს აქვს ორი მხარე,

მაგას კი მოსდევს მტყუან-მართალი,  
უსამართლობა და სამართალი,

მერე იწყება სიტყვა-პასუხი  
ხდები მდუმარე, ხან სიტყვაუხვი.

მერე მიწაზე ვეღარ ჩერდები  
და ლოცვით ზეცას მიაჩერდები.

მერე კი იტყვი უცებ, დამთავრდა.  
შესჩივლებ უფალს, რატომ დაგვარგა

და მხოლოდ მაშინ გაიგებ მის ხმას.

„ახლა ჩემია, ნახეთ როგორ მგავს“!

## გთხოვ, არ დამარალო!

ჩამოიხედე, დამაწვიმდა ცრემლად თვალებზე,  
მე არც მანამდე ვერთობოდი წვიმის წვეთებით.  
შემოიხედე, გული გააქვთ, ცვლიან ვალებზე  
და ნაწილ-ნაწილ ვიფერფლები დარდთან შეხებით.

ზოგჯერ ერთ ცრემლში იწრიტება სული სამხილად,  
უფრო მეტყველი ხდება, ვიდრე ზღვა, ოკეანე...  
გრძნობის ადგილი რატომ მტკივა ასე საშინლად,  
შენ დამანახე, სულთა მხსნელი მე ვერ ვიპოვე.

მესტუმრე ერთხელ, სასთუმალთან დარდს ჩაენაცვლე,  
ტკივილუხლები დამანახე ჩემი სამყარო.  
თვალი მაღევნე და მიხვდები, რომ, დავიმარცვლე,  
ქარმა გამფანტოს სიყვარულში, გთხოვ არ დამმალ!

## ქალს

ულამაზესი სურვილების ხარ თაიგული.  
ფიქრში ჩაწინული სინატიფე, – უიარაღო.  
სულისკენ ლტოლვით შემოსილი გაქვს სუფთა გული.  
ქალო მორჩილო. უფლის ნების რწმენით ამაყო.

სიცოცხლის კარი, შენი, სიმწრის ოფლით იღება.  
ტკბილი ნანინა სიყვარულის არის მდინარე,  
ზეციდან შენი ბაგის გავლით სითბოდ იღვრება.  
შიშისგან იცავს ფხიზელსა თუ ღამე მძინარეს.

დგახარ სიმშვიდის და სიცოცხლის სადარაჯოზე.  
ასჯერ გაზომავ და მერეც კი ლოცვით გადაჭრი  
და ის ოცნება, რომ შეიღები წინაპარს სჯობდეს,  
ყველა ნაბიჯზე გეუბნება: მიზნით გამაგრდი.

ულამაზესი სურვილების ხარ თაიგული.  
ფიქრში ჩაწინული სინატიფე, -უიარაღო.  
სულისკენ ლტოლვით შემოსილი გაქვს სუფთა გული.  
ქალო მორჩილო. უფლის ნების რწმენით ამაყო.

\*\*\*

არის ის სამყარო სადაც, აღარ დამჭირდება სიტყვა.  
მაშინ შემოგხედავ მხოლოდ, როცა მომინდება გითხრა.  
მე შენ გულისცემით გიცნობ და მე სუნთქვა შენით მიყვარს.  
არის ის სამყარო სადაც, ვინ ხარ, აღარავინ გვითხავს.

\* \* \*

## განვევეორდებით

ამ ლაბირინთში დარჩენა არ მსურს,  
მხოლოდ ზეცა ჩანს სუფთა, გახსნილად.  
მე არც კედლები, არც გზები არ მძულს,  
თითქმის ვიქეცი იმათ ნაწილად

და არც ის მხიბლავს, რაა ბოლოში,  
ეს ადრე ჭკუას სურდა დასტურად,  
რომ შეუძლია მოუგოს ლოდინს,  
სანამდის რწმენა გეწვევა სტუმრად.

მე ყველა ხლართის ვიგრძენი ძალა,  
ზოგს მე მოვუგე, ზოგმა დამძლია  
და ზოგჯერ ერთი ნაბიჯის გავლამ  
სიკვდილ-სიცოცხლის გემო მაწვნია.

ეს ლაბირინთი უკვე დავძლიე,  
განა გონებით გადავუფრინე...  
შიშის კედლები ფრთებით გავწიე  
და მიწა ზეცად გადავაქციე.

გინდა ტკივილში დამაბრუნო? აღარ გამოვა  
ეს საღამო არ შესვედრის ბოლო საღამოა.  
ტოტიდან ტოტზე გადაფრინდა,  
ხომ გახსოვს ჩიტი?

ახლა იმ ტოტზე თავს იწონებს ხასხასა კვირტი  
მე შენს არნახვას, არშეხებას სიყვარულს ვანდობ,  
ჩემს ოცნებაში რომ იყავი ამისთვის გმადლობ.  
...ფერგადასული მერე ზამთარს დაველოდებით.  
ფოთოლი კვირტში, მე კი შენში განვმეორდებით.

\* \* \*

ადამიანი ოცნებობს ფრთებზე.  
ფიქრებით ჩუმად ნავარდობს ცაში.  
რადგანაც ფრთები გაცვალა მხრებზე,  
რომ გონებისთვის დაეკრა ტაში.

## მამად ეცეული

ახლა, ამ წუთას, ამ ფიქრისთვის და ამ ლოცვისთვის  
განვლილი წლები ყველა ნაბიჯს წინ მიუძლოდა.  
რა და რამდენი ტკივილია, ამას ვინ მოთვლის,  
თუ რამდენ რამეს მოუთმენლად გული ელოდა.

ახლა, ამ წუთას შეგვიძლია მხილება ფიქრის  
და ოცნებებში გაბნეული მრნამსის ცხადყოფა.  
რაც არ გახდება სამლოცველო დღეს სიყვარულის,  
სიძულვილით და გამეტებით ხვალ გაიყოფა.

ახლა, ამ წუთას აღიმართოს თეთრი ალამი,  
ლმერთმა ინებოს რწმენისა და საქმის თანხვედრა.  
სისხლმა აკურთოს მშვიდობისთვის მხოლოდ კალამი,  
აქ და ამ წუთას შედგეს ჩვენი ლმერთთან შეხვედრა.

თუკი სიმართლით შევძლებთ მისი სახის დანახვას,  
მამად ქცეული, დაანებებს კვლავ თავს მეფობას  
და თუ გაუძლებს მის სამართალს ჩვენი განზრახვა,  
აქვე შევიძენთ უძლეველ და ერთგულ მეგობარს.

ახლა, ამ წუთას, ამ ფიქრისთვის და ამ ლოცვისთვის...

## აღსარება

\* \* \*

პასუხები ჩემში ეძებს შეკითხვებს.  
გონებასთან გრძნობა ისევ თამაშობს.  
უძლურობა შიშს უგზავნის შეგირდებს,  
ცოცხალი ვარ და სიკვდილი არ მაწყობს.  
მეცოტავა არსებობის შეგრძნება,  
უსასრულოდ ყოფნა არის მიზანი,  
მაგრამ სივრცის სიყვარულით შევსებას  
ვერ ვახერხებ, რადგან ვერ შევიცანი.  
ჩემი სული სხეულიდან გასვლას მთხოვს,  
ყოფიერი სურვილებით დალლილი.  
მე ვინა ვარ, მის გარეშე არ მახსოვს.  
აღარ მახსოვს უფლის ხელში განცდილი.  
თუ სიცოცხლე ჰქვია დროში ხეტიალს,  
უკვდავება სულის მაშინ მითია.  
თვალებს ზეცის მონატრებით სევდიანს  
ვერ ვუყურებ, ჩემთვის მძიმე ტვირთია.  
უსასრულო ალბათ ჩემში გზას იკვლევს.  
მიბრაზდება, რომ მაშინებს სიკვდილი.  
დავძლევ ამ გზას, იცის, გული გამიძლებს.  
რწმენით დავძლევ, ცოდვით ღონემიხდილი.  
შეკითხვები ჩემში ეძებს პასუხებს,  
ალბათობის თეორია მცდარია.  
მე უფალთან განშორება მაწუხებს.  
მე მაწუხებს, რომ კვლავ მხედავს დარდიანს.

“მეგრელი ქალი ფიცხია.  
თავს გაუფრთხილდი, ბიძია.“  
(ავტორი უცნობია)

ფიცხია, მაგრამ კეთილი.  
თბილი კერისთვის შექმნილი.  
სახე გაშლილი სტუმრისთვის.  
მალამო მწუხრი გულისთვის.  
ჭირის და ლხინის ზიარი.  
მოყვრისთვის პირმოცინარი.  
თუ აქვს მიზეზი, ფიცხია  
ენამახვილი, მკვირცხლია.  
მოსიყვარულე, ერთგული.  
ტკბილი ხმით ბევრჯერ ქებული.  
სისხლში გამჯდარი დედობით,  
მიმტევებელი, შემნდობი.  
ნუ გააბრაზებ მეგრელ ქალს  
და ნუ დაიდებ უფლის ვალს.



## ჩარლზ ბუკოვისი (აშშ)

(თარგმნა თორნიკე ქავშაიამ)



### ცრიამლი და მოთქმა დაივიცხეთ

როცა მოვკვდები, მე არც ცრემლი მსურს და არცა მოთქმა.  
ყოველივე წარიმართოს მშვიდად. მე მდიდრული  
ყოფის მრავალგვარობით ვიყავ აღვსილი.  
ამქვეყნად ვინმეს თუ გაუმართლა,  
სწორედ რომ მე გამიმართლა.  
ვინც არ უნდა იყოს, ეს მისთვის არის სავსებით საკმარისი.  
საერთო ჯამში, ჩვენ ერთმანეთს ბედმა დაგვამსგავსა,  
ამიტომ იყავით მდუმარენი,  
იმ შემთხვევის გარდა, თუკი თქვენ  
გადაწყვიტეთ თქვათ, ცხენთა  
მარულაზე ჩემი დახელოვნებული  
ოსტატობის შესახებ რამე.

თქვენ ჩემს შემდეგ მოკვდებით. მე უკვე  
ის რაღაცა ვიცი,  
რაზეც თქვენ, შესაძლოა არ გქონდეთ წვდომა.

### დაგადეგის დღის მილოცვა

როცა  
დაბერიკაცდა  
ვაგნერი,  
მან  
დაბადების  
დღეს  
მიიღო საერთო  
მილოცვები.  
მაღლა ავარდა  
ვიღაცების ხელში გაუაზრებლად მოხვედრილი,  
მისი ყმანვილკაცობის დროინდელი  
კომპოზიციები.  
მან ბოლოს იკითხა:  
„ვინ არის მისი შემთხველი?“  
„თქვენ“, მიუგეს  
მას,  
„ოჟ“, წარმოთქვა მან,  
„ამას მე ყოველთვის ვგუმანობდი:  
მაშასადამე,  
სიკვდილს რაღაცნაირი  
ღირსება მაინც აქვს დარჩენილი“.

### სიკვდილი ენევა ჩემს სიგარას

იცით, მე ისევ გავხდი დალახვრული  
რადიოში ჩაიკოვსკის მოსმენის შემდეგ.  
ღმერთო ჩემო, მე მას 47 წლის უკან  
მოვუსმინე,  
მაშინ როცა მე გახლდით დამშეული  
მწერალი  
და  
მე დროში, როგორც მწერალმა  
შესამჩნევ  
წარმატებას მივაღწიე.  
მე ახლა, ამ ოთახში, ჩემი სიგარის  
გაბოლებით წინ  
და უკან  
მექაჩება მოახლოებული  
სიკვდილი.  
ის ჩემს ღვინოსთანაა შერწყმული,  
ის არის ჩემი ჩაის სმის გამთათხავი.  
ის – პათეტიკით აღსავსე.  
ის – საკუთარი თავის უხსოვარი.  
მე მიკვირს, რა ძნელზე ძნელი სავალი ბილიკი  
მექნა გასავლელი,

მე თუ რამეში გამიმართლა, ეს იმიტომ რომ  
მე უმეტნაკლებოდ გავაგორე კამათელი:  
მე ჩემი წერისთვის ვიშიმშილე.  
ვიშიმშილე, რომ მომეპარა 5 დაწყევლილი  
წუთი, 5 საათი,  
**5 დღე –**  
მე მსურდა ქალალდზე დამემაგრებინა სიტ-  
ყვები.  
მსურდა, სახელგანთქმა, ფული – ყველაფერი  
სისულელე.  
მე მსურდა დამეჭირა სიტყვები.  
სხვებს კი უნდოდათ, პერფორატორისთვის,  
კონვეირისთვის გავეგზავნე.  
მათ უნდოდათ, უნივერმალში საწყობის გამ-  
გედ  
მემუშავა.  
კარგი, მეუბნება ჩემს გვერდით მიმავალი  
სიკვდილი,  
მე შენ მოგწვდები მაინც,  
ვინც არ უნდა იყო:  
მწერალი, ტაქსის მძლოლი, სუტინიორი,  
ყასაბი,  
პარაშუტისტი, მე მაინც მოგწვდები შენ...  
მე მას ვპასუხობ, კარგი, ჩემო პანაწავ.  
მე მასთან ერთად ვსვამ ღამის პირველ  
საათზე და მივსრიალებ ორისკენ,  
მხოლოდ მან იცის შესაფერისი მომენტი,  
მაგრამ ის იძარცვება ჩემგან:  
საკუთარი დაწყევლილი 5 წუთი,  
მე უკვე მივიღე – და არა მარტო ის...

## ართივის გული

რას დაწერენ  
2000 წლის შემდეგ,  
თუ ისინი  
ამქვეყნად იცხოვრებენ  
ისევ?  
აგერ, მე ახლა  
თეთრ კაბერნეს ავინიონს ვსვამ  
და მანჯლრევს ბახი.  
აქ რაცაა საკვირველი,  
ესაა  
დაუსრულებელი სიკვდილი.  
ესაა  
დაუსრულებელი სიცოცხლე.

როცა მე ამ ხელებს დავცქერი,  
რომლებსაც უჭირავთ სიგარეტი,  
ვგრძნობ, თითქოს მე აქ  
სულმუდამ ვზივარ.  
აგერ,  
ქვემოთ,  
იარაღასხმული  
ჯარი  
გარშემოერტყა ქალაქს.  
მიღიმის მე,  
ჩემი  
პესიკ ტონი.\*  
კარგია, როცა  
თავსა გრძნობ კარგად,  
უბრალოდ, მიზეზის გარეშე,  
თორებ  
განსაზღვრული  
შესაძლებლობის ძალისხმევით,  
მაინც  
მოგიწევს თავის გადარჩენა.  
ან კიდევ  
გვიშველის თანმხლები  
სიმძულვარის გარეშე  
მცირედი სიყვარულის გამოვლენა.  
ძმაო, ჩვენი სასო-ჩაგონება  
გამომდინარეობს ჩვენგან  
და არა ლმერთებისგან.  
რაც გინდა თქვი,  
ოლონდ ამაზე მეტს ნურაფერს მკითხავ.  
ძმაო, გეუბნები:  
ასეთი მშვენიერი მუსიკა  
ჩვენ მხოლოდ  
ჯოჯოხეთის გრილოებში  
გველოდება.

\*პესიკ ტონი – მსუბუქი სათამაშო

## 21-ი საუკუნესთან შესახვედრად

მაშინ ახალი წლის დადგომას ჩემთან  
აღვნიშნავდით.  
მე სავსე ჭიქით ხელში ფეხზე ვიდექი, როცა  
ოდნავ შეზარხოშებული  
უცნაური ახალგაზრდა ტიპი მომიახლოვდა  
და მითხრა:  
„ჰენკ, მე ერთი დედაკაცი გავიცანი, რომლის

მტკიცებით, ის შენზე  
2 წელი იყო თურმე გათხოვილი“. „მართლა?  
რა ერქვა მას?“  
„ლოლა  
ედუარდსი“. „მე არაფერი არ მსმენია მასზე.“ „კარგი რა, ძმაო, არ გინდა. მან თვითონ თქვა“... „მე მას არ ვიცნობ,  
პატარავ...“ მე ნამდვილად არ ვიცოდი, ვინ იყო ის... მე ზათქით ბოლომდე გამოვცალე ჭიქა და ხელახლა შევავსე. მივიხედ-მოვიხედე: ნაცნობი სამზარეულო. მე შინ ვიყავი. ღმერთო, კიდევ ერთი ბედნიერი ახალი წელი. მე სტუმრების შესახვედრად სამზარეულოდან გავედი.

## გამარჯობა, ჰამსუნ

მე შნაპსის ორჯერ-ორნახევარჯერ გადაკვრის შემდეგ, დანაღვლიანებული, არ მოღონიერებული გულით, ბნელად გამყუდროებულ საძინებლის გვერდით გამოღწეული, იმ ჰამსუნზე ვფიქრობ, რომელიც გახდა საკუთარი ხორცის მჭამელი, რომ დრო გამოენახა და ეწერა. მე კაცი დაბეხრეკებული, მეორე ოთახის სანოლში დავეგდები. შუალამის თევზ-დემონი, ჩემდა სატანჯველად, ზემოტივტივეა პირუკუ....

## ხელოვნების აეტი

იატაკზე გატეხილი კვერცხისთვის, 5 ივლისისთვის, კასრის თევზებისთვის, მე-9 ოთახში მყოფ დროთაგან მოყრილისთვის, გალავანზე მჯდომი კატისთვის, საკუთარი თავისთვის, არა ქება-დიდებისთვის, არა ფულისთვის საჭიროა მეტი და მეტი გზის გაკვლევა. წლების მატებასთან ერთად მქრქალდება ბრწყინვა. როცა ახალგაზრდა ხარ, ყოველი ეწყობა უკეთესად. ნებისმიერს ძალუძს დროდადრო ააღწიოს მწვერვალზე პაროლით – სიმტკიცე. ყველაფერი, რაც მას სჭირდება, რაც მას შეახურებს, ეს არის მისი სიკვდილთან აცეკვებული სიცოცხლე.

## შეტყობინება

ტრიუმის წყალში ინთქმებიან გედები. ჩამოხსენით ნიშები. შესვით ბალდამები. ერთმანეთს განაშორეთ ფური და ხარი, მზე და პიონი. ჩემს ღამეს წაართვით ლავანდისებური ამბორი. ქუჩებს მოჰყონეთ სიმფონიები. კერძებად გამოიყენეთ სამსჭვალები. ელვარებას მოკლებული ზურგებით გამოსახეთ წმინდანები. გააბრუეთ ბაყაყები და კატის სულიანი თაგვები. დაწვით წარმოუდგენელი სილამაზის ფერწერა. განწირულია ან აქ ჩემი სიყვარული.

## მერე ახლა რა?

სათქმელი მოვიდა და წავიდა.  
ვზივარ მოარული.  
რეკავს ტელეფონი, ძილქუშობენ კატები.  
ლინდა  
მტვერსასრუტით იატაკის  
დაგვა-მონმენდითაა დაკავებული.  
ველოდები: როდის დავინცებ ცხოვრებას,  
ანდა  
როდის მოვკვდები.  
მე საპატიო ანკრიალების ვიყავ მოწადინე.  
ეს ადგილი კი აღმოჩნდა ყოვლად  
საძულველი,  
მაგრამ ფანჯრის იქით მდგარი ხე  
ვერაფრით აცნობიერებს ამას.  
ვხედავ, ნაშუადლევ მზის ქვეშ  
როგორ აძრწოლებს მას ქარი.  
აქ არაფერი ჩანს სადეკლარაციო,  
განა რამეა მოლოდინი...  
ამ ყველაფერს ყოველი ჩვენგანი შეხვდება  
სათითაოდ.  
იყო დრო, როცა მე ვიყავი ძალიან  
ახალგაზრდა,  
საკვირველი ახალგაზრდა.

აი, ამ ოთახში.  
ისინი ავთვალადები  
არიან,  
შავი ქვესკნელიდან  
მოვარდნილებს ჰგვანან.  
ისინი შენ კვალდაკვალ  
მოგყვებიან.  
ისინი შენამდეც  
მოაღწევენ,  
თუმცა შენ ერთ-ერთი  
მათგანი  
ხარ ახლა.

## ხროვა

ძველი ჩვეულებისამებრ ძალლები  
აგრძელებენ  
სროლას. წინ მიიწევენ, უკან იხევენ,  
ერთ ადგილზე ტრიალებენ  
და შეტევაზე გადადიან ისევ.  
მე კი მეგონა, ისინი გადაშენდნენ  
და დავინცებას მიეცნენ უკვე.  
თურმე მათ სიმრავლეს უფრო მოემატა.  
ჩემი წლებიც წინ გაქროლდნენ,  
მაგრამ ძალლები  
არ ბერდებიან.

როგორც ყოველთვის, ისინი არა მარტო  
სხეულში, არამედ

გონსა და სულში იკბინებიან.  
ამჯერად

ისინი ჩემი მოალყები გახდნენ,

აი, ამ ოთახში.

ისინი ავთვალადები

არიან,

შავი ქვესკნელიდან  
მოვარდნილებს ჰგვანან.

ისინი შენ კვალდაკვალ

მოგყვებიან.

ისინი შენამდეც

მოაღწევენ,

თუმცა შენ ერთ-ერთი

მათგანი

ხარ ახლა.

## ხროვა

ძველი ჩვეულებისამებრ ძალლები  
აგრძელებენ  
სრბოლას. წინ მიიწევენ, უკან იხევენ, ერთ  
ადგილზე ტრიალებენ  
და შეტევაზე გადადიან ისევ.  
მე კი მეგონა, ისინი გადაშენდნენ  
და დავინცებას მიეცნენ უკვე.  
თურმე მათ სიმრავლეს უფრო მოემატა.  
ჩემი წლებიც წინ გაქროლდნენ,  
მაგრამ ძალლები  
არ ბერდებიან.  
როგორც ყოველთვის, ისინი არა მარტო სხე-  
ულში, არამედ  
ამჯერად  
ისინი ჩემი მოალყები გახდნენ,

## შეიძლება, მე ვიტყვი

ნაწილ-ნაწილ,  
აგურ-აგურ  
შენდება  
ჯოჯოხეთი.  
ჩვენ თვითონ  
გავაქვესკნელეთ  
ჩვენი თავი.  
ჯოჯოხეთი  
თვითონაა  
საკუთარი  
თავის გამაჯოჯოხეთებელი.  
ჯოჯოხეთი –  
გარდამავალი  
ჯოჯოხეთი:  
თქვენი ჯოჯოხეთი.  
ჩვენი ჯოჯოხეთი.  
ჯოჯოხეთი.  
ჯოჯოხეთი.  
ჯოჯოხეთი. ჯოჯოხეთი.  
მღერა –  
ჯოჯოხეთი.  
ყოველ გათენებულზე  
ჩაიცვა  
მაღალყელიანი  
ფეხსაცმელი –  
ჯოჯოხეთი.

## ტელეფონი

თქვენ სატელეფონო ზარების საშუალებით  
მოგეტმასწებიან  
ადამიანები.  
ადამიანები, რომლებმაც  
არ იციან, რა უყონ  
საკუთარ დროს.  
მით უმეტეს, მათ მწვავე  
ტკივილამდე  
სურთ, შორი მანძილიდან  
მოახდინონ  
თქვენზე ზეგავლენა  
(თუმცა სინამდვილეში, მათ ერჩივნათ,  
თქვენთან ერთად  
ერთ ოთახში ყოფილიყვნენ,

რომ პირადი არარაობის პროეცირება  
უკეთესად მოეხდინათ თქვენზე).

ტელეფონი – მხოლოდ  
ექსტრემალური საჭიროებისთვისაა  
განკუთვნილი,  
ეს ადამიანები  
არ არიან  
ექსტრემალური საჭიროებისთვის  
მოვლენილები.  
ისინი სტიქიურ უბედურებას წარმოადგენენ.  
მე სატელეფონო ზარანკრიალების მიზეზით  
არასოდეს ვყოფილვარ  
სიხარულით აღსავსე.  
„ალო“, სიფრთხილით ვპასუხობდი მე.  
„ეს მე ვარ, დუაიტი!..“  
თქვენ უკეთ იგრძენით მათი იმპეცილური\*  
შემოჭრის მიზანსწრაფვა.  
ისინი მუდამ ფსიქიკაზე მცოცავ  
ადამიან-რწყილებსა ჰგვანან.  
„დიახ... რაშია საქმე?“  
„ჰო, მე ქალაქში ვარ ამ საღამოს და  
ვიფიქრე...“  
„მისმინე, დუაიტ, მე ახლა ძალიან ვარ  
დაკავებული.  
არ შემიძლია...“  
„კარგი, ხომ შეიძლება სხვა დროს?“  
„თუკი აუცილებლობამ მოითხოვა, არადა, რა  
საჭიროა?..“  
თითოეულ ადამიანს მხოლოდ რამდენიმე  
საღამო ეთმობა  
და ყოველი დახარჯული  
საღამო, –  
ამ ერთხელ მოცემულ სიცოცხლეში  
თქვენი ბუნებრივი სვლაგანზრახვის  
გაველურებაა.  
გარდა ამისა,  
ორი თუ სამი დღე  
პირში რჩება უნელებელი,  
ინტერვენტზე დამოკიდებული  
გემო.  
ტელეფონი – მხოლოდ  
ექსტრემალური საჭიროებისთვისაა  
განკუთვნილი.  
მე ძალიან დიდი ხანი  
მისით ვიყავით დაკავებული.  
მე ბოლოს და ბოლოს მივხვდი

როგორ უნდა ვუპასუხო  
„არა“.  
თქვენ მათზე არ იდარდოთ, გეთაყვა:  
ისინი სხვაგან დარეკავენ.  
შეიძლება, თქვენი ნომერიც კი აკრიფონ.  
„ალო“, ეტყვით თქვენ.  
თქვენ პასუხს მოისმენთ:  
„მე ვარ, დუაიტი“.  
უმაღლ თქვენ  
გახდებით კეთილი  
და მორჩილი  
სული...

\*იმბეჭილურობა – ჭკუასუსტობა

შენგან მიდის მადამ სიკვდილი.  
შენ გალიმებულ ბარმენს ეთხოვები.  
შენ გაგახსენდა, სად მდებარეობს შენი  
სახლი.  
შენ გაგახსენდა ლვინით სავსე ბოთლი  
მაგიდაზე  
შენს ოთახში ტარაკანები  
როკავენ.

შენთვის ვარსკვლავის ლავაშია ყოფნა  
სრულყოფილი,  
სადაც სიცილის წასკდომით აღესრულა  
კაცთა სიყვარული.

## ნებადასული მოლენა

მოვრალი, გზააპნეული  
ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებში დაეძებ,  
სად შეიძლება იყოს შენი სახლი?  
შედიხარ ბარში, რომ დაიბრუნო ფხიზელი  
გონი.  
შენ დაუკვეთე წყალი.  
შენ,  
რაღაცისგან  
გაწუნულმა დახლმა  
დაგისველა  
იდაყვები?..  
მოგიახლოვდა მადამ სიკვდილი.  
ის დაჯდა. შენ მას გაუმასპინძლდი ლუდით.  
ის ისე ყარს, როგორც ჭაობი.  
ის ბარძაყით გეკვრის. რიდმიცემულად  
ილიმის ბარმენი.  
შენ მას აფორიაქებ.  
მან არ იცის შენი  
ვინაობა, იქნებ შენ იყო ჭკუით შეშლილი  
ან მკვლელი, ან  
იდიოტი.  
პირდაპირ ყელში უშვებ  
ლუდის ბოთლიდან  
არაყს. ღამის პირველი  
საათია. ქალაქში იყიდება დეკეული.  
კითხულობ, მის კისერში რამდენს ითხოვენ.  
პირში მანქანის ზეთის გემოთი,  
ბოთლი ბოლომდე გამოცალე.

მე, გაჭირვებაში ჩავარდნილმა, ძველი,  
გაყვითლებული უბის წიგნაკი ავილე  
და როგორც გასულ წელიწადს, ახლაც  
ლოგინში წამოწოლილი  
ვწერ.  
მე უსათუოდ, დღე  
ორშაბათს ექიმთან  
მომიწევს წასვლა.  
„დიახ, დოქტორო, ულონოა ჩემი ფეხები.  
მტკივა თავი.  
თავბრუ მესხმის და მტეხიარობს ზურგი“.  
„სვამთ?“ მეკითხება ის.  
„გააკეთეთ ვარჯიში, მიიღეთ თუ არა  
ვიტამინები?“  
ვფიქრობ, მე ამ ცხოვრების მუდმივი  
ცვალებადობის ფაქტორებით ვარ ავად.  
აგერ, მე ცხენთა მარულას ვესწრები,  
თუმცა მასზეც მე დიდი გულგაცივება  
ვიგრძენი.  
მე უკანასკნელ გარბენაზე ვიყიდე ბილეთი,  
მაგრამ აქაურობა მაღე დავტოვე.  
„გადაწყვიტეთ დასვენება?“ პოტელის  
მომსახურე  
მეკითხება.  
„ჰო, მომბეზრდა ყველაფერი“,  
ვეუბნები.  
„თუ ფიქრობთ, იქ მოსაბეზრებელია ყოველი“,  
ამბობს ის, „მაშინ უკეთესი იქნება აქ  
დარჩეთ“.

და მეც აქ ვსახლობ უკვე.  
ისევ  
თავსასთუმლის მკერდზე –  
მხოლოდ და მხოლოდ ძველი ნანგრევები.  
მოხუცი მწერალი  
გაყვითლებულ  
უბის წიგნაკა  
ჩავკირკიტებ.  
იატაკზე განწყობილი  
უცნაური რამ მოიპარება  
ჩემკენ.  
მაგრამ ამჯერად, ეს ჩემი კატუნიაა  
თურმე.

## ჰაერი და სინათლე და დრო და სივრცე

„იცოდე, მეც შენსავით მყავდა სახლეული\*.  
მქონდა სამუშაო, მუდამ  
მიშლიდა  
ხელს რაღაცა.  
მე ახლა  
სახლი გავყიდე, ვიპოვე  
აი, ეს ადგილი, დიდი სტუდია. ერთი გენახა,  
რამდენი სივრცეა აქ,  
რამდენი  
სინათლე.  
მე ცხოვრებაში თავისუფალ დროსთან ერთად  
საკუთარი ადგილი  
პირველად მერგო, რომ რამე ხელშესახები  
შევქმნა.“

არა გეთაყვა, თუ შენ გინდა,  
რამე ხელშესახები შექმნა,  
მაშინ ყოველდღე 16 საათი მაღაროში გასწიე  
შრომა,  
ანდა სასტუმროში 3 ბავშვის მომვლელი  
გახდი.  
შენ რამე ნიშნეულს შექმნი მაშინ,  
როცა სოციალურ შემწეობაში მყოფი  
შენი ტვინი და სხეული  
სანახევროდ  
მიმოიფანტებიან ნაჭრებად.  
შექმნი მაშინ,  
როცა იქნები გაუსინათლებელი,  
დახეიბრებული,

გონდაკარგული.  
მაშინაც შექმნი,  
როცა კატა შენ ზურგზე მოგექცევა,  
ხოლო მთელ  
ქალაქს შეაქანებს მიწისძვრა, ჩამოცვენილი  
ბომბები,  
წარლვნა და ცეცხლის ალი.

გეთაყვა, ჰაერს და სინათლეს და დროს და  
სივრცეს, არაფერი არა აქვთ ამასთან  
საერთო და არაფერიც არ წარმოიქმნება  
მათგან,  
თუკი არ ვიქნებით, ჩვენი გაგრძელებული  
არსებობისთვის ახალი თავგამართლების  
გამომგონებლები.

\*სახლეული – ოჯახი

## პიძაჩიაში ჯეპი

ბიძაჩემი ჯეკი –  
ის არის თაგვი  
ის არის ახანძრებული სახლი  
ის არის აღმავალი ულეტა  
ის არის ზურგში ჩარჭობილი დანით  
გაქცეული ადამიანი.

ბიძაჩემი ჯეკი –  
ის არის სანტა-მონიკას\* პირსი\*,  
ის არის გამტვრიანებული ცისფერი  
სასთუმალი  
ის არის კბილებლრჭენია შავ-თეთრი ქოფაკი  
ის არის ცალხელა, და ის ვინც ცალი ხელით  
უკიდებს სიგარეტს.

ბიძაჩემი ჯეკი –  
ის არის დამწვარი თვალსადევნის  
უმნიშვნელო ნაკუნი  
ის არის ადგილი, სადაც დაგავიწყდა  
გადამალული საკეტი  
ის არის საკუჭნაოში 3 შეკვრა ტუალეტის  
ქაღალდის მიგნებისთვის მოგვრილი  
სიამოგნება  
ის არის ცხოვრებაში ყველაზე ცუდი სიზმარი,  
რომლის ხსოვნაა გადაულახავი.

ბიძაჩემი ჯეკი –  
ის არის ჩემს ხელში აფეთქებული  
ორომტრიალი  
ის არის დილის 10:30-ზე კუტიკარს  
იქით გასული კატა  
ის არის სანტა-ანიტეს გაჩერებაზე კამათლით  
მოგებული თამაში  
ის არის კაცი, ვისთანაც იმ ღამით ულარიბეს  
სასტუმრო ნომერში წავიდა  
შენი ქალი.

ბიძაჩემი ჯეკი –  
არის ბიძაშენი ჯეკი  
ის არის სატვირთო მატარებლით  
მოვარდნილი სიკვდილი  
ის არის თვალცრემლიანი მასხარა  
ის არის შენი დომკრატი და შენი ფრჩხილები  
და ყველაზე დიდი  
საცოდაობის ქვითინი ახლა.

\*სანტა-მინიკა – ქალაქი კალიფორნიაში  
\*პირსი – ზღვაში შეჭრილი ნაგებობა, ორივე მხრიდან  
გემების მისადგომად

### პოვინეთი — ეს არის დაკატილი კარი

როცა მე ვიყავი დამშეული,  
მაშინაც კი მე არ მაღელვებდა ჩემი  
უარყოფითად  
შეფასების წერილი:  
მე რედაქტორები, როგორც გონიერაჩლუნგი  
არსებები,  
ისე მივიჩნიე.  
მე უკანმოუხედავ გზაზე მდგომი  
თავგამოდებით ვწერდი.  
მე მოქმედების ნიშნად მივიღე  
უარყოფა; არ არსებობს იმაზე უარესი, ვიდრე  
ცარიელი  
საფოსტო ყუთი.

მე, ფიქრზრახვებით აღვსილი, რაღაცნაირ  
სისუსტეს თუ ვიჩენდი,  
ეს იყო –  
ჩემი უარმყოფელი  
რედაქტორები

მსურდა დამენახა.  
დამენახა, მათი სახე, მათი ჩაცმულობა.  
დამენახა, აქედერებული  
ხმებით როგორ მიმოდიოდნენ ისინი  
თავიანთ ოთახებში  
და რა ესახებოდათ მათ თვალებში.  
რომელიმე მათგანს, იქნებ ჩემკენ გამოეხედა.

საქმე ის გახლავთ: როცა თქვენ  
თვალნინ გიდევთ ქალალდის ნაკუნი,  
სადაც დაბეჭდილია, რომ თქვენ არაფერში არ  
ვარგიხართ, მაშინ ჩნდება ტენდენცია  
იფიქრო, რომ რედაქტორები  
ღმერთებსა ჰგვანან,  
რაც ძალიან დიდ მანძილზეა  
რეალობიდან დაშორებული.

ჯოჯოხეთი – ეს არის დაკეტილი კარი,  
როცა ღმერთებისგან დაკრულვილ  
ხელოვნებისთვის შიმშილობ,  
მაგრამ დროდადრო, უკიდურეს შემთხვევაში  
შეგიძლია შენ  
საკლიტე  
ჭუჭრუტანაში ყურება.

ბებერია თუ ახალგაზრდა, სათნოა თუ  
ხელიდან წასული,  
მე ვფიქრობ, ამქვეყნად არაფერი არ კვდება,  
ისე ნელა  
და ისე მძიმედ, როგორც  
მწერალი.

### სან-პედროსთვის გაპრაზება

მე ჩემს დედაკაცს ვეუბნები: დიდებული  
პოეტი იყო ჯეფერსი. „მზისთვის გაბრაზდი,“  
მხოლოდ ამ სიტყვებს დაუკვირდი,  
რა მოსწრებულადაა ნათქვამი.

„შენ ნეგატივი მოგწონს“, ამბობს  
ის.

„კი“, ვეთანხმები მე. ჭიქას ვცლი და  
ისევ პირთამდე ვავსებ.  
„ჯეფერსის, ოღონდ არა მზის ლექსში, სხვა

ლექსში ულაყთან ქალი  
სჩადის გარყვნას, რადგან მისი ქმარია მყრალი  
მებრუვე. მერე ქმარი  
ცდილობს მოკლას ულაყი,  
მაგრამ ულაყი  
თვითონ კლავს მას.“

„ჯეფერსზე მე არაფერი არ მსმენია,“ ამბობს  
ის.

„შენ ნუთუ არ გაგიგია ბიგ სურზე რამე?  
ჯეფერსმა  
ბიგ სური ისე განადიდა, როგორც  
დ.ჰ. ლოურენსმა ტაოსი  
განადიდა. როცა დიდი მწერალი  
იმ ადგილს აღწერს, სადაც  
ის მოღვაწეობს, იქ ვიგინდარები  
ჩამოდიან და ყველაფერს არარად  
გადააქცევენ ხოლმე.

„შენ სან-პეტერბურგი ხომ წერ,“ მეუბნება  
ის.

„ჰო“, ვამბობ მე, „შენ თუ წაიკითხე  
ბოლოდროინდელი გაზეთები? თურმე  
აქ უნდათ ააშენონ  
მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნავსაბელი,  
უზარმაზარი სავაჭრო ცენტრი. მილიონი და  
მილიონი დოლარია დახარჯული. იახტები და  
კონ-დომინიუმებია\* სუსტელგან“.

„უყურე შენ,“ ამბობს ჩემი მომლიმარი  
დედაკაცი:  
„შენ მხოლოდ სამი წელია, რაც აქ ცხოვრობ!“

მე საუბრის თემას ვცვლი და ვეუბნები:  
„მე ვფიქრობ, რომ  
შენ მაინც უნდა წაიკითხო ჯეფერსი.“

\*კონდომინიუმი – როცა რამოდენიმე სახელმწიფო ერთდღოულად ფლობს გარკვეულ ტერიტორიას (საერთაშორისო სამართალში მიღებული ფორმა).

## ლურჯი ფრინველი

მე გულში მიზის ლურჯი ფრინველი,  
რომელსაც სწადის გარეთ ლივლივი,  
მაგრამ მე ფრიად გაჯიუტებული  
მას ვეუბნები: „იჯექი შიგნით. მე არ დავუშვებ,  
შენ იქნე საქვეყნოდ გამოჩინებული.“  
მე გულში მიზის ლურჯი ფრინველი,  
რომელსაც სწადის გარეთ ლივლივი.  
მე მას ვისკი გადავასხი.  
მე მას სიგარეტის კვამლი შევაბოლე.  
ვერც მსიძავები, ვერც ბარმენები,  
ვერც მედახლეები,  
ვერასდროს მიხვდებიან,  
რომ ის არის  
აი, აქ.

მე გულში მიზის ლურჯი ფრინველი,  
რომელსაც სწადის გარეთ ლივლივი.  
მე მას ვეუბნები, ხომ არ გინდა კრძალულად  
არ იყო და

თავზე დამასკლინტო?  
ხომ არ გინდა, ჩემი ამდენი ხნის ნაამავი  
შეარცხვინო და ევროპაში გასაყიდი ჩემი  
წიგნები

ეშმისგან იქნეს გათვალისწინებული?  
მე გულში მიზის ლურჯი ფრინველი,  
რომელსაც სწადის გარეთ ლივლივი.  
შუალამით, როცა სუსტელას დაუფლებია ძილი,  
მე მხოლოდ მაშინ,  
როგორც გონიუალრესი ადამიანი,  
ნებას ვრთავ მას,  
იქიდან ამოფრინდეს.

მე მას ვეუბნები: „შენ აქ ხარ ჩემთან.  
შენ ამაო ჭმუნვებს განეშორე.“

მერე მე ვაბრუნებ მას უკან,  
თუმცა ის მაინც თავისას მღერის ჩუმად,  
იქ შიგნით. ისე არ იქნება, რომ მე  
ის სრულიად მოვკლა.

ჩვენ ერთმანეთთან საიდუმლო საუბრებით  
შერწყმულები,  
ერთიან ძილს ვეძლევით,  
რაც არის კარგი და ძვირფასი,  
რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჩვენში ცრემ-  
ლების ფრქვევა,  
მაგრამ მე ხომ არასდროს მეტირება.  
თქვენ?

## ველავ მოკლეკაბიან გოგონას, რომელიც პითხულობს ბიბლიას

კვირადღე. ვჭაბ  
გრეიფუტს. ფანჯრის მოპირდაპირე მხარეს  
რუსული  
მართლმადიდებლური საყდარი.

ის არის მუქტმიანი,  
ალმოსავლური ტიპის.  
მისი თაფლისფერი თვალები  
შორდებიან ბიბლიას. როცა ის კითხულობს,  
მისი ფეხები  
მოძრაობენ, მოძრაობენ.  
ის ბიბლიის კითხვისას ცეკვავს ნელა.  
ცეკვავს რიტმულად...

მას ოქროს საყურეები  
და ოქროს სამაჯურები ამშვენებს.  
მე გაოცნებებულმა დავინახე, რომ მისი  
კუნტალა\* კაბა  
დალივლივებს საკუთარი სხეულის ირგვლივ  
და მსუბუქი ნამზეურის სახისაა ქსოვილი.  
ის ფეხებს კეცავს. ის ფეხებს ასწორებს. ხან  
ასე დგამს. ხან ისე.  
მისი გრძელი ფეხები – გამთბარნი  
მზეზე.

მისი აქ ყოფნა თავიდან აიცილო, გახლავთ  
სრულიად შეუძლებელი.

რამე რომ ქნა, ამაზე, – არავითარი სურვილი.

ჩემს რადიომიმღებში სიმფონიური მუსიკა  
ჟღერს ისევ.  
მას არ ძალუდს, ის მოისმინოს, მაგრამ მისი  
მოძრაობა ამ  
სიმფონიას  
ემთხვევა  
ზუსტად...

ის არის მუქტმიანი, მუქტმიანი.  
ის ღმერთუზესთაესზე კითხულობს –  
მე ვარო უფალი ღმერთი....

\*კუნტალა – მოკლე

## ისინი ისე არ ჟამენ, როგორც ჩვენ

საჭმელს შეექცეოდა მამაჩემი.  
მისი ყურები მოძრაობდნენ.  
ის გოლიათური ენერგიით იღეჭებოდა.  
მე ჯოჯოხეთურ ცეცხლში მერჩივნა მისი  
ამობუგვა.  
მე მის ხელში მოძრავ ჩანგალს თვალს  
ვაყოლებდი.  
მე ვხედავდი, როგორ ჩასდიოდა მას პირში  
საჭმელი.  
ჩემი ჭამა კი იყო გემოვნებას მოკლებული და  
გამასიკვდილებელი.  
მე მამაჩემის სიუხეშისგან გავხდი  
ტვინდასერილი.  
მე ხერხემლებამდე დამიარეს მისმა  
სიტყვებმა.  
„ჭამე, ჰენრი“, მეუბნებოდა მე დედაჩემი,  
ხოლო მან მითხრა: „ბევრი ადამიანი  
შიმშილობს და ისე კარგად არ ჭამენ,  
როგორც ჩვენ!“  
მე ის ჯოჯოხეთში რომ ამობუგულიყო, ის  
მერჩივნა.  
მე მის ხელში მოძრავ ჩანგალს  
თვალს ვაყოლებდი,  
რომელიც უფრო და უფრო მეტ საჭმელს აგ-  
როვებდა და მას პირში უდებდა.  
ის პირს ძალულიად ალავლავებდა.  
მისი ყურები მოძრაობდნენ.  
მას თავისი ჩვეული მრისხანებით რომ  
გავეროზგე, მე ყაბულს ვიყავი,  
მაგრამ როცა ის ჭამდა, ჩემთვის აუტანელ  
ბნელდაფენას ჰქონდა ადგილი  
პირდაპრი მუშაობაზე.  
პირდაპრი ხელსახოცებისთვის განკუთვნილ  
ლურჯ და მწვანე ქვესადგამზე.  
„ჭამე, თუ არა და მე შენს დაწყევლილ  
უკანალს წკეპლით აგინვავ,“  
მეუბნებოდა ის მე.  
მე მას ცხოვრებაში, სხვა დროს, ბევრი ვალი  
გადავახდევინე.  
მე მისთვის ვერც ერთი მოვალეობის  
შესრულება, ვერ ვიკისრე.

## გერმანელი

წარმოგიდგენიათ, ოციანი წლების  
ლოს-ანჯელესი  
და გერმანელი ახალგაზრდის იქ ყოფნა.  
მე მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდი გახვეული.  
ანტიგერმანული ზნე-ჩვეულებები –  
უშველებელ აფუვებით ყვავილობდნენ –  
პირველი მსოფლიო ომის ამაზრზენი შედეგი.  
ადგილობრივი მოზარდები  
ყვირილით დამსდევდნენ:  
„დაიჭირე, დაიჭირე გერმანელი“.  
მე ვერ მომიხელთეს ვერც ერთხელ.  
მე კატას დავემსგავსე.  
მე სკვერების და მოსახვევების ყველა  
შესასვლელ-გამოსასვლელი მქონდა  
შესწავლილი.  
მე თვალის დახამხამებამდე ექვსი ფუტის  
ზღუდეებს გადავევლე.  
მე უკანა ეზოებში და შორეულ კვარტალებში  
დავიკარგე.  
მე გარაუის სახურავებზე და ასეულობით სხვა  
თავშესაფრებში  
აღმოვჩნდი დამალული.  
მათ დიდად არ გამოუდვიათ თავი, რომ  
დავეჭიროთ,  
მათ დაპყვებოდათ შიში, – შეიძლება, მათ  
მიმართ მეხმარა დანა,  
ან ამომეძრო მათთვის თვალები.  
ეს უმსგავსობა წელიწად-ნახევარზე  
ცოტახნით ადრე დასრულდა.  
მკვეთრად, ერთბაშად დასრულდა.  
მე ასე თუ ისე მაღიარეს  
(თუმცა არასრულად).  
მე ამაზე მეტის არ მქონდა ნატვრა.

ამერიკელობით ამაყობდნენ ეს ძალლის  
შვილები.

ისინი აქ მოევლინენ სოფელს, როგორც მათი  
დედები და მამები.

მათ ერქვათ ბეიკერები, სალივანები,  
ჯონსონები.

მათ ჰქონდათ ფერმერთალი სახეები და  
ხშირად, – გამობერილი მუცლები.

ისინი ცხვირდანვინტლულები დადიოდნენ.  
მათ ქამრებს ამშვენებდა

დიდი ზომის ბალთები.

მე გადავწყვიტე, არასოდეს არ ვიქნებოდი  
ამერიკელი!

ჩემი გმირი გახლდათ ბარონ მანფრედ ფონ  
რიხტჰოფენი,

ლეგენდარული გერმანელი ასი.\*

მან მონინააღმდეგის ოთხმოცი საუკეთესო  
მფრინავი

გაანადგურა და ვერავინ ვერაფერს ვერ  
გახდა მის წინაშე...

მათი მშობლები ჩემს მშობლებს ვერ  
იტანდნენ

(სხვათა შორის, ვერც მე ვიტანდი).

მე ჩემს თავს ვუთხარი: როცა გავიზრდები,  
ალბათ სადღაც ისლანდიის მსგავს ქვეყანაში  
ვიცხოვრებ.

არასოდეს არავის კარებს არ გავუღებ.

რასაც ლმერთი გამომიგზავნის, იმით ვიქნები.  
ვიცხოვრებ მშვენიერ მეუღლესთან და ველურ  
მხეცებთან ერთად.

და ჰა, მართლაც, თითქმის ყველაფერი  
ამგვარად გამოვიდა!

\*ასი – მფრინავი-ასი

(საპატიო ბრძოლების დიდოსტატი)

## უჩა ოქროპირიძე

# თანამედროვე ქართული ერთვენული მოძრაობა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ქართული არაფორმალური მწესის მიხედვით

ვფიქრობთ, ისტორიაში შემთხვევით არა-ფერი ხდება და საქართველოში ჩამონილი „დიდი ღამის“ შემამზადებელი გარემობანი საბჭოური ლოგიკის ულოგიკო ფორმატში, თავისითავად, ყოველგვარი გადამეტების გარეშე ჯდება. 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა საქართველოს ისტორიული კრახის შემდეგ, კომუნისტებმა საქართველოში თავიანთი ქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა რადიკალურად შეცვალეს – გარეგნულად სიმართლისა და სამართლიანობის უპირველეს მაძიებლებად გამოაცხადეს თავი, შინაგანად კი საბჭოთა რუსული სისტემის ერთგულ მსახურებად და სამშობლოს ბედისადმი კოლაბორაციონისტულად განწყობილ კონდოტიერებად დარჩნენ. მათ, უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი გააკეთეს თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ნამდვილ შემოქმედთა მისაჩქმალავად და ეცადნენ ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ედუარდ შევარდნაძე), საქართველოსათვის თავსმოხვეული საბჭოთა რეპრესიული მანქანის შემჩერებელ-გამანეიტრალებლად გამოეყვანათ და ამ საშინელების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორისთვის არა მარტო მართებული ბრალდებები აეცილებინათ, არამედ 9 აპრილის ტრაგედიის ხარჯზე, საშუალება მისცეს მას დადებითი ქულები ჩაეწერა, საქართველოს რესპუბლიკის ბედზე მზრუნველ პატრიოტად წარმოეჩინათ. და ეს მაშინ, როდესაც გენერალი ლებედი თავის ჩვენებაში პირდაპირ ამბობს, რომ მან ე. შევარდნაძე თბილისში ჯერ კიდევ 1989 წლის 8 აპრილს ნახა. მაგრამ საბჭოური ინსპირაციის საშუალებით, ეს ფაქტი ფართო საზოგადოებისთვის დღემდე მიჩქმალული და უცნობია; შევარდნაძის „საგმირო საქმეებზე“ კი ფართოდ ახდენენ აპელირებას მისი ქართველი კომპანიონ-თანამზრახველნი.

მათ, ნაცვლად იმისა, საქართველოს ინტერესები დაეცვათ, ერთგულად ამოუდგნენ მხარში საბჭოთა იმპერიის მსახურებს საკუთარ ქვეყა-

ნაში და გააჩაღეს დემაგოგიური კომპანია ქართველი ხალხის გასაბიაბრუებლად. ქართველი კომუნისტების გამცემლური იმიჯის შენიღბვის მიზნით, თითქოსდა ისინი 9 აპრილის შემდეგ შეიცვალნენ და ქართველი ხალხის სამსახურში უპირობოდ ჩადგნენ, მიიღეს რამდენიმე კანონი და დადგენილება საქართველოს სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, შემდეგ კი დაიწყეს მათი ექსპლოატაცია საკუთარი ავტორიტეტის რეაბილიტაცია-განმტკიცებისათვის.

ცნობილმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ 1989 წლის 17 ნოემბერს გამართულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განაცხადა: „სულ არ გამიკვირდება, სერგო ორჯონიშვილები რომ ამოვიდეს ტრიბუნაზე და გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, შესძახოს“ [2. ბერიძე კ.,]; ხოლო რეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ იმავე სესიის შესახებ, რომელმაც მიიღო საქართველოს კონსტიტუციის შესატანი ე. წ. შესწორებები, 20 ნოემბერს გადაცემისათვის „ვრემია“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „...სესიაზე მიღებული კონსტიტუციის შესწორებები უფრო მეტია, ვიდრე რესპუბლიკის სუვერენიტეტი...“ [იქვე]. ეტყობა, საბჭოთა სისტემის ერთგულ მსახურებას შეწირულ დეპუტატს, წარმოდგენაც არა აქვს, რას ნიშნავს ცნება სუვერენიტეტი, თორემ ასეთი რა უნდა მიეღო მოსკოვის პირში მაცქერალ მარიონეტ დეპუტატთა აღნიშნულ სესიას, რომ დეპუტატს თავისითვის ასეთი შეფასების უფლება მიეცა და ამით კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა „მეტსაც გეტყვით“-ის მათი კასტისათვის დამახასიათებელი სინდრომი. და ეს მაშინ, როდესაც საყოველთაო გაგებით „ცენტრიდან სსრ კავშირის ტერიტორიაზე ინსპირირებულ ყოველ აქციას წინ უსწრებს საზოგადოებრივი აზრის მისთვის ხელსაყრელად დასამუშავებელი პუბლიკიები დასავლეთის პრესაში, ამიტომ თვით აქციას დასავლეთი შემზადებული ხვდება.

ჩვენი სოციალისტური სისტემის კარგად მცოდნე „სოვეტოლოგებიც“ კი ვერ ჩაწვდნენ ჩვენს პრობლემებს ღრმად“, – ამბობს პუბლიცისტი და იქვე განაგრძობს, – „რამეთუ ისინი ჭეშმარიტი თავისუფლებისა და დემოკრატის პრინციპებზე აღზრდილი და მოაზროვნე ადამიანები, ვერც კი უშვებენ მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი ტოტალიტარიზმის, უწესიერობის, ძალადობისა და ქაოსის სისტემაში დამკვიდრებული იმ უპატიოსნო ქმედებების უკვე ავტომატურად მოქმედი მექანიზმების არსებობას, რომელიც ხანგრძლივ მოქმედი ნაღმივით დაპროგრამდა და ჩაიდო საბჭოთა ბოლშევიკური სისტემის თეორიულ და პრაქტიკულ სათავეებში“ [5: 3].

ასეთ დროს კი როგორ იქცევა საბჭოთა დემაგოგით აღზრდილ-დაპროგრამებული ე. წ. ქართული უურნალისტიკა?.. იგი „მიუხედავად 9 აპრილისა და თავისივე ფიცის აღიარებისა: „ჩვენ, ქართველი უურნალისტები უკვე ერის მსახური ვართ და ერთ ტყუილსაც არ ვიტყვით“-ო – „დეზინფორმაციის წყაროა; კვლავ არ აშუქებენ იმას, რაც რეალობაა დღეს... დიქტორები მომდიმარი სახეებით... კვლავ ომახიანად გვიკითხავენ შინაგან საქმეთა პრეს-ჯგუფის დეზინფორმაციებს... ერთი სიტყვით, რაც იყვნენ, იგივენი დარჩნენ სავარძლებსა და იაფფასიან რეკლამებს ჩაბლაუჭებულნი, არაქრისტიანული გზით მიმავალნი... ერთი სენი გჭირთ, – მიმართავენ მათ წერილის ავტორები, – პპერატიულები ნამდვილად ხართ, ეროვნულის გარდა ყველაფერში...“

პროტესტს გიცხადებთ ქართველი ერის, სრულიად საქართველოს ამ განსაცდელის დროს ანტიქართული მოქმედებისათვის, რუსიფიკატორული მისის განვრცობა-გაღვივებისათვის – ... დიახ, თქვენ კვლავ კრემლის ბრძანება და მოქნილ იარაღად რჩებით, საკუთარ ხალხს დაპირისპირებულნი...

**ვაშა, თქვენს ინტერნაციონალურ-რუსულ უურნალისტურ – რა თქმა უნდა, დიდმპურობელურ შემოქმედებას! – საპროტესტო წერილს ხელს აწერს 14 პირი [11: 10-11].**

ასეთ მძიმე ვითარებაში, ვნახოთ რა დღეშია საბჭოთა იდეოლოგიური პრესის მიერ დაბოლებული, ე. წ. დასავლეთის საინფორმაციო

ველი. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა გაზეთის „ელ ჯორნალი“ მთავარი რედაქტორის ინდრო მონტელის დაუფარავი პოზიცია, რომ „... ეს ტრაგიკული და სევდიანი მოვლენები ჩვენ მიერ აღიქმება, როგორც შედეგი ისეთი ევოლუციისა, რომელიც არ შეიძლება იყოს წყნარი, უხარვეზო და რომელიც შესაძლოა ძალზე ძვირი დაჯდეს... ამიტომაც ის ჩვენში აღშფოთებას ვერ გამოიწვევს,“ – სრული გახსნილობით ამბობს მონტელი და ამ მისი გახსნილობის გამო მადლობელიც უნდა ვიყოთ, რადგან ზოგიერთივით არ ფარისევლობს და მისეულ სიმართლეს პირდაპირ გვეუბნება. რედაქცია იქვე აგრძელებს – „ამ სიტყვების გამო სენიორ მონტელის სიამოვნებით უწვდის ხელს, როგორც 40 წლის სტაუიანი კომუნისტი, გაზეთ „იზვესტიის“ პოლიტიკური მიმომხილველი ა. ბოვინი... (ამაზე უკეთეს თვით ბოვინიც კი ვერ მოიფიქრებდა, საბჭოთა პოზიციის გასამართლებლად,, – უ. ო.), ხოლო გაზეთი მონტელის პირით იქვე განაგრძობს, – „...სოციალისტურ პლურალიზმს არაფერი საერთო არა აქვს პლურალიზმთან, ხოლო კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ყოველთვის რჩება კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად, როგორ სიტყვებსაც არ უნდა წარმოთქვამდეს იგი...“ [20 და 21]. გაზეთის „ქართული ქრონიკა“ იმავე ნომერში კი ვკითხულობთ – „თბილისის „სისხლიანი კვირა“ ჩაფიქრებული იყო, როგორც გაკვეთილი ყველასათვის, ვინც ბედავს და ხმამალლა აცხადებს კომუნისტური დიქტატურისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ“ (იქვე).

საერთაშორისო თუ საშინაო საინფორმაციო საშუალებების ასეთი განწყობის ფონზე დასავლელი პოლიტოლოგები გვთავაზობენ საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ თავიანთ სტრატეგიას დღეს და მომავალში [12. რიჩარდ პაიპსი...].

ასეთ საერთაშორისო და საშინაო გარემოში საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები თავიანთ ერთობლივ კომუნიკები პირდაპირ აცხადებენ: „ჩვენი მიზანი ერთია, საქართველოს დამოუკიდებლობა“, რომელსაც 1989 წლის 29 ოქტომბერს თბილისში ხელს აწერენ – ზვიად გამსახურდია, ირაკლი ქადაგიძე, ირინა სარიშვილი, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და

სხვები. ხოლო ზუსტად ერთი წლის შემდეგ, მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვების მეორე დღეს, 1990 წლის 29 ოქტომბერს თბილისში მთავრობის სახლის წინ გამართულ საზეიმო მიტინგზე ზვიად გამსახურდია თავის საპროგრამო სიტყვაში პირდაპირ ამბობს: „ჩვენი უმთავრესი მიზანია – ეროვნული შენინარებლობა, შერიგება, სიყვარული, ურთიერთ გაგება“ [13].

ალბათ, ბევრი იგრძნობს, თუ როგორ ჰგავს აქ ზოგიერთი მომენტი ჩვენი თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების სურათებს და მაშინაც ზუსტად ისევე, როგორც დღეს, გონიერების ხმა დარჩა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა და გარკვეულ ე. წ. ოპოზიციურ ძალებს ქვეყანა შეგნებულად კატასტროფისკენ მიჰყავდათ, რაც 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებით დააგვირგვინეს, რომლის დამღუპველი პოლიტიკური და განსაკუთრებით სამართლებრივი შედეგები დღემდე არ არის აღმოთხვრილი და ჩვენი სამშობლოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰქიდია. დღევანდელობაში კი უკვე პირიქით ხდება და საქართველოს ხელისუფლება არ მიდის არავითარ კომპრომისსა და შერიგებაზე, თუმცა ამჯერადაც ქვეყნის ინტერესების საზიანოდ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლებაც, მიუხედავად 9 აპრილს მომხდარი საკუთარი კატასტროფისა, აგრძელებდა თავის მარიონტულ პოლიტიკას და დემაგოგითა და ტყუილით ცდილობდა ფონს გასვლას. მაგრამ ეროვნული მიმართულების საინფორმაციო საშუალებები, თავ-განწირვის ფასად, არ ერიდებიან სიმართლის სააქარაოზე გამოტანას და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ ოფიციალურ, კოლაბორაციონისტულ პოლიტიკას. ეს ბრძოლა პრინციპულ ხასიათს ღებულობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით 1989 წლის თბილისის 9 აპრილის ტრაგიული ამბების შემდეგ. საყოველთაო გამოსვლა-მანიფესტაციებმა და მიტინგებმა მოიცვა ბათუმი, ქობულეთი, ოზურგეთი, ახალციხე და სხვა [14: 4]. შეუწყვეტლივ ქვეყნდება საქართველოს ხელისუფლებისა და საბჭოთა მთავრობის მამხილებელი წერილები – „როგორ აპირებენ“

კომუნისტები „დემოკრატიული“ არჩევნების ჩატარებას“ [15: 1], „ვინ არის დამნაშავე? მსხვერპლი თუ ჯალათი?“, რომელშიც მხილებული იყო 9 აპრილის ტრაგიული ამბების სადამსჯელო ხასიათი, აგრეთვე „გარდაქმნის“ ნამდვილი სახე. განსაკუთრებით რეზონანსული იყო სტატია „ქიმიური იარაღი ხალხის წინააღმდეგ“, რომელსაც გაზეთ „ქართული ქრონიკა“-ს ნომრებში სერიალები მიეძღვნა [16].

დაინტერესულ აქციები საქართველოს გასაბჭოებისა და საოკუპაციო არმიის ნაწილებში ქართველი ახალგაზრდების განვევის წინააღმდეგ და აქტიური გახდა ლოზუნგი: „ძირს საბჭოთა იმპერია!“ [17]. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ დასავლეთი დღესაც რჩება საქართველოსთან მეგობრობის მოსურნე იმ ახლობლად, რომელიც მისი რეალური გაჭირვების მომენტში, ძალიან შორს აღმოჩნდება ხოლმე და მას საკმაოდ ილუზორული იმედებით კვებავს. ეს ასე იყო 1921 წლის ბოლშევიკური ექსპანსიისა თუ 1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დროს. ყველაფერი გააკეთა, რომ ამ საქმიდან „სუფთად“ გამოსულიყო, პირიქით, ჩვენი გამტყუნების მცდელობის ხარჯზე, თავიც კი ემართლებინა (ევროპის რეგიონთა ასამბლეის ეგიდით 2000 წლის აპრილში გამართულ ბათუმის კონფერენციაზე, რომელსაც ქართული ეროვნულ მოძრაობის ცნობილ ლიდერებთან, – აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილთან, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატ ირაკლი კენჭოშვილთან და სოსო სიგუასთან ერთად მეც ვესწრებოდი. ბატონმა ვახტანგმა ვერაფრით მიაღწია, რომ კონფერენციის უცხოელ მესვეურთ შეეფასებინათ საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება და პროტესტის ნიშნად კონფერენციის დარბაზი მხლებლებთან ერთად დატოვა. ჩვენმა რადიკალურმა გამოსვლამ და განსაკუთრებით იმაზე მითითებამ, რომ მათ არ ჰქინდათ ამ კონფერენციის გაგრძელების უფლება, თუ არ უპასუხებდნენ ქართველი ხალხისათვის ამ ყველაზე საჭიროობრივ კითხვაზე, ისინი აიძულა სათანადო პასუხი გაეცათ მასზე და ამით თავიდან აეცილებინათ ღონისძიების საბოლოო კრახი).

ამ პერიოდში ეროვნული მოძრაობის ყურადღების ცენტრშია მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული პრობლემები. კიდევ ერთხელ მხილებულ იქნა ჯერ კიდევ დეკაპრისტ ნ. პ. პეტრელისეულ „რუსსკაია პრავდაში“ ასახული რუსეთის დიდმცყრობელური პოლიტიკა კავკასიაში, – „დავაარსოთ კავკასიის მიწებზე რუსული დასახლებები და ამ რუს გადმოსახლებულებს შორის დავანაწილოთ ურჩი ხალხების მიწები, რათა ამ ხერხით წაიშალოს კავკასიაში ყოფილ (ანუ ახლანდელ) მცხოვრებთა ყველა ნიშანი და გახდეს ეს მხარე მშვიდ და კეთილმონწყობილ რუსულ ოლქად“ [28: 48] და მისი განხორციელების თანამედროვე საბჭოური მეთოდები. სტატიაში „აჭარელი ლტოლვილი“ (რიბაკოვის გეგმა მოქმედებაში). [აღნიშნული სტატიის საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ასლი, ჯერ კიდევ 1983 წლის ზაფხულში, ქობულეთში სტუმრობისას გადმომცა პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა – უ. ო.], განხილულია ზემო აჭარიდან რუსეთში, კერძოდ, კრასნოდარის მხარეში გადასახლებულთა პრობლემები და საბჭოთა ხელისუფლების დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოს კიდევ უფრო ინტერნაციონალიზაციისა და რუსეთის ფედერაციაში ქართველთა გადასახლების წახალისების მიზნით [18: 5-6].

ამავე გაზეთში საუბარია ე. ნ. თურქი მესხების პრობლემის ხელოვნურად შექმნისა და მისი მიზნების შესახებ; კიდევ ერთხელ მხილებულია საბჭოთა კავშირის მახინჯი ეროვნული პოლიტიკა. მოცემულია „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტ სტანისლავ გოვორუხინის ვრცელი სტატია საბჭოთა არმიის მიერ ბაქოში დატრიალებული საშინელებების შესახებ [8 და 23].

საქართველოსთვის მეტად მგრძნობიარე და მტკიცნეული იყო ფერლანაში ე. ნ. თურქი-მესხების თავს დამტყდარი ტრაგედია, როდესაც 1944 წელს შუა აზიაში გადასახლებული მესხეთის მოსახლეობას პროვოკაციები მოუწყეს და მათი საქართველოს წინააღმდეგ გამოყენება სცადეს აქ დესტაბილიზაციისა და დაძაბულობის შექმნის მიზნით [24: 21].

საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო აქციებმა საბჭოთა საოკუპაციო არმიაში ქართველ ახალგაზრდათა გაწვევის წინააღმდეგ.

აღნიშნულ საკითხზე ჯერ კიდე 1988 წლის აგვისტოში დაწერილ წერილში „რატომაა საჭირო ნაციონალური არმია“ გაამახვილა ყურადღება მერაბ კოსტავამ [22]. ამავე ბიულეტენში გამოქვეყნდა „მიმართვა ქართველი ახალგაზრდობისადმი!“, რომელშიც პირდაპირ იყო გაცხადებული, რომ „ქართველმა კაცმა უნდა თქვას უარი დამცყრობლის არმიაში სამსახურზე!“ – მიმართვას ხელს აწერდნენ ზვიად გამასახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი [იქვე: 3]. ბიულეტენის შემდეგი გვერდები ეძღვნება საბჭოთა არმიაში გაბატონებულ მხეცობათა აღნერას და ბოლოს აქვე მოცემულია სიი იმ ქართველი სამხედრო მოსამსახურებისა, რომლებიც მხოლოდ 1989 წელს დაიღუპნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის დროს (63 ახალგაზრდა). ამიტომაც საბჭოთა არმიაში ქართველი ახალგაზრდების განვევის სანინააღმდეგო აქციებმა საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო. ამ მოთხოვნით 1989 წლის 11 ოქტომბერს დაიწყო აქცია თბილისში სპორტის სასახლის წინ, რომელსაც შეუერთდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან – გორიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ახალციხიდან... აქციის მონაწილეებმა თანადგომას გამოუცხადეს ქობულეთელ წვევამდელებს, რომელთა მშვიდობიანი მჯდომარე პროტესტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით მილიციელებმა დაარბიეს, ხოლო მისი მონაწილეები დააპატიმრეს [9]. (მათ შორის მეც, დოდო გუგეშაშვილთან და კოტე ბერიძესთან ერთად – უ. ო.)

ეროვნული მოძრაობის შიგნით გაჩაღდა პოლემიკა „თურქი-მესხების“ პრობლემათა შესახებ. გ. ჭანტურიამ აღნიშნულ თემაზე გამოაქვეყნა წერილი – „ვინ არიან თურქი-მესხები?, სადაც ის წერდა: „...ედპ თვლის, რომ უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია ქართველი ინტელიგენციის ნაწილისა და ოპოზიციურ გაერთიანებათა წარმომადგენლებისაგან, რომელიც სამშობლოში დააპრუნებს წამდვილ მესხებს, პასპორტებში მათი ეროვნების ქართველებად აღნიშვნის შემდეგ და დაასახლებს მათ არა კომპაქტურად, არა ერთ რეგიონში, არამედ ხუთ-ხუთი ოჯახით საქართველოს სხვადასხვა

კუთხეში... (?! – უ. ო.) ასევე აუცილებელია დაისვას საკითხი თურქების თურქეთში დაბრუნების თაობაზე... ასე რომ არავითარი თურქი მესხები არ არსებობენ... ანუ არიან მესხები, რომლებსაც საქართველო გულში ჩაიკრავს და არიან თურქები..." [20].

ედპ-ს ამ პოზიციის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს აჭარის ა. რ-ის ხელისუფალთა მიერ 1988 წლის დეკემბრის მოვლენების შემდეგ, აქ მდგომარეობის ხელოვნურად დაძაბვის ცდა და აფხაზეთის ავტონომიაშიც ვითარების ესკალაციაც. გაზიეთში „ქართული ქრონიკა“ 1989 წლის 30 ივლისს გამოქვეყნებული ცნობა, რომ „16 ივლისიდან (ანუ სოხუმში პროვოცირებული ტრაგიკული ამბების მეორე დღიდან – უ. ო.) თბილისში მიმდინარეობს მიტინგები და დემონსტრაციები ეთნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით... კრემლის გეგმა ნათელია – ამბობს გაზიეთი – მთელს საქართველოში სამხედრო რეჟიმის დამყარება, იმის განხორციელება, რაც მან ვერ შეძლო აპრილში და ქართველი ხალხის გენოციდის განხორციელება საქართველოში მცხოვრები მუსულმანების ხელით“ – ნათქვამია გაზიეთში და შემდეგ „საქართველოს დემოკრატიული ალიანსი“, ედპ-ს მეთაურობით გაკეთებულ მიმართვაში აშშ-ს კონგრესს წარუდგენს საქართველოში მდგომარეობის დეესკალაციისათვის, მათი აზრით, გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ თავის მოთხოვნებს, რომელშიც მთავარი ადგილი უჭირავს აფხაზეთის ხელისუფლებიდან კრემლის ყველა აგენტის განთავისუფლებას და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თბილისიდან სპეციალური კომისიის მეშვეობით მართვის მოთხოვნას. შემდეგ კი იქვე ნათქვამია, რომ „დემოკრატიული ალიანსი ქმნის თავდაცვის შტაბებს აფხაზეთად წოდებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველთა სიცოცხლის დაცვის მიზნით, ეძებს გზებს აფხაზ მოსახლეობასთან, რათა აუხსნას მას, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ბრმა იარაღია კრემლის ხელში და რომ ქართველებსა და აფხაზებს არაფერი აქვთ გასაყოფი...“. იქვე ნათქვამია რომ „ისლამისა და კრემლის ალიანსი უფრო და უფრო საშიშ ფორმებს იძენს. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება... რომ ქართველები მართლა ჩაგრავენ და ავიწროებენ

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს. მტკიცება იმისა, რომ ეს ასე არ არის, ზედმეტად მიგვაჩინა...“ და ბოლოს მიმართვა ასე მთავრდება: „ვეყრდნობით რა სენატის N 110 რეზოლუციას, საქართველოს ედპ-ს სახელით ვთხოვთ აშშ-ს კონგრესს აქტიურად ჩაერთოს საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული კრემლის ჩანაფიქრი – საქართველოში სამხედრო რეჟიმის დამყარების გზით ქართველი ხალხის გენოციდის განხორციელება“ [19].

ფაქტია, რომ კრემლმა საქართველოში ყველა მისი ბერკეტი აამუშავა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართველი ხალხის წინაღმდეგ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, ქართული ეროვნული მოძრაობის ავანგარდში ყოფნაზე პრეტენზიის მქონე ძალებსაც მეტი სიფრთხილე და დიპლომატიური ტაქტი უნდა გამოეჩინათ, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში კონსტიტუციურად დაკანონებულ ავტონომიურ ერთეულზე საუბრობდნენ. მით უმეტეს, როდესაც მასთან დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობ, ამ დიალოგისათვის საჭირო სივრცე მაინც უნდა დატოვო... რის უნარიც, როგორც ჩანს, აღნიშნულ აღიანსის ამ ფრთას ნამდვილად აკლდა.

ამასთან, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება აგრძელებს რესპუბლიკაში ვითარების ხელოვნურად დაძაბვის პოლიტიკას და გაზიეთში „ოზურგეთის მოამბე“ კორესპონდენტს აძლევს საშუალებას სტატიის სათაურშივე დასვას კითხვა: „შემთხვევითობა თუ მასირებული შეტევის გაგრძელება?“ – მასში საუბარია ოზურგეთს რაიონის სოფელ შემოქმედის, ძიმითის, მე-2 საშუალო სკოლაში მოსწავლეთა მონამლვის ფაქტებზე, ხოლო ქობულების რაიონის სოფელ აჭყვისთავში სკოლის ადმინისტრაციამ 9 აპრილს სწავლა არ შეწყვიტა...[3].

1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში დაიწყო კომუნისტური სტრუქტურების შეუქცევადი დემონტაჟის პროცესი. კომუნისტური პარტიიდან და მისი სატელიტი კომუნისტიური ორგანიზაციის რიგებიდან დაიწყო პიროვნებათა გასვლა და სათანადო აქციები ამ პროცესის დასაჩქარებ-

ლად. მან სასწრაფო გამოხმაურება პოვა ქალაქ ბათუმში, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში. ქალაქ ბათუმში, გაზეთ „აჭარის“ ყოფილ რედაქციაში (ახლანდელ მემედ აბაშიძის ქუჩაზე), აჭარაში მოქმედ კომიტეტის, ედუარდ სურმანიძით სათავეში, მოლაპარაკების მაგიდასთან შევხვდით ეროვნული მოძრაობის ადგილობრივი წარმომადგენლები – კობა ხაბაზი, ედპ-ს ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე მერაბ კოპლატაძე, უჩა ოქროპირიძე. შეხვედრას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება, საქართველოს მარიონეტულ მთავრობასთან ტანდემში, ეროვნული ძალების დიდი წინააღმდევობის მიუხედავად, მაინც ცდილობდა გაეგრძელებინა თავის ანტიეროვნული, კოლაბორაციონისტული პოლიტიკა რეგიონში. ასეთი ვითარების ფონზე აჭარის მეზობელ გურიაშიც, კიდევ უფრო ძლიერდება ეროვნული ძალისხმევა და 1990 წლის გაზაფხულზე იქმნება 9 აპრილს თბილისში დაღუპული ნინო თოიძის საზოგადოება, რომელმაც მოიცვა გურიის მახლობელი აჭარის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი სოფლები – აჭი, ქაქუთი, ნაცხავატევი, ტყემაკარავი [29], ხოლო შედარებით უფრო ადრე, 1989 წლის ზაფხულში შეიქმნა ოზურგეთის სახალხო ფრონტი [30].

1990 წლის დასაწყისიდან წინ წამოიწია კიდევ უფრო რადიკალური მოთხოვნები: „ა) საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და წყობილების გაუქმება, ბ) რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიების დატოვება, გ) საქართველოში დემოკრატიული ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სპეციალური მისიებისა და დელეგაციების ჩამოსვლა, დ) საყოველთაო კენჭისყრით ნამდვილი ეროვნული მთავრობის არჩევა: ბოლოს – „ჯვაროსნული ომი კომუნიზმს! წინ თავისუფლებისაკენ! 5. 01. 1990“ [4].

ძალიან მძიმე ვითარებაა საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანშიც, რის შესახებაც მოგვითხრობს ცნობილი რუსი კინორეჟისორი სტანისლავ გოვორუხინი: – „სუმგაითის გზაზე, ქუჩის პირას, რათა ტანკების კოლონისათვის

გზა დაეთმო, იდგა მსუბუქი ავტომანქანა. მასში ისხდნენ აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის სამი მეცნიერი, პროფესორი, მათ შორის ერთი ქალი. უცებ კოლონიდან გამოვიდა ერთი ტანკი, ლითონზე მუხლუხების ღრგვალით გადაუარა მანქანას, გაჭყლიტა შიგ მსხდომნი. კოლონა არ შეჩერებულა – წავიდა ქალაქში შეფარებული მტრის გასანადგურებლად [23, სტანისლავ ...].

აზერბაიჯანისა და ბაქოს საშინელებებმა ფართო გამოხმაურება პოვეს უცხოეთის პრესაში. გაზეთში „ლუმანიტე“ კორესპონდენტმა დრაპორ რუსებმ გამოაქვეყნა წერილი „მგლოვიარე ბაქო“, რომელიც ფრანგულიდან ქართულად თარგმნა რუსუდან ორაგველიძემ. მასში, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია ბაქოში გამოფენილი ტრანსპარანტები: „გორბაჩივი ჯალათია – ყაზახი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხისა! ვინ იქნება შემდეგი?“, „ძირს ფაშისტური კომუნისტური პარტია“ და ა. შ. „...მრავალი ასეული აზერბაიჯანელია მკვდარი და დაკარგული... აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ცნობით, 20 იანვრის 12 საათისთვის საბუთების მქონე დაღუპულთა რიცხვი 124 იყო... დაჭრილებთან ექიმებს არ უშვებენ, არამედ მათ ტყვიების დამატებითი ჯერით უმასპინძლდებიან. ბაქოში 1990 წლის 22 იანვარს 119 საფლავი გაიჭრა [14. ბაქოს...].

საქართველოსა და აზერბაიჯანში საბჭოთა არმიის მიერ ჩადენილ მხეცობათა განმცდელი ქართველი ავტორი იგორ გიორგაძე სტატიაში – „9 აპრილი მარტო ტკივილი არ არის“ აკეთებს დასკვნას: – „ინგლისის მლენავ ველურ ვანდალებს, ეს წითელარმიელები შეგირდებადაც არ აიყვანდნენ“ [31: 2]. და იქვე – „დაღუპულთა ნათესავებმა, ჭირისუფლებმა სამძიმრის დეპეშები მიიღეს სსრ კავშირის მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსაგან – ცინიზმის ეს რეკორდი, უდავოდ, გინესის წიგნშია შესატანი“.

და ბოლოს, ავტორს მოაქვს ჩაადაევის ცნობილი პოსტულატი: „რუსეთი არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ მსოფლიოს საშინელებათა გაკვეთილები მისცეს“ [იქვე].

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესმა გაქანებამ გავლენა

მოახდინა მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის ქართულ ისტორიულ ტერიტორიებზე მცხოვრებ და განსაკუთრებით ძნელბედობისას იქ გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებზე, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ქ. ფაფადან, სულეიმან ინაიშვილი ლექსში „ წმინდა ილიასადმი“ ასე მიმართავს საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია მეორეს – „შენ ჩვენი რწმენის აღმშენებელო კათალიკოსო...“ და შემდეგ, ეხება რა ზოგად ქართულ სატკივარს, ამბობს:

„საქართველოს ახლა სჭირია შეკავშრება და ერთობა,

ჩვენ ძმანები ვართ, არ იქნება აფხაზობა, აჭარლობა და ოსეთობა,

...გვჭირია ჩვენ ჩვენი სახელმწიფო და თავისუფლება!

ხოლო 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ, ავტორი განცდით აღნიშნავს:  
„ჩვენთვის დასავიწყარი დღე არ არის, შავი დღეა 9 აპრილი,

იმ დაუმიწყარ დღეში იყო ქართველები ქუჩაში დაყრილი,

ჩვენ თავისუფლება გვინდაო, ყველგან თავი ჰქონდათ მოყრილი,...“

„...კაი რამე არ გეგონოთ აგი საბჭოთა კავშირი, –

...სულ რომ ტვირთი ჩვენ მოგვიდეს, გაგეხადეს მაგენმა ვირი, გადავირჩინოთ უნდა თავი ღმერთით, განა რა იქნება სულზე ძვირი“

[10. დარეჯან კიკნაველიძე...: 5].

აი, რაც ასეთი უბრალო და გასაგები იყო ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისათვის, რატომდაც დღემდე ძალიან რთული და გაუგებარი აღმოჩნდა ქართული ნომენკლატურისა და მისი სატელიტი წითელი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილისათვის, და ესეც მასში აღზრდილი საბჭოთა რუსული იმპერიული აზროვნების უშუალო შედეგია.

თუმცა საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები მანიც ვერ ელეოდნენ საკუთარი სტრუქტურების გაეროვნულების ილუზიას, (იმდენად დიდი იყო ხელისუფლებაში დარჩენის ცდუნება) და ამიტომაც დღის წესრიგში დადგა მათი თვითლიკვიდაციის აუცილებლობა. მაგ-

რამ ამ აუცილებლობას მათ ახალი სიყალბითა და დემაგოგით უპასუხეს, რაც გამოიხატა „საქართველოს კომუნისტური პარტიის მიმართვაში კომუნისტებისა და მშრომელებისადმი, უპარტიით ინტელიგენციის, ახალგაზრდობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი“, სადაც ისინი, მიუხედავად ყველაფრისა, უტიფრად აცხადებდნენ, რომ „კომუნისტებს სურთ დარჩენენ საზოგადოების ავანგარდში“, ურთიერთობის აუცილებლობად აღიარებენ „პოლიტიკურ დიალოგს და ოპონენტის დაწყების ფორმას“, და რომ „კომუნისტური პარტიისათვის დასაშვებია აზრთა ჭეშმარიტი პლურალიზმი“ [32: 3]. ამის პარალელურად კი ცდილობენ ეროვნული მიმართულების ორგანიზაციებში შეღწევას და იქ დომინანტური პოზიციის მოპოვებით, თავიანთ სასარგებლოდ მათ დეზორიენტაციას. იგივე საინფორმაციო საშუალება გვატყყობინებს, რომ „ყაზბეგის რაიონის სახალხო ფრონტი კომპარტიის ადგილობრივი ორგანოს პარტუჯრედია“; აქვე აღნიშნულია კომუნისტური ნომენკლატურის გაბატონებული მდგომარეობა სახალხო ფრონტის ზოგიერთ სხვა რაიონულ ორგანიზაციებშიც [იქვე].

ამასთანავე აღსანიშნავია ადგილობრივი კომუნისტური ნომენკლატურის თვითნებობა და ანტიეროვნული პოზა საქართველოს რეგიონებში. სწორედ ამის შესახებ გვიამბობს საქართველოს რადიკალური კავშირი“ ეროვნული სამართლიანობის კავშირის წევრების გიორგი გოდერძიშვილისა და ბესო საბაშვილის ინიციატივით 1990 წლის 29 ივნისს ასპინძაში ჩატარებული მიტინგი, რომლის დროსაც ასპინძის მილიციის უფროსი ტივაძე აცხადებდა, რომ ასპინძა მისია და იქ მიტინგს ვერავინ ჩაატარებს, თან იმუქრებოდა მომიტინგეთა დაპატიმრებით. მიუხედავად ამისა მიტინგი მაინც შედგა და მისი მონაწილენი გაეცნენ ადგილობრივი მმართველების მიერ შესრულებულ მათ მოთხოვნებს და მიიღეს რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, მოთხოვნათა დარჩენილი პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეუერთდებოდნენ ეროვნულ დაუმორჩილებლობას [იქვე: 4]

ანტიქართულ გამოხდომებს ააქტიურებენ ოსები და 1990 წლის თებერვალში „ადამონ ნიხასი“ ითხოვს საქართველოში „თურქი-მეს-

ხების“ ჩამოსახლებას. პარალელურად ოსი მოსახლეობის მიერ დაზიანებულ იქნა ცხინვალში მიმავალი სარკინიგზზო ლიანდაგი.

თბილისში კინოს სახლთან საქართველოს ჰელსინკის კავშირმა და ილია მართლის საზოგადოებამ გამართა მიტინგი „თურქი მესხების“ საკითხთან დაკავშირებით. მასზე სიტყვით გამოვიდა ზვიად გამსახურდია, რომელმაც დაგმო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და ცალკეულ პიროვნებათა – რ. ჩხეიძე, ნ. გელაშვილი, გ. მამულია, – პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; აქვე სიტყვით გამოვიდნენ სამცხე-ჯავახეთიდან ჩამოსული მესხები, რომელთაც მოიგონეს „თურქ-მესხებთან“ თანაცხოვრების წლები და დაუშვებლად მიიჩნიეს მათი საქართველოში ჩამოსახლება“ [26: 1]. უფრო ადრე, 1989 წლის 14 დეკემბერს მოეწყო ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრა მერაბ კოსტავასთან, თამარ ჩხეიძესა და ზ. მამალაძესთან, საქართველოში 10 „თურქი-მესხის“ ჩამოსახლების საკითხთან დაკავშირებით, რამაც აღნიშნული საზოგადოების სასტიკი წინააღმდეგობა და შეშფოთება გამოიწვია, რადგანაც ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს გახდებოდა დასაწყისი საქართველოში თურქების ჩამოსახლებისა“ [33].

1990 წლის 2 მარტს წმიდა ილია მართლის საზოგადოებისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით „თურქი-მესხების“ საკითხზე მიტინგი ჩატარდა ოზურგეთში. სულ ცოტა ხანში ანალოგიური აქცია გაიმართა ლანჩხუთშიც, სადაც მოსახლეობამ მიიღო რეზოლუცია, რომ „იგი სასტიკი წინააღმდეგია „თურქი-მესხების“ საქართველოში ჩამოსახლებისა. მიტინგის დადგენილებაში აგრეთვე ნათქვამია, – „სანამ საქართველო დამოუკიდებლობას არ აღიდგენს, ყოველგვარ ჩამოსახლებაზე ლაპარაკი ზედმეტია“ [26: 8].

დიდი ყურადღება ექცევიდა გურიაში ჩამოყალიბებული ორგანიზაციების საქმიანობასა და მათ მჭიდრო ურთიერთობას მეზობელ აჭარასთან. 1989 წლის სექტემბერში ლანჩხუთსა და ოზურგეთში არსებულ ედპ-ს ქვეკომიტეტებისაგან შეიქმნა ერთიანი, გურიის ედპ-ს კომიტეტი. ამავე წლის 7 სექტემბერს ოზურგეთში მოეწყო ედპ-ს ბათუმის, ლანჩხუ-

თისა და ადგილობრივი (ოზურგეთის) კომიტეტების წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც გადაწყდა შექმნილიყო ედპ-ს გურია-აჭარის ბიურო – ბიძინა აფხაზავას (ბათუმი), ვაჭარანგ ზენეიშვილის, ბეჭან თავართქეილაძის, მერაბ სადლობელაშვილის, მერაბ ფირცხალაიშვილის და გურამ ჩახვაძის შემადგენლობით [33].

ამავე პერიოდში ბორჯომში წმ. ილია მართლის საზოგადოებამ ულტიმატუმი წარუდგინა ბორჯომის რაიკომის პირველ მდივანს გ. პეტრიაშვილს ლენინის ძეგლის აღების მოთხოვნით. მასზე უარის მიღების შემდეგ დასვეს საკითხი რაიკომის მდივნის გადაყენების შესახებ. 1990 წლის 18 მარტს ზვიად გამსახურდიასა და ადგილობრივ ეროვნულ ორგანიზაციათა ძალისხმევით ლენინის ძეგლები ჩამოვდებული იქნა ქობულეთსა და ბათუმში, ხოლო ცოტა მოგვიანებით ხულოსა და აჭარის სხვა რაიონულ ცენტრებში.

საქართველოსადმი საბჭოთა მთავრობის ვერაგული მტრობის კიდევ ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა ჩერნობილის ოლქიდან საქართველოში რადიაციით დასხივებული ხორცის დიდი რაოდენობით შემოტანა, რომლის ბათუმის საწყობებში გამოვლენასა და გატანაში, შემდგომ კი მის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაგზავნაში, მერაბ კუტუბიძესა და ბათუმის სახალხო ფრონტის აქტივისტებთან ერთად ვმონაწილეობდი. 1990 წლის 1 მარტს ჩატარებული მიტინგის შედეგად ასეთივე ხორცი გატანილი და ბელორუსიაში გაგზავნილ იქნა გორიდანაც [26].

განსაკუთრებით შემზარავ ხასიათს ატარებდა ოსი ექსტრემისტის მიერ აკვანში ჩაკლული საკუთარი დისმეტილის, 9 თვის ქართველი ყრმის გიორგი ნიკორიშვილის მკვლელობის გარშემო დატრიალებული ამბები, – როდესაც მოკლული ბავშვის ბებია, ვარვარა გაგლოევა-თედევა, ცხინვალის სამშობიარო სახლში მიეჭრა ექიმ ნათელა ნიუარაძეს და აძალებდა ბავშვის მკვლელობა თავის თავზე აეღებინა მოკლული ბავშვის მამისთვის [იქვე, გვ. 2].

ალბათ, ყველა დაგვეთანწმება, რომ ადამიანური სიმდაბლე და ნაძირალობა ამაზე ქვემოთ ვერ დაეშვება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არის ქართულ-ოსურ ურთიერთობაში საბჭოური

სიმახინჯის მიერ გაღვივებული არაადამიანობის კიდევ ერთი გამოვლინება, რომელიც მის ავტორთათვის ისეთ მითურ სისაძაგლედ წარმოჩნდა, რომელიც მხოლოდ კორინთელების მიერ ბერძენი ტრაგიკოსის, ევრიპიდეს მოსყიდვას შეიძლება დაედაროს მედეას საკუთარი შვილების მკვლელად გამოყვანის მიზნით. ასეთ საქმეთა ჩამდენი კი არა მარტო აგრძელებენ ქართულ მიწაზე ცხოვრებას, არამედ მათ მართლმსაჯულებისაგან თავგამოდებით იცავს რუსული არმია და სახელმწიფო.

მოკლედ, ასეთია ის გარემოებანი, რომლებიც წინ უძლოდა და ფაქტიურად განაპირობა ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, უკანონო პროცესების შემზადება საქართველოს უახლოეს წარსულში. როდესაც ვლაპარაკობთ ზემომოყვანილ ფაქტებზე და ვაანალიზებთ ქვეყნისათვის მისგან გამომდინარე სამომავლო განვითარების ისტორიულ პერსპექტივას, სხვა არაფერი დაგვრჩენია ვალიაროთ, რომ ასეთ ფსიქო-იდეოლოგიურ და პოლიტიკური გარემოცვის პირობებში საქართველოს უახლოეს წარსულში რა უბედურებაც დატრიალდა, ამ ყოველგვარ ზნეობას მოკლებულ სასტიკ დანაშაულობათა ჩვეულებრივ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. გაზ. „გზა“, პერიოდული თვითგამოცემა, ტყიბული, 1, 09, 1989 წ., სერგეი ესენინის უჩა ძიძავასეული თარგმანი;
2. ბერძენი კ., გაზ. „ოზურგეთის მოამბე“, N 1, ნოემბერი;
3. გაზ. „ოზურგეთის მოამბე“, N 5, 1990;
4. გაზ. „ქართვლის დედა“, N 1(8), 13 იანვარი, 1990 წ.; აქვე: მიმართვა ქართველი ერისადმი;
5. გაზ. „ქართვლის დედა“, N 7, 1989 წ., 30 ნოემბერი, გვ. 3;
6. გაზ. „ქართვლის დედა“, N 6, 6 ნოემბერი, 1989, გვ. 6;
7. გაზ. „ქართვლის დედა“, N 6, 1989, 6 ნოემბერი, არჩილ ხანთაძის მოხსენება „პარიზი 89“ – ქრისტიან-დემოკრატთა შეკრებაზე];
8. გაზ. „ქართვლის დედა“, N 9, 16 მარტი, 1990; იქვე, გვ. 5, (ც. უორულიანის 27. 02. 90 დაწერილი სტატია);
9. გაზ. „ქართვლის დედა“, N 7, 30 ნოემბერი, 1989 წ.;
10. დარეჯან კინაველიძე, სხვა საქართველო სად არის, გაზ. „ქართვლის დედა“, N 9, 16 მარტი, 1990, გვ. 5;
11. საინფორმაციო წყარო, N 1, ქრსტეშობისთვე, 1989, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინების პარტია, გვ. 10-11;
12. რიჩარდ პაიპსი, რა უნდა ვიღონოთ საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ . დასავლეთის სტრატეგია დღეს და მომავალში, საქართველოს ედპ-ს მოამბე, N 10, 1990;
13. „შავლეგო“, N1, 1990 წ., ოქტომბერი, სრულიად საქართველოს წმ. ილია მართლის საზოგადოების ბიულეტენი.
14. „ამბიონი“, 1990 წ., რეგიონალური საინფორმაციო ბიულეტენი – სდპ-IV დასი, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის კომიტეტი, გვ. 4; ბაქოს ტრაგიკული ამბები, გაზ. „ამბიონი“, N 1, 1990].
15. საქართველოს რესპუბლიკის ფედერალური პარტიის კონსტიტუციური ფრაქცია, N 1, 1990 წლის 25 მარტამდე, გვ. 1;
16. გაზ. „ქართული ქრონიკა“, N N 39, 40, 41, 44, 45, 1989 წ.;
17. გაზ. ქართული ქრონიკა, N 3 (60), 1990, 25 თებერვალი;
18. გაზ. „ქართული ქრონიკა“, N 3(60), 1990, 25 თებერვალი, გვ. 5-6;
19. გაზ. „ქართული ქრონიკა“, N 45, 1989, 30 ივლისი;
20. გაზ. „ქართული ქრონიკა“, ედპ-ს გაზეთი, N41, 1989, 20 ივნისი;
21. ვლადიმერ კორსუნსკი, გაზ. „ექსპრეს-ქრონიკა“, N 18, 1989;
22. წმ. ილია მართლის საზოგადოების სამხედრო საქმეთა საინფორმაციო ბიულეტენი N 2, 1989;
23. მოსკოვსკიე ნოვოსტი, N 7, 17 თებერვალი, 1990 ([სტანისლავ გოვორუხინი, რეპეტიცია, Moskovskie Novosti, N 7, 17 Fevralia,, 1990 g.]);
24. „დღესი“, N 2, 1989 წ., 9 აგვისტო, გვ. 21;

25. გაზ. „დლესი“, N2, 1989, 9 აგვისტო, გვ. 2;
26. პრეს-ბიულეტენი, N 7, 4 მარტი, 1990,  
ქართული საინფორმაციო ცენტრი, გვ. 1;
27. ეროვნულ დემოკრატი, საქართველოს ედპ-  
IV დასის კახეთის კომიტეტის ბიულეტენი,  
N 1, 1990;
28. ნ. ჟ. პეტელი, „RUSSKAIA PRAVDA“,  
SPB, 1906, CTR. 48;
29. გაზ. „ლეხაური“, N 2, 26 მაისი, 1990;
30. გაზ. „ოზურგეთის მოამბე“, N11, ოზურგეთის  
სახალხო ფრონტი, ნოემბერი, 1989;
31. გაზ. „ქართლი“, ქართლის სახალხო ფრონ-  
ტი, N 4, 1990, იგრიკა, გვ. 2;
32. გაზ. „დლესი“, N2, 1989, 9 აგვისტო, გვ. 3;
33. გაზ. „გურია“, ედპ-IV დასი, N 2, 1989;

### რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სმხედ-რო-კრიმინალური გადატრიალებისა თუ მის შემდეგ განვითარებული მოვლენების შემამ-ზადებელ გარემოებათა გააზრება ქართული არაფორმალური (ძირითადად ეროვნული) პრესის მასალების (1988-1990 წ.წ.) ანალიზის მიხედვით და მის ფონზე ამავე პერიოდში სამ-ხრეთ-დასავლეთ საქართველოში განვითარე-ბული მოვლენები. აქვე მოთხრობილია საბჭო-თა პრესისა და საინფორმაციო საშუალებების თუ ქართული ოფიციალური უურნალისტიკის როლის, აგრეთვე მათ მიერ უცხოეთში (დასავ-ლეთი) ქართული ეროვნულ-განმათავისუფლე-ბელი მოძრაობისათვის შექმნილი, წინმსწრები არაობიექტური, უსამართლო და გაუკულმარ-თებული ფონის შესახებ.

მასში გადმოცემულია 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გავლე-ნა საერთოდ საქართველოში და, კერძოდ მის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებზე. ქართული საბჭოთა ნომენკლა-ტურის კოლაბორაციონისტულ-მამებლური, კონდოტიერული პოზიცია და საქმიანობა მოსკოვის ცენტრალური საბჭოთა ხელისუფ-

ლებისადმი, მისი ფარისევლური დამოკიდე-ბულება ქართველი ხალხის ინტერესებისადმი, თუ ანტიქართული, გამცემლური პოლიტიკა აქ არსებულ ავტონომიურ ფორმირებებში ნელი მოქმედების „ბომბების“ აფეთქების სა-შუალებით. „თურქი-მესხებისა“ და ფერდანის ტრაგედიათა ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ გამოყენების მცდელობანი. პარა-ლელურად მოთხრობილია მეზობელ აზერბაი-ჯანში საბჭოთა ჯარების მიერ დატრიალებულ საშინელებებზე; აგრეთვე საქართველოს სხვა რეგიონებში ამავე პერიოდში მომხდარი სხვა საინტერესო მოვლენების შესახებ.

**Уча Окропириძე**

### ... ЮГО-ЗАПАДНАЯ ГРУЗИЯ ПО ДАННЫМ ГРУЗИНСКОЙ НЕОФИЦИАЛЬНОЙ ПРЕССЫ

В статье представлено осмысление обстоятельств подготовки декабряско-январского военно-преступного переворота 1991-1992 гг. в Грузии и последовавших за ним событий по материалам грузинской неофициальной прессы (1988-1990 гг.). На его фоне нынешние события на юго-западе Грузии. При этом анализируется роль советской прессы и СМИ, а также грузинской официальной журналистики – необъективного и несправедливого, искаженного фона, созданного ими для Грузинского национально-освободительного движения за рубежом.

